კვირის პალიტრა

მზა

N28 (266) 14/VII.-20/VII.2005. ფას

თემა: მამამ მეორე ცოლი მოიყვანა...

ფსიქოლოგის კომენტარი: „მისი პროტესტი ბუნებრივია... ზოგი კი სითბოთი ეკიდება დაობლებულ ბავშვს...“

რაზე ფიქრობენ პატარები?..

საკითხავი ქალებისთვის – სასარგებლო კბენა გუჩზე, პიტნიანი ყინული და სხვა...

ლუბა ელიაშვილი

ძაღლის ქლიერი

ცნობილი ჟურნალისტი ახალ სანდალში ეხვევა...

„...მაღრაძის ნომერი აგკრიბე: – ირაკლი, მიშველე! მთაწმინდაზე ვარ, ხეში, ბონი დაჭრილია და ბუჩქებში კაცის თავი აგდია, მოკვთილი!“

„ქუჩის ბიჭების“ ახალი ეტაპი

„შეიძლება, 4 წლის მერე დაშორდე... მქონია ასეთი შემთხვევა...

ბაკურიანი

სასტუმრო მელისი

ფაქიზად შეგიდგენთ თქვენი სიტყვისა და ჯანმრთელობის საქმესთან

ტელ: (995 32) 94 23 55 მობ: (899) 248 686

E-mail: ttsivtsivadze@yahoo.com

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
№28 (266)
14 - 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
2005
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲝᲮᲢᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲔᲕᲘᲓᲔᲡ“ ᲐᲜᲣ REALITY-SHOW ᲐᲛᲢᲐᲜᲘ-2 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ
- „ᲥᲣᲩᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ 7
- ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲡᲐᲜᲢᲘ „ᲡᲚᲐᲕᲘᲐᲜᲡᲙᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲒᲔ“ ᲐᲜᲣ ᲕᲔᲠᲘᲙᲝ ᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ 8
ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ
„ᲛᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲪ – ᲝᲠᲘᲕᲔ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘᲐ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...“ 10
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
- „ᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ“ 12
- „ᲓᲐᲜᲐ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲧᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲓᲝ, ᲛᲝᲒᲚᲐᲕᲝ – ᲓᲐᲛᲔᲛᲣᲥᲠᲐ...“ 14
- ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲧᲐᲩᲐᲦᲣᲠᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ 15
ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ
ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ, ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲗᲣ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ? 16
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„2 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲨᲝᲙᲘᲓᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲡᲣᲚᲕᲐᲠ...“ 18
ᲰᲔᲠᲐᲚᲓᲘᲙᲐ
ᲕᲘᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲑᲝᲠᲯᲚᲐᲚᲘ, ᲠᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲝᲛᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ 22
ᲙᲝᲚᲔᲒᲐ
ᲗᲐᲕᲑᲠᲣᲓᲐᲛᲮᲕᲔᲕᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ, ᲨᲘᲚᲝ ᲓᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲛᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ 24
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ
ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲥᲘᲡᲢᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲝᲯᲐᲮᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ... 25
ᲗᲔᲛᲐ
ᲒᲔᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ – ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ 27
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲛᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 28
ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 30
- ᲪᲔᲙᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲝᲠᲔᲥᲡᲘᲐ 31
ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲙᲑᲔᲜᲐ ᲢᲣᲩᲖᲔ, ᲞᲘᲢᲜᲘᲐᲜᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡᲐᲪ ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ 32

ᲒᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ – ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ

„ᲓᲔᲓᲘᲡ „ᲩᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐ“ ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲚᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲠᲔᲡᲘᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ. ᲔᲡ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲦᲝᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ“.

27

ᲗᲐᲕᲑᲠᲣᲓᲐᲛᲮᲕᲔᲕᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ, ᲨᲘᲚᲝ ᲓᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲛᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ

„...ᲓᲚᲘᲡ ᲔᲗᲔᲠᲘᲐ, ᲧᲕᲚᲐᲡ „ᲛᲘᲜᲐᲕᲐᲠ“, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ. ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲪᲐᲓᲝ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲤᲮᲘᲖᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲜᲓᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲝ. ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ,ᲠᲐᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲚᲚᲘᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲚᲘᲛᲝ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲒᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲒᲘᲮᲐᲠᲓᲐ. ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲝ“

24

„ᲥᲣᲩᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

„ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲮᲐᲢᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲙᲝᲛ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ... ᲮᲐᲗᲣᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ 4 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲣᲒᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ“.

7

ᲕᲔᲠᲘᲙᲝ ᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘᲗ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

„ᲠᲝᲪᲐ ᲘᲣᲠᲛᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ – ᲨᲔᲜᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲝ, ᲕᲔᲦᲐᲠ ᲒᲐᲕᲠᲘᲡᲙᲐᲕᲓᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡᲝ... ᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲪᲐᲓᲝ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲮᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲙᲐᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ!“

8

ტაძარი
...მაგრამ კრძალულებას ნუ შევასუსტებთ – გვმოძღვრავენ მართლმადიდებელი მამები 34
ჩემი თაობა
„იმედი მაქვს, რომ შერეკილი ადამიანები კვლავაც იქნებიან...“ 35
შთამომავლობა
როგორ დასაჯეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახი – ერთი ოჯახის დრამა ანუ უსასტიკესი სისტემის განაჩენი 37
ასპარეზი
გასტაველი ბიჭი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა 39
ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. მანიაკის ძღვენი (დასაწყისი) 42
ვარსკვლავი
ნატალია ორეირო – „საპნის ოპერების“ ურუგვაიელი ვარსკვლავი 46
ბომონდი 47
ავტო 49
ცხოვრება
ცირკის „ბირჟაზე“ დაწყებული სიყვარული... 50
სენი
„აშშ-ის ყველაზე საშიში მტერი“ – ჯვაროსნული ლაშქრობა ნარკოტიკების წინააღმდეგ 51
პირველი პაემანი
„შენ არ იცი, აქ ყვავილებით მოსვლა რად დამიჯღაო...“ 54
ფავორიტები
- რობერტო კარლოსი: „მომავალი სეზონი ჩვენი იქნება“ 56
- სექსი მატჩის დაწყებამდე 2 წუთით ადრე?!. 57

ასტროლოგია
რა არის ასცენდენტი და რა თვისებებს გვანიჭებს 58
ჰოროსკოპი
კვირის (14-20 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
ვინ ხართ საკუთარი შვილისთვის: მშობელი თუ მეგობარი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ესინათლო მასაჭისტი საკუთარ ოჯახსა და შვილზე ოცნებობს...

ჩაიკითხა ეს ლოცვა და დასძინა – ის, რაც დამემართა, ღვთის ნებაა და არავის ვადანაშაულებო... ბედის სამდურავი მართლაც არასდროს დასცდება, პირიქით – სხვებს ამხნევებს, აიმედებს და ამშვიდებს – ყველაფერი კარგად იქნებაო. მას ცისმარი ჰქვია, მეგობრები ციცოს ეძახიან. 30 წლისაა და უკვე 18 წელია, რაც ველარ ხედავს.

25

„იმედი მაქვს, რომ შერეკილი ადამიანები კვლავაც იქნებიან...“



თემურ ჭკუასელი იმ თაობის წარმომადგენელია, ვინც ღირსეულად გააგრძელა და განავითარა წინამორბედთა მიერ დანატოვარი სასიმღერო ტრადიციები. მომღერლის და ჟურნალისტის, რამდენიმე საუცხოო წიგნის ავტორის თქმით, მისი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისი ყველაზე ლამაზი და კარგი იყო.

35

შერონ სტოუნი საშველად დუბლიორებს ეხმობს

48 წლის ვარსკვლავი მიიჩნევს, რომ მისმა სხეულმა მომხიბვლელობა დაკარგა. ამიტომ ახალი ფილმის ვნებიან კადრებში მას დუბლიორი შეცვლის. ასეთი სცენა კი, სიკველში მრავლადაა. სტოუნი დუბლიორებს თავად არჩევს და როგორც ამბობენ, ისეთებს ამჯობინებს, რომლებიც ლამაზი სახით დიდად არ გამოირჩევიან.

47

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიაშვილი

თავის მობრუნება ველარ მოვასწარი, ყურთან რაღაცამ უცნაურად გამიშხუილა და წვივებზე მწარედ მომხვდა. ფეხქვეშ საყრდენი გამომეცალა, გადავყირავდი და კიბეზე დავგორდი. ხელიდან რკინის საჩხრეკი გამივარდა. მივგორავდი და მესმოდა, როგორი საშინელი ბრახუნით მიხტოდა კიბეზე რკინის მძიმე ჯოხი.

42

„ჩემი შვილიშვილი ლიხეური უნდა გამევიდეს" ანუ REALITY-SHOW ამცანი-2

ჰიდრომეტეოროლოგებმა ისე შეგვაშინეს, – ივლისი ისეთი ცხელი იქნება, რომ აგვისტო მოგვენატრებაო, – ახლა თბილისი ევაკუირებული სტალინგრადივით უნდა იყოს დაცარიელებული და კვირაობით გადაკეტილ რუსთაველზე მარტო ჭიაბერაშვილი, მისი შემცვლელი უგულავა და ქურხული უნდა დასეირნობდნენ, მაგრამ ქალაქიდან გასვლისა და კურორტზე დასვენებისათვის ორი აუცილებელი პირობაა საჭირო: შვებულება და ფული.

შვებულების პრობლემა, ბოლო 15 წელია, აღარ არსებობს საქართველოში, რადგან უმუშევარი ხალხი სულ შვებულებაშია. აი, ფულისა კი – რა მოგახსენოთ. ამიტომ, მთელი თბილისი ისევ თბილისშია და ადგილობრივი საშუალებებით ცდილობს გართობას:

იმ ტელევიზიის ხელმძღვანელს გაახარებს ღმერთი, მსოფლიო ტელეინდუსტრიის ახალი ტალღა რომ ააგორა საქართველოში და „რეალიტი-შოუ ამტანი" განახორციელა. მთელი თბილისი მიჯაჭვულია ეკრანზე და ბოლო „თეთრებს" ვიღაც ამტანის „გადასარჩენად" მესიჯების წერაში ხარჯავს. ამ პროექტით ხალხის დაინტერესება ეფექტურად გამოიყენა განათლების რეფორმატორმა მინისტრმა და მისაღები გამოცდების პროცესიც რეალიტი-შოუდ აქცია:

შეყრიან აბიტურიენტებს ერთ აუდიტორიაში, დაურიგებენ ტესტებს და თუ ბიჭი ხარ, გაეცი სწორი პასუხები!.. თანაც, ისეთი საშინელი პირობებია, რომ არც „შპარგალკის" გამოყენება შეგიძლია, არც წიგნის შეტანა, არც – „ზარი ახლობელთან" და არც „დარბაზის დახმარება". გეკითხებით, არ ჰქვია ამას „ამტანი"?! – მარტო წყალი მოიტანეთო – წყალი რომ უცოდინარობას შველოდეს, ღორჯო პროფესორი იქნებოდა, კალმახი კი – აკადემიკოსი... თანაც, ყველაფერ ამას, იღებს ვიდეოკამერები და გარეთ მდგომი გულშემატკივარი ყველაფერს უყურებს პირდაპირ ეთერში.

თუ „ამტანის" პრინციპით ტარდება ეს გამოცდები, ის მაინც შეიძლებოდეს, რომ გულშემატკივრებმა დაგმესიჯონ და ვინც SMS-ლიდერი გახდება, ავტომატურად ჩაითვალოს სტუდენტად.

ჩემი ახლობლებიდან აბიტურიენტი არავინაა, მაგრამ როგორც ჟურნალისტი, მაინც წავედი და ხალხში გავერიე. ვიღაცამ დაიძახა, შემოდითო და აბიტურიენტთა 300-კაციანმა ტალღამ მეც შემაგდო აუდიტორიაში. მომცეს ტესტი, დაჯექი და შეავსეო... ბევრი ვიყვირე – რაღა დროს ჩემი სტუდენტობაა, ამდენი წელია, ჟურნალისტი ვარ-მეთქი! – მაგრამ ვინ მომისმინა?!

დავჯექი, გადავხედე და მგონი, პასუხებიც სწორად გავეცი. ისე, ყველაზე დიდი კონკურსი სწორედ ჟურნალისტობაზე ყოფილა და თუ გამიმართლა, იქნებ, ჟურნალისტიც კი „გამოვიდე" (მომბეზრდა ამდენი პროვოკატორობა)...

ისე, რას ერჩოდნენ ამ საცოდავ აბიტურიენტებს?! ხომ იყო უმაღლესი განათლების სისტემა ჩონგურივით აწყობილი: დაამთავრებდი სკოლას და სახლიდან გაუსვლელად ხდებოდი სტუდენტი, შეებრალებოდა მზრუნველ დედიკოს შვილი დილაადრიან გასაღვიძებლად, დაავლებდა ხელს მის საბუთებს, შესატან თანხას და „ბავშვი" სანამ გაიღვიძებდა, უკვე სტუდენტი იყო. თანაც იმ სპეციალობაზე, რომელიც თვითონ უნდოდა. ახლა, ექიმობა თუ გინდა, მაგრამ ქულები არ გეყო, იურისტი გამოხვალ, ან პედაგოგი; თანაც ყველანაირ სიმკაცრესთან ერთად, ცოდნასაც ითხოვენ... ცოდნა თუ მაქვს, რაღად მინდა სტუდენტობა?! რა უბედურებაა ეს მისაღები გამოცდები: ხომ შეიძლება, ვიღაცამ ვერ ჩააბაროს; ხომ ხდება ის ყმაწვილი იძულებული, მომავალ გამოცდებამდე სამსახური იშოვოს და მუშაობა დაიწყოს. „ღმერთმა დაგვიფაროს" და, 17 წლის ახალგაზრდა რომ მუშაობას შეეჩვევა, შენ გადააჩვევ მერე?!

მიკვირს, რატომ არ ფიქრობდა ამდენს ჩვენი მთავრობა...

P.S. *სატელეფონო ზარი ეროვნული გამოცდების ცენტრში:*

– საგამოცდო კომისიაა?

– დიახ.

– ჩემი შვილი ზის გამოცდაზე – ნუციკო თალაკვაძე, და თუ არ შეწუხდებით, გადაეცით, რომ „ჩოლკა" უფარავს ლამაზ თვალებს და გადაიწიოს ხოლმე, რომ ეკრანზე კარგად გამოჩნდეს, ვისზე ნაკლები მყავს, ენაცვალოს დედა!..

პროვოკატორი

„აქციის მოწყობას მეცადინეობა სჯობია“

— ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველმა დღემ ექსცესების გარეშე ჩაიარა. ელოდებით თუ არა ხმაურიან აქციებს იმ აბიტურიენტების მხრიდან, რომლებიც საბოლოო ჯამში, სტუდენტები ვერ გახდებიან?

ალექსანდრე ლომაია, *განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:*

— გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ გამოცდების დაწყებამდე, აბიტურიენტებსა და მათ მშობლებზე ნაკლებად არც ჩვენ ვღელავდით. საბედნიეროდ, ყველა სამსახურმა სრული მობილიზებით იმუშავა და შედეგიც სახეზეა. ახალგაზრდებმა, რომელთათვისაც არ იყო იოლი, სრულიად ახალი ფორმატით ებრძოლათ სტუდენტობის მოსაპოვებლად, საუკეთესოდ გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანას. ჩემი აზრით, საგამოცდო დარბაზიდან გამოსული აბიტურიენტები დარწმუნდნენ, რომ ჩაწყობას ან მიკერძოებას არ ჰქონდა ადგილი. გამოცდის პროცესს მშობლებიც პირდაპირ მონიტორებზე ადევნებდნენ თვალყურს. არც მათ, არც იმ ათობით დამკვირვებელს, რომლებიც საგანგებოდ იყვნენ მოწვეული, დარღვევის ფაქტები არ დაუფიქსირებიათ. 11 ივლისს, ჩვენმა ახალგაზრდებმა დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს, თუმცა თითოეულ მათგანს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ყველა, სტუდენტი ვერ გახდება. თუ რომელიმე აბიტურიენტს ექნება პრეტენზია, მის ნამუშევრებს სპეციალური კომისია ხელახლა გადაამოწმებს. ამის შემდეგ პრეტენზიები დამთავრდება. მათთვის, ვინც სტუდენი ვერ გახდება, გამოსავალია არა აქცია, არამედ ხელახლა, უკეთესად მომზადება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალგაზრდობა ამას კარგად აცნობიერებს.

■

გუდაუთის საფრენი ბილიკი უნდა განადგურდეს

— პარლამენტმა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მიიღო, მაგრამ გუდაუთის ბაზის საკითხი კვლავ ღიად რჩება...

გივი თარგამაძე, *თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი:*

— ჩვენ ვითხოვთ ერთობლივი ინსპექტირების განხორციელებას, თუმცა, ერთჯერადი ინსპექტირება გამოსავალი არ არის. სამუშაო ვარიანტის მიხედვით, ერთჯერადი ინსპექტირების შემდეგ გუდაუთის ბაზა დოკუმენტურად ქართულ მხარეს გადმოეცემა, თუმცა, რუსეთის მოთხოვნით, ამ ბაზის ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი სამშვიდობო ძალების განკარგულებაში გადავა. ეს ჩვენთვის მიუღებელია. ჩემი აზრით, ქართულმა მხარემ გუდაუთის საფრენი ბილიკის განადგურებაც უნდა მოითხოვოს. ეს ბილიკი რუსეთს საშუალებას აძლევს, მისი სურვილისამებრ, ძალზე სწრაფად გადმოისროლოს სამხედრო ძალები... რუსეთისთვის ეს მიუღებელი ინიციატივაა, ჩვენთვის კი ამ ბილიკის განადგურება ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, არ დავუშვებთ, რომ ბაზის ინფრასტრუქტურა სამშვიდობოებს გადაეცეს.

■

„ოსი ხალხი სხვაგვარად ფიქრობს“

— ბათუმის კონფერენციაზე დეკლარირებული „ფართო ავტონომიის“ სტატუსით კოკოითის ხელისუფლება არ დაინტერესებულა. როგორი იქნება ჩვენი ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯი?

გოგა ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი:*

— იმ ფაქტმა, რომ „სამხრეთ ოსეთიდან“ დელეგაცია არ ჩამოვიდა, ამ კონფერენციის მნიშვნელობა ვერ დააკნინა. კონფერენციის მუშაობაში, მოწვევის მიუხედავად, მონაწილეობა არ მიიღო რუსეთის საელჩომაც, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა მსოფლიოში ცნობილმა ექსპერტებმა მოისმინეს; ის დაპირებები, რომლებიც დღემდე, მხოლოდ განცხადებების დონეზე გამოითქმებოდა, კონფერენციაზე ოფიციალური დოკუმენტის სახით ჩამოყალიბდა. კონფლიქტის დროს დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვა, განათლება, ჯანდაცვა, ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა, სრულფასოვანი მონაწილეობა ქვეყნის მართვაში — ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ სფეროებისა, სადაც „ფართო ავტონომიის“ პირობებში, ცენტრალური ხელისუფლება მაქსიმალურად შეუწყობს ხელს რეგიონის რეაბილიტაციას. ის, რომ კონფერენციის მუშაობაში არ მონაწილეობდა კოკოითის ხელისუფლება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოსი ხალხიც ნეგატიურად არის განწყობილი. კონფერენციის ჩატარება არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ჩვენ კიდევ ერთხელ დავანახვეთ მსოფლიოს, თუ რა გზით მოვაგვარებთ კონფლიქტების პრობლემას საქართველოში.

■

ვაინტერესებს, როგორ შემაფერხებენ...

— იუსტიციის სამინისტრომ აკრძალა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მოსანახულებლად შესვლა და მათი მდგომარეობის ფირზე აღბეჭდვა. შემთხვევით, ომბუდსმენის ინსტიტუტსაც ხომ არ უპირებენ გაუქმებას?

სოზარ სუბარი, *სახალხო დამცველი:*

— სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში წერია, რომ შემოწმების ჩატარებისას ომბუდსმენს უფლება აქვს, მოითხოვოს და მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე, თანამდებობის და იურიდიულ პირთაგან, შემოწმებისთვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა. ამავე კანონის მიხედვით, არათუ გადაღების აკრძალვის, არამედ ჩემი გაჩხრეკის უფლებაც კი არა აქვთ. საინტერესოა, როგორ დამაბრკოლებენ — გამჩხრეკენ და ჩამომართმევენ მათთვის არასასურველ ნივთს?.. თუ სახალხო დამცველს შემოწმებას არ ვაცდით, არ მივცემთ საშუალებას, შევიდეს ციხეში, დოკუმენტურად დაადასტუროს ის დარღვევები, რომლებსაც შეამჩნევს და შემდგომ რეაგირება მოითხოვოს, მაშინ მართლაც, გავაუქმოთ ეს ინსტიტუტი. როცა ომბუდსმენს აქვს ეჭვი, რომ ადამიანი არის ნაცემი. ციხეში შესვლას, ექსპერტიზის მოთხოვნას და გადაღების უფლებას ომბუდსმენს არც ერთი კანონი არ უკრძალავს. თუ მინისტრი სხვაგვარად ფიქრობს, მიუთითოს, რა ნორმატიულ აქტს ეყრდნობა. ჩვენ ასეთ დოკუმენტს ვერ მივაკვლიეთ. ■

ერთიანი ოპოზიცია — ერთიანი ხელისუფლების წინააღმდეგ

— რა წყაროებით დაფინანსდება ოპოზიციის შიდაარჩევნები და გასტანს თუ არა ერთობა ხელისუფლების წინააღმდეგ — შუალედურ არჩევნებამდე?

კობა დავითაშვილი, *კონსერვატორების ლიდერი:*

— ეს გადაწყვეტილება არ იყო ექსპრომტად მიღებული. ოპოზიციამ გაერთიანების აუცილებლობა დაინახა. როცა საქმე ეხება ერთპარტიულ დიქტატურასა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, ის დაპირისპირება, რომელიც ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებობდა, უკანა პლანზე იწევს და სრულიად კოორდინირებულად ვმუშაობთ. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუ ვინ დააფინანსებს შიდაარჩევნებს. თუმცა გამარჯვებული კანდიდატები, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ერთიანი ოპოზიციის სახელით იბრძოლებენ შუალედურ არჩევნებზე ხელისუფლების კანდიდატის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და „ისნელების", მათი ქუჩების პრობლემატიკით დაინტერესდა. სერიოზული ბრძოლა იქნება ბათუმშიც. აჭარაში, სადაც „ნაციონალებმა" შევარდნაძისეული მეთოდებით გააყალბეს წინა არჩევნები, ახლაც ეცდებიან, მაქსიმალურად გამოიყენონ სახელისუფლებო რესურსი. ამ რეგიონიდან აბაშიძის განდევნას საკაშვილის მთავრობა ერთერთ უმთავრეს გამარჯვებად მიიჩნევს. ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვება, მისთვის სერიოზული მარცხი იქნება. თუ არჩევნები არ გაყალბდა, „ნაცმოძრაობა" და პარტიის ლიდერი დაინახავენ, რომ მათი რეიტინგი კატასტროფულად დაბალია. გაერთიანებულ ოპოზიციას ამის მიღწევა შეუძლია, ამიტომ ჩვენი ერთობის დაშლაზე საუბარიც კი არ შეიძლება. ■

მერობიდან — ელჩობამდე

— პრეზიდენტის გადაწყვეტილება საზოგადოებამ ისე აღიქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი თქვენი მერობით უკმაყოფილო იყო. იმასაც ამბობენ, რომ, სხვა ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, ოპოზიციის კრიტიკისგან არასოდეს გიცავდათ...

ზურაბ ჟიაბერაშვილი, *თბილისის ყოფილი მერი:*

— პრეზიდენტი რომ უკმაყოფილო ყოფილიყო, ამას არც დამალავდა, ის არ ერიდება ღია განცხადებებს და წარუმატებელ ჩინოვნიკთა მხილებას. მერიას ახალი სისხლი, ახალი ენერგია სჭირდება. გიგი უგულავა ჩემ მიერ დაწყებული საქმის გასაგრძელებლად მშვენიერი კანდიდატურაა. პრეზიდენტმა მას დაჩქარებულ ტემპებში მუშაობა დაავალა. ის გაუწევს კოორდინირებას თვითმმართველობის არჩევნებსაც. მე კი, ძალიან საინტერესო დიპლომატიური სამუშაო მელოდება. სტრასბურგში საქართველოს წარმომადგენელს ქალაქის მერზე ნაკლები საზრუნავი როდი ექნება. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოვასწარი, მაინც მეამაყება, რომ შუქნიშნებს, გზის საფარს, შელებილ ფასადებს დავტოვებ და ისე გავემგზავრები საზღვარგარეთ. შეიძლება, ბევრი ჩემი გადაწყვეტილება არაპოპულარული იყო, მაგრამ რაც სწორად მიმაჩნდა, იმას ვაკეთებდი. ■

ნავთობის ფასი 25% მოიმატებს

— მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის არნახული ზრდა როგორ აისახება საქართველოზე და საწვავის პარალელურად გაძვირდება თუ არა პროდუქტები?

გია ხუხუნეიშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— ბოლო მონაცემებით, ნიუიორკის ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობის ფასმა 60,74 დოლარი შეადგინა, ლონდონის ბირჟაზე — 60,3, ხოლო გენუის ბირჟაზე, რომლის მიხედვითაც საქართველო ხელმძღვანელობს — 57 დოლარი. სამწუხაროდ, ისეთი ტენდენციაა, რომ უახლოეს პერიოდში, ფასების შემცირება ნაკლებად სავარაუდოა. უფრო



მეტიც — თვის ბოლომდე შესაძლებელია, ფასები კიდევ 10-15%-ით გაიზარდოს. საერთო ჯამში კი, შეიძლება ფასების მატებამ 25% შეადგინოს. ნავთობის ფასის გაზრდა უკვე აისახა ქართულ ბაზარზეც. იმ შემთხვევაში, თუ ზრდის ტენდენცია გაგრძელდება, ვფიქრობ, ხელისუფლებამ გარკვეული პერიოდი, ნავთობთან მიმართებაში გადასახადები უნდა შეამციროს. ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, საწვავის ღირებულება კატასტროფულად არ მოიმატებს, გარკვეული დოზით შევაჩერებთ სამომხმარებლო პროდუქციის გაძვირებასაც, რაც ნავთობზე ფასების ზრდის თანამდევი პროცესია. ■

დაჩაგრული მოსამართლეები უმუშევრებს ვერ დაიცავენ

— სხვადასხვა დაწესებულების რეორგანიზაციის მოტივით, სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანების რიცხვმა ათასებს გადააჭარბა. რა იურიდიული მექანიზმი არსებობს მათი უფლებების დასაცავად?

ანა დოლიძე, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:*

— საჯარო მოსამსახურეებს ყველაზე ხშირად ერთი საბაბით ითხოვენ — ეს არის სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. ამის შემდეგ იქმნება ახალი სამსახური, იმავე სახელწოდებითა და უფრო გაზრდილი შტატებით. ყოფილი თანამშრომლები კი სამსახურის გარეშე რჩებიან. კანონში გაწერილია, თუ ვის აქვს სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლება, მაგრამ ამის გათვალისწინება არ უნდათ. იმ ადამიანების პრეტენზიები, რომლებმაც სამსახურიდან დათხოვნის გამო სარჩელი შეიტანეს სასამართლოში, სამართლიანია, მაგრამ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ ხდება. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ საოლქო სასამართლო, რომელიც მალე თავად ლიკვიდირებული იქნება, სხვა სამსახურების ლიკვიდირების საკითხს ვერ განიხილავს. კანონში შეტანილია ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, მოხდება საოლქო სასამართლოს ლიკვიდაცია და ჩამოყალიბდება სააპელაციო სასამართლო. წარმოიდგინეთ, მოსამართლეებმა, რომელთაც თავად ათავისუფლებენ, როგორ უნდა განსაზღვრონ სხვა დაწესებულებებში განხორციელებული ლიკვიდაციის სისწორე?!. ■

„მინისტრები მაჟორიტარების ზარსაც კი არ პასუხობენ“

— თქვენ, ნინო ბურჯანაძე პარლამენტის დისკრედიტაციაში დაადანაშაულეთ. საუბარი იყო მაჟორიტარების უუფლებობაზეც. თქვენი აზრით, პარლამენტის თავმჯდომარე ამას მიზანმიმართულად აკეთებს?

ბესო ჯულელი, ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარე:

— მე ვთქვი, რომ დეპუტატები და განსაკუთრებით მაჟორიტარები აბსოლუტურად უგულებელყოფილნი არიან. პარლამენტი ის ორგანოა, რომელსაც ყველაზე მეტი უფლება უნდა ჰქონდეს. ჩვენ უნდა ვაკონტროლებდეთ აღმასრულებელ ხელისუფლებას. ახლა კი, დეპუტატები მთავრობის გაკრიტიკებასაც ვერ ბედავენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან მაჟორიტარები. რაიონის გამგებლები არ ითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს, საკადრო პოლიტიკაში მაჟორიტარებს არც კი ახედებენ. ჩემთვის ცნობილია, რომ მაჟორიტარები ვერ ახერხებენ შეხვედრას მინისტრებთან, უფრო მეტიც — ისინი დეპუტატების სატელეფონო ზარებსაც კი არ პასუხობენ. რეალურად ამომრჩეველი მაჟორიტარს სთხოვს ანგარიშს. ის კი სრულიად უუფლებოა. ნინო ბურჯანაძემ, რომელიც თავადაც მაჟორიტარული წესით აირჩიეს დეპუტატად, ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. ჩვენ ზრდილობა არ გვაძლევს განგაშის ატეხის უფლებას, მაგრამ ამის მოთმენა აღარ შეიძლება. ■

- ალკოჰოლიზმი
- ნაბახუსევი („ზაპოი“)
- გულძმარვა
- ნევროზი (აგრესიულობა, დეპრესია)
- ღვიძლი
- ნაღვლის ბუშტი

მცენარეული პრეპარატების მიღება შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც

☎ 98-42-49 (11⁰⁰-17⁰⁰სთ. კვირის გარდა)

77-71-22 (საღამოს); 893-35-45-35 თამრიკო

ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ უკვე წლებია, სცენაზე დგას და მაყურებელს ახალ-ახალ სიმღერებს სთავაზობს. ცოტა ხანში, ისინი მსმენელის წინაშე ახალი ჟანრით წარდგებიან, თუმცა კონკრეტულად რა ჟანრი იქნება, ამას ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. ჯგუფის ცხაოვრებაში სიახლეების შესახებ სასაუბროდ მის ერთ-ერთ წევრს — პაატა ხაჩიძეს ვეწვიეთ.

„ქუჩის ბიჭების“ ახალი ალბომი — „შეიძლება, 4 წლის მერე დაშორდე იმ ადამიანს... მეც მქონია ასეთი შემთხვევა...“

ნათია ქივიძე

— **მოგვიყევი, რა სიახლეებია „ქუჩის ბიჭების“ შემოქმედებაში?**

— საუბარს იმით დავიწყებ, რომ თითქმის დავასრულეთ რიგით მეხუთე ალბომზე მუშაობა, რომელიც სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს გამოვა. ეს ჯგუფის პირველი სიახლეა. ამასთანავე, ვმუშაობთ რეპერტუარზე, რომელიც სრულიად ახალი იქნება ჩვენი მსმენელისთვის. ეს არის ახალი ჟანრი და უკვე 2 სიმღერა ჩავწერეთ. ამ ჟანრზე საკმაოდ კარგად იმუშავეს გელა გნოლიძემ და კოტე ნონიკოვმა, რომლებიც უკვე კარგა ხანია, ჩვენს ჯგუფთან თანამშრომლობენ. მოკლედ, ჩვენ მალე ახალი რეპერტუარით წარვდგებით მაყურებლის წინაშე.

— **კონკრეტულად რა ჟანრია ეს?**

— ჯერჯერობით, ჟანრს ვერ გაგიმხელ, რადგან მინდა, რომ პრეზენტაციას დაველოდო და მერე ვიტყვით ყველაფერს. როცა ადამიანი ახალ რამეს ქმნის, ეს სიურპრიზი უნდა იყოს მსმენელისთვის.

— **ეს სიახლე თქვენი ახალი პროდიუსერის დამსახურებაა?**

— არა, კოტე ნონიკოვისა და გელა გნოლიძის დამსახურებაა, თუმცა, ეს სიახლე ჯგუფის წევრების იდეა იყო. გადავწყვიტეთ, რომ „ქუჩის ბიჭები“ ახლა უკვე ამ მიმართულებით იმუშავებს.

— **ალბათ, კლიპსაც გადაიღებთ, არა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ — მოგვიანებით. ამ ზაფხულისთვის ბევრი რამ გვაქვს დაგეგმილი და კლიპის გადაღებას ვერ მოვასწრებთ.

— **კონკრეტულად რა გაქვთ დაგეგმილი?**

— დასავლეთ საქართველოში, კერძოდ — ბათუმში, ქობულეთსა და ფოთში კონცერტები უნდა გავმართოთ. ასევე, გასვლა გვექნება თურქეთში. მოკლედ, ამ ზაფხულს მაქსიმალურად ბევრ კონცერტს ჩავატარებთ, რადგან მოთხოვნა დიდია „ქუჩის ბიჭებზე“. ჩვენი თაყვანისმცემლები და ორგანიზატორები რეკავენ და გვთხოვენ, რომ ამა თუ იმ ქალაქში ღონისძიება ჩავატაროთ. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ 5, 6 და 7 აგვისტოს, ტრაპიზონში გვექნება გასვლითი ტური ჩვენს თაყვანისმცემლებთან ერთად. ესეც მათი მოთხოვნა იყო, უნდათ, ჩვენთან ერთად დაისვენონ. ამ ტურის საორგანიზაციო საქმე მოამზადა სოსო აბზიანიძემ, ბათუმის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა. უკვე ორმოცამდე ბავშვი შეგროვდა და მათთან ერთი გასაუბრებაც გვქონდა. ცოტა ხანში, კიდევ ერთი გასაუბრება გვექნება. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგ დროს გავატარებთ მათთან ერთად. ეს საქართველოში პირველი პრეცედენტი იქნება, როცა ფანი თავის საყვარელ მომღერალთან ერთად დაისვენებს და სამოგზაუროდ წავა... ვფიქრობ, ამას მომავალში უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცემა, ალბათ ეს გასვლა ერთჯერადი არ იქნება და შემდგომშიც გავიმეორებთ. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იქ მხოლოდ ჩვენ არ წავალთ — ჩვენთან ერთად შოუბიზნესის რამდენიმე სხვა წარმომადგენელიც წამოვა.

— **ცოტა ხნის წინ მითხარით, რომ საბერძნეთში აპირებდით გასტროლებზე წასვლას. რატომ ჩაგეშალათ ეს გეგმა?**

— ეს გეგმა არ ჩაგშლია, საბერძნეთში წასვლას ისევ ვაპირებთ. უბრალოდ, ის მომენტი დაემთხვა, რომ ამ ზაფხულს უამრავი რაღაც დაგვიგროვდა და არჩევანის წინაშე დავდექით. ამ ეტაპზე, თურქეთი ავირჩიეთ. დაახლოებით აგვისტოს ბოლოს წავალთ საბერძნეთში. ამასთანავე, არსებობს ის მომენტიც, რომ ეს გასტროლი სათანადო დონეზე მომზადებული არ იყო და ამის გამოც გადავდეთ.

— **ახლა ის მითხარი, თქვენი ჯგუფის ახალი წევრი, პაატა ცეცხლაძე რატომ არ ჩნდება ხოლმე თქვენთან ერთად საზოგადოების თავშეყრის ადგილებში? ვერ ჩაეწერა თქვენს წრეში თუ სხვა რამ მიზეზია?**

— არა. პაატა ძალიან დაკავებულია: კონსერვატორიაში სწავლობს და მაქსიმალურად ცდილობს, რომ კარგად დაეუფლოს ცოდნას. ამას მეც და ჯგუფის სხვა წევრებიც მივესალმებით. გვიხარია, რომ გვყავს ჯგუფის ასეთი წევრი, რომელიც მაქსიმალურად სწავლობს ხელოვნებას...

— **თქვენგან განსხვავებით?..**

— ჩვენგან განსხვავებით?!. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს და საორგანიზაციო საკითხებს ვაგვარებთ. ამის გამო, უფრო ხშირად გვიწევს საზოგადოებასთან ურთიერთობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პაატა ჩვენს ჯგუფს არ მოერგო. პაატა ჯგუფის ახალი წევრია და, ბუნებრივია, ყველაფერს დრო სჭირდება. ჩვენ უკვე 12 წელია, ვმღერით და ამ სფეროში ვსაქმიანობთ, პაატა კი, წელიწად-ნახევარია, ამ ჯგუფშია. ეს დრო საკმარისი არ არის, რომ საზოგადოების წინაშე მთელი შენი შესაძლებლობები გამოავლინო. ამიტომ, ვაცადოთ პაატა ცეცხ-

ლაძეს და მერე შევაფასოთ.

— ზურა ხაჩიძის დაქორწინება რამენაირად თუ აისახა ჯგუფის საქმიანობაზე?..

— ვფიქრობ, რომ მეტ-ნაკლებად აისახა — იმ თვალსაზრისით, რომ ახალი რძალი გვყავს და ამით ახალი ეტაპი დაიწყო ჩვენსა და საზოგადოებას შორის. ზურამ შექმნა ოჯახი, ამას, რა თქმა უნდა, მივესალმებით და ეს მათ ქორწილში დიდი სიხარულითაც აღვნიშნეთ. ვფიქრობ, რომ საზოგადოებასაც უნდა გახარებოდა ეს ფაქტი. მართლაც, არაჩვეულებრივი წყვილია და ძალზე კარგად უგებენ ერთმანეთს. პირადად მე, მათ ბედნიერებას ვუსურვებ. ხათუნა ძალიან კარგი, ყურადღებიანი ადამიანია. მასთან ნებისმიერ საკითხზე შემიძლია ლაპარაკი, რადგან ის ჩემი მეგობარიც არის, ჩემი რძალიც და ნათლიაც. ასევე ძალიან მიყვარს ნინი ქარსელაძეც, რომელიც თავისი საქმის ერთგულია.

— რამდენიმე წლის წინ, ზუსტად ასე ლაპარაკობდი ხატია შამუგიაზე...

— ჩემი აზრით, ხატიამ და გურამიკომ ნაჩქარევად გადაწყვიტეს, რომ ერთად უნდა ყოფილიყვნენ... ხათუნას და ზურას უკვე 4 წელზე მეტია, ერთმანეთი უყვართ და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, კარგად უგებენ ერთმანეთს. გამორიცხულია, რომ მათ ოჯახს რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს. ვეთანხმები იმ აზრს, რომ როცა ორ ადამიანს ერთმანეთი სერიოზულად უყვარს, აჩქარება არ არის საჭირო. ჯერ კარგად უნდა გაიგო, თუ ვინ არის შენი პარტნიორი და მერე უნდა გადადგა ეს სერიოზული ნაბიჯი. იგივე შეიძლია ვთქვა საკუთარ თავზეც. შეიძლება, 4 წელი გავიდეს და მერე დაშორდე იმ ადამიანს, რომელიც ძალიან გიყვარს. მეც მქონია ასეთი შემთხვევა... ადამიანი, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემ გვერდით იყო, დღეს უკვე ჩემთან აღარ არის. მან გადაწყვიტა, რომ ერთმანეთს ვერ ვეწყობოდით და ჩემთან განშორება ამჯობინა. შეიძლება, ეს ჩემი შეცდომების ბრალიც იყო — რადგან ჩემი შემოქმედების გამო, ყოველთვის ნაკლები დრო მქონდა, ვიდრე მას სჭირდებოდა და მას ალბათ, სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი... რა ვიცი, ადამიანთა ურთიერთობებში უამრავი ისეთი ნიუანსია, რომლის გამოც რაღაც მომენტში რწმუნდები, რომ ერთად აღარ უნდა იყოთ...

— ვინ იყო შენი შეყვარებული?

— არ დავასახელებ, რადგან 4 წელი ამას მეკითხებიან და არასოდეს მითქვამს. ვფიქრობ, რომ ჩემთვისაც და მისთვისაც ასე ავჯობებს.

— ცნობილი პიროვნებაა?

— არ არის ცნობილი, მაგრამ ჩემს სამეგობროში ყველა იცნობს. ■

ტრაპიზონში გვექნება გასვლითი ტური ჩვენს თაყვანისმცემლებთან ერთად. ესეც მათი მოთხოვნა იყო, უნდათ, ჩვენთან ერთად დაისვენონ...

ახალგაზრდა მომღერალი ვერიკო ტურაშვილი, რომელიც „არტ-იმედიდან“ წამოსვლის შემდეგ, თითქმის აღარ გამოჩენილა სცენასა თუ ეკრანზე. არც ახალი სიმღერა ჩაუწერია. თუმცა, ეს არა მომღერლის შემოქმედებითი პასიურობის მიზეზით ხდებოდა, არამედ უფრო მეტად მისი შვილის — პატარა ლიზის გამო: ვერიკოს საქმიანობისთვის ნაკლები დრო რჩებოდა. ახლა კი, როცა გოგონა ცოტა წამოიზარდა, მომღერლის შემოქმედებაშიც მნიშვნელოვანი ამბავი ხდება: ამ დღეებში, ის პრესტიჟულ ფესტივალზე — „სლავიანსკი ბაზარ“ — გაემგზავრა. წასვლის დღეს, რამდენიმე საათით ადრე, ვერიკოს ამ ფესტივალსა და სხვა საკითხებზე სასაუბროდ შევხვდი.

ქართველების დესანტი „სლავიანსკი ბაზარზე“ ანუ ვერიკო ტურაშვილი ფესტივალზე საცურაო კოსტიუმით მიდის

ნათია ქევიძე

— ვერიკო, თავდაპირველად ის გვითხარი, კომპანია „არტ-იმედის“ დაშლის შემდეგ რას საქმიანობ?

— „არტ-იმედის“ მერე, მხოლოდ ორი სიმღერა ჩავწერე. პირველი, რუსულენოვანი „იავნანაა“, რომლის მუსიკაც პეკეს ეკუთვნის, ხოლო ტექსტის ავტორი მანანა გურგენიძეა, მეორე სიმღერა კი, ალა პუგაჩოვას რეპერტუარიდან ავიღე — „სიყვარული სიზმარს ჰგავს“. ახლა მივემგზავრები ფესტივალზე — „სლავიანსკი ბაზარ“. ამ კონკურსის მოთხოვნაა, რომ ყველა მონაწილემ აუცილებლად იმღეროს რუსული შლაგერი, ამიტომ შევარჩიე ალას ეს სიმღერა.

— როგორც ვიცი, კარგა ხანია, ფესტივალზე აღარ ყოფილხარ. ვინ და როგორ მიგიწვია ამ კონკურსზე?

— მართალი ხარ. სულ ორ კონკურსზე ვარ ნამყოფი. „აზიური ხმების“ ფესტივალზე პირველი ადგილი დავიკავე. იურმალაში ჩემი გამოსვლა წარუმატებელი აღმოჩნდა. „სლავიანსკი ბაზარის“ საორგანიზაციო კომიტეტში გაიგზავნა ჩემი მასალები, იქიდან დადებითი პასუხი ჩამოვიდა. თუმცა, ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ შარშან, კომპანია „5 ლაინს პროდაქშენმა“ გამართა ფესტივალი „ოქროს ვარდი“, სადაც ამ კომპანიის ხელმძღვანელმა, მაჰუკა სააკაშვილმა სტუმრად მიმიწვია. იმ

დროს თბილისში ჩამოსული იყო ამ ფესტივალის გენერალური დირექტორი (მისი სახელი და გვარი სამწუხაროდ, არ მახსოვს), მან მომისმინა, კონცერტის შემდეგ, კულისებში შემოვიდა და შემომთავაზა, რომ მის კონკურსში მიმეღო მონაწილეობა. ძალიან გამიხარდა, რადგან ვიცი, რომ მუსიკალური თვალსაზრისით ,,სლავური ბაზარი'' საკმაოდ სერიოზული კონკურსია. იქ პირველ რიგში, მომღერალი ფასდება და მერე, სხვა დანარჩენი. ამ კონკურსში მონაწილეობა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იქ უამრავი პროდიუსერი ჩადის და საკმაოდ პერსპექტიული კონკურსია იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება, გაგიმართლოს და ვიღაცამ კარგი თვალით შემოგხედოს. როცა იურმალიდან ვკილდოს გარეშე ჩამოვედი, ბევრმა ადამიანმა მითხრა – შენს ადგილზე რომ ვიყო, ვეღარ გავრისკავდი კონკურსზე წასვლასო... მე ასე არ ვფიქრობ. მინდა, რომ საკუთარი თავი გამოვცადო. ერთხელ ხომ დავიკავე პირველი ადგილი! ახლა მინდა, ჩემი შემოქმედება უფრო გავამყარო, თუმცა, თუ პრიზს ვერ ავიღებ, არც ეს არის პრობლემა, რადგან ეს ისეთი კონკურსია, რომ მასში მონაწილეობაც უდიდეს გამოცდილებას შემძენს, რადგან იქ სუსტი მომღერალი ვერ მოხვდება.

— წელან აღნიშნე, რომ ამ ფესტივალზე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩავლენ პროდიუსერები. მათ შორის, საქართველოს წარმომადგენელი თუ იქნება?

— დიახ, ოღონდ, არა მხოლოდ პროდიუსერები. ამ ფესტივალზე, დიდებთან ერთად, პატარების კონკურსიც იქნება, რომელშიც წარდგება 10 წლის ია ორჯონიკიძე. ბატონი ჯემალ სეფიაშვილი და მამუკა საკაშვილი კი, ამ კონკურსის ჟიურის წევრები იქნებიან. ამასთანავე, ბელორუსიაში მამუკა საკაშვილი და ,,5 ლაინს პროდაქშენი'' ,,თბილისის დღეებს'' გამართავენ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ: ცისანა სეფიაშვილი, თემურ თათარაშვილი, თამრიკო გვერდწითელი, ზურა დოიჯაშვილი, ოთიკო ანდრიაძე და ფოლკლორული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი''.

— როდის დაბრუნდებით იქიდან?

— ერთი კვირის განმავლობაში იქ რეპეტიციები მექნება, ორკესტრთან ერთად. რუსული შლაგერი ორკესტრთან ერთად უნდა შევასრულო. პირველი ტური 17 ივლისს გაიმართება, მეორე ტური 19-ისთვისაა დაგეგმილი, ამ დღეს შევასრულებ ქართულ სიმღერას – ,,რა კარგი ხარ, რა კარგი''. ვიმღერებთ თუ არა, ჟიურის წევრები მაშინვე ქულებით შეგვაფასებენ და ალბათ 19-ში უკვე მეცოდინება, მივაღწიე თუ არა წარმატებას. ჩვენთან ერთად, ტელეკომპანია ,,იმედის'' წარმომადგენლები მოდიან, რათა გადაიღონ ეს ყველაფერი და თუ არ ვცდები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმაც გამოთქვეს წამოსვლის სურვილი. რაც შეეხება მე – მეუღლესთან ერთად მივდივარ. მართალია, დიდად არ უყვარს, სადმე კონცერტზე რომ გამომყვეს ხოლმე, მაგრამ იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს კონკურსი და ჩემი მარტო გაშვება არ უნდა. იქიდან 23 ივლისს დავბრუნდებით.

— მოდი, შენს შემოქმედებას დავუბრუნდეთ. კლიპის გადაღებას ხომ არ აპირებ?

— არ ვიცი. ამ ფესტივალზე ალბათ, ჩემი სიმღერების ვიდეორგოლი გაკეთდება. რაღაც შემოთავაზება მაქვს მიღებული, მაგრამ ისიც კი არ ვიცი, რომელ სიმღერაზე გადავიღო კლიპი... ჩამოვალ და მერე გადავწყვეტ ამ ყველაფერს. ამ ზაფხულს, არა მგონია, კლიპისთვის მოვიცალო, რადგან გასვლითი კონცერტები მექნება სხვა მომღერლებთან ერთად. ასე რომ, ამ საკითხს სექტემბერში მივუბრუნდები.

— თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— თავისუფალ დროს, ვუვლი ჩემს შვილს – ლიზას, რომელიც ახლა უკვე 2 წლის არის. მთელ ჩემს დროს მას ვუთმობ. ფიზიკურად თავისუფალი დრო არ მრჩება. ერთადერთი, მეგობრებთან ერთად თუ გავალ სადმე, ისიც იშვიათად. უკვე სამი წელია, ქალაქიდან დასასვენებლად არსად წავსულვარ.

— ფესტივალზე გამოსასვლელად ახალი სამოსი ვინ შეგიკერა?

— კოსტიუმები ავთო ცქვიტინიძეს ეკუთვნის. ისინი სპეციალურად ჩემთვის არ შეუკერავს, რადგან ამის დრო აღარ გვქონდა. ერთი კოსტიუმი ავთოს მიერ მოსკოვში ნაჩვენები კოლექციიდანაა, ხოლო მეორე – მისივე რომში ნაჩვენები კოლექციიდან. ფეხსაცმელი თათა ვარდანაშვილის არის. რაც შეეხება მაკიაჟს: ყველა კონკურსს თავისი ვიზაჟისტი ჰყავს და ალბათ, ამ კონკურსსაც ეყოლება. საცურაო კოსტიუმიც უნდა წავიღო. მართალია, იქ ზღვა არ არის, მაგრამ სასტუმროს აუზში ვიბანავებ და მზეზე გავირუჯები, თორემ, თბილისში გარუჯვა ვერ მოვასწარი და ჩემი თეთრი კანის ფერი მეზიზღება.

— ახლა ორიოდე სიტყვით შენს ოჯახზეც გვიამბე. ხომ არ აპირებ მეორე შვილის გაჩენას?

— ამას ჯერჯერობით ვერ მოვახერხებთ, რადგან უამრავი საქმე მაქვს. ეს ორი წელიც, თითქმის არაფერი გამიკეთებია, რადგან ლიზა წელიწადი და ოთხი თვე ბუნებრივ კვებაზე მყავდა და სულ ,,მოწებებულია'' ჩემზე. ახლაც, შინიდან რომ გავდივარ, ისტერიკა ემართება. ამიტომ, ალბათ 3-4 წელი, მე და ჩემი მეუღლე მეორე შვილის გაჩენაზე არ ვიფიქრებთ, თუმცა მომავალში, გვინდა, კიდევ ორი შვილი შეგვეძინოს. ასე გვაქვს დაგეგმილი...

— შენი აზრით, რატომ არის შოუბიზნესში ცხოვრება ჩამკვდარი?

— ამასთან დაკავშირებით ბევრი ვერსია არსებობს. მეც ხშირად მეცვლება აზრი. ახლა ვფიქრობ – იმის გამო, რომ მოვიდა ახალი მთავრობა, ვისაც ფული აქვს, აღარ აჩენს ამ ფულს, რომ კორუმპირებულად არ ჩათვალონ... ხმის ჩამწერ სტუდიებში მუშაობა აღარ მიმდინარეობს, სხვედან და ელოდებიან – იქნებ, ვინმემ სიმღერა ჩაწეროსო... მეორე მიზეზი კი, ის არის, რომ ჩვენს შოუბიზნესში ახალი არაფერი კეთდება, სულ ერთი და იგივე მეორდება. ამაში ალბათ მეც ვარ დამნაშავე და ყველა ჩემი კოლეგაც. თუმცა, ჩემი შემოქმედებითი პაუზის ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ დაფინანსება არ მაქვს. ალბათ სხვებსაც აქვთ ეს პრობლემა.

— მაშ, წარმატებას გისურვებ! „სლავიანსკი ბაზარის" პრიზით ხელდამშვენებული გვენახე!

— დიდი მადლობა! ■

საარჩევნო კანონების ისტორია 200 წელს მოიცავს და საარჩევნო სისტემის დაახლოებით 150-მდე მოდელი არსებობს. თუმცა, ცხოვრებაში მხოლოდ რამდენიმე მათგანს თუ გამოიყენებენ, რომლებიც ხელისუფლებას „ესიმპათიურება“. სულ ახლახან გაირკვა, რომ თბილისს საკრებულოს მიერ არჩეული მერი ეყოლება. ამ მოდელის არჩევანმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა, პარლამენტში კი — „გამიშვი-დამაკავეს“ ბატალური სცენები გამოიწვია... ხელისუფლებამ წინდახედულების პრინციპით — პირდაპირი არჩევნების შემთხვევაში, ხალხმა ქიბრონაშვილს არ მისცეს ხმაო, — არც აცია, არც აცხელა და „ირიბი“ წესი დაამტკიცა. ამას მოჰყვა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა. როგორც ამბობენ, ყველაფერი თარგის გარეშე გამოიჭრა და საქმეც მოგვირისტდა...

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ყოფილ პარლამენტარს, ამჟამად მენაშენეთა ასოციაციის პრეზიდენტსა და სამართალმცოდნეს, ვახტანგ ხმალაძეს, რომელიც წლების მანძილზე, ბევრი კანონის შემუშავებაში მონაწილეობდა.

„მერის პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევაც — ორივე დემოკრატიულია... მაგრამ...“

ნანა ფიცხელაური

— ბატონო ვახტანგ, თქვენი აზრით, ვინ უნდა აირჩიოს თბილისის მერი — ხალხმა თუ საკრებულომ?

— ჩვენ პარლამენტიც და პრეზიდენტიც პირდაპირ გვყავს არჩეული, მაგრამ რა მოდელიც გვაქვს, არ ვარგა: — ხელისუფლება პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას შორის არასწორად არის განაწილებული. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ თვითმართველობაზეც — ის, რასაც ამას ვეძახით, რამდენად არის თვითმმართველობა?.. საკრებულოს, მერსაც და გამგებელსაც ერთად აქვთ თუ არა საკმარისი უფლება, აკეთონ ის, რასაც ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეს უწოდებენ. უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ამ საქმეში სხვა არავინ ჩაერიოს. მეორე — მას ამის გასაკეთებლად საჭირო სახსრები უნდა ჰქონდეს. დღეს თვითმმართველობის დაფინანსება მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული — ადგილობრივი ბიუჯეტების შევსებაში ლომის წილი ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ტრანსფერებზე მოდის. გავიხსენოთ პრეზიდენტის სიტყვები, რომელიც არაპირდაპირი არჩევნების მომხრეა — მერი ოპოზიციის წარმომადგენელი რომ აღმოჩნდეს, მას არც ძალა და არც ფული ექნება და ის მხოლოდ პოლიტიკური მიმომხილველი იქნებაო. გამოდის, რომ ხელისუფლება მას არ დააფინანსებს. მაპატიეთ და, ასეთი მიდგომა ხომ არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება უმთავრეს პრინციპს — ხელისუფლება, ცენტრალური თუ ადგილობრივი, არის ხალხის მსახური და მან ის უნდა აკეთოს, რაც ხალხს სჭირდება, თუ მას ტრანსფერი ეკუთვნის, უნდა მისცეს, საკრებულოს არა აქვს უფლება, მერი არ დააფინანსოს. არავინ დაობს იმაზე, რომ საკრებულო პირდაპირი გზით უნდა იყოს არჩეული, მაგრამ თუ როგორი წესით, ეს მეორე საკითხია. ყველგან მიჩნეულია, რომ ხელისუფლების მიერ დანიშნული მერი არადემოკრატიულია და ის ხელისუფლების ნებას გამოხატავს. რაც შეეხება არჩევას, დემოკრატიული პრინციპების თვალსაზრისით,მერის პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევაც — ორივე დემოკრატიულია...

— თუ ორივე დემოკრატიულია, რატომ აირჩია ხელისუფლებამ მაინცდამაინც არაპირდაპირი არჩევა?

— ამ ორ მოდელს შორის, ისევე არ არის განსხვავება, როგორც იმაში, პრეზიდენტი პირდაპირ იქნება არჩეული, თუ პარლამენტის მიერ. სხვათა შორის, აშშ-ში ჯერ ამომრჩევლებს ირჩევენ და მერე, ისინი ირჩევენ პრეზიდენტს. გერმანიაში პრეზიდენტს ირჩევს არა მარტო პარლამენტი, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობა. ყველა ეს წესი მიჩნეულია დემოკრატიულად, არსებობს ქვეყნები, სადაც ხალხი ირიბ არჩევნებს ამჯობინებს. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, საფრანგეთისა და ავსტრიის გარდა, ძირითადად, ირიბი არჩევნებია მიღებული. აი, ამერიკელებს კი ვერ დაარწმუნებთ, რომ ირიბი არჩევნები სჯობია პირდაპირს. თვითმმართველობაშიც ორივე მოდელი გამოიყენება. აქ მორალური მომენტია მნიშვნელოვანი — ხელისუფლება უნდა მოიქცეს ისე, როგორც ხალხს უნდა, თუკი ხალხის მოთხოვნა რაღაც უმთავრეს ღირებულებებს თუ პრინციპს არ ეწინააღმდეგება. როდესაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ისეა მოწყობილი, რომ პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტის ხელში ძალიან დიდი ძალაუფლებაა, მაშინ უპირატესობას აძლევენ თვითმმართველობის დონეზე პირდაპირი წესით არჩეულ მერს. როცა პრეზიდენტს აქვს დიდი ძალაუფლება, მას უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა, რომ მოახდინოს ზეგავლენა ხელისუფლების ქვედა ეშელონზე — თვითმმართველობაზე. ასეთ შემთხვევაში, მის პარტიას აქვს უმრავლესობა. მაშინ, დიდი ალბა-

ფრაზა გენიალური

ერი თავისუფალია, როდესაც თავის მმართველს ადამიანად კი არა, კანონის იარაღად მიიჩნევს.

ჟან-ჟაკ რუსო

თობით, თვითმმართველობის ორგანოებში უმრავლესობას ის პარტია იღებს, რომლის ლიდერიც პრეზიდენტია. თუ მერი საკრებულოს მიერ იქნა არჩეული, მაშინ ის მთლიანად ამ პარტიაზე იქნება დამოკიდებული — ეი. პრეზიდენტზეც. ამგვარად, რაც პრეზიდენტს ენდომება, იმას გააკეთებს მისი უმრავლესობა საკრებულოში. მერის თავისუფლების ხარისხი რომ გაიზარდოს, მას ჩვეულებრივი, პირდაპირი არჩევნების გზით ირჩევენ. ეს ავტორიტარული რეჟიმის საწინააღმდეგო სვლაა. ჩვენში საპარლამენტო რესპუბლიკა რომ იყოს, მაშინ არანაირი პრობლემა არ იქნებოდა. ქვეყანაში ერთპიროვნული ცენტრალიზებული დაქვემდებარების სისტემა რომ არ შეიქმნას, ამიტომ არის საჭირო, იყოს პირდაპირი არჩევნები.

— ირიბი არჩევნები ალბათ, უფრო მაშინაა უპრიანი, თუკი საკრებულოც დემოკრატიულად არის არჩეული.

— დემოკრატიულად არჩეულად ითვლება ის საკრებულოები, სადაც კანონის დარღვევა არ ხდება. მთავარია, საარჩევნო სისტემა არის თუ არა დემოკრატიული. საკრებულოს წევრები ქალაქის მოსახლეობისთვის სასურველი პირები უნდა იყვნენ და *მინიმუმ მოსახლეობის ნახევრის* მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ. სამართლიანად ითვლება სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ საკრებულოში ყველას თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს. ის რომ ძალიან ჭრელი არ იყოს, პროცენტულ ზღვარს აწესებენ. თბილისის საკრებულო დღემდე პარტიული სიებით ირჩეოდა და მანდატები იმ პარტიებს და ბლოკებს მიეკუთვნებოდა, ვინც ამომრჩეველთა ხმების 4%-ს მაინც მიიღებდა. ამის საწინააღმდეგოდ, „ნაციონალები" ამბობდნენ, რომ პარტიული წესით ხდება დაკომპლექტება და ხალხი მხოლოდ სიის ლიდერს აძლევს ხმას. გამოდის, საკრებულოში ხვდებიან უცნობი ადამიანები — ეი. ვინც ხალხს არ აურჩევია.

— საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანით რამდენად სამართლიან სისტემას გვთავაზობს ხელისუფლება?

— შემოილეს სისტემა, რომელსაც თეორიაში ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ჰქვია. ის შეიძლება იყოს ერთმანდატიანიც და მრავალმანდატიანიც. თუმცა, არც ერთი არ იძლევა სამართლიან შედეგს. ვთქვათ, პირველ შემთხვევაში, 6 კანდიდატია. შეიძლება, პირველ ადგილზე გასულმა კანდიდატმა ხმების 20% მიიღოს, 80% კი დანარჩენ კანდიდატებს შორის გადანაწილდეს. გამოვა, რომ აირჩიეს კაცი, ვის წინააღმდეგაც 80%-მა მისცა ხმა. ამიტომ, აქედანაც მოძებნეს მარტივი გამოსავალი — პირველ-მეორე ადგილებზე გასულებისთვის მეორე ტური ჩავატაროთო. შეიძლება, ამ შემთხვევაში, მეორე ადგილზე გასულმა გაიმარჯვოს. ამიტომ ვთქვი, ერთმანდატიან ოლქებში ასეთი ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა უსამართლო იქნება — არჩეული იქნება ის — ვინც მეტ ხმას მიიღებს და არა ის, ვინც ხმების ნახევარზე მეტს. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიულ სიებს შორის მანდატები პროპორციულად ნაწილდებოდა. ასეთ შემთხვევაშიც რეალურია, რომ საკრებულოს წევრები გახდნენ ის ადამიანები, რომელთა მომხრე უფრო ნაკლებია, ვიდრე — მოწინააღმდეგე. ის, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს — *ფარდობითი* უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა პარტიული სიების მიმართ — შეფასებულია, როგორც ძალზე უსამართლო სისტემა. დავუშვათ, თბილისი დაიყო 5 საარჩევნო ოლქად. ამ ოლქებიდან აირჩევა საკრებულოს 25 წევრი, ვთქვათ, ყველა ოლქიდან 5-5 აირჩა. ყველა პარტიამ, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, 7-8-კაციანი სია უნდა წარმოადგინოს. ამომრჩეველმა ამ სიას უნდა მისცეს ხმა. ის სია, რომელიც სხვაზე თუნდაც, ერთით მეტ ხმას მიიღებს, წაიღებს ხუთივე მანდატს, დანარჩენებს — ბუს კვერცხები. ეს ყველაზე დიდი უსამართლობა იქნება. თუ ხუთივე ოლქში ერთმა პარტიამ მიიღო სხვაზე ოდნავ მეტი ხმა, გამოდის 25-ვე მანდატი მისი იქნება. გარდა ამისა, 12 წევრი პარტიული სიებით უნდა აირჩეს. ამიტომ ის პარტია კიდევ რამდენიმე მანდატს იქიდანაც წაიღებს. გამოვა, რომ

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი მრუდიციაზე

1. ყველაზე ძვირად ღირებული ქალაქების სიაში პირველი ადგილი ტოკიოს უკავია, მეორე — ლონდონს. რომელი ქალაქია მესამე ადგილზე?

ა) მოსკოვი;
ბ) ვაშინგტონი;
გ) ბერლინი.

2. რას ეძახდა ჩარლზ დარვინი ფიჭას?

ა) ბუნების შედევრს;
ბ) საინჟინრო შედევრს;
გ) უმარტივეს საიდუმლოს.

3. ტიბეტელები ამბობენ: „...ყველაზე კარგი მასწავლებელია". რომელია გამოტოვებული სიტყვა?

ა) მტერი;
ბ) მოყვარე;
გ) წლები.

4. რა ჰქვია ექსპერტიზის მიზნით საფლავიდან გვამის ამოღებას?

ა) დეგუსტაცია;
ბ) ექსჰუმაცია;
გ) კონიუგულაცია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

20%-ით მხარდაჭერილმა პარტიამ უნდა შექმნას თბილისის მთავრობა და მერიც მან უნდა აირჩიოს. საკრებულოში წარმოდგენილი უნდა იყოს ამომრჩეველთა დანარჩენი 4/5-იც, ეს იქნებოდა სამართლიანი. სახელისუფლებო წრეებში ხშირად გაისმის – დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებულმა ყველაფერი მიიღოსო. მათ გასაგონად მინდა ვთქვა – ეს ითვლება დემოკრატიის ვულგარულ განმარტებად და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებული იღებს ხელისუფლებას, მაგრამ მან ეს ხელისუფლება ისე უნდა განახორციელოს, რომ დაცული იყოს პოლიტიკურ უმცირესობათა ინტერესები. მეორე – ეს სამართლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულის გამოვლენა სამართლიანი წესით ხდება. ამ ხელისუფლებამ კი მოიძია ისეთი სისტემა, რომელიც სამართლიან შედეგს არ გვაძლევს. ხელისუფლების რეიტინგი ძალიანაც რომ დაეცეს, მას ერთი რესურსი მაინც რჩება – ადმინისტრაციული რესურსი: ყველგან თვითმმართველობის დონეზე მათი ხალხია, რომელიც დაინტერესებული იქნება, შეინარჩუნოს თავისი პოზიცია. ამას დავუმატოთ ის, თუ როგორი წესით შეირჩა ცესკო – ვითომ დემოკრატიულად, შენიღბული კონკურსით. ის იმ ხალხით დაკომპლექტდა, ვინც ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს უნდოდათ. სწორედ ეს ორი რამ აძლევს შანსს „ნაცმოძრაობას“, რომ პირველ ადგილზე გავიდეს. აი, ამ გარანტიისთვის შექმნეს ასეთი სისტემა.

— გამოდის, რომ მართლაც, იქმნება ერთპარტიული, ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების საფრთხე?

– ეს განცხადება მე 2004 წლის 5-6 თებერვალს გავაკეთე, როცა პარლამენტში განიხილებოდა კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი. მაშინ ვთქვი – თქვენ მიგაჩნიათ, რომ ქვეყანას დიქტატორი სჭირდება, მაშინ გირჩევთ, კონსტიტუციაში ცვლილებები კი არ შეიტანოთ, არამედ მოიქცეთ რომის სენატის მსგავსად: ჩაწერეთ, რომ პარლამენტს უფლება აქვს, დანიშნოს დიქტატორი, რადგან მისი დანიშვნა შეზღუდული ვადით ხდება – ვთქვათ, რამდენიმე თვით... ცხადია, ეს არავის მიუღია მხედველობაში. ახლაც, თვითმმართველობასთან დაკავშირებული ცვლილებები ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცების მიზნის მიმანიშნებელია და თვალში ნაცარს ნუ გვაყრიან.

— მაშინ, როდესაც კანონი უკვე მიღებულია, აქვს თუ არა აზრი რეფერენდუმის ჩატარებას?

– თუ რეფერენდუმი გადაწყვეტს, რომ გვინდა პირდაპირი არჩევნები, ხელისუფლება ვალდებული იქნება, შეცვალოს კანონი – ასე წერია კანონში რეფერენდუმის შესახებ.

— მაშინაც კი, თუ პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე ქალაქს, ვიღაც ქიბროწაშვილს ვერ ანდობს?

– დროა, დამთავრდეს კაცის კაცობა! არსებობს ასეთი ჭეშმარიტება – ძალაუფლება ადამიანს რყვნის და განუსაზღვრელი ძალაუფლება კიდევ უფრო განუსაზღვრელად რყვნის. როდესაც ადამიანი ძალაუფლებას მიიღებს, როგორც წესი, ცდილობს გააფართოოს იგი; ხელისუფლების დანაწილების პრინციპი იმიტომ არის მოგონილი, რომ ამის გაკეთება ვერ შეძლოს. ჩვენთან შარშან, თებერვალში დაირღვა სწორედ ხელისუფლების დანაწილების წესი, ახლა კი, ამ რღვევის გაძლიერების ნიშნებს ვხედავთ. რას ჰქვია, სხვას ვერ ვანდობ?! ეს „სხვა“ ნუთუ ის არ არის, თვითონ სააკაშვილი რომ მოიყვანა პრეზიდენტად?!.

— თუ პირდაპირი არჩევის გზით „ქიბროწაშვილს“ მივიღებთ მერად, ირიბი არჩევნებით ქალაქის როგორი თავი გვეყოლება?

– თუ ხალხი აირჩევს ქიბროწაშვილს, მერი ქიბროწაშვილი უნდა იყოს. პრეზიდენტს ხომ ამით იმის თქმა უნდოდა, ცუდ მერს მივიღებთო. რატომ არის ეს ცუდი ქიბროწაშვილი? საკრებულომ რომ აირჩიოს ვინმე ცუდი პეტრე სააკაშვილი, მაშინ რა გვეშველება? ამაზე მან თქვა – საკრებულო გადაირჩევსო. კი, მაგრამ პირდაპირი არჩევნებით არჩეული ცუდი ქიბროწაშვილის გადაყენების უფლებაც ხომ აქვს საკრებულოს? ადგნენ და გადააყენონ.

— რა შემთხვევაში შეიძლება პირდაპირი გზით არჩეული მერის გადაყენება. ალბათ, ეს უფრო რთულია.

– თუ ასეთმა მერმა კანონი არ დაარღვია, ვერ გადააყენებენ. როცა მერი საკრებულოს მიერაა არჩეული, ნებისმიერი მიზეზით შეუძლიათ გადააყენონ – ვთქვათ, უნდათ და იმიტომ. როცა მერი პირდაპირი წესით არის არჩეული, ჯერ უნდა დაუმტკიცონ, რომ კანონი დაარღვია. მინდა და გადაგაყენებო, – ასე არ არის...

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

„ის ციხეში დაგეგმილი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა“

ადვოკატების თქმით, პირადი შურისძიების გამო, პატიმარმა ბავშვობის მეგობარს მახე დაუგო

თბილისის საქალაქო სასამართლოში ძალზე დაძაბულად მიმდინარეობს 40 წლის განსასჯელის — იოსებ მუხიგულაშვილის სასამართლო პროცესი. პროკურატურა მას ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენაში, შენახვასა და გადაზიდვაში ადანაშაულებს. განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატები აცხადებენ, რომ მუხიგულაშვილი სრულიად უდანაშაულოა, ციხეში დაგეგმილი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა და ამის გამო, უკვე 11 თვეა, უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ადვოკატების თქმით, მუხიგულაშვილი ბავშვობის მეგობრის, ამჟამად თბილისის №1 საპყრობილის პატიმრის — ბესიკ ავსაჯანიშვილის მიერ ჩადენილი შურისძიების მსხვერპლია.

ეს სახელი და გვარი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. ავსაჯანიშვილი სწორედ ის პატიმარი გახლავთ, რომელმაც საზოგადოების შველა იმით ითხოვა, რომ საკანში ლურსმნებით მიიჭედა თავი და ამ სკანდალური სცენით საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. პატიმრის თქმით, კონკრეტული მაღალჩინოსნები მასთან სხვადასხვა საკითხზე გარიგებას აწარმოებდნენ, ამ მიზნით საკანში სპეციალურად დამონტაჟებული

ჰქონდა ანტენები, რომლის მეშვეობითაც, დაუბრკოლებლად ამყარებდა სატელეფონო კავშირებს და ციხეში ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანას ახერხებდა. ავსაჯანიშვილის განცხადებით, მან ამ მაღალჩინოსნების დასახელება გადაწყვიტა და ამხილა კიდეც თითოეული მათგანი, მაგრამ ამის გამო, მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. აღსანიშნავია, რომ იოსებ მუხიგულაშვილის დაკავება ამ ფაქტამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. *„არსებობს კასეტები, რომლებშიც ავსაჯანიშვილი თანამდებობის პირებს ასახელებს, მაგრამ კასეტის შინაარსი და გვარები ჯერ-ჯერობით არ ხმაურდება, როგორც ჩანს, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ამასთან დაკავშირებით ახლა მოკვლევა მიმდინარეობს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ რადგან ავსაჯანიშვილმა თავისი წარსულის გამო სინდისის ქენჯნა იგრძნო და მაღალჩინოსნების მხილებასთან ერთად საკუთარ დანაშაულებსაც ინანიებს, შესაძლებელია, ამ კასეტებში ის იოსებ მუხიგულაშვილისთვის დაგებული მახის შესახებაც საუბრობს. თუმცა, ამის შესახებ დაზუსტებით არ ვიცით. ავსაჯანიშვილთან დაკავშირებული სკანდალი ტელეკომპანია „მზემ“ გააშუქა. ჩვენ მოსამართლეს ეთერში გასული მასალის – ვიდეოფირის, საქმეზე მტკიცებულების სახით თანდართვა და საჯარო პროცესზე მისი ჩვენება ვთხოვეთ, რადგან ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა იმისა, რომ ავსაჯანიშვილი მუხიგულაშვილის მიმართ დაინტერესებული პირი გახლავთ. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და გამოგვიცხადა – თუკი დაცვის მხარე სასამართლოში მოიტანს ტელევიზორს და სათანადო აპარატურას, მაშინ შუამდგომლობას დავაკმაყოფილებ, თუ არა და, ამას ჩვენ ვერ მოვაგვარებთ, სასამართლოს ამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გააჩნიაო. გამოდის, იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარე აპარატურის წარმოდგენას ვერ მოახერხებს, მოსამართლე საქმის ბედს გადაწყვეტს ისე, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან მტკიცებულებას არ გამოიკვლევს“*, – აცხადებს მუხიგულაშვილის ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი. ადვოკატი მოსამართლის აცილებას მოითხოვს, რადგან მისი თქმით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას უხეშად ირღვევა საპროცესო ნორმები.

ადვოკატ ჯანგირაშვილის განცხადებით, ავსაჯანიშვილმა მუხიგულაშვილის პროვოცირება შეგნებულად მოახდინა. მისი თქმით, ავსაჯანიშვილმა ზონაში პატიმრებთან თამაშისას ფული წააგო. დახმარებისთვის მან მეგობარს – მუხიგულაშვილს მიმართა და სთხოვა, თანხა გამოერთმია ერთ-ერთი პიროვნებისთვის, რომელიც დაუსახელა, და მისთვის ციხეში შეეგზავნა. მუხიგულაშვილმა ამ პიროვნებას მიაკითხა, მაგრამ მან სრული თანხა არ მისცა. ავსაჯანიშვილი ამ ფაქტს თავის ჩვენებაში სხვაგვარად აღწერს. მისი თქმით, მან დახმარება მუხიგულაშვილს მართლაც სთხოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ფული არ შეუგზავნა და ტელეფონით საუბრისას უთხრა – კარგი, რა, სიტყვა ვის არ დაურღვევიაო?!. ასე იყო თუ ისე, ავსაჯანიშვილი გაბრაზდა და მეგობარზე გულში ბოღმა ჩაიხვია. განაწყენების ფაქტს თავადაც ადასტურებს, მაგრამ შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის სურვილს კატეგორიულად უარყოფს. მუხიგულაშვილის ადვოკატი კი, ამის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ასე გადმოგვცემს: 2004 წლის 20 სექტემბერს, ავსაჯანიშვილმა მუხიგულაშვილს დაურეკა და სთხოვა, შეხვედროდა ერთ პიროვნებას (რომელსაც მუხიგულაშვილი არ იცნობდა), გამოერთმია მისთვის ამანათი და შეეგზავნა ციხეში ვინმე დავით სირაძის სახელზე. მუხიგულაშვილმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ავსაჯანიშვილმა მიუთითა. მაგრამ საპყრობილეში ამანათის შეგზავნისას, ის დააპატიმრეს, რადგან სამართალდამცველების თქმით, ამანათში, კერძოდ, სიგარეტის კოლოფში ნარკოტიკული ნივთიერება – 0,124 გრამი ჰეროინი აღმოჩნდა.

ბრალდების თანახმად, მუხიგულაშვილმა ნარკოტიკული ნივთიერება გამოძიებით დაუდგენელი პირისგან უკანონოდ შეიძინა, იმ მიზნით, რომ ის შემდეგ, თბილისის №1 საპყრობილეში მყოფი პატიმრისთვის – დავით სირაძისთვის მიეყიდა. მოგვიანებით, ბრალდების ფორმულირებაში ცვლილება მოხდა. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ დავით სირაძის სახელისა და გვარის მქონე პატიმარი საპყრობილეში არ ირიცხებოდა.

მალხაზ ჯანგირაშვილი, იოსებ მუხიგულაშვილის ადვოკატი:

„დაკავებისას მუხიგულაშვილმა ავსაჯანიშვილი არ ამხილა. არ უთხრა სამართალდამცველებს, რომ სწორედ მან დაურეკა და სთხოვა აღნიშნულ გვარზე ამანათის შეგზავნა. მაშინ არ იცოდა, რაში იყო საქმე და მეგობარი არ გასცა. თუმცა, მალე მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ცხადი იყო, რომ ავსაჯანიშვილმა წინასწარ იცოდა ამანათში მოთავსებული ნარკოტიკის შესახებ და არარსებული პიროვნების გვარზე სპეციალურად შეაგზავნინა ის, რადგან სინამდვილეში, ამანათი მხოლოდ მუხიგულაშვილის დასაჭერად იყო გამიზნული. აღსანიშნავია ისიც, რომ ციხეში მუხიგულაშვილის ჩასასმელად, ავსაჯანიშვილის მხრიდან ეს პირველი მცდელობა არ ყოფილა. მომხდარ ფაქტამდე რამდენიმე დღით ადრე – 2004 წლის 5 სექტემბერს ავსაჯანიშვილმა დაწერა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ ყაჩაღურ თავდასხმებს, რომლისთვისაც სა-

ოლქო სასამართლომ გაასამართლა და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ის იოსებ მუხიგულაშვილთან ერთად ახორციელებდა“.

ბესიკ ავსაჯანიშვილის ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„2002 წლის თებერვალში, მე და იოსებ მუხიგულაშვილი შევედით ა. ჯოველიძის საცხოვრებელ ბინაში. კარი გავაღებინეთ ზარის მიცემით. მანამდე მე ყელი გამოვჭერი ძაღლს, რომელიც ეზოში იყო. ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ მე მქონდა. „მასკებით“ არ ვყოფილვართ, მაგრამ სახეზე კაშნე გვქონდა აფარებული... „ნაკოლი“ არავის მოუცია. ბინაში მყოფ გოგონას ოქროს „ცეპი“ ჩამოვხსენი და ავტომანქანის გასაღებიც წამოვიღე... 2002 წლის თებერვალში, მე, იოსებ მუხიგულაშვილი და იოსებ გ. მივედით ც. ამაღლობელის ბინაში. კარი ღია იყო და შევედით. მე და მუხიგულაშვილს „მასკები“ გვეკეთა... წამოვიღეთ ნივთები და ოქროულობა... 2002 წლის თებერვალში მე, იოსებ მუხიგულაშვილი და ცხინვალელი „ალანი“ მივედით რესტორან „ზღაპარში“. იქ სუფრა არ გაგვიშალეს და გავბრაზდით, ამიტომ გადავწყვიტეთ რესტორნის თანამშრომლების დაყაჩაღება. მათ წავართვით ოქროულობა და წავიყვანეთ მანქანები „ნივა“ და „ფოლკსვაგენი“...“

ავსაჯანიშვილის ამ მოულოდნელი განცხადების საფუძველზე, პროკურატურამ გამოძიება ჩაატარა. ძიების შედეგად ზემოთ აღნიშნულ ყაჩაღურ თავდასხმებში მუხიგულაშვილის მონაწილეობა არ დადასტურდა და პროკურატურამ მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა.

მალხაზ ჯანგირაშვილი:

„ფაქტობრივად, ეს გახლდათ, ავსაჯანიშვილის მხრიდან ცრუდასმენა. პროკურატურამ საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში გარკვევით მუთითა, რომ ავსაჯანიშვილი მუხიგულაშვილის მიმართ დაინტერესებული პირი გახლავთ და ამის გამო, მისი ჩვენების გაზიარება გამოძიებამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია. ანუ პროკურატურა აღიარებს ავსაჯანიშვილის განწყენებასა და პირად დაინტერესებას მუხიგულაშვილის მიმართ, მაგრამ იმას მაინც არ ადასტურებს, რომ სწორედ მან დაურეკა შემთხვევის დღეს განსასჯელს და ამანათის ციხეში შეგზავნა სთხოვა. გამოძიება ჩიხშია მოქცეული – გამოდის, მუხიგულაშვილმა ნარკოტიკი ციხეში უმისამართოდ გაგზავნა; ასეთი საქციელი მხოლოდ ფსიქიკური მოშლილობის მქონე ადამიანს შეეფერება და მაშინ, სასამართლომ განსასჯელის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესამოწმებლად შესაბამისი ექსპერტიზა უნდა დანიშნოს.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ნივთიერი მტკიცებულება – ნარკოტიკი საქმეზე დართული არ არის. მისი წარმოდგენის მოთხოვნით რამდენჯერმე დავაყენეთ შუამდგომლობა, მაგრამ მოსამართლემ არც ეს დაგვიკმაყოფილა. ამ მტკიცებულებასთან დაკავშირებით საქმის მასალებში სერიოზული წინააღმდეგობები ფიქსირდება. მაგალითად, ექსპერტის ცნობასა და დასკვნაში, ამოღებული ფხვნილის ფერთან დაკავშირებით განსხვავებული მონაცემები ფიქსირდება: ფხვნილი ზოგან მოყავისფროდაა მოხსენიებული, ზოგან – მოთეთრო-მოყავისფროდ. ცნობაში აღწერილია, როგორც ნოტიო, დასკვნაში კი, როგორც მშრალი ფხვნილი. ნივთმტკიცების ამოღებაში მონაწილე პირების ჩვენებების თანახმად, ნივთიერება მკვრივი იყო, ხოლო ექსპერტი ცნობაში მიუთითებს, რომ წარმოდგენილი ფხვნილი ნოტიოა. ასეთი შეუსაბამობები და ის ფაქტიც, რომ არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, ნივთიერი მტკიცებულება არ წარმოგვიდგინეს, სერიოზულ ეჭვს ბადებს – საერთოდ არსებობს თუ არა ნივთმტკიცება?“

განსასჯელის ადვოკატები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანთან ერთად, სახალხო დამცველსა და თავისუფლების ინსტიტუტსაც აყენებენ საქმის კურსში და პროკურატურისა და სასამართლოს მიერ დაშვებული კანონდარღვევების შესახებ სპეციალური განცხადებით მიმართავენ მათ. იოსებ მუხიგულაშვილს პროკურატურამ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი მიუყენა და ბრალის დადასტურების შემთხვევაში, მას 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

■

„დანა ამოიღო და ყელზე მომადო, მოგკლავო – დამემუქრა...“

მიკროავტობუსის დამყაჩაღებლები სპეცრაზმელებმა ფაქტზე დააკავეს

„მერსედესის“ ფირმის მიკროავტობუსის თბილისში მოძრავი №209 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ავტომანქანა მგზავრებისგან თითქმის დაიცალა. ბოლო გაჩერებისკენ მიმავალ მიკროავტობუსში სულ 3 მგზავრიღა დარჩენილიყო, მათგან ორი კი — ბოროტმოქმედი გახლდათ. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, კრიმინალური სამყაროს გამოცდილი წარმომადგენლები, წარსულში ნასამართლევი ყაჩაღები იმ დღესაც, ჩვეული გზით ფულის საშოვნელად იყვნენ ქუჩაში გასულები. ზემოთ აღნიშნულ მიკროავტობუსშიც შემთხვევით არ ჩამსხდარან...

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, ორივე ბოროტმოქმედი მთვრალი იყო, მაშინ, როცა სამარშრუტო ტაქსის მძღოლზე თავდასხმა და მისთვის ფულისა და ავტომანქანის წართმევა განიზრახეს. მიკროავტობუსით მგზავრობისას, ისინი ხელსაყრელ მომენტს დაელოდნენ და განზრახვის სისრულეში მოყვანას მხოლოდ მაშინ შეუდგნენ, როცა ავტომანქანაში მათ გარდა, მხოლოდ ერთი მოქალაქე – ახალგაზრდა გოგონა დარჩა. ვაშლიჯვრის გადასახვევთან მიახლოებისას, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ჯიბიდან დასაკეცი, ფიქსატორიანი დანა ამოიღო და მოულოდნელად მძღოლს ყელზე მიადო. *„დანა ყელზე მომადო, მოგკლავო – დამემუქრა. მუქარით მიბრძანა – მარჯვნივ წადი, პირდაპირ იარე და მანქანა არსად გაჩეროო“*, – აღნიშნა ჩვენებისას დაზარალებულმა მძღოლმა. საქმის მასალების მიხედვით, ამ დროს, მეორე ბოროტმოქმედმაც ამოიღო დანა. მძღოლს მანაც მიადო იარ-

აღი სხეულზე და მოკვლით დაემუქრა, თან ურჩია, მანქანა სადმე, მოფარებულ ადგილას გაეჩერებინა. ამავე დროს, ყაჩაღები მგზავრ გოგონას აშშვიდებდნენ – ნუ გეშინია, შენ არაფერს დაგიშავებთო. იმ მიზნით, რომ გარედან არავის შეემჩნია, თუ რა ხდებოდა მიკროავტობუსში, თავდამსხმელებმა საჩქაროდ ჩამოგლეჯეს ელსადენები და სალონში შუქი ჩააქრეს. *„ვეუბნებოდი – ოღონდ ნურაფერს დამიშავებთ და მთელ ფულს მოგცემთ, რაც დღეს გამოვიმუშავე-მეთქი. ამაზე მიპასუხეს – ფულიც ჩვენია და მანქანაცო“*, – მოუთხრო სამართალდამცველებს დაზარალებულმა.

თავდამსხმელთა მითითებით, მიკროავტობუსი პირდაპირ სვლას განაგრძობდა. ბედად, რამდენიმე წუთში, ის სახელმწიფო დაცვის სპეცდანიშნულების რაზმის ჭიშკარს მიუახლოვდა. მძღოლმა მაშინვე იცნო ის ადგილი, მიხვდა, რომ სპეცრაზმის ბაზის წინ იმყოფებოდა, არ დაიბნა, მანქანა გააჩერა, სიგნალი ჩართო და მთელი ხმით დაიყვირა – მიშველეთო! საბედნიეროდ, მძღოლის ეს რისკიანი ნაბიჯი შედეგიანი აღმოჩნდა. ბაზაში ხმა გაიგონეს და მაშინვე გამოცვივდნენ ავტომატებით შეიარაღებული სპეცრაზმელები. ამ მოულოდნელობით დაბნეულმა ბოროტმოქმედებმა მძღოლს ყელზე მიბჯენილი დანები მოაშორეს. დაზარალებულმა ამ მომენტითაც ისარგებლა, მაშინვე გადახტა მანქანიდან და იყვირა – მიშველეთ, მაყაჩაღებენო! სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა მიკროავტობუსს ალყა შემოარტყეს და შიგ მყოფ ბოროტმოქმედებს დამორჩილება უბრძანეს. აიძულეს, ისინი მანქანიდან ჩამოსულიყვნენ. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, თავდამსხმელებისგან მათ ამოიღეს დანა და სამი ცალი ე.წ. ატმიჩკა. მალე ბაზაში პოლიციაც მივიდა და ეჭვმიტანილები შინაგან საქმეთა განყოფილებაში წაიყვანეს.

დაკავებულები, თბილისელი, 1978 წელს დაბადებული ლ. სულაქველიძე და 1979 წელს დაბადებული ა. შენგელია აღმოჩნდნენ. ოფიციალური ცნობით, წარსულში ორივე ნასამართლევი გახლდათ. სასამართლო პროცესზე მათ კატეგორიულად უარყვეს პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდება და განაცხადეს, რომ უდანაშაულოები არიან. *„მართალია, საქმეში არსებობს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ განსასჯელები შემთხვევის დღეს, მიკროავტობუსში ავიდნენ და მგზავრების ჩასვლის შემდეგ, მძღოლთან მივიდნენ, მაგრამ მათი მიზანი, მძღოლის დაყაჩაღება არ ყოფილა. მათ უბრალოდ სურდათ, მძღოლს მარშრუტი შეეცვალა და ისინი სხვა მიმართულებით წაეყვანა. მძღოლისთვის არც ერთ მათგანს არ მოუთხოვია ფული და მანქანა და არც ძალადობა ჩაუდენია; ამის საპირისპირო უტყუარი მტკიცებულება საქმეში არ დევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო პროცესზე თავად დაზარალებულმა უარყო ძალადობის ფაქტი და თავისი მოქმედება შიშით ახსნა“*, – განაცხადა ადვოკატმა. განსასჯელთა ადვოკატები პრეტენზიებს გამოთქვამდნენ სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ჩატარებული ჩხრეკის გამოც. მათი თქმით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მოკვლევის ორგანოს წარმოადგენს და მათმა თანამშრომელმა რეალურად ჩაატარა ჩხრეკა, მაშინ, როდესაც შესაბამისი დადგენილება ჩხრეკის განსახორციელებლად გამოტანილი არ ყოფილა და ეს მოქმედება სასამართლოს მიერ დაკანონებული არ გახლდათ. აქედან გამომდინარე, ადვოკატებს ჩატარებული ჩხრეკა უკანონოდ მიაჩნდათ.

არც ერთი ინსტანციის სასამართლომ ადვოკატების პოზიცია არ გაიზიარა. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ განსასჯელებს წინასწარი გამოძიების პერიოდში აღიარებითი ჩვენებები აქვთ მიცემული; გარდა ამისა, არსებობს დაზარალებულისა და მგზავრი გოგონას ჩვენებებიც. დაზარალებულის ჩვენების შეცვლის ფაქტი პროკურატურამ მასზე განსასჯელთა ზეწოლით გამოწვეული შიშით ახსნა.

მოსამართლეებმა კანონიერად მიიჩნიეს სპეცდანიშნულების რაზმის წევრთა ქმედებაც და აღნიშნეს, რომ ისინი შექმნილი სიტუაციის შესაბამისად მოქმედებდნენ. სასამართლომ ორივე განსასჯელი დამნაშვედ ცნო და მათ 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენი, ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების მიუხედავად, უცვლელი დარჩა.

■

პოლიციამ ყაჩაღური დაჯგუფებების ლიდერები დააკავა

ბოროტმოქმედმა აზერბაიჯანის მოქალაქეს 27 მილიონი თურქული ლირა წაართვა

შს სამინისტროს 13 ივლისის მონაცემებით, სამართალდამცავებმა ყაჩაღურ თავდასხმებსა და ძარცვაში ეჭვმიტანილი 5 პირი დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი და ყაჩაღური დაჯგუფების წევრი, დაბა მესტიის მკვიდრი, თბილისში, დიღმის მასივის პირველ კვარტალში დროებით მცხოვრები, 1981 წელს დაბადებული რომან მარგიანი გახლავთ. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ის და გამოძიებით დაუდგენელი ორი პირი თავს დაესხნენ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სპორტულ მაღაზიას – „ტრენაჟორი“ და იქ მყოფ გამყიდველებს – ნათია ვასაძესა და მარინა აბულაძეს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, წაართვეს 260 ლარი, მობილური ტელეფონები და 4.000 ლარის ღირებულების სპორტული ტანსაცმელი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას შს პირველი განყოფილება აწარმოებს.

რაც შეეხება ყაჩაღურ თავდასხმებში ეჭვმიტანილ დანარჩენ პირებს, ისინი – თბილისელი, 1983 წელს დაბადებული თორნიკე მახარაძე, მეტსახელად წრიპა და ასევე თბილისელი, 1986 წელს დაბადებული გიორგი ბერიაშვილი, მეტსახელად გოგიჩა – არიან. შს სამინისტროს ინფორმაციით, ორივე მათგანი წარსულში ნასამართლევი იყო ყაჩაღობისთვის. მორიგი დანაშაული, სამართალდამცავთა ცნობით, მათ გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად ჩაიდინეს. სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას, ჩარგლისა და თიანეთის ქუჩების გადაკვეთაზე, მძღოლს – ზ. ლაბარტყავასა და მგზავრებს – ლ. მაჩაიძესა და ნ. ყიფიანს მათ ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით წაართვეს მობილური ტელეფონი, 120 ლარი და 50 ათასი სომხური დრამა.

დანაშაულის იარაღი, „ვოლტრა-ბერეტა“, სამართალდამცველებმა ამოიღეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას შს სამინისტროს მე-7 განყოფილება აწარმოებს.

პოლიციის თანამშრომლებმა ასევე დააკავეს ძარცვაში ეჭვმიტანილი, 1973 წელს დაბადებული სპარტაკ ბელქანია, მეტსახელად წიე. სამართალდამცავთა ცნობით, მან ახალქალაქში მცხოვრებ გრიგოლ რაფავას 745 ლარი და 31 დოლარი წაართვა. მეხუთე დაკავებული პირი, ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში მცხოვრები, 1972 წელს დაბადებული კახა გოლუბიანი გახლავთ. შს სამინისტროს ინფორმაციით, მიკროავტობუსში მან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს შაჰინ ხალაპლის დანის მუქარით მობილური ტელეფონი, პირადი საბუთები და 27 მილიონი თურქული ლირა წაართვა.

■

საქართველოს ეროვნულ ბანკს, ახალი პრეზიდენტის გარდა, ახალი ვიცე-პრეზიდენტებიც ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია ახალგაზრდა ქალბატონი ეკა გალდავა, რომელმაც საქმიანობა თავის დროზე, ამავე ბანკში რიგითი ეკონომისტის თანამდებობით დაიწყო. მისი სამუშაო დღე დილით 8 საათზე ჭიქა ყავით იწყება და ვინაიდან ქვეყნის მთავარი ფინანსური ინსტიტუტი რეფორმებს არის შეჭიდებული, ქალბატონი ვიცე-პრეზიდენტიც გვიანობამდე შემორჩება ხოლმე თავის სამუშაო კაბინეტს.

დისერტაცია, კარიერა თუ მრავალშვილიანი ოჯახი?

ანუ მამაკაცთან დიალოგისას რა აიძულებს ეკა გალდავას პიჯაკის ყველა ღილის შეკვრას

ემა ტუხიაშვილი

— ბევრი მაღალჩინოსანი ქალბატონის სამუშაო ოთახი მინახავს და მინდა გითხრათ, რომ თქვენი, სისადავით გამოირჩევა...

— ამ თანამდებობაზე მხოლოდ რამდენიმე თვეა დავინიშნე, ამიტომ დროც არ მქონია იმისათვის, რომ კაბინეტში რამე შემეცვალა. აქ ვერაფერს ნახავთ ისეთს, რაც შესაძლოა, ჩემს ბუნებასა და ხასიათზე მიანიშნებდეს, ასახავდეს ჩემს სულიერ სამყაროს. ძალიან მიყვარს პატარა ზომის სუვენირები და სახლში უამრავი ასეთი ნივთი მაქვს. რამდენიმეს შევარჩევ და აუცილებლად წამოვიღებ სამსახურში.

— მოგვიყევით, როგორ იწყებოდა თქვენი კარიერა?

— ეროვნულ ბანკში, ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დავიწყე მუშაობა. მაშინ მხოლოდ 23 წლის ვიყავი და სიმართლე გითხრათ, ახალგაზრდებისთვის გარკვეული გამოცდილების გარეშე სამუშაოდ ეროვნულ ბანკში მოწყობა რთული იყო. მუშაობა დავიწყე საკრედიტო განყოფილებაში ეკონომისტად და ჩემი ხელფასი იმ დროს 15 ათას კუპონს შეადგენდა. მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბატონი დემურ დვალიშვილი გახლდათ, მას შემდეგ კი ბანკმა 7-8 ხელმძღვანელი გამოიცვალა. 1992 წლიდან დღემდე, ვითარდებოდა როგორც ქვეყნის ეკონომიკა, ასევე ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო თუ სავალუტო პოლიტიკა. ამ ყველაფერთან ერთად კი, იზრდებოდა ჩემი პროფესიონალიზმი და გამოცდილება. წლების წინ, ინგლისური ენის ცოდნა პრივილეგირებულ მდგომარეობაში მაყენებდა და ხშირად მგზავნიდნენ სტაჟირებაზე ევროპისა და ამერიკის ცენტრალურ ბანკებში. იმ დროს ჩვენი ქვეყნის ცნობადობის მაჩვენებელი საზღვარგარეთ ძალიან დაბალი იყო და საქართველო მხოლოდ სტალინისა და შევარდნაძის სახელებთან ასოცირდებოდა. ჩემთან ერთად სტაჟირებას მსოფლიოს წამყვან ბანკებში, აფრიკისა და პოსტსაბჭოური ქვეყნების წარმომადგენლები გადიოდნენ. გაოცებული ვრჩებოდი, როდესაც ვიგებდი, რომ ინსტრუმენტებს, რომლითაც ჩვენი ბანკი 90-იან წლებში საკუთარი პოლიტიკის წარმართვისას ხელმძღვანელობდა, განვითარებულ ქვეყნებში აღარავინ იყენებდა. ყველაფერი ეს იმდენად ახალი იყო ჩემთვის, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ საქართველოში ამის რეალიზება ოდესმე მოხდებოდა.

— ეკონომიკური პროფილი თქვენი არჩევანი იყო თუ თქვენი პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრაში ვინმე ჩაერია?

— ბავშვობაში მინდოდა, არქეოლოგი გავმხდარიყავი, გატაცებული ვიყავი მუსიკით და ფორტეპიანოზე საკმაოდ კარგად ვუკრავდი. გარდა ამისა, წლების განმავლობაში ბალეტზე დავდიოდი. პროფესიის არჩევაზე კი მამამ იქონია გავლენა, რომელსაც თავად ჰქონდა მიღებული ეკონომიკური განათლება და მათემატიკური მაგალითების გამოყვანისას, წამმზომით მინიშნავდა ხოლმე დროს... მართალია, ჯიუტი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ჩემი სიჯიუტე მხოლოდ საჭმელთან მიმართებაში გამოიხატებოდა... მშობლები მე და ჩემს ძმას საკმაოდ მკაცრად გვზრდიდნენ, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. მახსოვს, ერთხელ, მე და ჩემმა ძმამ აივნიდან ეზოში ქაღალდის თვითმფრინავები გავუშვით. მამამ ეზოს დანაგვიანება არ გვაპატია და სულ სათითაოდ აგვაკრეფინა ჩვენი თვითმფრინავები... ერთადერთი ადამიანი, რომელიც გვანებივრებდა, ბებია იყო, სულ ფუსფუსებდა და ნაირ-ნაირ კერძს ამზადებდა. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ მეც მკაცრი დედა ვიქნები, რადგან მიმაჩნია, რომ გადამეტებული ყურადღება ხელს უშლის ბავშვის დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებას.

— თანამშრომლების მიმართაც მკაცრი თუ ხართ და თუ გაქვთ ხელქვეითის დასჯის თქვენეული მეთოდები?

— ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ყვირილი და მაგიდაზე მუშტის დარტყმა, რადგან მსგავსი ქმედება ხელმძღვანელის სისუსტეზე მეტყველებს. თუ ადამიანმა შეცდომა დაუშვა, მკაცრი ტონით ხაზი უნდა გაუსვა მისი ქმედების სიმცდარეს და გამოსწორების შანსი მისცე. უკიდურეს შემთხვევაში, კანონი უფლებას გაძლევს, პირადი შეურაცხყოფის გარეშე, სამსახურიდან დაითხოვო.

— თქვენ საკმაოდ მაღალი თანამდებობა გიკავიათ და ამასთანავე, ახალგაზრდა ქალბატონი ბრძანდებით. არ გქონიათ შემთხვევა, როდესაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე, როგორც ამბობენ — პატივისცემის ნიშნად — რაიმე საჩუქარი მოურთმევიათ თქვენთვის?

— არ უარვყოფ, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა. საერთოდ, მამაკაცები ფიქრობენ — რადგან ქალბატონი ხარ, რაღაცით უნდა გასიამოვნონ და საჩუქრებით ცდილობენ, ხელმძღვანელი ქალბატონის მიმართ ყურადღება გამოიჩინონ. მორთ-

მეული საჩუქარი უმეტესად სუნამოა, რაც ძალიან მაღიზიანებს და ვინც კარგად მიცნობს, ცდილობენ, პატივისცემის ასეთ ჟესტს არ მიმართონ ხოლმე. თუმცა, ძალიან მომწონს, როდესაც ყვავილებს მიძღვნიან. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემს სამუშაო ოთახში დამხვედრია ყვავილების თაიგული და ვერც გამიგია, ვისგან იყო მორთმეული...

— თავად ეროვნული ბანკის პრეზიდენტს არაფერი უჩუქებია თქვენთვის?

— დაბადების დღეზე, ძალიან ლამაზი, მოოქრული, „სვაროვსკის“ ჯვარი მაჩუქა.

— თქვენი თანამდებობიდან გამომდინარე, მგონია, რომ შინ ნუმიზმატიკის ნიმუშები გექნებათ. ასე არ არის?

— ვერ გამოიცანით, ასეთი ნივთების შეგროვება არ მიყვარს. ერთადერთი, რისი კოლექციაც მაქვს სახლში, ეკონომიკური შინაარსის წიგნებია, თუმცა ვერ დავიტრაბახებ, რომ თითოეული მათგანი წაკითხული მაქვს.

— ალბათ, ნათესავები გთხოვენ ხოლმე — ფული მასესხეო: თქვენ ხომ ეროვნულ ბანკში მეორე პირი ხართ...

— ახლობლებს მატერიალურად ვეხმარები, მაგრამ არასდროს მივცემ ფულს იმას, ვისაც საკუთარი შრომით შეუძლია, მოიპოვოს მატერიალური კეთილდღეობა და სიზარმაცის ან სხვა მიზეზების გამო ურჩევნია, სხვის ხარჯზე იცხოვროს.

— თუ არსებობს ისეთი რამ, რისთვისაც დაუნანებლად დახარჯავთ ფულს?

— შესაძლოა, ეს ჩემი სისუსტეა, მაგრამ როგორც ქალბატონების უმეტესობას, მეც ძალიან მიყვარს კარგი სამოსი. ტანსაცმელს ძირითადად, საზღვარგარეთ ვყიდულობ, თუმცა ასევე მომწონს ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი კოსტიუმები, მაგრამ მათი შეძენა ჯერ ვერ მოვახერხე. როდესაც უცხოეთში მივლინებით მივემგზავრები, ბარგის დიდ ნაწილს ჩემი გარდერობი იკავებს. ყველაზე კომფორტულად სპორტულ სამოსში ვგრძნობ თავს, მაგრამ სამსახურში ამ მხრივ შეზღუდული ვარ.

— მითხარით — ბალეტზე დავდიოდიო. ახლა შეგიძლიათ რომელიმე პა შეასრულოთ?

— არა, რას ამბობთ?!. ახლა, ჩემი წონის გამო, ამის გაკეთებას ვერ შევძლებ, თუმცა ბავშვობის დროინდელ პუანტებს სახლში სათუთად ვინახავ. არ მინდა, იფიქროთ, რომ გაზარმაცებული ჩინოვნიკივით ვცხოვრობ. კვირაში ორჯერ სატრენაჟორო დარბაზში დავდივარ, დანარჩენ თავისუფალ დროს კი მეგობრებთან ერთად ვატარებ. ძალიან მიყვარს მუსიკა, ამიტომ ვუსმენ ყველაფერს, ქართული ესტრადის ჩათვლით. სამწუხაროდ, იშვიათად ვიცლი იმისთვის, რომ თავად მივუჯდე ინსტრუმენტს. არ მიყვარს ხმაურიან კლუბებში სიარული და აზარტული თამაშებით გართობა.

— გქონიათ შემთხვევა, როდესაც საქმიანი საუბრის მიუხედავად, მამაკაცი ამ ლაპარაკის განსხვავებულ კალაპოტში გადაყვანას ცდილობდა?

— ასეთ შემთხვევებში ვცდილობ, დიალოგი საქმიან კალაპოტში გადავიყვანო, სასაუბრო თემის ყველაზე საინტერესო მხარეებზე გავამახვილო ყურადღება. უკიდურეს შემთხვევაში, პიჯაკის ყველა ღილს შევიკრავ...

— ცნობილი ფაქტია, რომ ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, კაცებს მათზე წარმატებული ქალები აღიზიანებენ. თქვენ თუ გიგრძნიათ მათგან მსგავსი დამოკიდებულება?

საერთოდ, მამაკაცები ფიქრობენ — რადგან ქალბატონი ხარ, რაღაცით უნდა გასიამოვნონ...

— სამწუხაროდ, მქონია შემთხვევა, როდესაც საქმიან პატნიორ მამაკაცს საუბრისას აღუნიშნავს: დიდი ვინმეც ხარ, ქართველი ქალი ხარ და ბოლოს და ბოლოს განათლებაც შესაბამისი გექნებაო. თუმცა, ეს აზრი მალევე შეუცვლია და მერე, თავადვე აღმოჩენილა უხერხულ მდგომარეობაში, მაგრამ გარწმუნებთ, ასეთ უხეშობისთვის არც მე დავრჩებოდი ვალში და საკუთარ აზრს პირდაპირ მოვახსენებდი...

— ბევრისთვის საქმიანი ქალი საქაღალდეების დასტასთან ასოცირდება და ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ, ოჯახში მათაც თუ შეუძლიათ გაზქურასთან დგომა, სახლის დალაგება...

— ოჯახში დამხმარე ჩემთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს — როგორც გითხარით, მშობლებმა ბავშვობიდან მიმაჩვიეს დამოუკიდებლობას. სხვათა შორის, გარკვეული პერიოდი საზღვარგარეთ ვსწავლობდი — ამერიკაში მიღებული მაქვს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის მასტერის წოდება და ცხადია, მარტო ვცხოვრობდი. სახლსაც თვითონ ვალაგებ და მეგობრებისთვის ხშირად ვამზადებ კერძებს.

— მრავალი წლის შემდეგ, როგორი გსურთ იხილოთ საკუთარი თავი?

— პირველ რიგში, მინდა, რომ სადოქტორო დისერტაცია მქონდეს დაცული, სურვილი მაქვს, ბევრი შვილი მყავდეს (3 მაინც), შემდეგ უკვე — შვილიშვილები, რომლებზეც ვიზრუნებ და პარალელურად, ეკონომიკური შინაარსის სტატიებს დავწერ.

— არ ფიქრობთ, რომ ყოველივეს მისაღწევად გარკვეულ დათმობებზე მოგიწევთ წასვლა?.. რას უფრო შეელევით — საქმიანობას თუ პირად ცხოვრებას?

— დღეს შემიძლია გითხრათ, რომ საქმის გულისთვის ალბათ, პირად ცხოვრებას უფრო დავთმობ. შესაბამისად, დისერტაციის დაცვას უფრო მოვახერხებ, ვიდრე ბევრი შვილის ყოლას...

— ამავეს ურჩევდით ყველა ქალს?

— ჩემი სურვილი იქნება, რომ ნებისმიერმა ქალმა პირველ რიგში, საკუთარ თავზე იზრუნოს, შემდეგ — შვილებსა და ქმარზე. არ შემიძლია, გადაჭრით ვთქვა, საკუთარ თავზე ზრუნვა რით აიხსნება, რადგან ნებისმიერი ადამიანისთვის ეს ინდივიდუალური საკითხია. საქმიან ქალს კი, საამისოდ ყველაზე ნაკლები დრო რჩება, რადგან მნიშვნელოვან საკითხებზე ზრუნვა მისგან სრულ მობილიზებას ითხოვს.

■

არასასურველ სიტუაციაში აღმოვჩნდი

„2 წელია, შოკიდან ვერ გამოვსულვარ...“

მე თვითონ არასასურველ სიტუაციაში მაშინ ვვარდები, როდესაც ხანდახან ვერ ვახერხებ, ყველა მესიჯი ჩავტიო „გზავნილებში“ და ამის გამო მკითხველები მსაყვედურობენ ხოლმე. მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ, ათასზე მეტ მესიჯს როგორ მოვათავსებ ჟურნალის ოთხ გვერდზე?! მკითხველები ხშირად იმის გამოც მსაყვედურობენ, რომ იმ მესიჯებს არ ვაქვეყნებ, სადაც ჩემი მისამართით სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ. ამას წინათ, ერთ-ერთმა ისიც კი შემომთავაზა, — „გზავნილების“ „ფან-კლუბს“ ჩამოვაყალიბებ, ოღონდ შენ იყავი თანახმაო... მინდა თითოეულ თქვენგანს მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ ასე შეიყვარეთ ეს რუბრიკა. მისი სასიკეთო როლის არსებობაში კი მაშინ ვრწმუნდები, როდესაც ასეთი შინაარსის მესიჯებს ვიღებ:

მარი ჯაფარიძე

„გამარჯობა, მარი. შესაძლოა, აღარც კი გახსოვარ, მაგრამ მე არასოდეს დამავიწყდები. შენი ერთ-ერთი რესპონდენტი ვარ, საკმაოდ პოპულარული და სკანდალური ინტერვიუს მოქმედი გმირი. ახლა არ მინდა ჩემი ვინაობის გამხელა და აღარც იმ ინტერვიუს გახსენება. უბრალოდ, მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადო იმისათვის, რომ შენ ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი პრობლემის გადაჭრაში დამეხმარე. სიმართლემ გაიმარჯვა და ახლა ისე ვცხოვრობ, როგორც ნამდვილ, ჩვეულებრივ ადამიანს შეეფერება. მე უკვე სტუდენტი ვარ და შენი პროფესია ავირჩიე — მომავალი ჟურნალისტი ვარ. ამ მესიჯის გამოგზავნა ძალზე დიდი ხნის წინ მინდოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი... ცხოვრება მართლაც მოულოდნელობებით არის სავსე. „მეტამორფოზა“.

მართალია, გოგონა ვინაობას არ ამხელს, მაგრამ მე ის ძალზე კარგად მახსოვს. მაშინ ჩემმა რესპონდენტმა მკითხველებისგანაც ძალზე დიდი თანაგრძნობა მიიღო. ამიტომ თავს უფლებას მივცემ და თქვენი და ჩემი სახელით წარმატებებს ვუსურვებ. ახლა კი მივუბრუნდეთ იმ არასასურველ სიტუაციებს, რომლის შესახებაც ამ კვირაში დამიმესიჯეთ.

ქორწილი მართლაც, ღირსშესანიშნავი მოვლენაა, საკუთარი ქორწილი — მით უმეტეს. მაგრამ თურმე, შესაძლებელია, სიძის გამოისობით, პატარძალი არასასურველ სიტუაციაში აღმოჩნდეს.

საკუთარი ქორწილიდან... ბორდელში

„გიო ჩემი ბავშვობის მეგობარია. მას და ჩემს დას კარგა ხანია, ერთმანეთი ჰყვარებიათ, მე კი საგულდაგულოდ მიმალავდნენ. ერთ მშვენიერ დღეს კი, გიო თავდახრილი მოვიდა ჩემთან და მითხრა — თუ გინდა, მომკალი, მაგრამ შენი და მიყვარს და მისი ხელის სათხოვნელად ვარ მოსულიო. ჯერ გადავირიე, მაგრამ მერე, ჩემს დას რომ დაველაპარაკე, მივხვდი, ხელის შეშლა არ გამოდიოდა. მეც დავთანხმდი ქორწინებაზე. ერთი თვის შემდეგ, დავნიშნეთ ქორწილი. დიდი ამბით ვემზადებოდით ამ დღისთვის... ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. კარგად ვიქეიფეთ. სიძეც კარგად დაგვითვრა. ქორწილი დასასრულს მიუახლოვდა. ხალხი დაიშალა, ბოლო სტუმრებს ვაცილებდით, როცა ჩემი და მოვიდა და მითხრა — გიო სადღაც დაიკარგა, მთელი საათია, ვეძებ და არ ჩანსო. კიდევ ერთი საათი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად მივაგენით. მობილურიც გამორთული ჰქონდა. ვინაიდან გიოს ძალზე კარგად ვიცნობდი, უცებ გამინათდა გონება და მივხვდი, სად შეიძლებოდა ყოფილიყო. როცა ვქეიფობდით და კარგად შევჭიკჭიკდებოდით, მერე ერთ-ერთ საუნაში მივდიოდით, სადაც არაოფიციალური ბორდელი იყო გახსნილი. გულმა მიგრძნო, რომ იქ იქნებოდა. შეუმჩნევლად გავიპარე და საუნას მივადექი. იქაურმა „მამაშამ“ მითხრა — ბიჭო, შენი ძმაკაცი რომ მოვიდა, შენ რატომ არ მოჰყევიო? რაღა უნდა მექნა? დავჯექი და დაველოდე. კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, გამოვიდა. ბიჭო, თავი მომჭერი? ცოლი შინ გელოდება, შენ კი საკუთარი ქორწილიდან ბორდელში წამოხვედი-მეთქი?!. მაშინ გამოფხიზლდა. თავჭუდმოგლეჯილი გამოიქცა შინ, სადაც ჩემი და თვალცრემლიანი ელოდა. აი, ასეთ არასასურველ სიტუაციაში აღმოჩნდა ჩემი საყვარელი დაიკო.“*

სასიყვარულო სამკუთხედი ძალზე ძველი და გაცვეთილი თემაა და რაღა თქმა უნდა, ხშირად ასოცირდება არასასურველ სიტუაციასთან, მაგრამ თურმე აქაც ხდება ისეთი ამბები, რომლებიც დიდ იშვიათობად შეიძლება ჩაითვალოს. გვიამბობს 27 წლის ირაკლი. მოქმედება თბილისში ხდება.

„ქალმა შეყვარებული დამაწერა“...

„ერთ ძალიან მაგარ არასასურველ სიტუაციაზე უნდა გიამბოთ. მე და ლიკა ერთ ეზოში გავიზარდეთ. ბავშვობიდან ვმეგობრობდით. ჩვენი მშობლებიც მეგობრობდნენ, დასასვენებლადაც კი ერთად მივდიოდით ხოლმე, ხან ბებიაჩემთან — გურიაში, ხან ლიკას ბებიასთან — რაჭაში. დედისერთა ვარ და ლიკას ჩემს დად ვთვლიდი. ყველა ჩემი საიდუმლო იცოდა. შეეძლო, ნებისმიერ სიტუაციაში ძმაკაცივით დამდგომოდა გვერდით. ჩემი გულისთვის მუშტებითაც კი უჩხუბია. იმის გამო, რომ სულ ჩემ გვერდით იყო,

ჩემს ძმაკაცებთანაც მეგობრობდა. ქცევებიც ისეთი ჰქონდა, როგორიც მე, ლაპარაკიც და მანერებიც — ჩემნაირი. ბიჭები „ძმას“ ეძახდნენ და ხშირად ვერც კი გრძნობდნენ ხოლმე, რომ მათ გვერდით მამაკაცი კი არა, გოგონა იდგა და ნებისმიერ თემაზე გახსნილად საუბრობდნენ. 23 წლის ვიყავი, როცა ერთი გოგო შემიყვარდა. რა თქმა უნდა, ლიკას გავაცანი და აზრიც ვკითხე. — მაგარი გოგოაო, — მაღლა აწეული ცერა თითი დამანახვა ლიკამ. ჩემი და ნინოს ურთიერთობა 2 წელი გრძელდებოდა. ლიკას ძალზე დაუმეგობრდა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი მახარებდა. ნინო ხშირად მოდიოდა სტუმრად ლიკასთან, მეც მათთან ერთად ვიყავი, გვიანობამდე ვსაუბრობდით, ვერთობოდით ხოლმე. ნინო ღამითაც რჩებოდა ლიკას ოჯახში. 2 წლის შემდეგ, ჩემსა და ნინოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ვგრძნობდი, რომ თვალს მარიდებდა და შეხვედრაზე დიდი სიხარულით აღარ მთანხმდებოდა ხოლმე. მე განვიცდიდი მის ასეთ ცვლილებას. ლიკა მამშვიდებდა ხოლმე — უბრალოდ, ძალზე გაიწელა თქვენი ურთიერთობა, როგორც ჩანს, მოჰბეზრდა, ცოტა დრო გაივლის და ნინო ისევ დაგიბრუნდებაო. მეც მოთმინებით ველოდი, როდის დადგებოდა ეს ნანატრი დრო. ისინი უფრო დაახლოვდნენ და ერთმანეთის გარეშე ველარც ძლებდნენ. ამის გამო ნინო ყოველდღე მოდიოდა ლიკასთან და მეც ხშირად ვნახულობდი. თავს მშვიდად ვგრძნობდი, რადგან ვხვდებოდი, რომ სხვა მამაკაცი მის ცხოვრებაში არ გამოჩენილა. ერთხელ, ვიცოდი, რომ ნინო ღამით ლიკასთან დარჩა, დილით კარზე მივაკაკუნე. ნინომ შემიპატიჟა. ლიკა მაღაზიაში ჩასულიყო სიგარეტისა და ყავის საყიდლად. ვისარგებლე იმით, რომ ჩემი საყვარელი არსება მარტო იყო. გვერდით მივუჯექი და მოფერება დავუწყე. ჯერ გამიძალიანდა, მაგრამ მერე დამნებდა. ლიკა სწორედ იმ დროს შემოვიდა, როცა ნინოს ვკოცნიდი. ვიფიქრე, დაგვტოვებდა ოთახში და თვითონ გავიდოდა, მაგრამ იდგა და გაშტერებული გვიყურებდა. რომ შევხედე, მის თვალებში საშინელი რისხვა დავინახე, ნინოს მკლავში ხელი წაავლო და — ახლავე გაეთრიე აქედანო! — დაუყვირა. ჩემდა გასაკვირად, ნინო უსიტყვოდ დაემორჩილა, აიკრა გუდა-ნაბადი და წავიდა. ახლა კარგად მომისმინე! — მომიბრუნდა ლიკა. — ეგ ქალი ჩემია და მეორედ მასთან მიკარება აღარ გაბედოო! — მითხრა. პირი დავაღე. რას მიყურებ, დებილივით? ვერ გაიგე, რა გითხარიო? — ეს როგორ? შენ რა?.. შენ... — ვლუღლუღებდი გაოცებული. — ჰო, მე მიყვარს ნინო, მასაც ვუყვარვარ და უფლებას არ მოგცემ, ჩვენ შორის ჩადგეო, — მიპასუხა. კარგა ხანი დამჭირდა გონზე მოსასვლელად და იმის გასაცნობიერებლად, რომ შეყვარებული, ქალმა დამაწერა; აი, არასასურველი სიტუაციაც ასეთი უნდა! ხომ მეთანხმებით?.. რაღა თქმა უნდა, მე და ნინო ერთმანეთს დავშორდით. მე და ლიკა კი, კვლავ ვმეგობრობთ და ახლა ქალებშიც ერთად დავდივართ ხოლმე...“

„სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა“, — გვახსენებს ერთი ქართული სიმღერა. ალბათ, მართლაც ასეა. ამის დადასტურება მომდევნო რესპონდენტის მესიჯი გახლავთ.

„მინდოდა, ბედნიერება მიმენიჭებინა“

„ახალგაზრდა, სიმპათიური, რომ იტყვიან, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული მამაკაცი ვარ. ზოგი მთელი ცხოვრება წვალობს, რომ რაღაცას მიაღწიოს, მე კი ჩანაფიქრი სისრულეში ისე სწრაფად მომყავს, ბოლომდე გაფიქრებასაც რომ ვერ ვასწრებ ხოლმე. ერთი სიტყვით, ყველაფერში მაგრად მიმართლებს. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს სხვების დახმარება. ნებისმიერ დროს მზად ვარ, მეგობრებსა თუ უცხო ადამიანებს ცოტათი მაინც შევუმსუბუქო მდგომარეობა. ერთხელ მეგობარმა მთხოვა — ჩემს ცოლისდას დაეხმარე, იქნებ, სამსახური აშოვნინო, თორემ, უკვე 2 წელია, ქმარს გაეყარა და ძალზე უჭირს ოჯახის რჩენაო. გულთან ახლოს მივიტანე მეგობრის თხოვნა, სამსახური ვუშოვე და მეგობარს შევატყობინე. რამდენიმე დღის შემდეგ, ნია ახალ სამსახურში თავად მივიყვანე. შეხვედრისას დაწვრილებით გამოვკითხე თავისი ამბები. თურმე, ქმარს სხვა ქალის გამო მიუტოვებია და მისკენ გახედვაც აღარ უნდოდა. მთელი 8 წელი ტანჯვა-წამებაში ამყოფებდა თურმე ცოლშვილს. როგორც მივხვდი, ცოლს სცემდა კიდეც. ნახევრად მშიერ-მწყურვალ ოჯახს ყურადღებას არ აქცევდა... ნია თვალცრემლიანი მიამბობდა საკუთარ თავგადასავალს, თან კარგა შელახული მაისურის გულისპირს ხშირად ისწორებდა ხელით... ისე, კარგი კაცი ამ ქალისგან მაგარ „ნაშას“ დააყენებდა-მეთქი, — გავიფიქრე, როდესაც მის ლამაზ, მაგრამ მოუვლელ სახეს შევავლე თვალი. დავიწყე მასზე ზრუნვა. ჯერ თმა შევაჭრევინე და შევაღებვინე, მერე — მანიკიური და პედიკიური გავაკეთებინე, ტანისამოსი ვუყიდე, კოსმეტიკის გამოყენება ვასწავლე, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე სიარული და კარგი მანერებიც ავათვისებინე, ძვირად ღირებულ საჩუქრებს ვუძღვნიდი და ფულსაც ვაძლევდი, რომ ბავშვისთვის რაც უნდოდა, შეეძინა. შემდეგ მის საცხოვრებელსაც მივხედე: რემონტი გავუკეთე და ავეჯი შევუძინე. სანაცვლოდ მისგან არაფერს ვითხოვდი. ჩემი მიზანი ის იყო, რომ ერთი უბედური ადამიანისთვის ბედნიერება მიმენიჭებინა. ვხვდებოდი, რომ ნია ძალზე უხერხულად გრძნობდა თავს. ცდილობდა, რამით ესიამოვნებინა ჩემთვის. მის ყველა სურვილს უსიტყვოდ ვასრულებდი. თეატრსა და კინოში ერთად დავდიოდით. თითქმის ყველა ადამიანი გავაცანი, ვინც ჩემ გარშემო ტრიალებდა. მისთვის ჯადოქარივით ვიყავი. თვითონ ამბობდა ხოლმე — რაზეც ქმართან ოცნებასაც კი ვერ მეგონა, დღეს ყველაფერი მაქვსო. მეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ნია სიყვარულში გამომიტყდებოდა. მე მასზე ყურებამდე გახლდით შეყვარებული, მაგრამ ფიზიკურ სიახლოვეს ვერიდებოდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველივე ამის შემდეგ, ნიას ჩემ მიმართ გრძნობა გაუჩნდებოდა, შემდეგ დავქორწინდებოდით და ერთად გავზრდიდით მის და ჩვენს საერთო შვილებს... ერთ საღამოს, მასთან სტუმრად მივედი და გვიანობამდე შევრჩი. შინ წასვლა რომ დავაპირე, ნიამ შემომთავაზა — დარჩიო და თავი მკერდზე დამადო. მოვეხვიე და ვკითხე — გიყვარვარ-მეთქი? უეცრად ისეთი ტირილი აუვარდა, ლამის ჭკუიდან შევიშალე. ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა, რომ თურმე, მე არ ვუყვარდი, თავისი პირველი ქმარი ვერ დაევიწყებინა და ისევ ის უყვარდა, ჩემთან კი იმიტომ უნდოდა დაწოლა, რომ დავალებული იყო და თავს უხერხულად გრძნობდა... გამოდიოდა, რომ ჩემი სიკეთის საფასურს, საკუთარი სხეულით გადამიხდიდა... მე სიყვარული მჭირდება, სექსი კი არა-მეთქი, — ვუთხარი და წამოვედი. მასთან ურთიერთობას ჩვეულებრივად ვაგრძელებდი. ველოდი, როდის დადგებოდა ის დრო, როცა მისგანაც იმავეს ვიგრძნობდი, რასაც ის — ჩემგან. არასასურველი სიტუაცია თურმე, ჯერ კიდევ წინ მელოდა — ერთ დღეს გავიგე, რომ თავის პირველ ქმარს ჩუმ-ჩუმად ხვდებოდა. ეს ჩემთვის შოკის მომგვრელი იყო. როდესაც ვკითხე, მართალი იყო თუ არა, დამიდასტურა. არაფერში მჭირდება შენი ჯადოსნური ჯოხი, მე კაცი მჭირდება და სექსი მინდა, თანაც — ჩემი ქმარი ყველას მირჩევნიაო... ვფიქრობ, „კომენტარი ზედმეტია“.

ადამიანები პრობლემებს სხვადასხვა ხერხით წყვეტენ: ზოგი მეგობარს სთხოვს დახმარებას, ზოგი — ნათესავს, ზოგიც ამ დროს, „სასწრაფოს“ იძახებს...

ვისაც კაცი უნდა, ცივი შხაპი მიიღოს...

„გამარჯობა. მე პენსიონერი ექიმი ვარ. ახლა უკვე აღარ ვმუშაობ, მაგრამ მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ ჩემი პროფესიონალური პრაქტიკიდან. მაშინ „სასწრაფო დახმარების“ მანქანაზე ვმუშაობდი. გვიან ღამით გამოძახება მივიღეთ. მითითებულ მისამართზე მივედით. სადარბაზოსთან დაგვხვდა ასე, 40-45 წლის ქალბატონი. მესამე სართულზე აგვიყვანა. ბინაში მის გარდა, არავინ გახლდათ. „ავადმყოფი სად არის?“ – ვიკითხეთ ერთდროულად მე და ჩემმა ექთანმა – ავადმყოფი მე ვარო, – გვიპასუხა. გაოცებულებმა შევხედეთ. მოულოდნელად ჩურჩულზე გადავიდა – ექიმო, კაცი მინდა და იქნებ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცეო? გადავირიე. მერე ავდექი და რჩევა-დარიგებები მივეცი: ცივი შხაპი მიიღეთ, ფეხები ცივ წყალში ჩაყარეთ-მეთქი, – თან დამამშვიდებელი წამლის 2 აბიც დავალევინე. მე და ექთანი სიცილ-სიცილით ჩავდიოდით კიბეზე. მანქანაში რომ ჩავსხედით, მძღოლმა მკითხა – რატომ იცინითო? აი, ამის შემდეგ, მართლა არასასურველ სიტუაციაში აღმოვჩნდი: როდესაც მოვუყევი, რაც მოხდა, მძღოლმა სულ დედა მაგინა: შე ასეთო და ისეთო, შენ თუ კაცი არ ხარ, მე ხომ ვარ ნამდვილი ვაჟკაცი, გეთქვა ჩემთვის იმ ქალის გასაჭირის შესახებ და მე „ვუმკურნალებდიო“!.. რა უნდა მეთქვა? მართალი იყო ის კაცი.“

„აღარ მეკითხები, მინდა თუ არა შენი ცოლობა“?

„...დიდი ხანია, თვალს ვადევნებ თქვენს რუბრიკას, მაგრამ თქვენთვის მესიჯი არასოდეს გამომიგზავნია. ვფიქრობდი, 40-ს გადაცილებულ კაცს არ შეეფერებოდა პატარა ბიჭივით მოქცევა, თუმცა, ალბათ არასოდეს არ უნდა თქვა „არასოდეს“. როცა წინა ნომერში გამოცხადდა თემა – „არასასურველ სიტუაციაში აღმოვჩნდი“ – გადავწყვიტე, მკითხველისთვის მომეთხრო ჩემი ამბავი. მტკიცე ნებისყოფის ვიყავი, მაგრამ რაღაც მომენტში ისე დავიბენი, აღარ ვიცი, რა გზას დავადგე. 18 წლის წინ უსაზღვროდ შემიყვარდა ერთი გოგონა. მართალია, იგი ცოლობას არ დამპირებია, მაგრამ რახან ჩემთან სეირნობასა და კაფეში დაპატიჟებაზე უარს არ მეუბნებოდა, მიმაჩნდა, რომ ჩემ მიმართ გრძნობა ჰქონდა. იმ პერიოდში უბედნიერეს კაცად ვთვლიდი თავს. ჯარში წასვლა მიწევდა, ამიტომ მანანას ვუთხარი, სამხედრო სამსახურს მოვილევ თუ არა, მაშინვე ცოლად მოგიყვანმეთქი. ტუჩაბზუებულმა მითხრა – მე აღარ მეკითხები, მინდა თუ არა შენი ცოლობაო?.. ერთი სიტყვით, ზურგი შემაქცია და სათოფეზეც აღარ მიკარებდა. ვერ გამეგო, რა ბზიკმა უკბინა. მეგობრებმა დამამშვიდეს – ნუ გეშინია, ჩვენ „ვიმუშავებთ“ მაგასთან და როცა ჯარიდან დაბრუნდები, სანთელივით დამყოლ ქალს დაგახვედრებთო. მეც ცოტა დავმშვიდდი და წავედი. ჯარში ყოფნისას კი, გამაგებინეს, რომ მანანა გათხოვდა. ძალიან გავმწარდი, ჩემს ცოდვასაც გაგიმხელთ – თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობდი... ჯარიდან დაბრუნებულმა, რამდენიმე ხნის შემდეგ, ახლობლების ჩიჩინით ცოლი მოვიყვანე, ისიც იმიტომ, რომ საცოლე ჩემს მანანას მივამსგავსე... თითქოს ავაწყვეთ ურთიერთობა, შვილებიც შეგვეძინა. შეგნებულად აღარ ვფიქრობდი ძველ სიყვარულზე, რომ როგორმე საბოლოოდ დამევიწყებინა, მაგრამ ... ამ 3 წლის წინ, შემთხვევით შემხვდა ქუჩაში, ვერ შევძელი ცივად გვერდით ჩავლა და რაღაც დოზით ჩვენი ურთიერთობა აღდგა. განა, არ ვიცოდი, რომ აღარაფერი გამოგვივიდოდა, მაგრამ მაინც პატარა ბიჭივით ავვარდი. შინ ვიყავი თუ გარეთ, სამსახურში თუ სტუმრად, სულ მუდამ მანანაზე ვფიქრობდი, ოცნებაში წარმოვიდგენდი, რომ ის იყო ჩემი ცოლი და ჩემი შვილების დედა, მეშინოდა, ცოლისთვის მისი სახელით არ მიმემართა... მე და მანანა იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს საერთო მეგობართა წრეში და იმ წუთებში უბედნიერესი ვიყავი. ისევ ძველებურად, უფრო მეტადაც კი მიყვარდა. ერთხელ გავუგზავნე მესიჯი, სადაც მივწერე: ჩემთვის ევერესტი ხარ, ვერ ამოგიგდე გულიდან, ვნანობ, რომ არ მოგიტაცე, ჩემი თავი მეზიზღება, რომ დავუშვი, სხვისი ცოლი გამხდარიყავი და ახლაც სუსტი ვარ, ვერაფერს რომ ვერ ვცვლიმეთქი. მიპასუხა: არ უნდა გაქცეულიყავი „რუსის ჯარში“, უნდა გებრძოლა შენი ბედნიერებისთვისო... ამან მთლად ჭკუიდან გადამიყვანა. ე.ი. მანანაც ფიქრობდა, რომ არა ჩემი ხელის ჩაქნევა, შეიძლებოდა, ერთად ვყოფილიყავით... ეს მესიჯები (სამწუხაროდ, წაშლა დამავიწყდა) ჩემმა ცოლმა წაიკითხა და ერთი ამბავი ამიტეხა. მართლაც, არასასურველ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ვცადე, თავი მემართლებინა. მაგრამ კარგა ხანს ვერა და ვერ დავაწყნარე ცოლი. იმ წუთებშიც შემეზიზღა ჩემი თავი, რადგან მივხვდი: მანანას იმედი არ მქონდა (რომ ჩემი ცოლი გახდებოდა), ამიტომაც ათასნაირ ტყუილს ვიგონებდი, რომ ცოლი დამეწყნარებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახს ისე დავანგრევდი, არც დავფიქრდებოდი. გამოდის, რომ მხდალი ვარ და რაც უკვე მაქვს, იმის დაკარგვა არ მინდა, ანუ საკუთარი ბედნიერებისთვის ბრძოლა არც ახლა შემიძლია. ცოლი მიყვარს-მეთქი, ვერ მოგატყუებთ, თუმცა ცოლ-შვილისადმი მოვალეობის გრძნობა გადამწყვეტ ნაბიჯს ვერ მადგმევინებს... ნამდვილად არასასურველ სიტუაციაში ვიმყოფები დღემდე და სწორი გზა ვერა და ვერ მიპოვია...“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„პროტივზე“ არასოდეს მივლია...“

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ჩემმა „ტურფამ“ ცოლი მოიყვანა და შემდეგ შვილიც შეეძინა. ჩვენ ერთმანეთს მაინც არ ვშორდებით. ახლა ისევ არასასურველ სიტუაციაში ვარ, რადგან მეც დავფეხმძიმდი, ჩემი შეყვარებული კი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი კარგადაა. მეც ვერაფერს ვუმხელ. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა“.

„სკოლის მოსწავლე ვარ. მეექვსე კლასი ხუთებზე დავამთავრე. „ყველაზე ჭკვიანის“ ფინალშიც გავედი. ერთხელ მასწავლებელმა მითხრა: კლასში ერთადერთი ხუთოსანი ხარ, ხვალ გამოგიძახებ და ბავშვებს უჩვენე, როგორ უნდა სწავლაო. მე კიდევ, სპეციალურად არ ვისწავლე. მეორე დღეს მაგრად შევრცხვი. ანა“.

„ერთხელ ჩემმა შეყვარებულმა სახლში თავისი საყვარელი ამოიყვანა. აღარ ვიცოდი, მეტირა თუ მეცინა. გუჯა, ვერ გაპატიებ, მაგრამ მაინც მიყვარხარ“.

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა დაქალმა შეყვარებული „ამახია.“ ძალიან მაგარი შეყვარებული მყავდა. მთელი 2 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. ჩემი დაქალი ხელს გვიწყობდა, გვეხმარებოდა... მეორე დაქალმა მითხრა მათი სიყვარულის შესახებ. „ის“ თურმე, ნიკას ურეკავდა და სიყვარულს უხსნიდა. ბიჭსაც მეტი რა უნდოდა? ადგა და დათანხმდა. ვიცი, მას ისევ მე ვუყვარვარ. ერთმანეთს შორიდან ვუყურებთ ხოლმე. იმ გოგომ ის კი არ იცის, რომ ნიკა მალე მე გამომეტირება და ბარიბარში ვიქნებით. ანა“.

„დედამთილი სულ მეჩხუბებოდა, ქმარი კი ჩემს მხარეზე იყო. ყოველი დღე ტირილსა და ნერვიულობაში გადიოდა. 7 თვის შემდეგ ნაადრევად ვიმშობიარე. ბიჭუნამ მხოლოდ 4 დღე იცოცხლა. ამის შემდეგ, ჩემი ქმარი დედის მხარეზე გადავიდა და ორივე ჩემს წინააღმდეგ არის მომართული... ია“.

„არასასურველ სიტუაციაში 3 დღის წინ აღმოვჩნდი, ძმაკაცთან ერთად. ორივე, ალალ-მართლები ვიყავით, მაგრამ ორმოცმა კაცმა ისე გვუეჯა, რომ სამჯერ

გავითიშე. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ პატრულმა ჩვენ დაგვიჭირა. მე გამოვიქეცი, მაგრამ მეგობარი მთელი ღამე განყოფილებაში აყურყუტეს. ბესო, როგორ ხარ, ჯიგარო?.. ამის შემდეგ კონცერტზე „კასკები“ და რკინის მობილურები წავიღოთ, „ხარაშო“? გიო, თელავი“.

„ალბათ გახსოვთ ჩემი ადრინდელი გზავნილი, სადაც ვამბობდი, რომ გიოს პირველი კოცნა ვაჩუქე, ის კი გერმანიაში მიდის-მეთქი... ახლა გეტყვით, რომ ყველაფერი სიცრუე ყოფილა. ის თურმე, ძველ საყვარელს შეხვედრია და ახლა მომწერა – მე არავის არაფერს შევპირებივარო. არადა, სიყვარულს მეფიცებოდა. წარმოგიდგენიათ? ცუდ სიტუაციაში ვარ, აბა, რა! ნანო“.

„შესაძლოა, მეჩვენება, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ მძიმე ცხოვრება მაქვს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენები ძალზე მაფიქრებს. ჩემი თანაკლასელი ბიჭი სიცოცხლეს მიმწარებს. ცდილობს, დამამციროს და ხან რა სისაძაგლეს მეძახის, ხან – რას. მის გამო ხშირად ჩავვარდნილვარ არასასიამოვნო კი არა, საშინელ სიტუაციაში. იცით, რამდენჯერ მიტირია ცხარე ცრემლით?.. არადა, მგონი, ვუყვარვარ. მაშ, რატომ იქცევა ასე?.. მე კი მის მიმართ ხან სიყვარულს ვგრძნობ, ხან კი უზომოდ მეზიზღება. ანა“.

„ერთი რამ უნდა გავანდო „გზავნილებს“: საკუთარმა ნათესავმა, დეიდაშვილის შვილმა, 18 წლის ლაწირაკმა გოგომ ჯერ სიყვარული ამიხსნა, მერე მითხრა – უიმე – რაებს ვბოდავ, რა სიყვარული ამიტყდა, შენთან მხოლოდ ერთხელ დაწოლა მსურსო... თან გამაფრთხილა – არც პირველი ხარ და არც ბოლო იქნებიო... არასასურველი სიტუაცია კი არა, 2 წელია, შოკიდან ვერ გამოვსულვარ... ზაზა“.

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ზღვაზე ლიფი გამძვრა. მე რომ შევნიშნე, უკვე გვიანი იყო: მთელი პლაჟი მე მიყურებდა.. ქეთი“.

„ერთი ბიჭი უზომოდ მომწონდა. ყოველდღე ვუმესიჯებდი. რატომღაც იფიქრა, რომ ვაშაყირებდი, ან ისეთი „ლენჩავიკა“ იყო, რომ ვერაფერს მიხვდა. იურისტები ვართ. ერთმანეთთან ყოველდღიური, საქმიანი ურთიერთობა გვიწევს. ახლა თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობ, რომ მე ასეთი სულელი აღმოვჩნდი, ის კი – ასეთი ჩოჩორი“.

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ჩემს დაქალთან სტუმრად ვიყავი და მისმა „ტურფამ“ მოაკითხა... როცა მან კარზე დააკაკუნა, დაქალმა ის ოთახში არ შემოიყვანა და იქვე შემოსასვლელში ჩამოსხდნენ. გიორგობა დღე იყო, დენი არ გვქონდა. სანთელი თან წაიღო, მე კი სიბნელეში დავრჩი. კავალერი ნასვამი გახლდათ. ცოტა ხანში, ისეთი საალერსო სიტყვები და კოცნის ხმა შემომესმა, რომ გავშეშდი. ყურებზე ხელები ავიფარე და ვინატრე – ნეტავ, ამ ოთახის ფანჯარას ცოტათი დიდი „ფორთოჩკა“ ჰქონდეს-მეთქი... ბოლომდე პირნათლად „გამოვიყენე დუმილის უფლება“... იმ ტიპმა დღესაც არ იცის, რომ მე იქ ვიყავი და მათი ალერსის მომსწრე გავხდი. ღამის სანთლის დაჭერამაც მომიწია... აი, ასეთი ამბებიც ხდება, ჰორაციო!“

„არასასურველ სიტუაციაში აღმოვჩნდი, როცა მივხვდი, რომ ჩემი შეყვარებული აღარ მიყვარდა. ვერ შევძელი, მისთვის ეს ამბავი გამემხილა, რადგან ძალზე მეცოდებოდა. ზიზღით ვთამაშობდი შეყვარებული ადამიანის როლს... მერე გამოჩნდა სხვა ადამიანი, რომელსაც გავუმხილე ჩემი გასაჭირი. ის მარწმუნებდა, რომ ჯობდა, სიმართლე მეთქვა. ამასობაში ეს, მეორე შემიყვარდა, მაგრამ ვერც მას ვუბედავ ამის გამხელას. „პატარა“.

„ჩემმა დაქალმა გადაწყვიტა, ბებიამისი შეეშინებინა, რადგან ის შინიდან არ უშვებდა. აი, სწორედ მაშინ აღმოჩნდა ბებო არასასურველ სიტუაციაში. ნინომ პირში წითელი ღვინო ჩაიგუბა, კიბის ქვეშ დაწვა და წითელი სითხე ნელ-ნელა გადმოუშვა... ხომ წარმოგიდგენიათ, ბებიამისი რა დღეში ჩავარდებოდა?!. ქალს ეგონა, რომ ნინო კიბიდან დაგორდა, თავი ძირს დაარტყა და კვდებოდა... თამუნა“.

„მარი, დაგიჩოქებ, ოღონდ, ეს მესიჯი სადმე „ჩამიკვეხე“... ერთ ბიჭზე ჭკუა მეკეტებოდა, ისე მიყვარდა, ოღონდ – მეგობრულად. საერთოდ, თბილი ადამიანი ვარ და მასაც სულ „სიხარულოს“ ვეძახდი. ის „ძველი ბიჭია“. მისი ძმაკაცის ძმაკაცი კი, ჩემი შეყვარებული გახლდათ. ჰოდა, ამ ბიჭს, ამდენი „სიხარულოს“ ძახილში თურმე, შევუყვარდი... ერთ დღეს, შეყვარებულთან ერთად ვჭუკჭუკებდი, ამან კიდევ დამიძახა, გვერდზე გამიყვანა და სულ „ქურდული ბაზარით“ გამირჩია საქმე: „ეგოო, შენ როგორ იქცევი, ხომ იცი, რომ ეგ ბიჭი ჩემი „ჩერეზ“ ძმაკაცია, რა გინდა, ძმაო, ერთმანეთი უნდა მოგვაკვლევინო?!. შენი გულისთვის ყველა გოგოს „დავადე“ და თუ არ გიყვარდი, „სიხარულოს“ რაღატომ მეძახდი? ცალმხრივი „დვიჟენია“ არ მიყვარს, იცოდე. ვახ, ჩემი, ეს რა მიქენი, ბავშვო! (მე 18 წლის ვარ, ის – 25-ის)! „პროტივზე“ არასოდეს გამივლია, შენ კი ჭკუიდან უნდა გადამიყვანო?!.“ შემეცოდა ჩემ მიერ უნებლიეთ მოტყუებული ბიჭი და შეყვარებულს „დავადე“. აი, რა არასასურველ სიტუაციაში ჩამაგდო ჩემმა თბილმა ბუნებამ... „ტუპიაჩკა“.

„იცით, დღეს რა დამემართა? დიდი ამბით გოგოს „ვეპრანჭებოდი“ და ღვინით სავსე ბოთლებით არ შევეფეთე „სასიდედრუნიას“?! როგორი სიტუაციაა? პუსიკა, მიყვარხარ“.

„ტელეფონით გავიცანი ერთი ბიჭო, რომელიც სულ მეუბნებოდა – ძალზე მაგარი გარეგნობა მაქვსო. შემთხვევით შევხვდი და... რატომ მატყუებდა? ძალზე ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი. მასთან შეხვედრაზე ვოცნებობდი, მაგრამ... ჩემ მიერ აგებული კოშკების დანგრევა მომიწევს“.

„5 თვის წინ ერთი კაცი გავიცანი. ის თბილისელია, მე – ბათუმელი. მხოლოდ მობილურით მეკონტაქტება, მაგრამ მეუბნება – მიყვარხარო. მე კი ქმარი და ორი შვილი მყავს. ქმარი ყველა ჩემს სურვილს ასრულებს. ის უცნობი ხმა კი ძალზე მაშინებს. თუ ამ ჟურნალს წაიკითხავს და თავის თავს ამოიცნობს, მინდა ვუთხრა, რომ დამივიწყოს. ირინა“.

„ტელეფონით გავიცანი საბა და ძალზე შემიყვარდა. მისთვის ყველაფერზე წავიდოდი. ერთ დღეს შემომჩივლა, რომ რაღაც გასაჭირი ადგას და ფული სჭირდება. ავდექი და რაც მებადა, ყველა ძვირფასი სამკაული მივეცი. აღმოჩნდა, რომ ფლიდი და მატყუარა ყოფილა. სიყვარულთან ერთად ძვირფასეულობაც დავკარგე. აი, ასე აღმოვჩნდი არასასურველ სიტუაციაში“.

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ტელეფონით გაცნობილ ბიჭს შევხვდი და „ყურშა“ აღმოჩნდა. არადა, ალენ დელონი მეგონა“...

დღეს გზავნილებს ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – მისი წყევლა ამიხდა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ნდობის ტელეფონი

822-009-099

ზარი ფასიანია.
18 წლიდან

ვის ეკუთვნის ბორჯღალი, რა მიმართულებით უნდა იყურებოდეს წმინდა გიორგი და რა ზომის იქნება ერთიანი მონეტა

ცოტა ხნის წინ, დიდი დისკუსიისა და განსჯის შემდეგ მიღებულმა საქართველოს გერბმა ივნისში მცირედი სახეცვლილება განიცადა. ვაზი, რომელიც გერბის ქვედა ნაწილში იყო მოთავსებული, ბაფთით შეიცვალა, რაც ჰერალდიკაში ვაზის ნიშანია და მასზე ქართული დროშის ორნამენტები მოთავსდა. ამგვარად, გერბზე დროშის გამოსახულება გაჩნდა. თუ რით იყო გამოწვეული ეს ცვლილებები, ამის გასარკვევად საქართველოს გერბის ავტორს, ჰერალდიკოს მამუკა გონგაძეს მივმართეთ. ბატონი მამუკა 1994 წლიდან არის კომისიის წევრი. როგორც თავად აღნიშნავს, ადრე ეს კომისია 300 კაცისგან შედგებოდა და არანაირი საქმე არ კეთდებოდა. ახლა მის შემადგენლობაში 10 ადამიანია, მათ შორის, ისტორიკოსები, მხატვრები და ამ საქმის სპეციალისტები. ამჟამად კომისია გერბის მოცულობითი ანუ ბარელიეფური ვარიანტის დამზადებაზე მუშაობს.

ნათია თენიეშვილი

— თავდაპირველად გაკეთდა გერბის კომპიუტერული ვერსია. საჭირო იყო მისი ხელით დახატვა. ჩვენ ამის გამოცდილება უკანასკნელი 250 წელია, არ გვაქვს. რჩევისთვის გავემგზავრე ინგლისში, იქ ჰერალდიკა ცოცხალი დარგია. მსოფლიოში ცნობილი გერბების მხატვრის — ფერგიუსონის სახელოსნოში დავიწყე მუშაობა. რაღაც-რაღაცები მირჩიეს. ყველაზე მნიშვნელოვანი, იდეური ცვლილება არის ის, რომ დროშა გაჩნდა გერბზე.

— ადრე ყოფილა ასეთი რამ ქართულ გერბზე?

— არა, ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როცა გერბზე ფიქსირდება დროშა. ვაზის გამოსახულება შეიცვალა ბაფთით. ეს სადევიზე ბაფთაა. დიდი მნიშვნელობა ამას არა აქვს, მაგრამ მგონი, კომპოზიციამაც და გერბმაც ამით მოიგო. ამის მეტი, ბევრი არაფერი შეცვლილა. სუფთა მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით დაიხვეწა გერბი. დროთა განმავლობაში, ქვეყანა განვითარდება და გერბიც შესაბამისად შეიცვლება.

— გერბი მიღებული და დამტკიცებულია. დღეს რაზე მუშაობს ჰერალდიკური კომისია?

— ჰერალდიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხედრო საქმესთან. ვმუშაობთ როგორც საჯარისო ნაწილების განმასხვავებელ ნიშნებზე, ასევე ყველა იმ დეტალზე, სადაც შესაძლებელია, გამოსახული იყოს ჰერალდიკური ნიშანი. მაგალითად, ავიღოთ პასპორტი, რომელიც სამგზავრო დოკუმენტს წარმოადგენს, მაგრამ სად და როგორ იქნება მასზე გერბი გამოსახული, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მასში რაიმე ისეთი დეტალი არ შევიდეს, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელია. გარდა ამისა, ჩვენი საქმეა ტერიტორიული და ადმინისტრაციული წარმონაქმნების ჰერალდიკური ნიშნების განსაზღვრა. ჯერ არ არის მიღებული კანონი ტერიტორიული მოწყობის შესახებ, მაგრამ ქვეყანა რომ მოეწყობა და საბოლოოდ დალაგდება, ყველა რაიონს და მხარეს, წესით და რიგით, უნდა ჰქონდეს თავისი ჰერალდიკური ნიშანი. ევროპაში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამ თემაზეც ვმუშაობთ. აჭარის გერბთან დაკავშირებით კომისიის 5 სხდომა გაიმართა, ძალიან ბევრი ვარიანტია. ისტორიულად არსებობს დოკუმენტები იმისა, თუ როგორი გერბი ჰქონდა აჭარას.

— როგორც ვიცი, 50-თეთრიანი მონეტაც იცვლება და ამაზეც თქვენ მუშაობთ.

— კი, მე გავაკეთე 50-თეთრიანის ახალი ვარიანტი. ეროვნულმა ბანკმა გამოაცხადა კონკურსი და მივიღე მონაწილეობა. ახლანდელი 50-თეთრიანი საკმაოდ პატარა ზომისაა და ეს ბევრ უხერხულობას ქმნის. ახალი მონეტა იქნება ზომით უფრო დიდი — 24 მილიმეტრი დიამეტრის, ვერცხლისფერი, ძალზე სადა, მის უკანა მხარეს კი გამოსახული იქნება გერბი. დღეს ფულსა და პასპორტზეც ბორჯღალია გამოსახული. ის მზის სიმბოლოა. რატომღაც ქართულს ეძახიან, მაგრამ ესპანეთიდან — ჩინეთამდე ყველა ერს აქვს ბორჯღალის სხვადასხვანაირი გამოსახულება. ფაქტობრივად, ის არაოფიციალური გერბი იყო. სამწუხაროა, რომ გერბი გვქონდა და პასპორტზე, ფულის ნიშნებსა და მსგავს რაღაცებზე ბორჯღალს ახატავდნენ. ჩემი აზრით, წინ გადადგმული ნაბიჯია ის, რომ ქვეყანას აქვს გერბი და ის უნდა დაფიქსირდეს ფულზე. ლაპარაკია იმაზეც, რომ მეტალის ერთ და ორლარიანებიც შემოვ-

თვითონ ეკლესიას ჰქონდა ასეთი გამოსახულების მქონე წმინდა გიორგი. უამრავი ქართული ხატი არსებობს, რომელზეც წმინდა გიორგი ამ მიმართულებით იყურება...

იდეს ხმარებაში. ამაზე დაკვეთა მივიღე და ვმუშაობ, ესკიზები მაქვს გაკეთებული.

— ის ფული, რომელიც დღეს არის ბრუნვაში, ჰერალდიკური თვალსაზრისით რამდენად გამართულია? კიდევ რა ნაკლი აქვს, თქვენ მიერ უკვე დასახელებულის გარდა?

– სისტემატიზაცია აკლია. გვერდიგვერდ რომ დააწყო და მოუშალო წარწერა იმის შესახებ, რომ ეს ქართული ფულია, ძნელად დააკავშირებ ერთმანეთთან, შეიძლება, სხვადასხვა ქვეყნის ფულის ნიშნები გეგონოს. დოლარს და ევროს რომ დააკვირდე – ერთ ოჯახს, ერთ სისტემას წარმოადგენს. ჩვენს ფულს შორიდან რომ შეხედავ, ფერით უნდა მიხვდე, თუ რა ფულია, მაგრამ ეს არ არის დიდი ტრაგედია. ქვეყანა ვითარდება და ეს სფეროც განვითარდება. ხარისხი კი, როგორც ვიცი, ძალიან მაღალია.

— ლარიანი და ორლარიანი ალბათ, ზომით უფრო დიდი იქნება, ვიდრე 50-თეთრიანი, არა?

– ისინი დაახლოებით 27 მილიმეტრი დიამეტრის იქნება. იმდენად დიდი არ იქნება, რამდენადაც მძიმე. როგორც ვხვდები და ეროვნული ბანკის მესვეურებმა თვითონაც მითხრეს, ამ პროექტის ძირითადი მიზეზი – ეკონომიაა: ლარიანი და ორლარიანები ყველაზე მეტად მოძრავი კუპიურებია, ამის გამო იოლად ცვდება. მონეტა ამ პრობლემას აგვაცილებს თავიდან.

— როგორც ვიცი, თქვენ მიერ შექმნილი გერბის მიმართ ერთ-ერთ პრეტენზიად იმას ასახელებენ, რომ მასზე გამოსახული წმინდა გიორგი არამართლმადიდებლური ფიგურაა...

– ისეთ რაღაცებს წერს ზოგი პრესაში, შეიძლება, გაგიჟდე. ამბობენ, რომ ეს არის ანტიმართლმადიდებლური წმინდა გიორგი, მასონური და ა.შ.

— შექმნის პროცესში ეკლესიასთან თუ თანამშრომლობდით?

– ჩვენ ვართ საერო სახელმწიფო, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ეკლესიასთან შეთანხმებულია. თვითონ ეკლესიას ჰქონდა ასეთი გამოსახულების მქონე წმინდა გიორგი. უამრავი ქართული ხატი არსებობს, რომელზეც წმინდა გიორგი ამ მიმართულებით იყურება... ისიც წავიკითხე ერთ გაზეთში – რატომ უჭირავს წმინდა გიორგის შუბი მარცხენა ხელშიო? ელემენტარული მხედველობა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ დაინახოს – გერბზე წმინდა გიორგის მარჯვენა ხელში უჭირავს შუბი. თავისი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ უნდა ნახონ – ვახუშტი ბაგრატიონს რაც აქვს მოთავსებული, „საქართველოს გეოგრაფიაში“, ზუსტად ის გერბი გვაქვს ახლა ჩვენ. უბრალოდ, ამას წაკითხვა და დანახვა უნდა. ■

7 კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა ვიცოდეთ

1 რა არის ვაგინალური კანდიდოზი?

საშოს სოკოვანი ინფექცია ცნობილია ვაგინალური კანდიდოზის სახელით, მას ზოგჯერ რძიანასაც უწოდებენ. ამ დაავადების გამომწვევია მიკროსკოპული სოკო – Candida albicans. სოკო-კანდიდა საშოს ლორწოვანში, საჭმლის მომნელებელ ტრაქტსა და პირის ღრუში ჩვეულებრივ ბინადრობს; მაგრამ ზოგჯერ კანდიდა გამრავლებას იწყებს და ვაგინალური კანდიდოზის მიზეზი ხდება.

2 რა უწყობს ხელს ვაგინალური კანდიდოზის განვითარებას?

ორგანიზმის ჰორმონალური დისბალანსი (მაგ.: ორალური კონტრაცეპტივების დიდი ხნის მანძილზე გამოყენება), ორსულობა, შაქრიანი დიაბეტი, ხანგრძლივი ანტიბიოტიკოთერაპია ან ჰიგიენური პირობების დაუცველობა დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს. განსაკუთრებით ხშირია ვაგინალური კანდიდოზის გამწვავება გაზაფხულზე. სითბო, ტენი, გადახურება და ზამთარში დასუსტებული იმუნური სისტემა, „მიძინებული“ სოკოს გაღვიძებასა და გააქტიურებას უწყობს ხელს.

3 რა სიმპტომები ახასიათებს ვაგინალურ კანდიდოზს?

ვაგინალური კანდიდოზისთვის დამახასიათებელია ქავილი, სიწითლე საშოს არეში, ხაჭოსებრი თეთრი ფერის უსუნო გამონადენი. ზუსტი დიაგნოზის დადგენა ნაცხის ანალიზით ხდება.

4 როგორ უნდა მოვიქცეთ დაავადების დროს?

ვაგინალური კანდიდოზის დროს მოერიდეთ სქესობრივ კონტაქტს, არომატიზირებული საპნის, ქაფებისა და ინტიმური ზონის დეზოდორანტების გამოყენებას, აბაზანის მიღებას. იბანავეთ მხოლოდ შხაპის ქვეშ, ატარეთ ბამბის და არა სინთეტიკური ქვედა საცვალი, დიაბეტის დროს ყურადღება მიაქციეთ სისხლში შაქრის დონეს, და რაც მთავარია, გულდასმით შეასრულეთ ექიმის რჩევები.

5 არის თუ არა ვაგინალური კანდიდოზი განმეორებადი დაავადება და როგორ უნდა ვებრძოლოთ რეციდივს?

ხშირ შემთხვევაში ვაგინალურ კანდიდოზს რეციდივი ახასიათებს. მისი ხელშემწყობი პირობა „ტროპიკული მიკროკლიმატია“, ამიტომ უნდა ერიდოთ ზედმეტ ტენიანობასა და გადახურებას (ნუ შეიშრობთ ტანზე სველ საცურაო კოსტიუმს), დაიცავით ჰიგიენური ნორმები.

6 რითი განსხვავდება ვაგინალური კანდიდოზი ბაქტერიული ინფექციებისგან?

განსხვავება სიმპტომებშია. ბაქტერიული ინფექციის მაგ.: ბაქტერიული ვაგინიტის ან მეტად გავრცელებული ტრიქომონოზის დროს გამონადენი უფრო თხევადი და სუნიანია.

7 რომელი პრეპარატები გამოიყენება ვაგინალური კანდიდოზის სამკურნალოდ?

ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური საშუალება სისტემური მოქმედების ანტიმიკოზური პრეპარატებია. ქართული ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პი“ გთავაზობთ შვეიცარიულ ნედლეულზე დამზადებულ სისტემური მოქმედების ანტიმიკოზურ საშუალებას – **მიკოფლუ** (ფლუკონაზოლი). **მიკოფლუ** ინიშნება კვირაში ერთხელ 1 კაფსულა (150 მგ) 3-4 კვირის მანძილზე. ახასიათებს მაღალი აქტივობა სოკო-კანდიდას მიმართ, სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადების კლინიკურ გამოვლინებებზე და უზრუნველყოფს სოკოვანი დაავადებისაგან განკურნებას.

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

№R-0002525

მიკოფლუ®

აგარიდებთ პრობლემებს!

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის გამზ. 148/III

TÜV SÜD
საწარმო GMP ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს "ISO-9001-2000"

GMP
ჯი-ემ-პი

„რუსთავი 2“-ის დილის პროგრამის წამყვანი, მაგდა ანიკაშვილი ძალზე მხიარული და ენერგიული ადამიანი აღმოჩნდა. მისთვის საინფორმაციო-გასართობი გადაცემის წაყვანა დიდი სიამოვნებაა, მით უმეტეს, რომ ამაზე თურმე, ყოველთვის ოცნებობდა. ოღონდ, ერთი პრობლემა აწუხებს — დილით ადგომა უჭირს, რასაც დღემდე ვერა და ვერ შეეჩვია. იზიდავს დიდი სტუდიები და სურვილი აქვს, უფრო ტოქშოუს წამყვანის ამპლუა მოირგოს.

თავბრუდამხვევი ცემპი, ყძილი დილა და მწვრილის მიერ მიძღვნილი ისტორიული ალამი

ირინა უტარაშვილი

— ტელევიზიაში მუშაობაზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. სანამ „რუსთავი 2-ში“ დავიწყებდი მუშაობას, მე-9 არხზე მიმყავდა დილის გადაცემა, თან თეატრალურ ინსტიტუტში ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ჩემი ჟურნალისტური კარიერა სწორედ მე-9 არხიდან დაიწყო, სადაც ერთი წელი ვიმუშავე.

— როდის მოხვდი „რუსთავი 2-ში“ და რა კრიტერიუმებით შეგარჩიეს ტელეწამყვანად?

— როცა მე-9 არხი დაიხურა, მაშინვე გადავწყვიტე, რომ მომეძებნა ახალი სამსახური. სწორედ იმ პერიოდში, აქ დილის პროგრამისთვის წამყვანი სჭირდებოდათ. დამირეკეს და შემომთავაზეს ეს ადგილი. სხვა ტელეკომპანიებიდანაც იყო შემოთავაზებები, მაგრამ მე „რუსთავი 2-ზე“ შევაჩერე არჩევანი.

— როცა პირველად გახვედი ეთერში, ძალიან ნერვიულობდი?

— აქ სულ სხვა გარემოა და თავიდან, ძალიან ვღელავდი. გაცილებით დაძაბული რიტმია და პასუხისმგებლობაც გაცილებით მეტია. მე-9 არხზე უფრო ოჯახური გარემო გვქონდა, ყველანი ერთმანეთის ახლობლები ვიყავით. იმის გამო, რომ „რუსთავი 2“ სოლიდური კომპანიაა, აქ დიდი კონკურენციაა, თანამშრომლები ერთმანეთის მიმართაც ძალზე მომთხოვნები ვართ. ჩვენთან გამორიცხულია, თქვა — ვერ გავაკეთე და რა მოხდაო?! უნდა იყო საუკეთესო...

— რამდენად მკაცრი ხელმძღვანელობაა, მე-9 არხთან შედარებით?

— იმდენად მკაცრი — არა, რამდენადაც მომთხოვნი, რასაც მე პირადად მივესალმები. მუშაობა უფრო დინამიკურია, ყველაფერი ბევრად უფრო სწრაფად ხდება, მეტ ენერგიას ხარჯავ და შესაბამისად, შენი თავის მიმართ გაცილებით მომთხოვნი ხარ. როცა პირველად დავესწარი „კურიერის“ მომზადების პროცესს, ლამის შოკში ჩავვარდი. ისე დარბიან ჟურნალისტები, რომ ერთმანეთს მხოლოდ ნახევარ-ნახევარ სიტყვას ესვრიან — ასეც უკვე შესანიშნავად ესმით ერთმანეთის...

— მაგდა, როგორც ვიცი, გათხოვილი ხარ. მეუღლე თუ გიყურებს, როდესაც დილის ეთერში იმყოფები?

— თავიდან, რა თქმა უნდა, ყურადღებით მადევნებდა თვალყურს და არ ტოვებდა არც ერთ ჩემს გადაცემას. ახლა უკვე თავს აღარ იწუხებს: დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგშია და როცა მე დილით ადრე მთელ საქართველოს ვესალმები, ჩემს მეუღლეს ტკბილად სძინავს.

— მეუღლის რჩევებს თუ ითვალისწინებ და თუ გაძლევს ხოლმე შენიშვნას?

— რა თქმა უნდა, ყველა მის რჩევას ვითვალისწინებ. ჩემი ყველაზე სერიოზული კრიტიკოსები, მეუღლე და დედა არიან. იყო რაღაც მომენტები, რომლებიც არ მოსწონდათ — მაგალითად, როდესაც სტუმარს ვესაუბრებოდი, გვერდით ვტრიალდებოდი და არ ვჩანდი. ამაზე სულ შენიშვნას მაძლევდნენ...

— საყვარელი რესპონდენტები თუ შეგიძლია, დამისახელო?

— ასეთი რესპონდენტი საკმაოდ ბევრი მყავს. ბოლო დროს, ყველაზე მეტად დათო ტურაშვილი დამამახსოვრდა. როდესაც ჩვენთან დილის ეთერში სტუმრად გვყავდა, კალამი მაჩუქა, რომლითაც ფილმისთვის — „დავით აღმაშენებელი“ — სცენარი დაწერა. ეს იყო ჩემთვის ძალიან დიდი საჩუქარი, რომელსაც ძალიან ვუფრთხილდები და საგულდაგულოდ ვინახავ.

— დილით საკმაოდ ბევრ სტუმარს იწვევთ. არ გიჭირს ამდენ ხალხთან დილაადრიან ურთიერთობა?

— პრობლემა ის გახლავთ, რომ საკმაოდ ცოტა დრო გვაქვს მათთან საურთიერთოდ. თანაც, დილის ეთერია, ყველას „სძინავს“, ზოგი ცუდ ხასიათზეა... მაქსიმალურად უნდა ეცადო, რომ გამოაფხიზლო და მათი ნდობა მოიპოვო. საამისოდ, რაღაც ჩემი მეთოდები მაქვს. პირველი ის, რომ გულღიად უნდა გაუღიმო და უთხრა, რომ მისი სტუმრობა განსაკუთრებით გაგიხარდა; უნდა შესთავაზო ყავა, ჩაი... თუ სტუმართან საერთო ნაცნობი მყავს, ვახსენებ, რადგან როცა ახლობლებზე ესაუბრები, ეს სიამოვნებთ. არასდროს ველაპარაკები იმ თემაზე, რომელზეც პირდაპირ ეთერში უნდა ვესაუბრო.

— შენ თვითონ, დილით ადგომა არ გიჭირს?

— ეს ჩემთვის ყოველთვის დიდი პრობლემაა. როგორ შეიძლება, შეეჩვიო იმას, რომ ყოველ მეორე დღეს, 4 საათზე უნდა გაიღვიძო?! ამას ვერ გაიგებს ის, ვისაც დილის ეთერში არ უმუშავია. ბედის ირონიტურაშვილი დამამახსოვრდა. როდესაც ჩვენთან დილის ეთერში სტუმრად გვყავდა, კალამი მაჩუქა, რომლითაც ფილმისთვის — „დავით აღმაშენებელი“ — სცენარი დაწერა. ეს იყო ჩემთვის ძალიან დიდი საჩუქარი, რომელსაც ძალიან ვუფრთხილდები და საგულდაგულოდ ვინახავ.

როცა მე დილით ადრე მთელ საქართველოს ვესალმები, ჩემს მეუღლეს ტკბილად სძინავს...

ნიაა, რომ დილის პროგრამაში ვმუშაობ. ვერ აგიხსნით იმას, თუ რა ძალისხმევის ფასად მიჯდება ის, რომ 8-ის ნახევარზე უკვე მაყურებლებს უნდა მივესალმო...

— სურვილი თუ გაქვს, უფრო აკადემიური ან უბრალოდ, საინფორმაციო გადაცემის წამყვანად იმუშაო?

— პირიქით — დიდი სურვილი მაქვს, რომ უფრო გასართობი გადაცემები, ტოქ-შოუები წავიყვანო. მიყვარს დიდი სტუდიები და ჩემს თავს უფრო გასართობ, დიდ პროექტში ვხედავ. პოლიტიკა ჩემთვის რთული და ძნელია.



— შენს მეცხრეარხელ თანამშრომლებს თუ ნახულობ ხოლმე?

— ჩემი ძველი თანამშრომლები, ახლანდელი თანამშრომლებიც არიან: ნინო გაზდელიანი, ანუკა ქინქლაძე, ქეთი ქებაძე — ჩვენი ხელმძღვანელი. ამან ძალზე გამიადვილა აქ მუშაობა, რადგან მოვედი ისევ ძველ თანამშრომლებთან. ყველანი სულ ვცდილობთ, რომ შევიკრიბოთ და მოვიგონოთ ძველი ამბები.

— ჩაცმულობის სტილს შენ თვითონ ირჩევ?

— ეს სტილი უკვე არჩეულია: პროგრამის წამყვანს მკაცრი სტილის პიჯაკი უნდა ეცვას... ჩვენ გვყავს სტილისტი, რომელმაც შეარჩია, თუ რა სტილი მომიხდებოდა.

— მაგდა, როგორი მეოჯახე ხარ და თუ გიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი?

— როცა თავისუფალი დრო მაქვს, ყველაფერს ვაკეთებ. არ მივეკუთვნები ქალბატონების იმ კატეგორიას, რომელიც ამბობს — ესა და ეს არ შემიძლია, ვერ გავაკეთებო. ქალს ყველაფრის კეთება უნდა შეეძლოს. თუმცა კი, ძალიან ცოტა დრო მაქვს საოჯახო საქმეებისთვის. როცა სამსახურით ვარ დაკავებული, დედამთილი მეხმარება... ■

„მე ვარ სიცოცხლე, თქვენ კი არ მეძებთ. მე ვარ გზა, თქვენ კი არ მომყვებით. მე ვარ ნათელი, თქვენ კი ვერ მხედავთ... და თუ თქვენ არა ხართ ბედნიერნი, ნუ დამადანაშაულებთ მე!“ — დაჩხვლეტილ ფურცელზე ხელის მიყოლებით საკმაოდ სწრაფად ჩაიკითხა ეს ლოცვა და დასძინა — ის, რაც დამემართა, ღვთის ნებაა და არავის ვადანაშაულებო... ბედის სამდურავი მართლაც არასდროს დასცდება, პირიქით — სხვებს ამხნევებს, აიმედებს და ამშვიდებს — ყველაფერი კარგად იქნებაო. მას ცისმარი ჰქვია, მეგობრები ციცოს ეძახიან. 30 წლისაა და უკვე 18 წელია, რაც ვეღარ ხედავს — ვეღარც ოჯახის წევრებს, ვეღარც მეგობრებს და ვეღარც მზეს...

უსინათლო ექსპერტი საკუთარ ოჯახსა და შვილზე ოცნებობს...

ნინო ჯავახიშვილი

— ცისმარი, მიამბე შენ შესახებ — სადაური ხარ, რა შეგემთხვა, რატომ დაკარგე თვალის სინათლე?

— წარმოშობით ჭიათურიდან ვარ, გვარად — მუმლაძე. მყავს დედა, უფროსი ძმა, და, სიძე და დისშვილები. 4 წლის ვიყავი, როდესაც სოფელში, მეორე სართულიდან გადმოვვარდი. მაშინვე თბილისში წამომიყვანეს და ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ ეფექტური შედეგი არ ჰქონდა. მამა 27 წლის იყო, ინფარქტით რომ გარდაიცვალა — ინერვიულა. თავიდან ვხედავდი, მცირედ მხედველთა სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ სინათლე დროთა განმავლობაში მაკლდებოდა. ანთებითი პროცესი განვითარდა, მწვავე მდგომარეობა მქონდა და იმდენად ძლიერი ტკივილები, რომ ვიხვეწებოდი, აღარაფრის დანახვა აღარ მინდა-მეთქი. მახსოვს, ჩემი კლასის დამრიგებელი შავი ქსოვილისგან მიკერავდა სათვალეების მსგავს რაღაცას და იმას ვიფარებდი თვალებზე. ასე ვიყავი 12 წლამდე, ბუნდოვნად ვხედავდი. მაგრამ გაუსაძლისი ტკივილების გამო, ოპერაცია გამიკეთეს და აი, უკვე 18 წელია, ვეღარაფერს ვხედავ... არ ვიცი, რამდენად სწორად მიმკურნალეს თბილისსა და მოსკოვში, ვერავის დავადანაშაულებ. ერთი რამ კი ცხადია, რომ ის, რაც მოხდა, ღვთის ნებაა.

— ცისმარი, ვიცი, რომ სამ პროფესიას დაეუფლე, სამი დიპლომი გაქვს. სწავლა არ გიჭირდა?

— უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ, დავამთავრე გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში კი ფილოლოგიური. გავიარე 4-წლიანი ექიმ-მასაჟისტის კურსებიც — მკურნალი-მასაჟისტი ვარ. პრაქტიკას მე-9 საავადმყოფოში გავდიოდით. თავდაპირველად, ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მერე უფრო გამიდვილდა მოძრაობა და შევეჩვიე. საერთოდ, ცნობილია, რომ უსინათლოებს მეტი მგრძნობელობა აქვთ. გამძაფრებული გვაქვს სუნის, სმენის შეგრძნებაც. უსინათლობა არ არის დამბრკოლებელი რამ, თუკი გინდა, რომ ისწავლო. ნეტავ, ახლაც ვსწავლობდე. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ წიგნები არ არსებობს. ჩვენ ხომ თითით ვკითხულობთ — უსინათლოთა ანბანი ბრაილის — ინგლისელი კაცის გამოგონებულია. ძალიან მეხმარებოდნენ სწავლაში ჩემი მეგობრები, კურსელები, ჯგუფელები, ზოგჯერ ჩემთან მოდიოდნენ და ერთად ვემზადებოდით გამოცდებისთვის. ზოგჯერ ვიღაც მიკითხავდა და მე ვიმახსოვრებდი. უსინათლოებს განსაკუთრებული მეხსიერება გვაქვს. კომპიუტერული ნიჭი გაქვსო, — მეუბნებიან ხოლმე.

— ცისმარი, რა ფერში ხედავ სამყაროს, ცხოვრებას?

— მე მახსოვს, როგორია ვთქვათ, წითელი, მწვანე, ყვითელი. შემიძლია ამის წარმოდგენა. გასაოცარი იცი, რა არის? უსინათლო მეგობარი მყავს, ნინო დავითულიანი. არასდროს არაფერი დაუნახავს, მაგრამ განსაკუთრებით უყვარს სამი ფერი — წითელი, ცისფერი და თეთრი. ისე მიკვირს, რატომ უყვარს მაინცდამაინც ეს ფერები, რა იცის, როგორია? ალბათ წარმოსახვითი გრძნობები აქვს

ღმერთის ნებით, მაქვს საქმე, რითიც შემიძლია თავი ვირჩინო...

განვითარებული. ასე რომ, მახსოვს, რა ფერია სამყარო...

— შენი ოჯახის წევრებიც გახსოვს?

— მახსოვს, თითოეული ადამიანი აღნაგობით, ფერით, მაგრამ უცებ რომ დავინახო ყველანი, შეიძლება, ვეღარც კი მივხვდე, ვინ ვინ არის. აღარ მახსოვს, როგორია დედაჩემი, ჩემი და, ჩემი ძმა... რა ვიცი, ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ... იცი, რამდენჯერ მინატრია — ნეტავ, მეც თავიდანვე არაფერი დამენახა-მეთქი. თავდაპირველად არა, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ, უფრო მეტს ვფიქრობდი ჩემს მდგომარეობაზე — საშინელებაა, როდესაც სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან გარიყული ხარ, თვითონ კი — უძლური, არაფერი შეგიძლია.

— საზოგადოებისგან გარიყვა გიგრძნია?

— როგორ არა. ჯერ ერთი, ჩვენი ყველაფერი უკვირთ. უკვირთ, როგორ ვსწავლობთ, განათლებული რომ ხარ. ძალიან მტკივა გული, როდესაც ხალხი რაღაცნაირად გამორჩევით გიყურებს, რადგან უსინათლო ხარ. უნივერსიტეტში საბუთების შეტანის დროს მიმღებმა კომისიამ ხაზი გადაუსვა ჩემს ჯანმრთელობის ცნობას, ფაქტობრივად, უარი მითხრეს საბუთების მიღებაზე. რექტორთან ვიზიტის შემდეგ დამრთეს ჩაბარების ნება. გამოცდაზე რომ გავედი, ლექტორებმა ერთმანეთს ჰკითხეს — ყრუც არისო? ვინც მახლდა, მან უპასუხა — რას ამბობთ, უსინათლოა, მაგრამ თვითონაც ნახავთ, როგორ არის მომზადებულიო. მართლაც გაოცებულები დარჩნენ. ყველას აინტერესებდა, როგორ ვისწავლიდი. გეოგრაფიის ლექტორს უთქვამს თავისი სტუდენტებისათვის — ფილოლოგიურზე ერთი უსინათლო გოგო სწავლობს, მაგრამ თქვენზე კარგად სწავლობსო. პრორექტორმა კი, როდესაც ნახა, როგორ ვიყავი მომზადებული გამოცდისთვის, ჯგუფელებს უთხრა: თქვენ 50 თვალიც რომ გქონდეთ, ასე მაინც ვერ ისწავლიდითო. გამიხარდა, რაკი დავამტკიცე, რომ უსინათლოები არანაკლებად ნიჭიერები და ჭკვიანები ვართ. ჩვენ გადაადგილება გვიჭირს ქალაქში, თორემ სხვა არაფერი.

— ცისმარი, ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნას ცალკე ცხოვრება რატომ არჩიე?

— დედაჩემთან და ჩემს ძმასთან ერთად კი ვიცხოვრებ, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს აქვს დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი. მეც მინდა, ჩემი კუთხე მქონდეს, მიუხედავად იმისა, რომ დაოჯახებული არა ვარ. მინდა, თვითონ ვაკეთებდე ყველაფერს. მეხმარებიან ოჯახის წევრებიც და მეგობრებიც. ასე რომ არ იყოს, ძალიან გამიჭირდებოდა. მარტოობა უსინათლოსთვის უფრო ძნელი ასატანია.

— სადილის მომზადება არ გიჭირს?

— ვარაუდით ვხვდები, შეიწვა თუ არა, მომზადდა თუ არა. შეიძლება ეს თქვენთვის წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა.

— ბავშვები ძალიან გიყვარს. შენი პაციენტები ძირითადად მაინც ბავშვები არიან და შევსწრებივარ, ყველას როგორ ეფერები. დაოჯახებაზე არ გიფიქრია?

— როგორ არ მიფიქრია — რა სჯობია, საკუთარი ოჯახი, შვილი გყავდეს, მაგრამ ინვალიდი ვარ და ალბათ, ეს ბევრს აბრკოლებს.

— თუ გყოფნის შენი შემოსავალი? ან როგორ ცხოვრობენ უსინათლოები, ვისაც დამხმარე არავინ ჰყავს?

— ასეთი რამდენიც გინდა, იმდენია. მეც ხშირად მიფიქრია ამაზე. 28-ლარიანი პენსია, რა თქმა უნდა, არაფერში გეყოფა. შიმშილით არ გაგძვრება სული, ალბათ ვინმე მოგეხმარება, მაგრამ ზოგს მართლაც არავინ ჰყავს. ერთჯერად დახმარებას — თვეში 22 ლარს ახლა გვიხდიან, ტელეფონზეც მხოლოდ 100 წუთი გვექნება უფასო. ეს იმას ნიშნავს, რომ უსინათლომ გარე სამყაროსთან საერთოდ უნდა შეწყვიტოს კონტაქტი. ისედაც გარიყულებს ყველაფრის უფლებას მაინც ნულარ წაგვართმევენ. ღმერთის ნებით, მაქვს საქმე, რითიც შემიძლია თავი ვირჩინო, ოჯახის წევრებიც რომ არ მეხმარებოდნენ. თუმცა ჩემი შემოსავალი ძალზე ცოტაა, რადგან მე თვითონ მიჭირს გადაადგილება. მშობლებს კი ურჩევნიათ, სახლში მიიყვანონ მასაჟისტი, პატარა ბავშვები აქეთ-იქით რომ არ ატარონ.

— ცისმარი, რომ გითხრან, ხვალ თვალი აგეხილებაო, რის დანახვას ინატრებდი პირველ რიგში?

— პირველ რიგში, ჩემი ოჯახის წევრების დანახვა მინდა, მაინტერესებს, როგორები არიან ისინი. აუცილებლად დავიწყებდი მუშაობას, მათი სარჩენი რომ არ ვიყო. ხომ გერიდება, ყოველთვის სხვა რომ გეხმარება? მათი დახმარების სურვილი მეც მაქვს და თვალისჩინს ამიტომ ვნატრობ.

— იტყვიან ხოლმე, ადამიანს თვალებზე შეატყობ, როგორიც არისო. შენ როგორ ხვდები, ვინ როგორია, ადამიანზე რის მიხედვით გექმნება შთაბეჭდილება?

— თქვენ თვალებით, ჩვენ კი — ხმით, მეტყველებით ვხვდებით, ვინ როგორია. სხვათა შორის, იშვიათად თუ შევმცდარვარ ვინმეში. ძალიან კონტაქტური ვარ. ვცდილობ, ადამიანში ცუდი კი არა, კარგი დავინახო — ყოველთვის კარგს ვეძებ...

■

როგორ არ მიფიქრია — რა სჯობია, საკუთარი ოჯახი, შვილი გყავდეს, მაგრამ...

ბერი და დედინაცვალი

სტერეოტიპი და ჩვეული უთანხმოებები

ცხოვრება ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის დედინაცვალიო, — ეს გამონათქვამი ალბათ ხშირად გსმენიათ ცხოვრებაზე გულაცრუებული და ბედს მომდურავი ადამიანებისგან. დედინაცვალი თითქმის ყველა ერის კულტურაში მართლაც, ბოროტებასთან, სიძულვილთან, შურთან ასოცირდება, ყოველ შემთხვევაში, ასეთია დედინაცვლის ზღაპრისეული ხატი. და მაშინაც, როცა ზღაპრების ასაკიდან კარგა ხნის გამოსულები ვართ, იმდენად შესისხლხორცებული გვაქვს ავი დედინაცვლის სტერეოტიპი, რომ ძნელად ვიჯერებთ საპირისპირო მაგალითის რეალურობას... ალბათ ხშირად გსმენიათ დედინაცვლის და გერის გართულებული ურთიერთობის შესახებაც. ჩვენ მიერ მონათხრობი რამდენიმე ამბიდან ნათლად ჩანს, თუ რა რეაქცია მოჰყვება ოჯახში დედინაცვლის შემოსვლას და რატომ მთავრდება ტრაგიკულად დედინაცვლის და გერის ურთიერთდაპირისპირება.

ნინო ჯავახიშვილი

მარიკა, *23 წლის:*

— 8 წლის ვიყავი, როცა დედა გარდამეცვალა. სიცოცხლის ბოლო წუთებში მთხოვა — შენს უმცროს და-ძმაზე იზრუნე, მამას მიეხმარე და ერთმანეთს ყველა გაჭირვება გადაატანინეთო. მამაჩემმა დედის დანაბარების შესრულება იმით დაიწყო, რომ ორმოცის გასვლისთანავე, ცოლი მოიყვანა. თავისი საქციელი კი იმითი ახსნა, რომ 3 შვილს მარტო ვერ მოუვლიდა. რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა, დედაჩემის ადგილზე სხვა რომ დავინახე, მაგრამ ბედს შევეგუე. 3 წელი წყნარად ვცხოვრობდით. მე კარგად ვსწავლობდი და ექიმობაზე ვოცნებობდი. ამასობაში, დედინაცვალმა თურქეთში სიარული დაიწყო. ხშირად უხდებოდა გამგზავრება და ოჯახის საქმეები მე დამაწვა კისერზე. გვეუბნებოდა, თურქეთიდან საქონელი ჩამომაქვსო. მამას ეჭვიც არ გასჩენია, თუ რაიმეს სხვას საქმიანობდა მისი ცოლი თურქეთში... ვერ ვიტყვი, ბავშვებს ცუდად გვექცეოდა-მეთქი. იქიდან ისე არ დაბრუნდებოდა, სამივესთვის საჩუქრები რომ არ ჩამოეტანა. ამასობაში სკოლაც დავამთავრე და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. დედინაცვალმა მითხრა — პასპორტს გაგიკეთებ და სტამბოლში წაგიყვან, ერთი 10 დღით, დაისვენე — ეს იქნება ჩემი და მამაშენის საჩუქარიო. ძალიან გამიხარდა, რადგან ყოველთვის ვოცნებობდი, მემოგზაურა და ყველა ქვეყანა მენახა. ჩემს ოცნებას ფრთები ესხმებოდა. სტამბოლში ჩასვლისთანავე სასტუმროში დავბინავდით. თვითონ რამდენიმე საათით ქალაქში წავიდა. როცა დაბრუნდა, ლამაზი კაბა, ქოშები, ხალათი და პერანგი მომიტანა. ძალიან გამიხარდა. საღამოს გამოიპრანჭე და ბარში ჩავიდეთო — მითხრა. ბარი პირველ სართულზე იყო. სუფრას მივუსხედით. მალე ვიღაც კაცები შემოგვიერთდნენ, ორნი იყვნენ. დედინაცვალთან მათ თურქულად დაიწყეს საუბარი. ერთი კაცი გვერდით მომიჯდა, რაღაცნაირად მიყურებდა და არ მესიამოვნა, მაგრამ ვიფიქრე — ჩემი დედინაცვლის ნაცნობია და ცუდს რას გამიბედავს-მეთქი?.. მეორე კაცმა სასმელი მოატანინა, თვითონაც სვამდნენ და მეც მაძალებდნენ... არ მახსოვს, რამდენი დავლიე, უგონოდ ვიყავი... დილით იმ თურქის გვერდით გამეღვიძა... მეგონა, გავგიჟდებოდი სიმწრისგან, შეურაცხყოფისგან, ტკივილისგან. თურქმა წერილი გადმომცა, რომელშიც დედინაცვალი მატყობინებდა, რომ თვითონ თბილისში დაბრუნდა, მალე ჩამოვიდოდა, მანამდე კი ამ კაცთან უნდა ვყოფილიყავი, — კარგი კაცია, ფულს მოგცემს, უარი არაფერზე უთხრაო. თან მპირდებოდა — ნუ გეშინია, მამაშენი ვერაფერს გაიგებს, ვეტყვი, რომ კარგი სამუშაო გიშოვე და მანდ ამიტომაც დაგტოვეო... ისეთი უმწეო და სასოწარკვეთილი არასდროს ვყოფილვარ, როგორიც მაშინ. რამდენიმე კვირაში ჩემი ნაცნობი თურქების „წყალობით“, ერთ ბორდელში აღმოვჩნდი. ადამიანის სახეს ვკარგავდი... 3-4 თვის მერე, დედინაცვალმა ჩამომაკითხა, ჩემი შეგროვილი ფული გამომართვა — მჭირდებაო და ისე წავიდა, არც კი დაინტერესებულა, როგორ ვცხოვრობდი, როგორ ვგრძნობდი თავს... წლების მანძილზე, სასტუმროს სარდაფში, ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი და კლიენტებსაც იქ ვიღებდი. თურქი ცოლ-ქმარი მყავდა მოჩენილი და ისინი ფეხს არ მადგმევინებდნენ გარეთ. მერე, ბედმა გამიღიმა — ერთი ჩემი კლიენტი ქართველი აღმოჩნდა, მძღოლი იყო. გავბედე და ყველაფერი ვუამბე, რაც თავს გადამხდა. ხელიც არ დაუკარებია ჩემთვის, დამპირდა — როგორმე აქედან გაგაპარებო. როგორღაც მოვახერხეთ და სასტუმროდან ერთად გამოვედით... თბილისში დაბრუნებულს, სახლში მისვლა აღარ მინდოდა, მაგრამ წასასვლელი სხვაგან არსად მქონდა. მამაჩემს ყველაფერი გავუმხილე. დედინაცვალზე შური იმით ვიძიე, რომ ისინი ერთმანეთს გავაშორე და მთელ ქვეყანას გავაგებინე, თუ რას საქმიანობდა, როგორი ქალი იყო... სტამბოლში ყოფნისას რამდენიმე ქართველ გოგონას შევხვდი. ისინი სუტენიორმა — მათთვის სრულიად უცხო ადამიანმა მოატყუა და გაწირა, მე კი — დედინაცვალმა... ამას ვერ წარმოვიდგენდი, რადგან ვფიქრობდი, რომ დედინაცვალი მართლაც, დედაჩემის „ნაცვალი“ უნდა ყოფილიყო, მისი მაგივრობა უნდა გაეწია...

ანი, *18 წლის:*

— 9 წლის ვიყავი, როცა დედა გარდამეცვალა. 5 წლის შემდეგ, მამაჩემმა მეორედ იქორწინა. როდესაც მითხრა, 5 წელი შენ და შენს ძმას მე გივლიდით, ასე როდემდე ვიქნები, ცოლი უნდა მოვიყვანოო, — ძალიან გამიკვირდა. სახლში ყველანაირ საქმეს ვაკეთებდი, ვცდილობდი, უქალობა არ ეგრძნო, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩამიყარა და დედაჩემის შემცვლელი მაინც მოიყვანა... მას მხოლოდ მამაჩემის ფული აინტერესებს. არასდროს დამავიწყდება, პირველად რომ მოიყვანა სახლში, როგორ მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა... ძვირად ღირებული ნივთების დანახვაზე კი, აღფრთო-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

1. ზრო ისრის წვერია.

2. კეტჩუპის სამშობლო ამერიკაა.

3. „ჩანჩქერი“, „ჩაბარუხი“ და „ჩაქუხა“ სინონიმებია.

4. ღვინოდ წყლის გადაქცევა იესო ქრისტეს პირველი სასწაული იყო.

5. მიწის მგელი ერთი ღამის განმავლობაში 250 ათას ტერმიტს ჭამს.

6. სკანდინავიელთა სამხედრო ბელადს და შემდგომში მეფესაც კონუნგი ერქვა.

7. ჯორჯ ბუშის მეუღლე ამერიკის ყველაზე ლამაზ ადამიანთა 50-კაციან სიაში მოხვდა.

8. არსენა ოძელაშვილი ბაზარში ვაჭრებს ადლს უზრდიდა და აიძულებდა, ამ ადლით ევაჭრათ.

9. მიხაილ გორბაჩოვს ნობელის პრემიის მისაღებად ოსლოში ჩასვლით თავი არ შეუწუხებია, სხვა პიროვნება გაგზავნა.

10. პირველ იტალიურ პასპორტებში, ყველა საჭირო მონაცემთან ერთად, მფლობელის ხმის ტემბრი იყო აღნიშნული.

11. „არასოდეს შეაფასოთ თვითონ ბავშვი, როდესაც ცუდად იქცევა, შეაფასეთ მისი საქციელი“, – გვირჩევენ პედაგოგები.

12. „პლოხა, კაგდა ხალადილნიკ ტოლკო ნა გალასავოი პაროლ ტიოშჩი ატკრივაეტსა“, – ამბობს ევგენი პეტროსიანი.

13. ჩრჩილი თავისთავად არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. ტანსაცმელს მის მიერ დადებული კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი აზიანებს.

14. ნიუ-იორკის ბეისბოლისტთა გუნდ „იანკებს“ იმდენი ჩემპიონატი აქვს მოგებული, რამდენიც ლიგის ყველა გუნდს, ერთად აღებულს.

15. ერთადერთი საკითხი, რომელშიც ქალები და მამაკაცები უყოყმანოდ ეთანხმებიან ერთმანეთს, ის არის, რომ ქალების ნდობა არ შეიძლება.

16. იაპონური კიმონო ძალზე ძვირი ღირს. მისი ფასი 14.000 დოლარამდე აღწევს. ნამდვილი კიმონოს ქსოვილი ხელით იხატება და ხელითვე იკერება.

17. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ ქურდი, ვინჩენცე პერუჯა ლუვრში მეშუშედ მუშაობდა. მოპარული „ჯოკონდა“ მან საწოლის ლეიბის ქვეშ დამალა და 2 წელიწადი ზედ ეძინა.

18. „რუსთავი 2-ის“ შემგინებელი ჩემი ვანების დაფარვა ვერ მოახერხა და მაშინვე მივხვდი, რომ მამა კი არა, მისი ფული იზიდავდა. ღამით კოშმარები მაწუხებდა და ხშირად ვტიროდი. ერთხელ, მტირალს შემომისწრო, პენუარი ეცვა. უცებ რომ შევხედე, შემზიზღდა – თითქმის შიშველი იყო. დედაჩემის საძინებელში, სადაც ადრე ჩემი მშობლები იწვნენ, ახლა ვიღაც უცხო ქალი ნებივრობდა!.. თანაც, მას უნდოდა, კონკიად გადავექციე – თვითონ არაფრის გამკეთებელი არ იყო და საოჯახო საქმეების გაკეთებას მე მავალებდა. მაგრამ არაფერსაც აღარ ვაკეთებდი. მამა დედინაცვლის თანდასწრებით მამტყუნებდა, ის კი ტიროდა – რას არ ვაკეთებ მის საკეთილდღეოდ, მას კი ყველაფერი უკუღმა ესმისო... სახლში ბიჭების მოყვანა და გართობა დავიწყე. მერე კი ვიღაც უცხოს, პირველსავე შემხვედრს ჩავუწექი ლოგინში... ახლა ვხვდები, რომ იმ ქალის გამო საკუთარი ცხოვრება არ უნდა დამენგრია, მაგრამ უკვე გვიანია...

ქეთინო თავართქილაძე, *ფსიქოლოგი:*

– რომ არა დედინაცვლის ზღაპრისეული ხატი, ამ ოჯახში განსაკუთრებული და უჩვეულო არაფერი მოხდებოდა. არსებობს კი ოჯახი, სადაც მოზარდობის ასაკში, შვილების მშობლებთან ურთიერთობა მეტ-ნაკლებად დაძაბული არ არის? ბინის დალაგება-დასუფთავების პრობლემით გამოწვეული ყოფითი უთანხმოებები განა, ყველა ოჯახში არ ხდება?!. ასეთ დაძაბულ სიტუაციებში ბავშვი ყოველთვის მართალია. მას ვერ მოვთხოვთ, დახვეწილი მანერები და გაწონასწორებული ქცევა ჰქონდეს. პასუხისმგებლობა მთლიანად უფროსებს ეკისრებათ, განსაკუთრებით – მამას. კონფლიქტებისას ის არც ერთ მხარეზე არ უნდა დადგეს. ბავშვი მტკივნეულად აღიქვამს მამის და დედინაცვლის ინტიმურ ურთიერთობებს. ჯობს, რომ დედინაცვალი ბავშვთან პერანგის ამარა გამოჩენას მოერიდოს. უკეთესი იქნება, თუ ცოლ-ქმარი ბავშვის დედის საძინებელს არ დაიკავებს. მოზარდისთვის ძალიან ბევრ ისეთ ნიუანსს აქვს მნიშვნელობა, რომელიც უფროსებმა შეიძლება, მეორეხარისხოვნად ჩათვალონ. მისი პროტესტი ბუნებრივია: ბავშვს მოფერება, ყურადღება სჭირდება. თუმცა, დედინაცვალმა არასდროს არ უნდა შეუქმნას იმის ილუზია, რომ დედას შეუცვლის. ეს არასდროს მოხდება. რაც არ უნდა იყოს, არ შეიძლება, საკუთარი ცხოვრება სასწორზე შეაგდო. ერთი წელი ვიმუშავე ანისთან და ვფიქრობ, გაიაზრა, რომ დედინაცვლის ჯიბრში ჩადგომით, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვნებდა.

— როგორ უნდა შევამზადოთ ბავშვი დედინაცვლის მისაღებად და რა რეაქციები შეიძლება მოჰყვეს მისი მხრიდან, ოჯახში დედინაცვლის შემოსვლას?

– დედის „ჩანაცვლება“ დედინაცვლით ბავშვისთვის ძალიან დიდი სტრესია, ამიტომაც აუცილებელია მისი წინასწარი მომზადება დედინაცვლის მისაღებად. ეს მამამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. თუ მშობლები გაყრილები არიან და ბავშვის დედა ცოცხალია, სასურველია, საუბარს ორივე მშობელი ესწრებოდეს, რათა ერთ-ერთი მათგანი მეორის დადანაშაულების სურვილმა არ აცდუნოს. მამამ დაქორწინებამდე უნდა გააცნოს შვილს მომავალი მეუღლე. მათ ერთად უნდა აუხსნან ბავშვს, თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი და როგორ აისახება ეს ცვლილებები მის ცხოვრებაზე – სად აპირებენ ცხოვრებას, თუ ადრე არ მუშაობდნენ, ფიქრობენ თუ არა სამუშაოს მოძებნას; მოაკლდება თუ არა ბავშვს ჯიბის ფული, მოემატება თუ არა მოვალეობები და ა.შ. რაც შეეხება იმას, თუ რა რეაქციები, შეიძლება მოჰყვეს ბავშვის მხრიდან ოჯახში დედინაცვლის შემოსვლას: პატარები ასეთ დროს, ივიწყებენ შეძენილ ჩვევებს, ხშირად ტირიან, ჯიუტობენ. ძალიან ნერვიულობენ, როდესაც ძილის დროს ან დღის განმავლობაში, უფროსები მარტო ტოვებენ. შეიძლება, უმიზეზო შიშები და შფოთიანობა განუვითარდეთ და ღრმა დეპრესიაშიც კი ჩაცვივდნენ. ხშირად, ბავშვები ფიქრობენ, რომ სწორედ მათი ცუდი ქცევა გახდა დედის დაკარგვის და მათ ცხოვრებაში დედინაცვლის შემოსვლის მიზეზი. მოზარდებს ზოგჯერ ფიზიოლოგიური დარღვევებიც კი აღენიშნებათ, – თავის, კუჭის ტკივილი, ღამის კოშმარები, შარდის შეუკავებლობა. სკოლაში ეს ბავშვები უმართავნი ხდებიან, ყურადღების კონცენტრირებას ვერ ახერხებენ და აღარ სწავლობენ. თუმცა, ზოგიერთ ბავშვს შეიძლება, საწინააღმდეგო რეაქცია გაუჩნდეს – უკეთ სწავლა დაიწყოს, ყურადღება სწავლაზე, სპორტზე ან რაიმე სხვა გატაცებაზე გადაიტანოს. ეს ახალი მატრავმირებელი სიტუაციისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესანიშნავი ხერხია და ბავშვი მას მანამ იყენებს, სანამ ოჯახში ახალი წევრის შემოსვლით გამოწვეული მძაფრი შეგრძნებები მეორე პლანზე არ გადაინაცვლებს. საუბედუროდ, ზოგიერთი მოზარდი, თავის პროტესტს სექსუალური აღვირახსნილობით ან ნარკოტიკების მოხმარებითაც გამოხატავს...

— საერთოდ, ბავშვისგან უფრო მეტი აგრესია მოდის, თუ თვითონ

დედინაცვალს უჭირს გერთან შეგუება?

— ქალი თუ შეგნებული პიროვნებაა და ბავშვები უყვარს, პრობლემები არ შეიქმნება. როდესაც გულწრფელ დამოკიდებულებას და სიყვარულს აგრძნობინებ პატარას, შეუძლებელია, მან არ მიგიღოს და არ შეგიყვაროს. უფრო ხშირად, თვითონ ბავშვებს უჭირთ დედინაცვლის მიღება. იყო შემთხვევაც, როდესაც დედინაცვალმა ვერ მიიღო ბავშვი და ქმარს მოსთხოვა, — ჯობს, ბავშვი ინტერნატში გაიზარდოს, ჩვენ მალე გვეყოლება შვილი და ორს ვეღარ მოვუვლითო. ცოლ-ქმარს გავესაუბრე და დავარწმუნე ქალი, რომ ისევ მისი მომავალი შვილისთვის ჯობდა, უფროსი და ჰყოლოდა, მის გაზრდაშიც მიეხმარებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ ბავშვს არანაირი პრობლემა არ ჰქონდა დედინაცვალთან ურთიერთობაში. ზოგი ეგოისტია და უფრო მეტად საკუთარ თავზე და კეთილდღეობაზე ფიქრობს, ზოგიც პირიქით — სიბრალულით და სითბოთი ეკიდება დაობლებულ ბავშვებს.

მთავარია, დედინაცვალი ფსიქოლოგიურად მომზადებული შეხვდეს გერებს. მან უნდა იცოდეს, რომ ბავშვის აგრესიულობა ბუნებრივია, რომ ამით ის მხოლოდ და მხოლოდ თავს იცავს, ხოლო როდესაც ბავშვი დარწმუნდება, რომ დედინაცვლის ოჯახში შემოსვლით კარგის მეტი არაფერი მომხდარა, პრობლემათა უმეტესობა ნელ-ნელა გადაიჭრება.

— უნდა მისცეს თუ არა დედინაცვალმა ბავშვს შენიშვნები?

— ყველა ოჯახში ხდება კონფლიქტი მშობლებსა და შვილებს შორის. დედის ნათქვამი, მისი ჩხუბი მალე ავიწყდება ბავშვს, დედინაცვალს კი ამას ვერ აპატიებს. ამიტომაც ჯობს, დედინაცვალმა თავი შეიკავოს შენიშვნებისგან, მით უმეტეს — შეურაცხყოფისგან. თუ ბავშვს ეტყვის — შე უსაქმურო, საღორეში რომ ზიხარ, ადექი და სახლი დაალაგეო! — რა თქმა უნდა, ის არაფერსაც არ გააკეთებს. თუ ტკბილი სიტყვით ეტყვის — უწესრიგობის ატანა არ შემიძლია, მოდი რა, ერთად დავალაგოთ სახლი და მერე სასეირნოდ წავიდეთო, — ბავშვიც უფრო დაჰყვება მის ნებას. პატარებს მოფერებით და ტკბილი სიტყვით ყველაფერს გააკეთებინებ.

— დღესდღეობით, როდესაც განქორწინების შემთხვევა გახშირდა, ისევ ისე მტკივნეულია დედინაცვლის შემოსვლა ოჯახში?

— ახლა შედარებით უფრო მსუბუქად უყურებენ ამ ყველაფერს, რადგან ხედავენ, რომ მათი მსგავსი მათ ირგვლივ ძალიან ბევრია — მარტო მათ კი არა, ბევრს ჰყავს დედინაცვალი. ეს დამოკიდებულების გაზედაპირულების ხარჯზე ხდება. მამამ მეორე ცოლი მოიყვანა — მერე რა? დიდი არაფერი მომხდარა!.. მაგრამ აბა, მატერიალურად მოაკლდეს რაიმე — მაშინვე გაიზრდება მისი მოთხოვნები და პრეტენზიები. მამები ცდილობენ, მატერიალური კომპენსაციის ხარჯზე შეინარჩუნონ შვილების კეთილგანწყობილება. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ოჯახის დანგრევა მაინც დიდი ტრავმაა ბავშვისთვის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბავშვები, რომელთა მშობლებიც განქორწინებული იყვნენ, თვითონაც იოლად ანგრევენ ოჯახებს. მათთვის ოჯახის ფენომენი ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ამჯერად, დედინაცვლისა და გერის უარყოფითი ურთიერთდამოკიდებულების მაგალითები განვიხილეთ. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, დღეს ძალზე ბევრია შემთხვევა, როდესაც მოზარდიც მშვიდად და კეთილგანწყობილად იღებს მამის ახალ ცოლს და დედინაცვალიც „შეძენილ შვილთან“ თავიდანვე საუცხოო კონტაქტს ამყარებს.

რა არის საჭირო უარყოფითი სტერეოტიპის დასანგრევად? როგორ მივაღწიოთ დანგრეული ოჯახის ახალი წევრით „უსისხლოდ“ შევსებას ან დედის დაკარგვით ტრავმირებული შვილისთვის ტკივილის შემსუბუქებას? გაგვიზიარეთ თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილება, მოგვწერეთ, შეგვეხმიანეთ.

■



ფრაზა გენიალური

ყველაზე უბედური კაცი ის არის, ვინც ყველაზე მეტს აუბედურებს.

ფრანსუა ფენელეონი

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

შემგინებელია და ჩემი შემგინებელი კი კუკიის სასაფლაოზე წევს“, — თქვა დუტა სხირტლაძემ.

19. „ბორის ელცინი ძალზე დიდი დანაკარგია იუმორისტული ესტრადისათვის“, — თქვა ერთ კონცერტზე პაროდისტმა მაქსიმ გალკინმა და რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის მიერ ნათქვამი ფრაზა გაიხსენა: „ახ უუ ეტა მონიკა იავლინსკი!“

20. ნიკიტა ხრუშჩოვი ახალგაზრდობაში, სტალინის მომავალ ცოლთან, ნადეჟდა ალილუევასთან ერთად სწავლობდა პროფტექნიკურ სასწავლებელში.

21. ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ეკონომიკის დასანგრევად გერმანელები დიდი რაოდენობით ყალბ გირვანქა სტერლინგს, მანეთს, ფრანკს და დოლარს ამზადებდნენ.

22. ტელეთამაშის — „Что, где, когда“ შემქნელმა ვლადიმირ ვოროშილოვმა, ერუდიტთა სათამაშო მაგიდის ცენტრში მდგარი ბზრიალა, ე.წ. „ვალჩოკი“, რომელიც ბევრ მაყურებელს ელექტრონული ჰგონია, სათამაშოების მაღაზია „ბავშვთა სამყაროში“ შეიძინა.



23. ქალთა ფეხბურთის საყურებლად მხოლოდ იმ იმედით ღირს წასვლა, რომ მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეები მატჩის შემდეგ, მაისურებს გაცვლიან...

24. მამაკაცს, რომლის მოვალეობაა, დღეობაში სოფელს ლუდით გაუმასპინძლდეს, თუშეთში შულტას ეძახიან. დღეობამდე შულტა მარხულობს, ღორისა და ქათმის ხორცს არ ეკარება. კვერცხსაც არ ჭამს და ქალთანაც არ წვება.

25. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა, ილიკო მასზე მხოლოდ 2 წლით უფროსი იყო. ნიკო გამუდმებით აქილიკებდა მას, რის გამოც ერთხელ ილიკომ დუელშიც კი გამოიწვია იგი. დუელი ქალაქგარეთ შედგა. ილიკოს გარდა, ყველამ იცოდა, რომ დენთით დატენილ დამბაჩებში ტყვიები არ იდო. როდესაც დუელანტებმა თავიანთი იარაღი დაცალეს, ნიკოლოზ ბარათაშვილი მიწაზე დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. გონზე მოსული ილიკო ნიკოს „ცხედარს“ მივარდა და ტირილით დაემხო ზედ. ნიკომ საპასუხოდ ყვირილი მორთო — თავიდან მომაშორეთ, ჯიბიდან ქიშმიშსა მპარავსო!.. ილიკოს ისე გაუხარდა ნიკოს უვნებლად გადარჩენა, რომ ეს ხუმრობაც აპატია.

მარადიული ახალგაზრდობისათვის

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

დღეგრძელობა და სიცოცხლის გახანგრძლივება ოდითგანვე, ადამიანის უმთავრესი საფიქრალი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, კაცობრიობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიბერესთან ბრძოლისას საუკეთესო იარაღი, ფიზიკური და გონებრივი აქტიურობაა.

აქტიურ ცხოვრებაში ხელი რომ არაფერმა შეგვიშალოს, ესე იგი, ორგანიზმმა შეუფერხებლად რომ იმუშაოს, ის დროდადრო უნდა გავასუფთაოთ — წლობით დაგროვილი მავნე ნივთიერებებისგან გავწმინდოთ. ამაში კი მცენარეებზე უკეთ ვერავინ დაგვეხმარება.

სისხლძარღვების გაწმენდა

პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე უნდა ვიზრუნოთ.

სისხლძარღვების კედლებს ასუფთავებს და ამაგრებს ბარისპირა, ჟოლოს ფოთლები, წითელი სამყურა, ბაბუაწვერას ძირები, მოცხარის ფოთლები, ოროვანდი, პიტნა, ვერხვის ფესვები, ნიახური, ნიორი.

● თანაბარი რაოდენობით აურიეთ ერთმანეთში არყის ხის, ჟოლოს, ბაბუაწვერასა და მოცხარის ფოთლები, შვიტა და ბარისპირა. 1 ს/კ ამ ნარევს დაასხით ერთი ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 30 წთ-ით დადგით მდუღარე წყლის აბაზანაზე, გადმოდგით და 1 სთ გააჩერეთ. სვით 1/4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსი 1,5-2 თვეა.

● ბაბუაწვერას 2 ს/კ დაქუცმაცებულ ფესვს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 1 სთ-ით გააჩერეთ. მიიღეთ თითო ს/კ დღეში 4-ჯერ.

სისხლი

სისხლი ორგანიზმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სითხეა. სწორედ ის უზრუნველყოფს ორგანოებს იმ ენერგიით, რომლებზეც ჩვენი დღეგრძელობაა დამოკიდებული. ტოქსინებისგან (შხამებისგან) მისი გაწმენდის უნარი აქვს: თავშავას, მარწყვის ფოთლებს, ჭინჭარს, ოროვანდს, აბზინდას, შვიტას, კრაზანას, მრავალძარღვას, ფარსმანდუკს, კულმუხოს. ყვითელ ძიძოს კი, შესქელებული სისხლის გათხიერება შეუძლია.

● აურიეთ ერთმანეთში 2 წილი ბერულა, 3 წილი წითელი სამყურა, 3 წილი ყვითელი ძიძო, 2 წილი მარწყვის ფოთოლი, 3 წილი ბარისპირა, 4 წილი თავშავა. აიღეთ ამ ნარევის 1 ს/კ, დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ნახევარი საათი გააჩერეთ, გაფილტრეთ და სვით 1/4 ჭიქა დღეში 2-3-ჯერ.

● ჭინჭარი ნებისმიერი სახით შეგიძლიათ გამოიყენოთ. გამხმარი ჭინჭრის ნაყენი ასე მზადდება: 1 ჩ/კ გამხმარ, დაქუცმაცებულ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 1 სთ გააჩერეთ

და გაფილტრეთ. მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში, 2-3 კვირის განმავლობაში.

იმუნიტეტის გასაძლიერებლად

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ინფექციური დაავადება საგრძნობლად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. მათგან თავი რომ დავიცვათ, ძლიერი იმუნური სისტემა უნდა გვქონდეს.

● 50 გ გამხმარ და დაქუცმაცებულ კულმუხოს ფესვს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 20 წთ, გაფილტრეთ, დაამატეთ 1/2 ჩ/ჭ ხილის ან კენკრის წვენი და 100 გ შაქარი (თუ გნებავთ, თაფლი). მიიღეთ 1/3-1/4 ჩ/ჭ ჭამის შემდეგ.

● ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში 5 ს/კ ფიჭვის ნედლი წიწვი, 2 ს/კ დაქუცმაცებული ასკილი, 2 ს/კ ხახვის ფურცელი, დაასხით 2 ლ წყალი, 20 წთ ადუღდეთ ნელ ცეცხლზე, ჩაასხით თერმოსში და 10-12 სთ გააჩერეთ. შემდეგ გაწურეთ, გააცივეთ და მაცივარში შედგით. შეათბეთ და მიიღეთ დღეში 0,5-2 ლ.

ახალგაზრდობის ელექსირი

● ტიბეტური რეცეპტი: აიღეთ 100-100 გ გვირილა, კრაზანა, ნეგო, არყის ხის კვირტი, დაფქვით, აურიეთ ერთმანეთში, ჩაყარეთ მინის ქილაში და მოხუფეთ. საღამოს, 1 ს/კ ნარევს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წთ, გაფილტრეთ. 1 ჩ/ჭ გამონაწურში აურიეთ 1 ჩ/კ თაფლი და ძილის წინ დალიეთ. დილით, დარჩენილი სითხე ორთქლზე შეათბეთ, შეურიეთ 1 ჩ/კ თაფლი და მიიღეთ ჭამამდე 15-20 წთ-ით ადრე. ეს პროცედურა გაიმეორეთ ყოველდღე, სანამ ნარევი არ გამოგელევათ.

ნაყენი ასუფთავებს და ელასტიკურობას მატებს სისხლძარღვთა კედლებს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. გამოიყენება ძლიერი სისუსტის, სიბერის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ქოლესტერინისა და ცხიმოვანი ნადებისგან ორგანიზმის გაწმენდის, ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიის პროფილაქტიკიის მიზნით. რეკომენდებულია მკურნალობის კურსის გამეორება 5 წელიწადში ერთხელ.

● ნივრისა და ლიმონის ბალზამი: გახეხეთ 400 გ ნიორი და აურიეთ 24 ცალი ლიმონის წვენში. გადაასხით ქილაში და თავზე დოლბანდი დააფარეთ. ყოველდღიურად მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ გადადუღებულ წყალში გახსნილი 1 ჩ/კ ნარევი. 1-2 კვირაში, გაგივლით ძილიანობა და გაგიუმჯობესდებათ ორგანიზმის საერთო მდგომარეობა. ამას გარდა, ნიორს აქვს ანტისკლეროზული ეფექტიც.

● გამაახალგაზრდავებელი წვენი: გახეხეთ 1 ჩ/ჭ პირშუშხას ფესვი, დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, გააჩერეთ 1 დღე და გამოწურეთ. ჩაასხით ჭიქაში, დაამატეთ სტაფილოსა და ჭარხლის წვენი, ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული თითო ჩ/ჭ ნიგოზი და ქიშმიში, 1 ჩ/ჭ თაფლი და 2 წვრილად დაჭრილი მომცრო ლიმონი. ეს ყველაფერი კარგად აურიეთ, თავზე დაახურეთ და მაცივარში შედგით. პირველი ორი დღის მანძილზე მიიღეთ თითო ჩ/კ, შემდეგ კი – თითო ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამიდან 2 სთ-ის შემდეგ. მკურნალობის კურსი 2 თვეა. გაიმეორეთ 20 დღის შემდეგ.

■

ცეკვა და ანორექსია

ამერიკელმა ექიმებმა დაასკვნეს, რომ ბავშვებს, რომლებიც ბევრს ცეკვავენ, სხვებზე მეტად ემუქრებათ ანორექსია — ფსიქიკური დარღვევა, რომელიც მადის სრული დაკარგვით ვლინდება.

მინესოტის უნივერსიტეტში ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ბავშვობაში ცეკვას სწავლობდნენ, ან უბრალოდ, უყვარდათ იგი, ანორექსიის შემთხვევები საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებლთან შედარებით 5-6-ჯერ მეტია.

მეცნიერთა აზრით, ეს იმის ბრალია, რომ ცეკვით გატაცებულ ბავშვებსა და მოზარდებს (უწინარესად — გოგონებს) ფორმის შენარჩუნების სურვილი თანდათანობით ჩვევად ექცევათ. წლების შემდეგ კი, მოწიფულობისას, ჭამისგან მუდმივი თავშეკავების ჩვევა ფსიქიკური დარღვევების სათავე ხდება.

კვების პროდუქტების ხარისხი გაუარესდა

ინდუსტრიული საზოგადოება დიდი ხანია მცენარეული და ცხოველური საკვებისა და მათგან წარმოებული პროდუ-

ქციის ხარისხის გაუარესებას უჩივის. ამ ცვლილებებს მრავალი მიზეზი აქვს: ნიადაგისა და, შესაბამისად, მცენარეების მინერალებით გაღარიბება, ხელოვნური სასუქის გამოყენება, რაც ნიადაგსა და მცენარეთა ორგანიზმში ზოგიერთი მინერალის (მაგალითად, ფოსფორისა და კალიუმის) დაგროვებას იწვევს, დაუმწიფებელი ბოსტნეულისა და ხილის მოსავლის აღება და შესაბამის კონდიციამდე მისაყვანად, შენახვის ან ტრანსპორტირების პერიოდის გამოყენება, პირუტყვის კვება ბუნებრივისგან მკვეთრად განსხვავებულ პირობებში, მათი ზრდის ხელოვნური სტიმულირება ჰორმონებისა და ანტიბიოტიკების შეყვანის გზით.

კვების პროდუქტების ხანგრძლივი ტრანსპორტირება და შენახვა მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობას ამცირებს, ბევრი ვიტამინი და მინერალი კი ამ ხნის მანძილზე საერთოდ იკარგება. ასე რომ, საკვების ხანგრძლივ შენახვას, პრაქტიკულად, ნულამდე დაჰყავს მისი კვებითი ღირებულება. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ოდენობას ამცირებს დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებიც, რომელთა მეოხებითაც ზოგიერთი მიკრონუტრიენტი სავსებით ქრება, ზოგიერთის რაოდენობა კი საგრძნობლად კლებულობს.

■

ახალი ლინზები ახლომხედველობას შეაჩერებს

ინგლისელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს კონტაქტური ლინზები, რომლებიც აჩერებს ახლომხედველობის განვითარებას.

დღეს ახლომხედველობის კორექციისთვის იყენებენ სათვალეს ან კონტაქტურ ლინზებს, მაგრამ ისინი მხოლოდ დროებით გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. თუ რაიმე მიზეზით, სათვალის ან ლინზების ფოკუსი ირევა, თვალის კუნთი იძაბება და მხედველობა კვლავ უარესდება. ახლომხედველობის განვითარებას შესაძლოა, სერიოზული გართულებები – კატარაქტა და გლაუკომა მოჰყვეს. ახალი ლინზები ინდივიდუალური შეკვეთით დამზადდება, რაც შესაძლებელს გახდის, გათვალისწინებული იქნას კონკრეტული პაციენტის ყველა თავისებურება. მოზრდილებში მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება ახლომხედველობის „გაყინვა“, ბავშვებში კი, მისი განვითარების თავიდან აცილება.

■

შექმნილია უნემსო შპრიცი

სენტ-ლუისის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები გვთავაზობენ ვაქცინებისა და წამლების შეყვანას ნემსის გარეშე. მათ შექმნეს შპრიცი, რომელიც ვაქცინას ან წამალს კანქვეშ შეაფრქვევს ულტრაბგერითი ვიბრაციის მეშვეობით. ამ დროს, კანის მთლიანობა არ ირღვევა – მოლეკულები შიგნით აღწევს ულტრაბგერის მიერ გაფართოებული კანის ფორებიდან. სიახლეს წარმატებას უწინასწარმეტყველებენ: იგი დაიცავს პაციენტებს ვირუსული ინფექციებისგან, რომლებიც ორგანიზმში ნემსის მეშვეობით ხვდება. გარდა ამისა, ახალი შპრიცი საკმაოდ მოეწონებათ იმ ავადმყოფებს, რომელთაც ნემსის ეშინიათ.

■

ღეროვანი უჯრედები უნაყოფობის წინააღმდეგ

უნაყოფო ქალებს ახალ იმედს აძლევს აშშ-ის ტენესის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები.

მკვლევარებმა შეძლეს კვერცხუჯრედის მიღება უფუნქციო საკვერცხეების ღეროვანი უჯრედებისგან. ღეროვან უჯრედებს 6 დღის განმავლობაში, ლაბორატორიაში ზრდიდნენ. შედეგად ზოგიერთი მათგანი სრულფასოვან, ჩასახვის უნარის მქონე კვერცხუჯრედად გარდაქმნებოდა. ექსტრაკორპორალური (სხეულს გარეთ) განაყოფიერების შემდეგ, კვერცხუჯრედს ნერგავენ ქალის საშვილოსნოში და იწყება ნანატრი ორსულობა. მეცნიერთა გამოგონების წყალობით, შესაძლებელი გახდება, არა მხოლოდ კვერცხუჯრედის განვითარების დარღვევასთან დაკავშირებული უნაყოფობის მკურნალობა, არამედ შვილოსნობის ასაკის 10-12 წლით გახანგრძლივება. ■

სასარგებლო კბენა ტუჩზე, პიტნიანი ყინული და საცურაო კოსტიუმების ჩვენება, რომელზეც პრეზიდენტსაც იწვევენ

ზაფხულის სიცხე ქალის სახის კანზე ისევე უარყოფითად მოქმედებს, როგორც ზამთრის სუსხი. იმისათვის, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები მუდამ კოხტად და მოხდენილად გამოიყურებოდნენ, პირველ რიგში, აუცილებელია სწორედ კანის მოვლა. როგორი ნიღაბი ჯობს ზაფხულში, პარფიუმერიის შეძენისას რას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ეწვევა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი საცურაო კოსტიუმების დეფილეს, ამის შესახებ ვიზაჟისტი და ფეშენშოუების ცნობილი ორგანიზატორი რეგინა ღონღაძე მოგვითხრობს.

სოფო ყარალაშვილი

— კანის მდგომარეობა გარკვეულწილად სახის კუნთების ტონუსზეა დამოკიდებული, რომლებიც განლაგებულია თვალის, წარბის, ტუჩის, ცხვირის და შუბლის მიდამოებში. მათ გასამკვრივებლად საჭიროა ვაკეთოთ სპეციალური ვარჯიშები. ყოველდღე სარკის წინ გამოვთქვათ ბგერები — ა, უ, ი, ო და ს ათ-ათჯერ. შემდეგ ზედა და ქვედა ტუჩზე, რიგრიგობით, ათ-ათჯერ ვიკბინოთ. ასევე კვირაში ორჯერ გავიკეთოთ სახის ნიღბები და ცივი და ცხელი წყლის კონტრასტული კომპრესები. კვირაში ერთხელ აუცილებელია ფილინგი, მკვდარი უჯრედების მოცილება. მჭადის ფქვილით ან მარილით სახის გაწმენდა ფილინგის მაგივრობას გაგიწევთ.

— ზაფხულში კანს ალბათ განსაკუთრებული მოვლა სჭირდება...

— სიცხეში კანი ითხოვს კვებას და დატენიანებას, ამიტომ კარგი იქნება, თუ ყოველ დილით პიტნიანი ან ნიახურიანი ყინულით გავიწმენდთ სახეს. შემდეგ უნდა გადავისვათ დამატენიანებელი მალამო, ისე, რომ ყინულის წასმის შემდეგ სახე არ შევიმშრალოთ. შემდეგ უკვე მთელი დღის განმავლობაში სახეზე ვისხათ თერმული წყალი (მინერალური წყალი) მაკიაჟის ზემოდან. ეს უკეთ შეგვინარჩუნებს მაკიაჟს.

— როგორ დავამზადოთ სახლის პირობებში ზაფხულის ნიღაბი?



— დავსრისოთ ერთი ბანანი, დავამატოთ 1 ჩ/კ თაფლი. მიღებული მასა წავისვათ სახეზე და გავიჩეროთ 20 წთ. შემდეგ ჩამოვიბანოთ გრილი წყლით.

— როგორი შუქ-ჩრდილებია ამ ზაფხულს მოდაში?

— დომინირებს მკვეთრი ფერების პალიტრა. დილის ათწუთიანი მაკიაჟი ასეთია: ჯერ უნდა მოვიწესრიგოთ წარბი, დავივარცხნოთ. სახეზე წავისვათ დამატენიანებელი მალამო, შემდეგ — ტონალური. თვალის ზედა ქუთუთოს სიგრძეზე წავისვათ ფანქარი და წამწამები ტუშით ავიპრიხოთ. სახე დავიხატოთ პასტელის ფერის ფერუმარილით. ტუჩზე უფერო საცხი ვიკმაროთ, კონტურის გარეშე. დღეს ბუნებრიობაა მოდაში.

— საღამოს მაკიაჟი როგორი უნდა იყოს?

— საღამოს მაკიაჟს მკვეთრი, დახვეწილი ფერები სჭირდება. აქ აქცენტირებას ვახდენთ ან თვალზე, ან ტუჩზე — არავითარ შემთხვევაში ორივეზე ერთად. საღამოს მაკიაჟისთვის აუცილებელია ტუჩის კონტური.

— რამდენად მიზანშეწონილია საპნის გამოყენება სახის კანისთვის?

— მშრალი და ნორმალური კანისთვის საპნის ხმარება სასურველი არ არის. ამას სჯობს, სახე კოსმეტიკური რძით, ტონიკით ან ლოსიონით გავიწმინდოთ. ცხიმიან კანს ყოველ დილით ყინულით ან „რბილი საპნით" თუ დავიბანთ, ძალიან კარგ შედეგს მივიღებთ.

— პარფიუმერიის შეძენისას, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

— ვიტამინების კრებულს. უნდა გამოვიყენოთ ის ლოსიონი ან მალამო, რომელიც C ვიტამინს შეიცავს, კანის მატონიზებელია და არეგულირებს წყლის ბალანსს ორგანიზმში. მალამოები, რომლებიც ნატურალურ ზეთებს შეიცავს, კარგად კვებავს და არბილებს კანს. ვიტამინი E ხელს უწყობს უჯრედების განახლებას. ამ ყველაფერს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. თუმცა, ქალის სილამაზისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც თავდაჯერებულობა და მომხიბლავი ღიმილია.

— ქალბატონო რეგინა, თქვენ იმ ჩვენების ორგანიზატორი ბრძანდებით, რომელიც 19 ივლისს გაიმართება და სადაც მოსკოველი დიზაინერი საცურაო კოსტიუმების კოლექციას წარმოგვიდგენს. ქართველი მანეკენები როგორ დაითანხმეთ ამ ჩვენებაში მონაწილეობაზე?

— სხვათა შორის, მეგონა, ძალიან გამიჭირდებოდა. ერთთვიანი კასტინგი ჩავატარე. მანეკენებმა დიდი სურვილი

| უდაბნო სამხრეთ აფრიკაში | | |

გამოთქვეს და მათი მშობლებიც იოლად დავითანხმეთ.

— როგორც ვიცი, პრეზიდენტის მოწვევასაც აპირებთ. როგორ ფიქრობთ — შეუძენს ის მეუღლეს იქ წარმოდგენილ რომელიმე საცურაო კოსტიუმს?

— ბატონ მიხეილს აუცილებლად მოვიწვევთ, თუ ამ დროს საქართველოში იქნება. ის ქალის სილამაზის დიდი მოტრფიალე და დახვეწილი შემფასებელია. მას ხომ გული მუდამ იქით მიუწევს, სადაც მშვენიერებაა. საცურაო კოსტიუმის შერჩევაზე კი, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი კოლექცია არავის დატოვებს გულგრილს. ■

სასარგებლო რჩევები

● მოცისფრო-მოლურჯო ბამბის ქსოვილი ან მუქი აბრეშუმი გარეცხვის შემდეგ, ცხელ მარილიან წყალში გაავლეთ (სამი ს/კ მარილი 1 ლიტრ წყალზე).

● რეზინის ჩექმები თბილი წყლით გარეცხეთ და რამდენიმე წვეთ გლიცერინსა და მცენარეულ ზეთში დასველებული ქსოვილი გადაუსვით.

● ლაკის ჩექმა (ან ფეხსაცმელი) ვაზელინით გააპრიალეთ.

● თუ ტყავის ხელთათმანები გიჭერთ, 2-3 საათით სველ ტილოში გაახვიეთ, შემდეგ ხელზე წამოიცვით და ისე გააშრეთ.

● არაჟანს თუ ცოტა რძეს დაუმატებთ, სადილში აღარ აიჭრება.

● ცილა კარგად აითქვიფება, თუ რამდენიმე წვეთ ცივ წყალს ან ერთ მწიკვ მარილს ჩაუმატებთ.

● ავეჯმა გადაადგილებისას იატაკი რომ არ გაჩხაპნოს, ფეხებზე პარაფინი წაუსვით.

● უჯრებმა თავისუფლად რომ იმოძრაოს, მათ ხის „ლიანდაგზე“ საპონი ან პარაფინი წაუსვით.

● ფანჯარამ ან კარმა გაღებისას რომ არ იჭრაჭუნოს, ანჯამები საპნით გაპოხეთ. ■

ქალი და სტატისტიკა

ქალების 10% პირველი პაემნიდან ერთი საათის შემდეგ უკვე სექსზე ფიქრობს;

ქალების 20%-ს იზიდავს სექსი ექსტრემალურ ვითარებაში;

ქალთა 36%-ს მოსწონს, როცა შიშველი ტრიალებს სარკის წინ;

ქალთა 45% უპირატესობას ცისფერთვალება, შავგვრემან მამაკაცს ანიჭებს;

ქალების 46% მზად არის, მეუღლის ყველა სურვილი დააკმაყოფილოს;

ქალების 70%-ს სექსი დილის საათებში უყვარს;

ქალთა 80%-ს სხვა ქალთან სექსუალური ურთიერთობა არ ჰქონია;

ქალების 90%-ს სურს, სასიყვარულო ურთიერთობა ტყეში ან სხვა ეგზოტიკურ ადგილას ჰქონდეს;

ქალების 99%-ს არასოდეს ჰქონია სექსი ოფისში. ■



...მაგრამ კრძალულებას ნუ შევასუსტებთ – გვმოძღვრავენ მართლმადიდებელი მამები

ანუ რა სულიერ სარგებელს ვიძენთ „წმინდა წერილის“ კითხვით?

მართლმორწმუნე ქრისტიანის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს „წმინდა წერილის“ კითხვა, რადგან მის გარეშე შეუძლებელია სულიერ ცხოვრებაში სრულყოფილების მიღწევა... რომელი წიგნები იწოდება „წმინდა წერილად“? რა სულიერ სარგებელს ვიძენთ „წმინდა წერილის“ კითხვით? როგორ უნდა ვიკითხოთ იგი?..

შორენა მერკვილაძე

„წმინდა წერილად“ იწოდება „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ წიგნები. ამ წიგნების კრებულს აგრეთვე ეწოდება „საღვთო წერილი“ და „ბიბლია“ („ბიბლია“ ბერძნული სიტყვაა და „წიგნებს“ ნიშნავს). „წმინდა წერილი“ დაწერილია სულიწმიდის კარნახით, ღვთისგან გამორჩეულ და განათლებულ ადამიანთა – წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ, რომლებიც გამუდმებული ლოცვა-ვედრებით ემსახურებოდნენ ღმერთს. ამიტომაც იყო მათზე დავანებული სულიწმიდა და ღმერთი მათ ხშირად აუწყებდა თავის წმინდა ნებას, რასაც შემდგომ, ადამიანებს უქადაგებდნენ. ამგვარად, „წმინდა წერილი“ არის ღვთის სიტყვა, ღვთის ნება და ბრძანება, წინასწარმეტყველთა და მოციქულთაგან ადამიანებისადმი გადმოცემული. სწორედ ღვთაებრივი წარმომავლობის, ღვთივსულიერების გამო აქვს „წმინდა წერილს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი შედარება სხვა წიგნებთან, კაცთაგან დაწერილთან, არ შეიძლება.

„წმინდა წერილი“ შედგება 77 წიგნისგან. „ძველ აღთქმაში“ შესულია 49 წიგნი: „დაბადება“; „წიგნი გამოსვლათა“; „ლევიტელთა“; „რიცხვთა“; „მეორე სჯულის“; „ისუ ძისა ნავესი“; „მსაჯულთა“; „რუთისა“ და სხვა. რაც შეეხება „ახალ აღთქმას“, მასში შედის 4 „სახარება“ (მთესი, მარკოზის, ლუკასი და იოანესი), აგრეთვე „საქმე წმიდათა მოციქულთა“; „ეპისტოლე იაკობისა“; „პირველი ეპისტოლე პეტრესი“; „მეორე ეპისტოლე პეტრესი“ და სხვა.

„ძველი აღთქმის“ წიგნები დაწერილია ქრისტეს შობამდე (1600-400 წწ.), „ახალი აღთქმის“ წიგნები კი – ქრისტეს შობის შემდეგ (42-100 წწ.).

„თუნდაც ძალიან ურჩი და ზარმაციც იყო, „წმინდა წერილის“ კითხვას თუ შეუდგები, აუცილებლად ჰპოვებ სულიერ სარგებელს“, — ბრძანებს წმინდა იოანე ოქროპირი. რა სულიერ სარგებელს შეგვძენს „წმინდა წერილის“ კითხვა?

წმინდა მამათა მოძღვრებით, „წმინდა წერილის“ კითხვით იწმინდება ადამიანის სული, გონება ნათდება და გული ღვთისა და მოყვასის სიყვარულით თბება. ამასთანავე, წმინდა წიგნების კითხვა აფხიზლებს სინდისს, გამოავლენს და აღმოფხვრის ვნებებს, ააშკარავებს ეშმაკის ხრიკებს, გვასწავლის, თუ როგორ ვიცხოვროთ კეთილზნეობრივად, შეგვძენს თავმდაბლობას, მოთმინებას, მორჩილებას, სიმშვიდეს (მაგალითად, როდესაც „წმინდა წერილიდან“ შევიტყობთ, თუ როგორ აწამეს და გვემეს მაცხოვარი, ის კი ყოველივეს მშვიდად იტანდა, ჩვენს ყოველდღიურ პრობლემებსა და ტანჯვა-წამებას ბევრად უფრო ნაკლებმნიშვნელოვნად მივიჩნევთ და სიმშვიდესაც შევინარჩუნებთ), საბოლოოდ კი, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი გვიქადაგებს: „წმინდა წერილით“ სრულყოფილად განვიწმინდავთ თავს ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნადაც ზეციურ წყალობას მოვიმკით“.

როგორ უნდა ვიკითხოთ „წმინდა წერილი“?

უნდა ვეცადოთ, რომ „წმინდა წერილი“ ვიკითხოთ ყოველდღიურად, თუნდაც, ნახევარი საათი. მისი კითხვა განსაკუთრებით აუცილებელია საეკლესიო დღესასწაულის დღეებში და კვირადღეს. თავდაპირველად, „წმინდა წერილის“ კითხვა უნდა დავიწყოთ „ძველი აღთქმის“ პირველივე წიგნიდან და ყოველდღიურად ვიკითხოთ იმდენი, რამდენის წაკითხვის დრო და საშუალებაც გვაქვს. როგორც კი დავასრულებთ — ე.ი. წავიკითხავთ „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ ყველა წმინდა წიგნს, მათ კითხვას კვლავ თავიდან უნდა შევუდგეთ. ასე გავაგრძელოთ მთელი ცხოვრების მანძილზე. საუფლო დღესასწაულებისა და სხვა მნიშვნელოვანი საეკლესიო მოვლენების დღეებში სასურველია, ვიკითხოთ შესაბამისი ადგილები „წმინდა წერილიდან“ (მაგალითად, შობის დღესასწაულის დღეს ვიკითხოთ „სახარების“ ის ადგილები, სადაც მოთხრობილია მაცხოვრის შობის შესახებ, ვნების შვიდეულში – ის მონაკვეთები, რომლებშიც მოთხრობილია იესო ქრისტეს გაცემისა და ჯვარზე ვნების შესახებ).

ვიდრე „წმინდა წერილის“ კითხვას შევუდგებოდეთ, უნდა მოვწესრიგდეთ – მანდილოსანმა თავი უნდა დაიბუროს მანდილით, არ ჩაიცვას შარვალი, მოკლე კაბა და არ გაიკეთოს კოსმეტიკა; მამაკაცმა არ უნდა დაიხუროს ქუდი და არ ჩაიცვას შორტი. გარდა ამისა, „წმინდა წერილის“ კითხვისას საჭიროა შემდეგი წესების დაცვა: კითხვის დაწყების წინ, მოვუხმოთ სულიწმიდის მადლს ჩვენდა მეოხად; ვიკითხოთ აუჩქარებლად, რამდენჯერმე გავიმეოროთ ის ადგილი, რომელიც ჩვენთვის გაუგებარია, რადგან როგორც წმინდა მამები ბრძანებენ, წმინდა წიგნები თანდათანობით შეიმეცნებიან; არ ვიზრუნოთ იმაზე, რომ ბევრი წავიკითხოთ. ზოგიერთ ადამიანს აინტერესებს, შეიძლება თუ არა, რომ „წმინდა წერილი“ იკითხოს დამჯდარმა? შეიძლება, ვიკითხოთ დამჯდარმა, მაგრამ კრძალულებას ნუ შევასუსტებთ – გვმოძღვრავენ მართლმადიდებელი მამები...

P.S. მისაღებია თუ არა „წმინდა წერილის“ ან რომელიმე ცალკეული ადგილის თვითნებურად განმარტება? შეიძლება თუ არა „წმინდა წერილის“ კითხვა, სასარგებლოს ნაცვლად, მავნებელი იყოს? უნდა ეცნობოდეს თუ არა მართლმორწმუნე ქრისტიანი სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა მიერ „წმინდა წიგნებად“ მიღებულ წიგნებს, მაგალითად, „ყურანს“? – ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით. ■



თემურ ჭკუასელი **იმ თაობის წარმომადგენელია, ვინც ღირსეულად გააგრძელა და განავითარა წინამორბედთა მიერ დანატოვარი სასიმღერო ტრადიციები. მომღერლის და ჟურნალისტის, რამდენიმე საუცხოო წიგნის ავტორის თქმით, მისი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისი ყველაზე ლამაზი და კარგი იყო. მაშინ ჩვენს ქალაქში თურმე, სასწაულები ხდებოდა, „წაშლილი" იყო ეროვნება — ყველას თბილისელი ერქვა და ყველამ იცოდა, ვინ რა კაცი იყო.**

„იმედი მაქვს, რომ შერეკილი ადამიანები კვლავაც იქნებიან"...

ანუ ვინ არის ღირსი, აცვაროს „ეროვნული ვანძის" წოდება

ნინო ჯავახიშვილი

— ბატონო თემურ, კონკრეტულად მაინც რით გამოირჩეოდა თქვენი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისი?

— ერთმანეთზე უკეთესი მოგონებები წამომეშალა... ეს ისეთი თემაა, რომელზეც დიდი მოწიწებით უნდა ილაპარაკო, რადგან იმ წლებს ეხება, რომელიც ულამაზესი იყო ჩემს ცხოვრებაში და ჩვენი ქალაქის ისტორიაში. ეს შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამიც გამომივიდეს, მაგრამ ასეა — ყველა თაობას ჰგონია, რომ სწორედ მისი დროინდელი თბილისი იყო ყველაზე კარგი. მაშინ საოცარი დამოკიდებულება იყო ადამიანებს შორის; შეიძლება, ერთმანეთს არც ვიცნობდით, მაგრამ ერთმანეთს ვესალმებოდით და ყველამ კარგად იცოდა, თუ ვინ რა კაცი იყო. ვაჟკაცი სხვა უბანში თუ გამოჩნდებოდა, იმ უბნელები დიდი პატივისცემით ექცეოდნენ. ხდებოდა ჩხუბიც, მაგრამ მხოლოდ მუშტი-კრივის დონეზე. მთელი თბილისი შეიძრა, როდესაც პირველი მკვლელობა მოხდა. მაშან პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს... ლადო ქოქაშვილი ძლიერი და კარგი ბიჭი იყო. იმან, ვინც ლადო მოკლა, წინასწარ სთხოვა ვაჟკაცურად — ვიცი, ჩხუბში ვერ გაგიმკლავდები და არ დამარტყა, თორემ, სადაც დამარტყამ, იძულებული ვიქნები, იმ ადგილას დაგჭრაო. ლადომ მაინც დაარტყა... თბილისი ღია ქალაქი იყო, სადაც სასწაულებრივი რაღაცები ხდებოდა. ერთ ამბავს გავიხსენებ. ომარ მხეიძე *(მოცეკვავე. — ავტ.)* თბილისის ძველ უბანში, პატარა სახლში ცხოვრობდა. დაქორწინდა და ქორწილის გადახდა იმ პატარა სახლში გადაწყვიტა. ომარი მთელ თბილისს უყვარდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენ ხალხს ექნებოდა მის ქორწილში მისვლის სურვილი. იმ სახლში ყველანი ვერ დაეტეოდნენ. ამიტომ მეზობლებმა შუა კედელი „გაჭრეს" და ორი ბინა გაერთიანეს. ქორწილი გადაიხადეს და მერე ისევ ამოაშენეს!.. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალაქში შეიძლებოდა მომხდარიყო, რომელსაც თბილისი ჰქვია, თანაც — იმდროინდელ თბილისში, თუმცა, ვინ იცის, ასეთი რამ შეიძლება დღესაც მოხდეს. სიკეთის ქმნა ხომ ადამიანის თვისებაა. დღესაც არიან კარგი ადამიანები. ამას წინათ, ღამის 3 საათი იყო, სახლში რომ ვბრუნდებოდი, გზაზე გაჩერებული ტაქსი შევამჩნიე. მძღოლმა მანიშნა, გააჩერეო, მაგრამ როგორც კი გავაჩერე და ვკითხე — რაშია საქმე-მეთქი? — მომიბოდიშა — ბენზინი გამითავდა, მაგრამ დახმარების სურვილიც რომ გქონდეთ, ვერ დამეხმარებით, თქვენი მანქანიდან ბენზინის ამოღება შეუძლებელიაო — რა პრობლემაა, დამელოდეთ, უახლოეს ავტოგასამართ სადგურზე მივალ და მოგიტანთ-მეთქი. 4 ლიტრი ბენზინი მივუტანე, რისი ჭურჭელიც მქონდა. ფული შემომთავაზა. კარგი ახლა, 4 ლიტრ ბენზინზე ნუ ვილაპარაკებთ, კაცი გზაზე იდექი და დაგეხმარე-მეთქი. — აბა, რა ვქნაო? — მკითხა. — სხვას გადაუხადე, სხვასაც ისე მოექეცი, როგორც მე მოგექეცი-მეთქი, — ხელი ჩამოვართვი და წამოვედი. ცოტა არ იყოს, გაოცდა, — ასეთი ხალხი კიდევ არსებობსო?! რა თქმა უნდა, არსებობს ასეთი ხალხი, ქართველები ასეთები ვართ. ადრე ღირსება ფასობდა და სხვა თუ არაფერი, იმის შიშით ვერ მოიქცეოდი ცუდად, ვინმეს რომ არ ეთქვა — უღირსად მოიქცაო.

— რა ითვლებოდა ღირსეულ ან უღირს საქციელად?

— უღირს საქციელად — არაკაცური საქციელი, ღალატი, უყურადღებობა. ერთხელ ასეთი რამ დავწერე — როცა სულიერად ძალიან გამიჭირდა და თეირი ბარაღი გადმოვფინე, მაშინ სად იყავით მეგობრები-მეთქი?.. დღეს შემიძლია, გაცილებით მიმტევებელი ვიყო და ბევრი რამ ვაპატიო

ვაჟკაცი სხვა უბანში თუ გამოჩნდებოდა, იმ უბნელები დიდი პატივისცემით ექცეოდნენ. ხდებოდა ჩხუბიც, მაგრამ მხოლოდ მუშტი-კრივის დონეზე...

მიშელ გასპარიანთან ერთად

ადამიანს, თუმცა ღალატი და უყურადღებობა მაინც მიუღებელია. რა ითვლებოდა ღირსეულ საქციელად?.. ყველა ის თვისება, რითიც ვიხიბლებოდით და ვიხიბლებით დღესაც – ერთგულება, მეგობრების და მეზობლის თანადგომა, უბნელის, თბილისელის გულშემატკივრობა ჭირშიც და ლხინშიც. ადრე საბურთალოს ქუჩაზე ვცხოვრობდი, 42 ნომერში. საბურთალოს ქუჩისა და პეკინის გადაკვეთიდან ეს სახლი საკმაოდ შორს არის. ერთი მეგობარი მყავდა, ჯარში ერთად ვმსახურობდით – თამაზ ბაინდურაშვილი. ჩემი მისამართი იცოდა და თბილისში ჩემს სანახავად ჩამოვიდა. როცა მომაგნო, მითხრა – გადაკვეთაზე ვიკითხე, სად არის საბურთალოს ქუჩა-მეთქი? – ვის ეძებთო? – მკითხეს. რომ გაიგეს, თემურ ჭკუასელს ვკითხულობდი, მომასწავლეს – ქუჩას პირდაპირ გაუყვები, 42 ნომერში ცხოვრობსო. ის კაცი პირადად არ მიცნობდა, მაგრამ იცოდა, ვინ ვიყავი და სად ვცხოვრობდი. აი, ასეთი იყო თბილისი, ასეთი დამოკიდებულება იყო მაშინ. ძნელი მისაგნები რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ის კაცი გამოჰყვებოდა და სახლამდეც მოიყვანდა... ასეთი რამ ახლაც ხდება. ჩემმა მეგობარმა, მერაბ ხაჩიძემ მიამბო: ამას წინათ, სახლში ვიღაც ორი უცნობი მოადგა – რუსი და ქართველი; ქართველმა მითხრა – რუსმა ეს ქუჩა და სადარბაზო იკითხა, ვერ აგნებდა და წამოიყვანე, მკითხა – ესა და ეს კაცი სად ცხოვრობსო? ორი სართულით ზევით მიბრძანდით-მეთქი, – მივასწავლე; ცოტა ხნის შემდეგ, მეზობელი მესტუმრა რუსთან ერთად და მთხოვა – რუსეთში დასარეკი აქვს, ჩემი ტელეფონი არ მუშაობს და დაარეკვინეო; სანამ ისინი ტელეფონზე საუბრობდნენ, მე სუფრა გავშალე; სტუმარმა პირველსავე ჭიქით თავისი გაოცება გამოხატა – მისამართი ვიკითხე, კაცი გამომყვა და აქამდე მომიყვანა, დარეკვა მინდოდა და დამარეკვინეთ; რა უნდა მოხდეს ჩემს ქვეყანაში ისეთი, რომ მეზობელთან მივიდე, მან უფასოდ დარეკვინოს და თან სუფრაც გამიშალოსო?!. ჩვენ კი, პირიქით, ის გვიკვირს, ასე რომ არ მოიქცევა ვინმე. აი, ეს არის განსხვავება ქართველ ერსა და სხვა ერებს შორის. ისე, კაცმა არ იცის, რა ჯობს... დღეს ისეთი ტენდენციაა, აქაურებიც კარჩაკეტილ ცხოვრებას ამჯობინებენ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ შერეკილი ადამიანები კვლავაც იქნებიან – რა თქმა უნდა, კარგი გაგებით შერეკილებს ვგულისხმობ.

— სტუმართმოყვარეობა, სიკეთის ქმნა ალბათ, მამების თაობისგან ისწავლეთ...

– არაფერიც არ მისწავლია მათგან, რადგან ეს ყველაფერი თავისთავად ხდება, სისხლისმიერია. როდესაც პატარა ვიყავი, ისინი რას აკეთებდნენ და როგორ იქცეოდნენ, ამას საერთოდ არ ვაკვირდებოდი. როდესაც წამოვიზარდე და ჩემი აზროვნებით დავიწყე ცხოვრება, მაშინ დავიწყე ფიქრი მათ საქციელზე. ბუნებრივია, ზოგი რამ ძალიან მომწონდა, ზოგს – მტკივნეულად განვიცდიდი. მე მაინც მგონია, რომ ჩვენი ხასიათი სისხლისმიერია. ჩემს მეგობარს, ლიტერატორ გია მურღულიას აქვს იდეა, შეადგინოს „ღირსების წიგნი". ამ წიგნით გვინდა, დავეხმაროთ ჩვენს მომავალ თაობას, რათა ტრადიციები არ გაქრეს. სისხლს ცოტას თუ წაეხმარები, რომ უფრო ძლიერად აჩქეფდეს ძარღვებში, ცუდი არ იქნება... ამ წიგნში თავმოყრილი იქნება გამაოგნებელი მაგალითები იმისა, თუ რა ღირსეულად იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები. მთავარია, ღირსების მქონე ადამიანი იყო და მაშინ არაფერი შეგეშლება – არც ქალს მიაყენებ შეურაცხყოფას, არც არავის ქედს არ მოუხრი; შეიძლება მოკვდე, მაგრამ ღირსებას მაინც არ დაკარგავ. ყველაზე დიდი ფუფუნება, ადამიანებს შორის ურთიერთობაა და ამაზე ლამაზი არაფერი არის.

— როგორი სიყვარული იცოდით იმ დროს, რაიმე თუ შეიცვალა?

– ადამმა ვაშლი რომ შეჭამა, იმის შემდეგ, ყველაფერი ისევ ისეა... იმდენნაირი სიყვარული არსებობს, რამდენი წყვილიცაა. შეიძლება, სიყვარულის გამომჟღავნების ფორმა შეიცვალა, შეიძლება, დღეს უფრო უჭირთ იმის თქმა – მიყვარხარო, მაგრამ შინაარსით არაფერი შეცვლილა, ზუსტად ისეთივე რაღაცები ემართებათ ადამიანებს, როცა უყვართ, როგორიც უწინ... სიყვარულის განმარტება არ არის საჭირო – ის ადამიანს აბრმავებს და შეურაცხადს ხდის... სიყვარულს, ვფიქრობ, საფრთხე არ ემუქრება...

— თქვენს ოჯახზე მითხარით რაიმე...

– მამაჩემი ცნობილი ფიზიკოსი იყო, დედა – ბუღალტერი. ორი კლასი დედულეთში, სოფელ ჩიბათში ვსწავლობდი. მახსოვს, დედაჩემმა თბილისიდან სკოლის ფორმა ჩამომიტანა, მაშინ სოფელში სხვას არავის ჰქონდა. ლამაზი ფორმა იყო, კოკარდიანი ქუდით, ქამრით, რის გამოც იქაურები გენერალს მეძახდნენ. მესამე კლასიდან თბილისში გადმომიყვანეს სასწავლებლად. მასწავლებელმა ჩემი სახელი და გვარი რომ ამოიკითხა, ბავშვებმა სიცილი დაიწყეს, იმდენად ეუცნაურათ ჩემი გვარი. ამის შემდეგ, 40 წელი გავიდა და ახლა ჭკუასელი საკმაოდ ცნობილი გვარია. ეს სულ რამდენიმე კაცმა მოახერხა – ჯემალ ჭკუასელმა, ცნობილმა ფეხბურთელმა – ავთო ჭკუასელმა და მე... სიმღერის ნიჭი ჩემი მშობლებისგან არ დამყოლია. სხვა რა გითხრათ ჩემს ოჯახზე – მყავს მეუღლე და ორი ვაჟი. ორივე კარგად მღერს, რაც ძალიან მახარებს.

— არ შემიძლია, „ქართულ სმებზე" არ გკითხოთ — ალბათ სიამაყე და სიხარული გეუფლებათ იმ წლების გახსენებაზე, როცა ხშირად გამოდიოდით სცენაზე, სხვადასხვა ქვეყანაში ქართულ ფოლკლორს რომ აზიარებდით მსმენელს...

– ყველაფერი, გარდა სიამაყისა: რაც

„ქართული სმები" თითოეული ჩვენგანისთვის ულამაზეს წლებს უკავშირდება....

უფრო თავმდაბალი ხარ და არაამბიციური, შენთვისვე ჯობს... „ქართული ხმები“ თითოეული ჩვენგანისთვის ულამაზეს წლებს უკავშირდება. როდესაც ხელოვნება ვიღაცისთვის დამღლელი შრომაა, ძნელია, ხელოვნებაზე იფიქრო. მაგრამ შენ თუ სიმღერით საოცარ სიამოვნებას განიცდი, ეს უკვე ხელოვნებაა. ჩვენ, ყველანი, ვმღეროდით საოცარი სიმსუბუქით და სიყვარულით. ეს შეგრძნება მაყურებელზეც გადადიოდა და ალბათ, ამიტომ ვუყვარდით ყველას. ეს სიყვარული განსაკუთრებით კარგად მაშინ გამოჩნდა, როდესაც სიმღერას თავი დავანებეთ. ამას ტრაბახში ნუ ჩამომართმევს ნურავინ...

— ბატონო თემურ, სინანულის გრძნობა არ გქონდათ, როდესაც ის, რაც თქვენ შექმენით, შვილების თაობას გადააბარეთ? რას ელით მათგან?

— ეს ყველაფერი, როგორც იცით, პირდაპირ სცენაზე მოხდა. ისევე, როგორც ხალხმა, ჩვენც მტკივნეულად, ცრემლიანად განვიცადეთ... ერთადერთი სურვილი მაქვს — ღირსეულად გააგრძელონ ჩვენი ტრადიციები. ვფიქრობ, ამის ყველანაირი პირობა აქვთ. უნდა იცოდნენ, რომ ხალხის სიყვარულის დამსახურება მხოლოდ კარგ სიმღერაზე არ არის დამოკიდებული...

— ბოლოს ისიც მითხარით, რას ნიშნავდა პოპულარობა თქვენი თაობისთვის? ხომ არ გაუფასურდა პოპულარობის ცნება დღეს?

— არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული არ უხარია. მთავარია, ეს ცრუპოპულარობისგან გაარჩიო. მიკვირს და ვერ გამიგია — დღევანდელი ვარსკვლავები პირად დაცვას რომ ქირაობენ, ვისგან იცავენ თავს — მაინც არავინ ეკარება!.. ერთხელ სუფრასთან მოვხვდი, სადაც რამდენიმე ასეთი ვარსკვლავიც იყო. თამადამ მომღერლები ასე გვადღეგრძელა — ჩვენს ვარსკვლავებს გაუმარჯოსო! მე გამეღიმა და ვუთხარი — ერთი შესწორება უნდა შემოვიტანო — ვარსკვლავები ესენი არინ, მე ცდომილი ვარ-მეთქი... ვარსკვლავობაზე უფრო მეტად მომწონს ასეთი წოდება — „ეროვნული განძი“, რომელსაც ავსტრალიასა და იაპონიაში ანიჭებენ მხოლოდ ღირსეულთ. ვთქვათ, ლიანა ისაკაძე, პაატა ბურჭულაძე არ არიან ისინი ამის ღირსები? ან ჰამლეტ გონაშვილი, გოგი დოლიძე... კიდევ რამდენი ჩამოვთვალო? ამით მათ გამორჩეულობას გაესმებოდა ხაზი და პრეტენზიაც არავის აღარაფერზე ექნებოდა, ყველას ეცოდინებოდა, თუ ვინ არის ღირსი, „ეროვნული განძის“ წოდება მიანიჭონ. თქვენი ჟურნალის საშუალებით შემოვდივარ ამ წინადადებით და იქნებ, ვინმე დაინტერესდეს კიდეც... ■

რეჟიორ ლასჯის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახი

ერთი ოჯახის ლრაკა ანუ უსასტიკესი სისტემის ვანაჩენი

მაღალი იდეალები გარკვეულ საზღაურს ყოველთვის მოითხოვს. ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის ეს საზღაური პირადი თავგანწირვითა და მისი ოჯახის ტრაგიზმით განისაზღვრა. ჩოლოყაშვილის სახელი ისტორიის კუთვნილებად იქცა, მაგრამ ის, რაც მისმა ოჯახმა და შთამომავლობამ გადაიტანა, ამ ისტორიული მონაკვეთის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

14 ივლისი ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღეა. რადგანაც ამ ეროვნული გმირის შესახებ თვით უმნიშვნელო ნუანსიც კი არ არსებობს უთქმელი და დაუწერელი, ქაქუცას შვილიშვილი, ქალბატონი მეგი ყირმელაშვილი იმ ოჯახური დრამის შესახებ გვესაუბრება, რაც მას გადმოცემით ესმოდა, თუმცა ბევრსაც თავად შეესწრო. მიუხედავად მძიმე ხვედრისა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შთამომავლებს ერთი წუთითაც არ უნანიათ მაღალი იდეალების გამო გაცემული საზღაური.

ირმა ახალაია

ყველაფერში ლიდერი

— მას შემდეგ, რაც ჩემი ბავშვური თვალსაწიერი გაფართოვდა, ქაქუცას სახელი იდეალივით შემოდიოდა ჩემში. მიუხედავად იმისა, რომ მისი სურათიც კი არ მქონდა ნანახი, ჩემს წარმოსახვაში სწორედ ისეთად ვსახავდი, როგორიც სინამდვილეში ყოფილა. პაპაჩემის სურათი პირველად რემონ დიუგეს ფრანგულ წიგნში ვიხილე და სიამაყის გრძნობა გამიჩნდა, რომ ღმერთმა ამ ადამიანის შთამომავლად მომავლინა ამქვეყნად, თუმცა ამისათვის ჩვენს ოჯახს მძიმე ხვედრი ხვდა წილად. ქაქუცა ბუნებით ლიდერი ყოფილა. ყველგან ყურადღების ცენტრში ექცეოდა თურმე, შესანიშნავად ცეკვავდა, შესანიშნავად მღეროდა. ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ყველაფერთან ერთად საოცრად დახვეწილი მანერებიც ჰქონია. ალბათ ამის გამო არ დაუხვევიათ უკან ბებიაჩემის მშობლებს, როდესაც ერთადერთი ქალიშვილის სათხოვნელად მისულ ქაქუცას თანხმობა უთხრეს. ბებიას — ნინო მელვინეთუხუცესს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მძიმე ხვედრი გადაიტანა, არასოდეს უნანია ქაქუცას ცოლობა, მხოლოდ იმას ჯავრობდა, რომ ამ გადაწყვეტილების გამო მისი მშობლები დაისაჯნენ. ყველას, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა ქაცუცას სახელთან, სასტიკად უსწორდებოდნენ. პაპაჩემს დაუპატიმრეს მხცოვანი დედა, სიდედრი, აგვისტოში ჩაშლილი ავჯანყების შემდეგ დაუხვრიტეს სიმამრი. პატიმრად ჰყავდათ აყვანილი მისი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილიც კი: დედაჩემი — ქეთევანი და დეიდა — ციცნა. ავისმოსურნენი არ ერიდებოდნენ არაფერს, ოღონდ ის მაღალი იდეალები დაემსხვრიათ, რასაც ქაქუცა და მისი თანამოაზრეები ემსახურებოდნენ.

დასჯის უსასტიკესი მეთოდები და საქათმეში შეკედლებული ბავშვები

— ბებია ხშირად მიყვებოდა იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით ცდილობდნენ გარკვეული ინფორმაციის მიღებას ჩეკისტები. ჩვენს ოჯახში უფროსებმა იცოდნენ, რომ მიზნის მისაღწევად პატარებსაც კი გამოიყენებდნენ. ამიტომ დედაჩემიც, რომელიც სულ რაღაც 3 წლის იყო და დეიდა ციცნაც (6 წლის) დაურიგებიათ,

არავითარ შემთხვევაში არ ეთქვათ იმ ადამიანების სახელები, ვინც მათ ოჯახს სტუმრობდა. მოლოდინი გამართლდა. დაპატიმრებულ ბავშვებს სასტიკი მუქარით აიძულებდნენ გარკვეული პირების დასახელებას, იმის თქმას, ხშირად ხედავდნენ თუ არა ისინი მამას და ვინ ახლდა მას. როდესაც ვერაფერმა გაჭრა, გოგონები ალმოდებულ კასრში ჩაგდებით დაუშინებიათ. თელავის მილიციაში არაადამიანური მოპყრობა, მეტეხის ციხეში მათი ერთწლიანი პატიმრობით გაგრძელებულა. ვიდრე მეტეხის ციხეში გადაიყვანდნენ, უფროსების მფარველობის გარეშე დარჩენილები, ხან საღორეში ათევდნენ თურმე ღამეს და ხან – ღია ცის ქვეშ. ახლობლები და ნათესავები ვერ ბედავდნენ, მზრუნველობა გაეწიათ პატარებისათვის, რადგან ამისათვის უთუოდ დაისჯებოდნენ. საშინელ პირობებში იმყოფებოდა ბებიაჩემი, რომელსაც საპატიმროში მყოფს, გარდა იმისა, რომ სასტიკად უსწორდებოდნენ, მისი შვილების, ბავშვთა თავშესაფარში გადაცემით ემუქრებოდნენ. საბოლოოდ, ნინოს მამას, ილია მეღვინეთუხუცესს წაუყვანია ბავშვები თავისთან, მაგრამ ისიც მალევე – აგვისტოში დაუხვრეტიათ. ამის შემდეგ, დედაჩემი და დეიდაჩემი ერთ-ერთ ნათესავს საქათმეში დაუბინავებია, სადაც ისინი ერთი წელი ცხოვრობდნენ. როდესაც ბებია გაუთავისუფლებიათ, ბერიას ბრძანებით შვილებთან

ქეთევანი

ერთად თბილისში გადმოსულა საცხოვრებლად. ყველაფერი ამით როდი დასრულებულა. ყველა უფრთხოდა ქაქუცას ოჯახთან ურთიერთობას. სკოლაშიც იმ პირობით მიუღიათ გოგონები, თუ არ იტყოდნენ, ვისი შვილები იყვნენ. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ქაქუცას სახელს ვერ ახსენებდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც აიდეალებდნენ, თითქმის ღმერთკაცად რაცხდნენ მას.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი
გენერალ კვინიკაძესთან ერთად

ფრაგმენტულად შემოჭრილი, მამის სახე – წარმოსახვა თუ რეალობა?

– დედაჩემის ცნობიერებაში მამის სახე ერთი ფრაგმენტით შემოიფარგლებოდა. ხშირად ამბობდა: მახსოვს, ერთხელ ბავშვებთან ვთამაშობდი, უცებ ვიღაცის მზერა ვიგრძენი, მივიხედე და ვიღაც მამაკაცი დაჟინებით მიყურებდა; ამ მზერაში რაღაც მშობლიური ვიგრძენი და ასე მგონია, ეს მამაჩემი უნდა ყოფილიყო: მას ხომ არ შეეძლო შვილებთან მოსვლა და ისე მოსიყვარულება, როგორც ამას სხვა მამები სჩადიოდნენო!.. როდესაც მამაჩემს დედა შეჰყვარებია, მშობლისთვის გაუმჟღავნებია მათი რომანის ამბავი. პაპაჩემი საშინლად გაცეცხლებულა: როგორ შეჰბედე ქაქუცას ქალიშვილს შენი სიყვარულიო?!. ქაქუცა მისთვის იდეალი იყო. ყირმელაშვილების ოჯახმაც დედაჩემთან ბედის დაკავშირების გამო მძიმე ხვედრი გადაიტანა. პაპაჩემიც სწორედ ამას შეეწირა.

ციცნა (თამარი)

„...მაინც თავს ბედნიერად მივიჩნევ“

– ის დრამა, რომელიც ჩოლოყაშვილების ოჯახს სდევდა თან, ჩემ თვალწინაც ცხადლივ აისახა. ბებია და დეიდა ციცნა გადასახლებაშიც იმყოფებოდნენ დასავლეთ ყაზახეთში. დედამ მათი მონახულება როდესაც გადაწყვიტა, თან წამიყოლა. ის შეგრძნება, რაც ჩვენი მატარებლიდან მატარებელში გადასვლით, უამრავი შემოწმებითა და იქ ჩასვლისას მიღებული ემოციით იყო გამოწვეული, დღემდე მახსოვს. პატარა ვიყავი, 6 წლის, მაგრამ ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს ყოველივე. იმ სოფელში, სადაც ბებია და დეიდა იყვნენ დასახლებულნი, საშინელი პირობები იყო. მდინარე ყინულით იყო დაფარული, სიცივე, შიმშილი, შინაგანი ტკივილისაგან დაოსებული სახეები... მათთან ერთად იმყოფებოდა მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟი. იმდენად განსხვავებული გარემო სუფევდა ჩემ ირგვლივ, რომ ის განცდა დღემდე მომყვება. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მთელი ექვსი ათეული წელი გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ოჯახმა ბევრი განსაცდელი გამოიარა, მე მაინც თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ ასეთი წინაპარი მყავდა. ჩვენი ცხოვრების თითოეული დეტალი უფლის ნებით არის განსაზღვრული და არაფერი ამქვეყნად შემთხვევით არ ხდება. ჩვენი ოჯახი მრავალი სასწაულის მოწმე შეიქნა, მაგრამ ყველაზე დიდ სასწაულად იმას მივიჩნევ, რომ პაპაჩემი ქაქუცა ჩოლოყაშვილი სწორედ მისივე სახელის წმინდანის, ქაიხოსრო ქართველის ხსენების დღეს – 29 ივნისს გარდაიცვალა... ■

დიუსელდორფი, 1981 წლის 13 მაისი

აქტიური სპორტიდან რამაზ შენგელიას წასვლის შემდეგ, ქართულ ფეხბურთს აღარ ჰყოლია იმ დონის ფეხბურთელი, რომელიც თბილისის „დინამოს“ ცენტრფორვარდს სრულფასოვნად შეცვლიდა. ეს ნათქვამი გაზვიადებული რომ არ მოგეჩვენოთ, კარიერის მანძილზე ბატონი რამაზის მიერ ნაჩვენები შედეგის მცირე ნაწილს მაინც გაგაცნობთ. დავიწყოთ იმით, რომ შენგელიას, „დინამოს“ მაისურით ქართველ ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი — 157 გოლი აქვს გატანილი. იგი ორჯერ იყო დასახელებული საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად (1978-სა და 1981 წლებში), 5-ჯერ მოხვდა „33 საუკეთესოს“ სიაში, ხოლო 1981 წელს, ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა. ვფიქრობთ, ეს მონაცემებიც სავსებით საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ „დინამოს“ რამაზ შენგელიას სახით, დიდი ოსტატობით გამორჩეული, შეუპოვარი ფორვარდი ჰყავდა.

ზასტაველი ბიჭი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა

«დინამოელების» მიერ სამჯერ დაჩაგრული «კარლ ცაისი»

გიორგი ლანჩავა

„შავ სამყაროში“ გაზრდილი

— ქუთაისში უბან ზასტავაზე ვარ დაბადებული, სადაც საკმაოდ იყვნენ ე.წ. „შავი გაგების“ ხალხი და კანონიერი ქურდები. ბავშვობაში ჩემთან ერთად ვინც იზრდებოდა, მგონი, ყველა ქურდი გახდა, ფეხბურთელი კი მხოლოდ მე გამოვედი. ოდნავ გზას რომ ავცდენოდი, შესაძლოა, ციხეშიც მოვხვედრილიყავი, რადგან არ იყო გამორიცხული, ვინმეს ავყოლოდი და გამოუსწორებელი შეცდომა დამეშვა. მაგრამ ქუჩას, მაინც ფეხბურთის სიყვარულმა გადასძლია, რაშიც დიდი წვლილი მამაჩემს, ალექსანდრე შენგელიას მიუძღვის. რომელიც ახალგაზრდობაში ფრენბურთს თამაშობდა და ფანატიკურად იყო შეყვარებული ფეხბურთზე. ჩემს ბავშვობაში, მამა ქუჩებს შორის პირველობის ორგანიზატორი გახლდათ და ამის გამო ჩვენი უბნის ბავშვებისთვის საფეხბურთო მაისურებსაც ყიდულობდა. 9 წლისამ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში დავიწყე სიარული, ხოლო 11 წლის ასაკში, ქუთაისის „ტორპედოს“ მოსამზადებელ ჯგუფში ჩვენი ქალაქის ფეხბურთის პატრიარქთან, კარლო ხურციძესთან გავაგრძელე ვარჯიში. ბატონი კარლო სამართლიანი და უწესიერესი კაცი იყო. იგი ვერ იტანდა, როდესაც ვინმე ცდილობდა, საკუთარი შვილი ნაცნობობით ეთამაშებინა ან ნათესაური კავშირის წყალობით, სადმე გუნდში „შეეჩხირა“. თავდამსხმელის პოზიციაზე სწორედ ხურციძემ დამაყენა და კარიერის განმავლობაში, სხვა ადგილას არც მითამაშია. 18 წლისა, უკვე პირველ ლიგაში — „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, ხოლო 1977 წელს, ნოდარ ახალკაცმა თბილისის „დინამოში“ მიმიწვია. „დინამოში“ ასპარეზობის პირველსავე სეზონში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოვიპოვე. ერთი წლის შემდეგ, ქვეყნის ჩემპიონები გავხდით და საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელადაც მაღიარეს. მაშინ მხოლოდ 21 წლის ვიყავი.

ყიფიანის მიერ თავში მორტყმული ბურთი

— თბილისის „დინამოში“ ჩარიცხვის პირველსავე დღეებიდან, ისე მოხდა, რომ მოედანზე ყველაზე უკეთ მე და დავით ყიფიანი ვუგებდით ერთმანეთს. იგი, როგორც იტყვიან, „მოხარშულს“ მიცნობდა და ერთმანეთისთვის კარნახიც კი არ გვჭირდებოდა, ისედაც კარგად ვიცოდით, მოედანზე რა უნდა გაგვეკეთებინა. დათო შემოქმედი ადამიანი იყო და თამაშის მსვლელობისას, გადაწყვეტილებას წამის მეასედში იღებდა. მეტოქე მცველთან პოზიციურ ბრძოლას როგორც კი მოვიგებდი, ყიფიანი უმალ მომაწოდებდა ბურთს, არასოდეს დაიგვიანებდა და მისი წყალობით, საკმაოდ ბევრი გოლი მაქვს გატანილი. ხალხი ხუმრობით იმასაც კი ამბობდა: ყიფიანი ბურთს შენგელიას თავში არტყამს და მასაც გოლი ისე გააქვსო... მინდორზე ჩვენი ურთიერთგაგების ნათელ მაგალითად გამოდგება, ლონდონში „ვესტ ჰემის“ კარში გატანილი ბურთი, როდესაც დათომ უმალ შენიშნა ჩემი მოძრაობა და ჩვენი საჯარიმოდან თითქმის 60 მეტრის მანძილიდან გაკეთებული უზუსტესი პასით მეტოქის მეკარესთან პირისპირ გამიყვანა...

„ავტოგენი“ და „მკვლელი“ მცველები

— საბჭოთა კავშირის პირველობაზე თამაში ადვილი ნამდვილად არ იყო. მით უმეტეს, დღევანდელისგან განსხვავებით, იმ პერიოდში მსაჯები უხეშობისთვის ასე იოლად ყვითელ და წითელ ბარათებს არ იძლეოდნენ. ამიტომ მე, ყიფიანსა და გუცაევს ფეხები სულ დალეწილი გვქონდა, რადგან მეტოქის მცველები არ გვინდობდნენ. მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდნენ მცველები — ნიკულინი და ნოვიკოვი, რომლებიც 40 გრადუს ყინვაში მაისურის სახელოებს აიკაპიწებდნენ და კი არ გვეთამაშებოდნენ, არამედ — სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით — „გვეხავდნენ“. მათ მეტსახელად „ავტოგენსაც“ ეძახდნენ. მოსკოვის „ტორპედოს“ რიგებში გამოდიოდა ჟუპიკოვი, რომელიც ნამდვილი „მკვლელი“ იყო. მოედანზე მას როდესაც ვხედავდი, შეშინდა, რადგან ფეხბურთს კი არ თამაშობდა, არამედ გამოექანებოდა და ისე დამეჯახებოდა, რომ მიწაზე ვეცემოდი. ბუნებით დამთმობი ვიყავი და უხეშობაზე უხეშობით არასოდეს მიპასუხია. კარიერის განმავლობაში, ერთადერთი ყვითელი ბარათი მაქვს მიღებული, მოსკოვში „ცეესკას“ წინააღმდეგ თამაშისას. იმ მატჩის მსვლელობისას, მოწინააღმდეგის თითქმის ორმეტრიან მცველ შვეცოვს ერთ ეპიზოდში გვერდი ავუარე და როდესაც მეგონა, გავასწარი-მეთქი, თავისი გრძელი ფეხების წყალობით დამეწია და ბურთი წამართვა. ამან გამაბრაზა და მოსკოველს უკნიდან ფეხი ისე ჩავარტყი, რომ მან სიმწრისგან დაიყვირა. ცხადია, მსაჯმა მაშინვე ყვითელი ბარათი მიჩვენა. საერთოდ, საბჭოთა კავშირის პირველობაზე ყველაზე მეტად, კიევის „დინამოელი“ ბალ-

ტაჩას წინააღმდეგ მიჭირდა თამაში, რადგან ის უხეში კი არ იყო, არამედ, კარგად ეხერხებოდა პერსონალური მეურვეობა.

ნაკრებისთვის მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონატის საგზური

— საკლუბო დონეზე საკმაოდ ბევრი ბურთი მაქვს გატანილი, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკთან“ ისეთი გოლი ჩავიწერე საკუთარ ანგარიშზე, რომელმაც თავად გამაკვირვა. 1978 წელს, მოსკოველებს თბილისში 2:0 მოვუგეთ... შეხვედრის მსვლელობისას, მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა, რომლის შესრულება ვახტანგ ქორიძემ ითავა. მისი პასის მერე, როდესაც კარიდან გამოსული მეკარე პროხოროვი დავინახე, მეტოქის საჯარიმოს რკალიდან შეუჩერებლად დავარტყი. ბურთმა ისეთი ტრაექტორია მოხაზა, რომ ვიფიქრე — ნეტავ, სად მიფრინავს-მეთქი?.. მაგრამ ბოლოს, „სპარტაკელთა“ კარში ჩაეშვა და საკუთარი თავი შევაქე კიდეც... ბუნებრივია, არ დამავიწყდება 1981 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წინააღმდეგ თბილისში ჩატარებული მატჩი, რომელიც 2:0 მოვიგეთ. ორივე გოლი მე გავიტანე. საბჭოთა ნაკრებს 12 წელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში არ უთამაშია და ამ გამარჯვების წყალობით, ესპანეთის მსოფლიო პირველობის საგზური მოვიპოვეთ. მაგრამ ჩემპიონატზე გამგზავრებამდე, იმდენ ხანს და ისე ერთფეროვნად ვემზადებოდით, რომ ბურთის დანახვა საერთოდ აღარ მინდოდა. დღემდე მახსოვს, 1982 წლის ჩემპიონატზე, ბრაზილიასთან ჩატარებული მატჩი, როდესაც 1:0 ვიგებდით და მე ასპროცენტიანი გოლი არ ჩამითვალეს. იმავე შეხვედრაში მსაჯმა ჩემი წაქცევისთვის ბრაზილიელთა კარში აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. სოკრატესისა და ეჟერის გოლების წყალობით, ბრაზილიელებმა 2:1 მოგვიგეს... ასევე დასამახსოვრებელი იყო მატჩი შოტლანდიელებთან, რომელიც 2:2 დასრულდა. იმ შეხვედრაში 0:1 ვაგებდით და ანგარიში ალექსანდრე ჩივაძემ გაათანაბრა. მანამდე, შოტლანდიელებმა სწორედ მისი შეცდომის წყალობით გაიტანეს გოლი. ამის მერე, ჩვენი გუნდი მე დავაწინაურე, მაგრამ მეტოქემ შეხვედრის მიწურულს თანაფარდობა მაინც აღადგინა.

ქეიფი მიყვარს და ყოფილ თანაგუნდელებს, რაც წლების განმავლობაში არ დაგვიღევია, ახლა ვინაზღაურებთ... (რამაზ შენგელია და ხორენ ოგანესიანი)

„ვინც ჩვენთან არ სვამს, „ჩამშვებია“!..

— როდესაც ნაკრებში პირველად მიმიწვიეს, თამაშმა სტუმრად ფინეთის ეროვნულ გუნდთან მოგვიწია. მატჩის შემდეგ, რომელიც ფრედ დასრულდა, ძალიან დაღლილი ვიყავი და თენგიზ სულაქველიძესთან ერთად სასტუმროს ნომერში წამოწოლილი ვისვენებდი. ამ დროს, ერთ-ერთი თანაგუნდელი შემოვდა ჩვენთან და გვითხრა, რომ ბიჭები დასალევად იკრიბებოდნენ. დალევის თავი ნამდვილად არ მქონდა და გუპასუხე, წამოსვლა არ შემიძლია-მეთქი. იმ მოთამაშემ კი განმიცხადა: თუ ჩვენთან ერთად ყოფნა არ გინდა, ეი. „ჩამშვები“ ხარ და მწვრთნელებთან ამბები მიგაქვსო!.. რა უნდა მექნა? ავდექი და დასალევად წავედი. ადგილზე მისულს, დიდ ჭიქაში ჩამისხეს არაყი და როდესაც დავლიე, ისე დავთვერი, უკან დაბრუნებულმა საკუთარ ოთახს ძლივს მივაგენი. თან ვფიქრობდი — თუ მოვკვდი, ასეთი ნაკრები ნამდვილად არ მინდა-მეთქი... ნაკრებში სმის ორგანიზატორები კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები იყვნენ და რუსებიც მათ, ცხადია, მხარს უბამდნენ. საზღვარგარეთ რომ მივფრინავდით, ისინი შერემეტიევოს აეროპორტში ორ ან სამ ბოთლ არაყ „სტოლიჩნაიას“ იყიდდნენ და თან მოჰქონდათ. ბესონოვი, დემიანენკო და ჟურავლიოვი, რომელსაც მეტსახელად სპილოს ეძახდნენ, ძალიან ბევრს სვამდნენ, მაგრამ ეს მათ თამაშს არ ეტყობოდა, რადგან ალკოჰოლს კარგად იტანდნენ.

გაბიტაშვილის კაკლის მურაბა

— თავის დროზე, საქართველოდან საზღვარგარეთ ყველაზე ხშირად თბილისის „დინამო“ და სუხიშვილების ანსამბლი დადიოდა. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში ყველაფერი დეფიციტი იყო და ბევრ ჩვენთვის სასურველ ნივთს უცხოეთში ვყიდულობდით. იქიდან ჩამოტანილი ჯინსი ზოგიერთ ჩემს ახლობელს მგონი, ახლაც აცვია... დუბლინში „უოტფორდთან“ სათამაშოდ სანამ გავფრინდებოდით, სასტუმროს ფოიეში მე, გიორგი ჭილაია, ვიტალი დარასელია და „დინამოს“ მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი ვისხედით. ჭილაიამ გაბიტაშვილის გაშაყირება მოინდომა და მეუბნება: რამხელა შეცდომა დავუშვი, კაკლის მურაბა თან რომ არ წამოვიღე: თურმე, ირლანდიაში მაგაზე დიდი მოთხოვნილებაა და ქილაში 100 დოლარს იძლევიანო... ანზორამ ეს რომ მოისმინა, ვეღარ მოითმინა და ჭილაიას უთხრა: შე კაი კაცო, ეგ თუ იცოდი, გეთქვა და მე გამოვაყოლებდი, სახლის სარდაფი კაკლის მურაბის ქილებით მაქვს სავსეო... ცხადია, ამის გაგონებაზე სიცილი აგვიტყდა და მასაჟისტიც მიხვდა, რომ ვხუმრობდით.

გუცაევისთვის შეთავაზებული ნახევარი მილიონი

— ესპანეთში ოთხთა ტურნირი ჩატარდა, რომელშიც თბილისის „დინამო“, მადრიდის „რეალი“, მიუნხენის „ბაიერნი“ და ჰოლანდიის „აზ-67“ მონაწილეობდნენ. პირველ მატჩს „ბაიერნს“ 2:1 ვუგებდით, როდესაც რუმენიგესა და ბრაიტნერს არბიტრთან კამათი მოუვიდათ. ისინი გუნდში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და როდესაც მსაჯს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს, მათთან ერთად „ბაიერნის“ სხვა მოთამაშეებმაც დატოვეს მოედანი. ამის შემხედვარემ, ჩემთვის გავიფიქრე — აგაშენათ ღმერთმა, 100 დოლარი ხომ გავინაღდებეთქი: ასეთი დონის მატჩებში გამარჯვებისთვის ამ თანხას გვიხდიდნენ... აღნიშნული ტურნირი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა ვლადიმერ გუცაევმა, რომელიც საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს. მას ფინალურ მატჩში „რეალის“ წინააღმდეგ, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე შედგა, 80000 მაყურებელი ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს. ის თამაში დავთმეთ და ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ანხელმა დავით ყიფიანს ფეხი მოსტეხა. ტურნირის შემდეგ, „რეალის“ წარმომადგენლები გუცაევს 500 ათას დოლარს მხოლოდ იმაში სთავაზობდნენ, რომ ვოვას კლუბთან მოლაპარაკება დაეწყო. რაც შეეხება ხელფასს, მადრიდელები არანაირი თანხის გადახდაზე არ დაიხევდნენ უკან. ბუნებრივია, გუცაევი არსად წასულა, რადგან მაშინ ასეთი რამის გაკეთება ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნებოდა... როცა იტალიაში „ნაპოლის“ წინააღმდეგ ჩემი თამაში ნახეს, იქაური ფეხბურთის სპეციალისტები ამბობდნენ: რა როსი, რის როსი? შენგელია ყოფილა, თუ ყოფილაო!.. სხვადასხვა იტალიური კლუბის მწვრთნელს კი სურდა, მათი გუნდის რიგებში მეთამაშა, მაგრამ როგორც აღვნიშნე, ეს იმ დროს წარმოუდგენელი იყო.

„ფეინოორდთან“ პაექრობისას გუნდის მხსნელად მოვლენილი

– „დინამოს“ შემადგენლობაში საუკეთესო მატჩი ალბათ, 1981 წელს, თასების თასის ნახევარფინალში სტუმრად ჰოლანდიის „ფეინოორდის“ წინააღმდეგ ჩავატარე. როტერდამელებთან თბილისში 3:0 გვქონდა მოგებული და საკუთარ კედლებში ჰოლანდიელებმა ავსტრიელი მსაჯის, ვიორერის დახმარებით ყველაფერი გააკეთეს, რომ ფინალში გასულიყვნენ. მან ჩვენ 2 გოლი არ ჩაგვითვალა და „ფეინოორდის“ კარში პენალტი არ დანიშნა. როტერდამში მეორე ტაიმი საოცრად ვითამაშე და თამაშის დასრულებისას თანაგუნდელებმაც მითხრეს: ასეთი მატჩი აქამდე არ ჩაგიტარებიაო. რაც შეეხება ნოდარ ახალკაცს – მან შემაქო და თან დასძინა: შენ რომ არ ყოფილიყავი, არ ვიცი, რა გვეშველებოდაო.

თაობათა ცვლა არ შედგა

– ნოდარ ახალკაცს, როგორც მწვრთნელსა და პიროვნებას, დღემდე უდიდეს პატივს ვცემ. თუმცა, 1983 წლის სეზონის წინ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი – როდესაც გუნდიდან რამდენიმე გამოცდილი ფუსბურთელი გაუშვა და აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა, – ბოლომდე გამართლებულად არ მიმაჩნია. ამის შედეგად, იმ სეზონის ბოლოს, „დინამო“ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის დატოვებას ძლივს გადაურჩა და ბატონმა ნოდარმაც განაცხადა: თაობათა ცვლა არ შედგაო. ბოლოს კი, ნაჩვენები შედეგის გამო, იგი მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ჩემი აზრით, ნებისმიერ გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების ყოფნა აუცილებელია, რადგან ახალგაზრდებმა ბევრი რამ მათგან უნდა ისწავლონ.

დაკარგულის ანაზღაურება

– თბილისის „დინამოში“ თამაშისას, ან ბაზაზე ვიყავი გამოკეტილი, ან თვეობით შეკრებაზე ვიმყოფებოდი. ფაქტობრივად, ყველაფერს მოწყვეტილი გახლდით და ვერც ვინმეს ქორწილში მივდიოდი და ვერც გასვენებაში. ხანდახან ფსიქოლოგიურად ისე ვიყავი დაღლილი, რომ ყველაფერი მბეზრდებოდა. სანამ აქტიურ სპორტს თავს დავანებებდი, სახლში მისვლა და ცოლშვილის ნახვა იშვიათად მიწევდა. ის კი არა, ბებუაჩემი ისე დაასაფლავეს, გასვენებაშიც კი არ ყოფილვარ, რადგან, გუნდთან ერთად სხვა ქალაქში ვიმყოფებოდი. მაგალითად, ვიტალი დარასელიას სიძე დაელუპა და დაკრძალვაზე ვერ წავიდა, ვინაიდან მეორე თუ მესამე დღეს, პრინციპული მატჩი გვქონდა სათამაშო. ქეიფი მიყვარს და ყოფილ თანაგუნდელებს, რაც წლების განმავლობაში არ დაგვილევია, ახლა ვინაზღაურებთ. „ვეტერანებს“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებშიც გვიწევს ჩასვლა ამხანაგურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად და ყოველი შეხვედრის მერე, ვქეიფობთ. ევროპის თასების თასის ფინალის 20 წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენი მაშინდელი მეტოქის – იენის „კარლ ცაისის“ ვეტერანი ფეხბურთელები გვესტუმრნენ, რომლებსაც ეროვნულ სტადიონზე ვუმასპინძლეთ და კვლავ მოვუგეთ. ერთი წლის შემდეგ, უკვე მათ დაგვპატიჟეს გერმანიაში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. ადგილზე ჩასულები, გერმანელებმა პირველ რიგში, ლუდის ქარხანაში წაგვიყვანეს და თავადაც მიხვდებით, იქ რა ამბავიც მოხდებოდა... მეორე დღეს, სათამაშოდ კარგად შეზარხოშებული გავედით, რასაც სტადიონზე მოსული მაყურებელი ვერ მიხვდა. თამაშის მსვლელობისას შევატყვეთ, რომ გერმანელები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მოეგოთ მატჩი, მაგრამ იმ შეხვედრაშიც ჩვენ გავიმარჯვეთ. შემდეგ მასპინძლებს ვეუბნებოდით – ხომ ხედავთ, მაშინ თასი დამსახურებლად გვერგო-თქო...

■

დადგა ზღვის სეზონი

დადგა ზაფხული თავისი თაკარა მზით და სიცხეებით. იქნება ბევრი სინათლე და კარგი განწყობილება, ზღვა და პლაჟი. ჩვენც ზაფხულის წესებით მოგვიწევს ცხოვრება. აღარ გამოგვადგება მუქი ლაბადები და მოსასხამები, რომლებიც საგულდაგულოდ ფარავდნენ ჩვენი სხეულის ჭეშმარიტ კონტურებს. ზაფხულში ხომ სასურველია მაქსიმალურად ნათელი ფერები და ლამაზი სხეული. . .

ნებისმიერ ქალს და არამხოლოდ ქალს სურს, რომ დახვეწილი და ლამაზი იყოს. ბევრი ჩვენთაგანი არაფერს იშურებს ამისათვის: ათასგვარი დიეტა, ვარჯიში, მასაჟი. ყოველი ზედმეტი კილოგრამის მოშორება ხომ კმაყოფილებით გვავსებს, სხეულს გვილამაზებს და ბედნიერს გვხდის.

ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლაში სხვადასხვა პრეპარატებიც გვეხმარებიან, აქედან ზოგი ძლიერ მოქმედი ქიმიური პრეპარატია, ზოგიც მცენარეული.

ნატურალური, მცენარეული პრეპარატების მოყვარულებისთვის სასიამოვნო სიახლეა. აფთიაქებში გამოჩნდა ახალი პრეპარატი „ფიბეხინი“, რომლის შემადგენლობაც მთლიანად ნატურალურია და ტროპიკული ზონის მცენარეებისაგან შედგება.

„ფიბეხინი“ წარმოადგენს უნიკალურ მცენარეულ კომბინაციას, რომელსაც შეუძლია სწრაფად და ეფექტურად მოახდინოს სხეულის კორექცია. „ფიბეხინი“ შლის ცხიმებს, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემებს, არ გააჩნია გვერდითი მოვლენები, აქვეითებს მადას, არ საჭიროებს მკაცრ დიეტას.

იმეგობრეთ ფიგურინთან და ზედმეტი კილოგრამები თითქოს არც ყოფილა.

ფიგურინი

სრულყოფილი სხეულის ფორმულა!

დოზირება:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში, (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გთხოვთ მითითებულ დოზას ნუ გადააჭარბებთ.

ყოველი კაფსულა შეიცავს:
პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
ლოხა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრგვალფოთლიანი მრავალძარღვა-30მგ.
მყავე ემბელიას ნაყოფი-20მგ.
დარფილფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჭა-20მგ.
სამყე-250მგ.
ინდური ტყვიაბალახა-25მგ.
აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩებულა)-100მგ.

გვერდითი მოვლენები:
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

უკუჩვენება:
ორსულობა და ლაქტაცია.
18 წლამდე ასაკი.

Фигурин
Фигурин
Фигурин

ძალიერის ძალები

ლუბა ელიავილი

(დასაწყისი)

თუ ერთ მშვენიერ დღეს, თქვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა და მარჯანიშვილის მოედანზე ნაქირავები ნახევარსარდაფიდან გადახვალთ მთაწმინდაზე ორსართულიან, ვერანდიან, ფანჩატურიან კერძო სახლში, ლამაზი ხედითა და ყვავილებით მოფენილი ბაღით, ნუ იჩქარებთ ბედისთვის მადლობის შეთვლას და იმის დაჯერებას, რომ თქვენს ცხოვრებაში უსიამოვნების ხანა დამთავრდა და მომავალში მხოლოდ ასრულებული ოცნებით ტკბობა გელით, რადგან როგორც ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანია თავის სარეკლამო რგოლში სრულიად სამართლიანად გვაუწყებს, „ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით...“

ამ განცხადების ჭეშმარიტება განსაკუთრებით მაშინ ვირწმუნე, როცა ჩემი მეგობრის, მაგდა კრიხელის საყვარელი ძაღლი დავკარგე და ერთსაათიანი ძებნის შემდეგ, მისი პოვნის იმედი საბოლოოდ გადამეწურა.

— ბონი, ბონი! — გავიძახოდი ხან ალერსიანი ხმით, ხან ვუბრაზდებოდი, ხან ვუსტვენდი, მაგრამ ჩემს ყვირილზე, ბუჩქებიდან, კუდის ხალისიანი ქიცინით არ გამოვარდნილა ჩალისფერი ლაბრადორი. ციცაბო ფერდობს ჩავუყევი, ფეხქვეშ კლდე მეშლებოდა და სანახევროდ მივსრიალებდი. თითქმის დაბნელდა. სახეზე ჯერ წვიმის მსხვილი წვეთი დამეცა, მერე მაისის წვიმა უფრო გახშირდა და ცა ელვამ გადასერა. ერთი წამით განათებულ ხევში ძაღლის ჩალისფერი ფიგურა დავლანდე, უცნაურად მოკუნტული იწვა მიწაზე. სულ დამავიწყდა სიფრთხილე, ნაბიჯს მოვუმატე, თითქმის სირბილით ჩავქანდი ციცაბოზე. ბოლო მომენტში, თავი ვეღარ შევიკავე და მოვჯექი. ასე ვიხოხიალე კიდევ რამდენიმე მეტრი, სანამ ძაღლის გვერდით ტალახის გუბეში არ აღმოვჩნდი. „წვიმა სულ რამდენიმე წამის დაწყებულია, ამხელა გუბე საიდან გაჩნდა?“ — გავიფიქრე და ძაღლს მოვუფათურე ხელი. ბონი გაუნძრევლად იწვა, თბილი იყო, თითქოს სუნთქავდა კიდეც. ჩალისფერი ბეწვი რაღაც ბლანტი ტალახით ჰქონდა მოსვრილი. ისევ იელვა, დაბლა დავიხედე და შევკივლე: ხელები სულ სისხლიანი მქონდა და თავადაც სისხლის გუბეში ვიჯექი. აკანკალებულმა ჯიბიდან მობილური ამოვიღე და მიდამო გავანათე, ბონის თავთან, ნახევარ მეტრში, ბუჩქებში, კარგა მოზრდილი გორგალი შევნიშნე. ოდნავ წინ გადავცოცდი და შუქი ახლოდან მივანათე უცნაურ საგანს. როდესაც მივხვდი, თუ რა ეგდო მიწაზე, განწირული ხმით ვიკივლე:

— მიშველეთ, მომეხმარეთ, აქა ვარ, გესმით ვინმეს?!

მერე ისევ ბონის მომჩვარულ სხეულთან გადავინაცვლე და ჩემი შეფისა და მეგობრის, ირაკლი მაღრაძის ნომერი ავკრიბე:

— ირაკლი, მიშველე! მთაწმინდაზე ვარ, ხევში, ბონი დაჭრილია და ბუჩქებში კაცის თავი აგდია, მოკვეთილი! — სხაპასხუპით მივაყარე და გავყუჩდი, რადგან ზემოდან ხმაური შემომესმა. ვიღაც შლიგინით მორბოდა ბარდებში.

— რა ადგილას ხარ? ახლავე მოვალ!

— ვიღაც მოდის, — სიტყვა გავაწყვეტინე მაღრაძეს.

— სასწრაფოდ დაიმალე, იქნებ, მკვლელია! — მიბრძანა მან. — ტელეფონი არ გათიშო, მოგაგნებ. — მისი ნათქვამის შესასრულებლად ხეებში მიმალვა გადავწყვიტე, მაგრამ ელვამ კიდევ ერთხელ გაანათა გარემო და მივხვდი, რომ გვიან იყო: წინ ჩემი ახალი ნაცნობისა და მეზობლის, ბაკურ სანაძის ახოვანი ფიგურა ამესვეტა...

— ნუ გეშინიათ, ბაკური ვარ სანაძე, თქვენი მეზობელი. ბონის ვიცნობ, აქ როგორ აღმოჩნდით? ხომ ცოცხალია? — დამაყარა კითხვები მან და ბონისაკენ დაიხარა.

— გამეპარა და კლდეზე გადაიჩეხა, მგონი ცოცხალია, — მოვახსენე ჩემს მხსნელს. თავი ისე დავიჭირე, თითქოს ბუჩქებში სულ წუთის წინ, ადამიანის — თანაც, ჩემთვის კარგად ნაცნობის — მოჭრილი თავი არც კი მენახოს. ირაკლი მაღრაძის გაფრთხილება გავითვალისწინე: თუ ეს ბაკური რამეშია გარეული, ჯობს, არ იცოდეს ჩემი საშინელი აღმოჩენის შესახებ.

— ზემოთ ვიყავი და თქვენი ყვირილი გავიგონე. თუ შეგიძლიათ, ფეხით წამოხვიდეთ, მე ძაღლს ავიყვან, ახლავე ვეტერინართანაა მისაყვანი, იქნებ, გადავარჩინოთ, — შემომთავაზა ბაკურმა. ძლივს წამოვწიე დაბეგვილი სხეული და ტელეფონით გავუნათე იქაურობა. იგი დაიხარა, ბონი მსუბუქად აიტაცა და წინ გამიძღვა. მიუხედავად კისერთან შეკრული გრძელი თმისა, ჩემი მხსნელის დაკუნთული სხეული და სახის მკვეთრი ნაკვთები მის მამაკაცურ მომხიბვლელობას უდავოს ხდის. ეგეც არ იყოს, ცოდვა გამხელილი ჯობს და, მე მომწონს კიდეც გრძელთმიანი მამაკაცები. მორჩილად გავყევი უკან ორიოდე დღის ნაცნობს, რომელიც ბონის გატეხილი თავიდან გადმოდენილ სისხლში ამოთხვრილი და წვიმით გალუმპული, დიდი ვერაფერი სანახავია, მაგრამ მე უფრო სიმპათიურად მეჩვენება, ვიდრე პირველი შეხვედრისას. ხევი გზასთან სულ ახლოს აღმოჩნდა. ბაკურმა იქვე გაჩერებული, ახალთახალი, „მტერალაფარებიანი“ მერსედესი დაქოქა და ლესელიძის ქუჩაზე, თავის ნაცნობ ვეტერინართან გაგვაქანა. მანქანის ტყავგადაკრული სავარძლებიც სისხლით დაითხვარა. ბაკურმა ძაღლს ქვეშ თავისი სველი მაისური დაუფინა, მაგრამ არც ამან უშველა. მაღრაძეს აცრემლებულმა დავურეკე გზიდან და ვეტკლინიკის მისამართი ვუკარნახე. მანაც შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა, ფეხდაფეხ შემოგვყვა ექიმ საშასთან. ბაკურმა ბონი თეთრტილოგადაფარებულ სამედიცინო მაგიდაზე მოათავსა და დაძაბული მზერა მიაპყრო ირაკლის, რომელმაც მზრუნველად მიმიკრა მხარზე და სველ თმაზე ხელიც გადამისვა. ძაღლს რომ აწვენდა, შიშველ მხარზე, უცნაური ხალი დავუნახე: თითქოს, ფრთაგაშლილი ჩიტია. კარგად დავაკვირდი, თომას ხალის ამ-

ბავი გამახსენდა... ფიქრის ძაფი ჩემმა მხსნელმა გამიწყვიტა.

— მე წავალ, რექსი მარტო მყავს დატოვებული.

რატომღაც ცივად დაგვემშვიდობა და კარისაკენ გატრიალდა.

— მადლობელი ვართ დახმარებისათვის. — მოკლედ მოუჭრა მაღრაძემ. მეც ამოვილუღლუღე მადლიერების სიტყვები, მაგრამ ბაკურს არაფერი გაუგონია, უკანმოუხედავად მოიხურა კარი და ისე გაუჩინარდა. მივხვდი, ირაკლის გამოჩენა არ ესიამოვნა.

— ვინ არის ეს ტიპი? მგონი მოსწონხარ და ჩემზე ეჭვიანობს, — გამომხედა მაღრაძემ. სხვა სიტუაციაში, ალბათ, მესიამოვნებოდა კიდეც, ორი სიმპათიური მამაკაცის ეს ფარული ქიშპობა, მაგრამ ახლა თავიდან არ ამომდიოდა საშინელი სანახაობა: მაწანწალა თომას მოჭრილი თავი, გაწეწილი, ჟღალი თმით, წვერზე შემხმარი სისხლით და ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით, თითქოსდა მუდარით რომ მიეპყრო ცისთვის. მესიკვდილებოდა იმის გახსენება, რომ იმ საღამოს, სწორედ თომასთან შესახვედრად გამოვედი სახლიდან. გული მიგრძნობდა, მოხუცი ჩემს ზედმეტ ცნობისმოყვარეობას შეეწირა. ვერ გადამეწყვიტა, როგორ გამემხილა ახლობლებისათვის, თუ რა მიზეზით გავყავი თავი ამ საშინელ ამბავში.

ექიმი საშა, ბონის ჭრილობას უმუშავებდა და წვეთოვანით რაღაც სითხეს უსხამდა, მისი ცოლიც იქვე ტრიალებდა, თან დროდადრო, ვეტექიმის დავალებით, ნემსს უკეთებდა ძაღლს. ამ მანიპულაციებს მთელი საათი დასჭირდა. ბოლოს ექიმმა გვირჩია, ბონი რამდენიმე დღით კლინიკაში დაგვეტოვებინა. დაგვპირდა, რომ ძაღლს ყურადღებას არ მოაკლებდა და გამოგვისტუმრა.

— აბა, ერთი მიამბე, რა გინდოდა ახალგაზრდა ქალს იმ ტყე-ღრეში შებინდებისას. თანაც, არ დაგავიწყდეს, ჩვენთვის პატიოსანი სიტყვა გაქვს მოცემული, რომ თავს გაუფრთხილდები და სხვის საქმეში ცხვირს აღარ ჩაყოფ! — მრისხანე ხმით გამომიცხადა ჩემს მყუდრო სამზარეულოში მასპინძელივით მოკალათებულმა ირაკლი მაღრაძემ და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გამომძიებელ ალეკო ბაღაშვილს, რომელიც მდუმარედ შეექცეოდა ჩაის.

ცელქობაში გამოჭერილი პირველკლასელივით, თავჩაქინდრული ვიჯექი და გამალებული ვეძებდი პასუხს მის შეკითხვაზე. როდესაც შინ დაბრუნებულმა, შეფის მზრუნველი ხელით მოწოდებული კონიაკი გადავკარი და ფერზე მოვედი, მივხვდი, ჩემი საქციელისათვის საყვედური არ ამცდებოდა, მაგრამ ასეთ სასტიკ გაკიცხვას არ ველოდი. მუდამ მოღიმარი, ჩვენი ძველი მეგობარი გამომძიებელიც მეტისმეტად პირქუშად გამოიყურებოდა, დროდადრო ოპერატიული ჯგუფის წევრებს უკავშირდებოდა და არკვევდა, იპოვეს თუ არა ჩემ მიერ აღმოჩენილი მოჭრილი თავი. მე ჯიუტად ვდუმდი და პირველ ჩვენებას ვაწვებოდი. ვამტკიცებდი, რომ ბონი საღამოს სასეირნოდ გავიყვანე და სხვა არანაირი მიზანი არ მქონია. რასაკვირველია, არც გამომძიებელმა დამიჯერა და არც მაღრაძემ. ორივეს კარგად მოეხსენება თქვენი მონა-მორჩილის ფათერაკების მოყვარული ბუნება და იციან, როგორ მიტაცებს კრიმინალური საქმეების გამოძიება, ამიტომ ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ ამ ხათაბალაშიც ზედმეტი ცნობისმოყვარეობის მიზეზით ამოვყავი თავი.

ვისაც ჟურნალ „რეიტინგში“ ჩემი თავგადასავალი არ წაუკითხავს, მოკლედ ვუამბობ: ვარ ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, გნებავთ — მაკო, გნებავთ — ნიორა და გნებავთ — ჩიპოლინო; ამ მეტსახელებს მეძახიან მეგობრები. ადრე — ჩემი სტატიების წაკითხვა ხსენებული ჟურნალის თითქმის ყოველ ნომერში შეგეძლოთ, რადგან იქ, საზოგადოების განყოფილებაში კორესპონდენტად ვმუშაობდი. ჟურნალის გარეკანზე ფოტოს გამოქვეყნების პატივი კი იმის გამო მხვდა წილად, რომ ამ ერთი წლის წინ, სტადიონის ტუალეტში მომაკვდავ მილიონერს, მოსე კრიხელს გადავაწყდი და მისი მკვლელი ვიპოვე. ამის შედეგად, ბედმა ჟურნალისტური გამოძიებისათვის დაწესებული პრემია, 50 ათასი დოლარი,მეტსახელი ჩიპოლინო და ახალი მეგობარი — მოკლული მოსეს 27 წლის ქალიშვილი, მაგდა კრიხელი მარგუნა. ზემოხსენებული 3 კომპონენტიდან პირველ ორს ჩემი ყოფა დიდად არ შეუცვლია. ფული დღესაც ბანკში დევს და აკადემქალაქში ჩემი ახალი ბინის მშენებლობას ხმარდება. განსაკუთრებული გამჭრიახობით გამორჩეულმა ფსიქოლოგმა და „ცხოვრებაში ღრმად ჩახედულმა პერსონამ“ — დედაჩემმა, ირა აბრამიშვილმა გადაწყვიტა, რომ საქართველოში, ეკონომიკის განვითარების ამ ეტაპზე, უძრავი ქონება ფულის დაბანდების საუკეთესო საშუალებაა. მეც ვენდე და სანამ მშენებლობა არ დამთავრდება, არც კი მახსენდება თანხის არსებობა. მეტსახელი მანამდეც მქონდა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნიორას მეძახდნენ. ახლა ჩიპოლინო გავხდი,ნიორი და ხახვი რომ ძმებია, იმიტომ. ამას წინათ, რუსი პაროდისტისგან, ზადორნოვისაგან გავიგე, რომ ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს, თავისი გვარის გამო, ასევე ჩიპოლინოს ეძახიან. ჰოდა, თუ პრეზიდენტს არ სწყინს, ჯანი როდარის საბავშვო ზღაპრის ხახვისთავა პერსონაჟთან შედარება, მე მით უმეტეს, არ მენაღვლება.

რაც შეეხება მაგდა კრიხელთან მეგობრობას, ამჯერად მის სახლში ვბინადრობ და ინტერნეტით საათობით ვეკონტაქტები ამერიკაში, სადაც მამამისის დანატოვარი მრავალმილიონიანი ბიზნესის საპატრონოდ არის წასული. მისი გავლენით, სამსახურიც გამოვიცვალე, რადიო „ერას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და საინფორმაციო პროგრამების დირექტორი ვარ. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, როდესაც შეიტყობთ, რომ ამ რადიოს საკონტროლო პაკეტი მაგდა კრიხელს ეკუთვნის. არხის მთავარი ინვესტორიც იგი გახლავთ. ჩემი წილი რადიოში, როგორც „მთავარი სპონსორი“ აცხადებს, „ფასდაუდებელი ინტელექტუალური შენატანის“ გამო მერგო. „რადიომაუწყებლობის არაფერი მესმის, ვერც გავბედავდი ამ საქმისათვის ხელის მოკიდებას, მაგრამ პარტნიორში გამიმართლა, ნამდვილი პროფესიონალია, შესანიშნავად ართმევს თავს საქმეს“, — ამ სიტყვებით წარუდგინა მაგდამ ჩემი პერსონა რადიოს პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას. ზემოაღნიშნული პროფესიონალიზმი იმაში გამოიხატება, რომ რადიოს მთელი შტატი ჩემი რეკომენდაციით დაკომპლექტდა. არხის დირექტორი ირაკლი მაღრაძე გახლავთ. ჩემთვის ყველაზე რთული, მისი დათანხმება იყო. ირაკლის გადმობირების შემდეგ კი, რადიო ორ თვეში მომზადდა ეთერში გასასვლელად: მაღრაძეს ჟურნალისტურ წრეებში პატივს სცემენ და ამიტომ, ჩვენთან გადმოსვლა ბევრმა პროფესიონალმა მარტივად გადაწყვიტა. ძალიან მახარებს, რომ იგი კვლავ ჩემი შეფია და მიუხედავად იმისა, რომ ახლა, საღამოს გადაცემის წამყვანისა და საინფორმაციოს უფროსობის გარდა, რადიოს მეპატრონეც ვარ, მისი შენიშვნის ძველებურად მეშინია. თუ არ გამამხელთ, გეტყვით, სხვა თანამშრომელი ქალების მსგავსად, მეც ვარ შეყვარებული ჩვენს სიმპათიურ უფროსზე, მაგრამ მან ეს არ იცის და ამიტომ ჩემს ოცნებას, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ნაზად ჩამხედავს თვალებში და მეტყვის — ჩემო მაკო, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, — ახდენა არ უწერია. აი, ახლაც, ჩემი კეთილი მეგობარი და ამავე დროს, მრისხანე შეფი ირაკლი წინ მიზის და გამომცდელად შემომყურებს. მე კი, არ ვიცი, სად დავემალო მის მზერას.

— ჩემმა ბიჭებმა მთელი ტყე გაჩხრიკეს, იმ ადგილსაც მიაგნეს, სადაც ძაღლი იყო ჩავარდნილი. მიწაზე სისხლია, ალბათ — ძაღლის, წვიმამ ჯერ ბოლომდე ვერ გადარეცხა, — გამოგვიცხადა ალეკომ.

— თავი თუ იპოვეს? — წამოვიკნავლე მე.

— ვერა, ვერაფერი მსგავსი ვერ აღმოაჩინეს, — კბილებში გამოცრა ალეკომ. — ტყუილად ირბინეს ამ წვიმაში ბიჭებმა. არც კი ვიცი, რას ვეტყვი უფროსებს ამ სულელური სპეცოპერაციის გამო, ყველა მასხრად ამიგდებს. ვის გავაგებინო, რომ ჩვენს ძვირფას ჩიპოლინოს ისევ მოელანდა რაღაც?!. ამ ბოლო დროს, მოჩვენებები ძალიან დაგჩემდა... — ბოლო სიტყვები გამომძიებელმა ისეთი ტონით მითხრა, მივხვდი, ნორმალური აღარ ვეგონე და პასუხს თუ გავცემდი, ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე ჩემი გაყვანის საკითხს უკვე ოფიციალურად დააყენებდა. ასეთ შერცხვენას მერჩივნა, თუნდაც, მოჭრილი ჩემი თავი ეპოვათ იმ დაწყევლილ ბუჩქებში...

— ამ ერთ კვირაში მესამედ ვხვდებით ერთმანეთს და რა უჭირს, ვერ გამაგებინა. აშკარად, რაღაცას გვიმალავს, — ახლა მაღრაძეს მიუბრუნდა ალეკო. — ამ ჩიპოლინოს გამო იცი, რას მეძახიან სამსახურში? — სინიორ პომიდორს, — დაამატა გამწარებულმა.

მე და ჩემმა შეფმა ისეთი ხარხარი მოვრთეთ, ულვაშა პოლიციელის სიბრაზისაგან აწითლებული ლოყები მართლაც, მწიფე პომიდორს დაემსგავსა. ალეკო ჯერ გაგვებუტა, მაგრამ მერე აგვყვა მხიარულებაში და ჩემი „ახალი სახლი“ სტუმრებმა კარგ ხასიათზე დატოვეს. მარტო დავრჩი თუ არა, გადავწყვიტე, შექმნილი სიტუაცია გამეანალიზებინა.

უკვე ერთი კვირაა, ჩემი ახალი მეგობრის, მაგდა კრიხელის სახლში მარტო ვარ და მაინც ვერ შევეჩვიე მის ფუმფულა ლეიბსა და შეკიდულ ჭერზე მოციმციმე ჰალოგენის ვარსკვლავებს. მოუსვენარი და ფხიზელი ძილი დამჩემდა. საერთოდ, უცხო ადგილას ყოველთვის მოულოდნელად და უდროო დროს ვიღვიძებ. სწორედ ამ თვისების გამო გავეხვიე შარში ხუთიოდე დღის წინ. იმ ღამესაც ასე გამეღვიძა და დაბნეული წამოვჯექი საწოლში. ფანჯარას გავხედე. ჯერ ისევ სიბნელე იყო. მთაწმინდაზე მართლაც, საოცარი მთვარე იცის, განსაკუთრებით, სავსემთვარეობის დროს. მკაფიოდ მოხაზული მანათობელი დისკო ერთიორად დიდი და კაშკაშა ჩანს, ვიდრე ქალაქის დაბლობიდან. კრიხელების ეგზოტიკურ ბაღში უზარმაზარი მთვარის ფონზე მოშრიალე პალმები რომელიღაც აფრიკული ქვეყნის ლანდშაფტს მაგონებს. პეიზაჟმა თვალი მომტაცა და მოულოდნელად, ცხადად დავინახე მოჩვენება: თეთრ პერანგში ჩაცმული, თმაგაშლილი ქალი მოპირდაპირე სახლის სახურავის კიდეს მთვარეულივით მიუყვება. მთვარის შუქი გაშლილ თმაში ატანს და ქალიც, თითქოს გამჭვირვალეა. უეცრად, ხელები უცნაურად აიქნია, ფრთებივით და გაქრა... თვალები მოვიფშვნიტე, ფეხები ფაჩუჩებში წავყავი და ფანჯარასთან მივიპარე. მოჩვენება გაუჩინარდა. სახურავზე აღარავინ იყო, ქუჩაში ჩამიჩუმი არ ისმოდა... მერე ჩავლილი მანქანის ხმა გავიგონე და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. იქნებ, იმ სახლში მართლაც, ცხოვრობს მთვარეული? — გავიფიქრე და ახლა ჩემი სახლის მდუმარებას მივაყურადე. მომეჩვენა, თითქოს პირველ სართულზე კიბე გაჭრაჭუნდა. ეტყობა, კატაა. კრიხელების სახლი ცხოველებითაა სავსე: სიამის კატა საფო, თუთიყუში კოკო, ლაბრადორი ბონი და თევზებით სავსე უზარმაზარი აკვარიუმი, რომელიც მისაღები ოთახის კედელშია ჩასმული. ორ თევზს სახელიც კი ჰქვია — სიკო და პასიკო. ეს სკალარიას ჯიშის, ზოლიანი, ბრტყელი თევზები, უზარმაზარ აკვარიუმში ნეონებს, გუპიებს, მოლინეზიებსა და სხვა წვრილფეხობას შორის, დინჯი რხევით დაცურავენ და ნამდვილად იმსახურებენ პატივისცემას. ისინი უკვე 6 წლისანი არიან, ეს კი თევზებისთვის სოლიდური ასაკია. მოსე კრიხელმა სიძესა და ქალიშვილს სახლი 3 წლის წინ უყიდა, მაგრამ მათ აქ ლაღად და ბედნიერად დიდხანს არ უცხოვრიათ. მაგდა უმეტესად, ამერიკაში იმყოფებოდა, მამასთან. მისი ქმარი კი, დროის დიდ ნაწილს ევროპის ქვეყნებში, კაზინოებში ატარებდა. ქმართან გაყრის შემდეგ, დიასახლისს, ერთი პირობა, სახლის გაყიდვაც უნდოდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ამ სახლს ტატოს და მის ერთობლივ ცხოვრებასთან თითქმის არაფერი აკავშირებდა, თანაც ლამაზი ხედი და გემოვნებით მოწყობილი ბაღიც დაენანა და მისი მეხსიერებიდან წაშლის პროცესი იმით დაასრულა, რომ მოღალატე და მამის მკვლელი ქმრის არც ერთი ნივთი არ დატოვა. მისი ძველებური, ლომისფეხება საწერი მაგიდისა და საყვარელი სავარძლის ჩათვლით, ყველაფერი ერთ დღეში გაზიდა გაურკვეველი მიმართულებით.

მაგდა, ჩემდა გასახარად, გულისხმიერი

ადამიანი და ერთგული მეგობარი აღმოჩნდა. მისი ტაქტიანობა და დელიკატურობა ჩვენს ურთიერთობას მარტივს და უშუალოს ხდის, ამიტომ როდესაც მან 6 თვით ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა, მე კი თავის სახლში გადასვლა შემომთავაზა და მოკრძალებულად მთხოვა, მისი ცხოველებისათვის მომევლო, უხერხულობა არ მიგრძნია. მეგობარი გავაცილე თუ არა, მის სახლში გადავბარგდი, რომ „ზოოპარკისათვის“ მიმეხედა, თუმცა, პირველსავე დღეს მივხვდი – მის ცხოველებს ჩემი საპატრონო არაფერი სჭირთ, რადგან სახლში ყოველდღე დადის მაგდას მეზობელი, ნაზიკო ჯოგლიძე, რომელიც მეც მივლის და სახლის დანარჩენ ბინადრებსაც. დღეგამოშვებით, ეზოს ლანდშაფტური დიზაინის მისახედად, მებაღე შაქროც მოდის. იგი ლაბრადორ ბონისაც ასეირნებს. ასე რომ, ჩემი მოვალეობა, ტკბილი ცხოვრების შერგება და სახლიდან გასვლისას, სიგნალიზაციაზე კარის დაყენებაა. ცხოველები მხოლოდ საბაბი გახლდათ, რომ ახალ მეგობარს ჩემთვის საცხოვრებელი პირობები ისე გაეუმჯობესებინა, რომ თავი უხერხულად არ მეგრძნო. ერთი შეხედვით, ბედის კმაყოფილი უნდა ვიყო, არც ვემდური, რომ არა ეს უცნაური, შუაღამის ჰალუცინაცია და მისი გამოჩენის შემდეგ განვითარებული მოვლენების ტრაგიკული კასკადი. ნეტავ, რა უნდოდა თეთრპერანგიან ქალს სახურავზე? ან რატომ მეჩვენება ღამღამობით, რომ სახლში ვიღაც დადის?.. – გავიფიქრე იმ დათარსულ პარასკევ ღამეს და საძინებლიდან გამოვფრატუნდი. შიდაეივნიდან ჰოლს გადავხედე: კრიხელების სახლში საძინებლები მეორე სართულზეა განთავსებული, პირველი სართული ფართო ჰოლს უჭირავს, რომელიც მარჯვენა მხარეს, სამზარეულო-სასადილოში გადის. მარცხნივ კი, ბუხრიან მისაღებ ოთახში, სადაც კედლებს ძველებურ ხალიჩებზე მიკიდული დამბაჩები და აბჯარ-მუზარადი ამშვენებს. მისაღები ოთახის უკან – ბიბლიოთეკაა. ჰოლს, მეორე სართულის მთელ პერიმეტრზე, ხისრიკულიანი აივანი მიუყვება, რომელზეც საძინებელი ოთახების კარები გამოდის. ამ აივანზე ცენტრალური კიბით ადიხართ. პირველ სართულზე, კიბის ქვეშ, კიდევ ერთი კარია, რომელიც უკანა ეზოში გადის. სწორედ აქედან მომესმა ჭრიალი და მოჯახუნების ხმა შუაღამის მდუმარებაში და შიშით შევხტი. სიგნალიზაციაზე სახლის დაყენების უხერხულობა ის გახლავთ, რომ თუ სახლში ხართ, კარის გაღებაზე სიგნალი აღარ ირთვება. იგულისხმება, რომ საეჭვო სიტუაციაში თვითონ უნდა მიიღოთ პოლიციის გამოძახების გადაწყვეტილება. მე კი, მართალი გითხრათ, ძალიან მერიდება ღამის 3 საათზე სამართალდამცველების შეწუხება იმის გამო, რომ თმაგაშლილი ქალი გამომეცხადა. არ მინდა, მშიშარა ბაჭიას შთაბეჭდილება დავტოვო... კარი ალბათ, ნაზიკოს დარჩა ღია: ვინმე რომ შემოსულიყო, ბონი აუცილებლად დაიყეფებდა, – თავი დავიმშვიდე მე. კიბეზე დავეშვი, თან ყოველი შემთხვევისათვის, ბუხართან დაკიდებული, ცეცხლის საჩხრეკი ჩამოვხსენი და ხმალივით მოვიმარჯვე.



კარი ნამდვილად ღია იყო და ნიავის შემბერვაზე ჩარჩოს ეხეთქებოდა. უკანა ეზოში არავინ ჩანდა. არც გასაღები იყო საკეტში. ჩვეულებრივ, ნაზიკო გასაღებს კარის გვერდზე, სპეციალურ საკიდზე ტოვებს, მაგრამ ახლა ვერსად ვიპოვე, ამიტომ ღილაკით ჩავკეტე და მტკიცედ გადავწყვიტე, ნაზიკოსათვის, უყურადღებობის გამო, საყვედური მეთქვა. უნდა გაგიმხილოთ, რომ „დიდი სახლის პატარა დიასახლისის“ როლში თავს არცთუ ისე კომფორტულად ვგრძნობ. ადრე „ეკონომკას“ – ასე უწოდებს მაგდა ნაზიკოს – სულ თქვენობით და მოკრძალებით მივმართავდი, ახლა უკვე კარგად შეხუმრებულები ვართ, სულ ჭკუას მარიგებს. მე კი ვერასდროს ვუბრაზდები. მაგრამ ამჯერად, დილით რომ მოვა, გავუწყრები, რადგან კარის ღიად დატოვება ნამდვილად მეტისმეტია. მრისხანე გამომეტყველებით ავუყევი კიბეს საძინებელი ოთახისაკენ და მერეღა მივხვდი, რომ ცეცხლის საჩხრეკი რკინა ისევ ხელში მიჭირავს პირველყოფილი მონადირის შუბივით. ერთი წუთით შევყოყმანდი, ვერ გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი თუ არა ბუხართან, საჩხრეკის ადგილზე დასადებად... უეცრად, რაღაც გაჩხაკუნდა და მთელ სახლში შუქი ჩაქრა. ვიდრე აზრზე მოვედი და უკუნეთს თვალი შევაჩვიე, თითქმის ერთი წუთი გავიდა. ის იყო, გზის გასაგრძელებლად ნაბიჯის გადადგმა დავაპირე, რომ ჩემ უკან კიბე გაჭრიალდა. თავის მობრუნება ვეღარ მოვასწარი, ყურთან რაღაცამ უცნაურად გამიშხუილა და წვივებზე მწარედ მომხვდა. ფეხქვეშ საყრდენი გამომეცალა, გადავყირავდი და კიბეზე დავგორდი. ხელიდან რკინის საჩხრეკი გამივარდა. მივგორავდი და მესმოდა, როგორი საშინელი ბრახუნით მიხტოდა კიბეზე რკინის მძიმე ჯოხი. ჰოლის მარმარილოს იატაკზე მისი დავარდნის ექო მთელ სახლში გრგვინვასავით გაისმა. იმავე წამს, მეც კედელს ვხეთქე თავი და გონება დავკარგე. ვიდრე გავითიშებოდი, ფანჯრიდან შემოსულ მთვარის შუქზე, ვიღაცის ბუნდოვანი სილუეტი დავლანდე, რომელიც სწრაფად გაუჩინარდა. გონს რომ მოვეგე, თავზე პოლიციელები მადგნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



...შვიდი წლისამ მსახიობობა გადაწყვიტა და ერთი წლის შემდეგ, უკვე სამსახიობო ოსტატობის შესწავლა დაიწყო. ნატალიას მამას, მაღაზიის გამყიდველს, კარლოს ორეიროს, უმცროსი ქალიშვილის გეგმები დიდად არ აინტერესებდა, მას უბრალოდ ის ახარებდა, რომ გოგონა რაღაც კურსებზე დარბოდა, შინ ბევრ დროს არ ატარებდა და უფროს დასთან საჩხუბრად დრო აღარ რჩებოდა. ნატალიასა და ადრიანას ერთ ჭერქვეშ მშვიდად ცხოვრება არ შეეძლოთ, ხშირად მუშტი-კრივსაც მართავდნენ და ერთ-ერთი ჩხუბის დროს მიღებული ჭრილობისგან ნაიარევი ვარსკვლავს სამუდამოდ დარჩა.

ორეირო: „საბნის ოჯრების“ ფრუგვაიელი ვარსკვლავი, რომლის ყველა ოცნება, აღრე თუ გვიან, ახდა

შვილის გატაცებას დედა, მაბელ იგლესიასიც მხარს უჭერდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა, რომ უმცროსი ქალიშვილის სამსახიობო კარიერა ესოდენ თავბრუდამხვევი ტემპით განვითარდებოდა. 12 წლის ნატალიას სარეკლამო რგოლებში იღებდნენ, 14 წლისა კი, უკვე პოპულარული ტელეშოუს წამყვანი იყო. საკუთარი შრომით ნაშოვნ ფულს ნატალია მშობლიური მონტევიდეოდან (ურუგვაი) ბუენოს-აირესში მგზავრობაში ხარჯავდა, სხვადასხვა კასტინგში მონაწილეობდა და როდესაც სერიალში – „მიუდგომელი გული“ – პატარა როლი მიიღო, სამუდამოდ გადასახლდა არგენტინაში. მაშინ მომავალი ვარსკვლავი მხოლოდ 17 წლის იყო. ამ ასაკში დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება მუდამ რთულია, თანაც თუ ამას უფულობა და მარტოობის შეგრძნება დაემატა...

ნატალია ტარაკნებით სავსე, პატარა ოთახში ცხოვრობდა და უსიტყვო როლებით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ბედნიერი ვარსკვლავის ამობრწყინების იმედს არ კარგავდა. მისი ვარსკვლავი ტელეეკრანებზე, სერიალის – „მდიდარნი და სახელოვანნი“ გამოსვლის შემდეგ ამობრწყინდა, სადაც ორეიროც მონაწილეობდა. დამწყები მსახიობი უმალვე შეამჩნიეს და ფილმში „არგენტინელი ნიუ-იორკში“ მიიწვიეს. სულ მალე ეკრანებზე „ველური ანგელოზიც“ გამოჩნდა. ამ სერიალში განსახიერებულმა მთავარი გმირის სახემ ნატალია ორეირო საქვეყნოდ ცნობილ მსახიობად აქცია. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ამ დროისათვის ნატალიას სიყვარულის გრძნობა უკვე განცდილი ჰქონდა... როდესაც ბუენოს-აირესში ახალჩასული პატარა ურუგვაიელი გოგონა მეგობრებთან ერთად ტელევიზორში სერიალს უყურებდა და ერთ-ერთი მეგობრის ღირსებებსა და ნაკლს ხმამაღლა განიხილავდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს შავთმიანი ბიჭი ხანგრძლივი 6 წლის მანძილზე მისი ცხოვრების თანამგზავრი და უახლოესი ადამიანი გახდებოდა. ბედმა ნატალია ორეირო და პაბლო ეჩერი გადასაღებ მოედანზე შეახვედრა; თუმცა მასობრივ სცენებში ჩაკარგულ გოგონას უკვე ცნობილი და მაყურებლების საყვარელი მსახიობი ვერც კი ამჩნევდა. ნატალიას კი პაბლოსთან სიახლოვე მუდამ თრთოლას ჰგვრიდა და აი, ერთხელაც მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა...

დანამდვილებით დღესაც არავინ იცის, თუ რა იყო მათი დაშორების მიზეზი. ამბობენ, რომ ეჩერიმ ნატალიას უღალატა. ალბათ ასეც იყო, რადგან განშორებამ ორეიროს უდიდესი ტკივილი მიაყენა. მან ფსიქოლოგსაც კი მიმართა. მოგვიანებით, როდესაც ჟურნალისტები ნატალიას სეგუნდო სერნადესთან და ხოაკინ კორტესთან რომანის შესახებ გავრცელებული ჭორების შესახებ კომენტარებს სთხოვდნენ, მსახიობი მუდამ ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა: „ეს მხოლოდ ჭორებია, მამაკაცზე ემოციურად დამოკიდებული აღარასოდეს ვიქნები...“ დრომ ნატალიას ჭრილობები მოუშუშა. ახალა ის და პაბლო ეჩერი მეგობრები არიან. შარშან ნატალიამ ყოფილ შეყვარებულს ქალიშვილის შეძენა მიულოცა (ბავშვის დედა მსახიობი ნენსი დუპლაა), ერთი წლით ადრე კი, პაბლოსგან თავად მიიღო მილოცვა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ორეირომ და რიკარდო მოლიომ იქორწინეს.

არგენტინაში ერთ-ერთი საუკეთესო როკჯგუფის Dividions ლიდერი რიკარდო მოლიო ნატალიამ მისი ცხოვრების უმძიმეს დღეებში, პაბლოსთან დაშორების შემდეგ გაიცნო. მაშინ რიკარდო 44 წლის იყო, ორეირო კი 24-ის. უკვე დაბრძენებული მრავლისმნახველი მამაკაცი ნატალიას დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარა. მათ შორის გაბმული სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ პუბლიკა ფილმის La Renga პრეზენტაციის შემდგომ ალაპარაკდა, სადაც წყვილი ერთად გამოცხადდა. მათი საიდუმლო ქორწინება 2001 წლის 31 დეკემბერს შედგა.

მეუღლეებმა სიყვარულის ნიშნად არათითზე სვირინგები გაიკეთეს. „რიკარდო ჩემი ცხოვრების უდიდესი სიხარულია. ჩვენ ერთი

ნატალია და რიკარდო. მათი ქორწინება არაოფიციალურ, მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, ისინი უკვე 3 წელია ერთად არიან

„ველური ანგელოზი“. ამ სერიალმა ორ-ეიროს საქვეყნო დიდება და სახელი მოუტანა

მთლიანის ორი ნაწილი ვართ. ერთმანეთს მუდამ მხარში ვუდგავართ, ერთურთს მეექვსე გრძნობით შევიგრძნობთ. სადაც არ უნდა ვიყო – გადაღებებზე თუ პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტთა თუ კამერების გარემოცვაში, რიკარდოს დანახვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დაძაბულობა მომეხსნას!“

ნატალია მსახიობიც გახდა, სიყვარულიც იპოვა და კიდევ ერთი სანუკვარი ოცნებაც აისრულა: სცენაზე მაყურებლისა და მსმენელის წინაშე მომღერლის რანგშიც წარდგა! პირველი დისკი ნატალია ორეირომ 1998 წელს გამოუშვა. 2000 წელს კი მსოფლიო ტურნე ჩაატარა. მის თაყვანისმცემელთა რიგები უზომოდ გაიზარდა. ნატალია ბოლო ხანებში სერიალებში ნაკლებად თამაშობს და ამბობს, რომ მომღერლის კარიერის გაგრძელებას აპირებს, მაგრამ ახლახან ცნობილი გახდა, რომ მსახიობმა რუსულ ტელესერიალში – „ტანგოს რიტმში“ მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. ეს კომედიური მელოდრამა პირველი რუსული „საპნის ოპერა“ იქნება, რომელშიც უცხოელი ვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას.

მათ, ვინც ნატალია ორეიროს მხოლოდ „ველური ანგელოზით“ იცნობს, დღეს მისი ცნობა გაუჭირდება. მსახიობი საკუთარ იმიჯზე თამამ ექსპერიმენტებს ატარებს. ექსტრავაგანტური და გამომწვევად ნორჩი, პუბლიკის წინაშე ხან მოკლედ შეკრეჭილი წითელი თმით წარდგება ხოლმე, ხანაც მკაცრ კოსტიუმში გამოწყობილ საქმიანი ლედის იმიჯს ირგებს. რიკარდო მეულლეს მუდამ მხარში უდგას. ქმრის იოგათი გატაცება კი ნატალიამაც გაიზიარა. ორეირო ხშირად აღნიშნავს, რომ მეულლით ამაყობს. ის რიკარდოს ნიჭის გარდა, მის ნებისყოფასაც დიდად აფასებს (რიკარდო მოლიომ ალკოჰოლიზმის საშინელ სენს სძლია და წონაში 30 კგ დაიკლო). თავის უკანასკნელ ალბომს ნატალიამ ქმრის ნაჩუქარი თილისმის პატივსაცემად „თურმალინი“ უწოდა.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა ერთი საკითხი, რაც მოყვარულ ცოლ-ქმარს შორის შესაძლოა განხეთქილების მიზეზად იქცეს: ერთ-ერთ ინტერვიუში ორეირომ განაცხადა, რომ 5 შვილის გაჩენაზე ოცნებობს! მოლიოს კი წამოსცდა, რომ შვილების გაჩენა არ სურს (მუსიკოსს პირველი ქორწინებიდან 2 ქალიშვილი ჰყავს). ორეიროს თაყვანისმცემლებმა მათი ინტერვიუები ერთმანეთს დაუკავშირეს და სასტიკად აღშფოთდნენ: „ჩვენს კერპს ჩაგრავენ!“ საინტერესოა, რას ფიქრობს თავად ნატალია? ის ალბათ მშვიდადაა, რადგან კარგად იცის, რომ ადრე თუ გვიან, ყველა მისი ოცნება ახდება!..

მეგობრული შარჟი. თაყვანისმცემლებმა ერთ-ერთ შესვედრაზე მსახიობს ასეთი საჩუქარი მიართვეს

შერონ სტოუნი საშვილოდ დუმლიორემს უხმობს

ასაკის მომატებასთან ერთად, შერონ სტოუნი გადაღებებზე დუბლიორთა დახმარებით სარგებლობს. გაზეთი The Sun ირწმუნება, რომ სწორედ დუბლიორთა შიშველი სხეული დაატკბობს მაყურებლის მზერას ახალი სურათის – „ძირითადი ინსტინქტი-2“ – საკმაოდ ფრივოლურ სცენებში, რომლის გადაღებები ლონდონში მიმდინარეობს. დღემდე, მსოფლიოს ყველაზე ლამაზ და სექსუალურ ქალად შერონ სტოუნს მიიჩნევენ. ის ყოველთვის სიამოვნებით მონაწილეობდა ყველაზე სარისკო სცენებშიც კი – საკმარისია გავიხსენოთ დაკ-

ითხვის სცენა ფილმიდან – „ძირითადი ინსტინქტი“. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, 48 წლის ვარსკვლავი მიიჩნევს, რომ მისმა სხეულმა მომხიბვლელობა დაკარგა. ამიტომ ახალი ფილმის ვნებიან კადრებში მას დუბლიორი შეცვლის. ასეთი სცენა კი, სიკველში მრავლადაა. სტოუნი დუბლიორებს თავად არჩევს და როგორც ამბობენ, ისეთებს ამჯობინებს, რომლებიც ლამაზი სახით დიდად არ გამოირჩევიან: ეჭვიანი ვარსკვლავი ლამაზ გოგონებს შეუბრალებლად იშორებს, რათა მისი დაჩრდილვა ვერავინ შეძლოს.

ელტონ ჯონი და ჯორჯ მაიკლი შერიგდნენ

ორ სუპერვარსკვლავს შორის ცხრათვიანი მტრობა მშვიდობიანად დასრულდა. განხეთქილება მაშინ დაიწყო, როდესაც ელტონ ჯონმა ჯორჯ მაიკლის ახალ ალბომს Patience „იმედის გამაცრუებელი“ უწოდა და მაიკლის უიღბლო ცხოვრების გამო წუხილი გამოთქვა. „ჩემი შებრალება საჭირო არ არის, ჩემს ცხოვრებაზე შენ არაფერი იცი“, – უპასუხა ჯორჯ მაიკლმა და ისიც დასძინა, რომ ელტონის შემოქმედება ძველ ჰიტებზე გაიყინა და აღარ განვითარდა.

ახლა ძველ კოლეგებს შორის მშვიდობამ დაისადგურა. შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი ჯორჯ მაიკლმა გადადგა. მან სერ ელტონი სადილზე მიიპატიჟა. „ორივე ბედნიერია, შუღლი დასრულდა. ჯორჯმა და ელტონმა დიდხანს ისაუბრეს, წარსული გაიხსენეს და ბევრიც იცინეს“, – განაცხადა მაიკლის ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელმაც ეს სასიამოვნო ამბავი ბრიტანულ მედიას აუწყა. ■

დასტინ ჰოფმანი „პარფიუმერის“ ეკრანიზაციაში

ტომ ტიკვერის ახალ სურათში – „პარფიუმერი: მკვლელის ამბავი“ – მთავარ როლს დასტინ ჰოფმანი ითამაშებს. პატრიკ ზიუსკინდის გახმაურებული რომანის მიხედვით ფილმის გადაღებები მოკლე ხანში, გერმანიაში დაიწყება. დასტინ ჰოფმანი გრენუის მკვლელის მასწავლებელს, ბალდინის განასახიერებს. თავად „უსუნო კაცის“, იდეალური არომატის მაძიებლის, ჟან-ბატისტ

გრენუის როლს ინგლისელი მსახიობი ბენ უიშოუ ითამაშებს. გერმანელი მწერლის, პატრიკ ზიუსკინდის ცნობილი რომანი 20 წლის წინ გამოქვეყნდა და მას შემდეგ, მისი ეკრანიზაცია მრავალჯერ სცადეს. ბოლოს და ბოლოს, პროექტმა კონკრეტული სახე მიიღო. მიუნხენელმა პროდიუსერმა, ბერნდ აიჰინგერმა წიგნის ეკრანიზაციის უფლება შეიძინა და მისი გადაღება ტომ ტიკვერს შესთავაზა, რომელსაც მაყურებელი კარგად იცნობს ფილმებით: „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი!“, „სამოთხე“, „მეფის ასული და მეომარი“ და სხვ. სურათი – „პარფიუმერი: მკვლელის ამბავი“ – ეკრანებზე 2006 წელს გამოვა. ■

დი კაპრიო მარტინ სკორსეზესგან ისვენემს

როგორც ჩანს, ლეონარდო დი კაპრიომ „ნიუიორკის ბანდების“, „ავიატორისა“ და The Departed-ის შემდეგ (რომლის გადაღებები ამჟამად მიმდინარეობს), მარტინ სკორსეზესგან დასვენება გადაწყვიტა. მან რეჟისორ ედ ცვიკის ახალ ტრილერში – „სისხლიანი ბრილიანტი“ – მონაწილეობაზე კონტრაქტს მოაწერა ხელი. ფილმის სიუჟეტი, სიერა-ლეონეში (აფრიკა) ვითარდება, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებს. დი კაპრიოს გმირი, კონტრაბანდისტია, რომელიც „სისხლიანი ალმასების“ კონტრაბანდით შოულობს ფულს. ამ ბიზნესით შემოსული თანხით კი, ტერორისტები სარგებლობენ. სიტუაცია მაშინ იძაბება, როდესაც ლეონარდოს გმირი ადგილობრივ ფერმერთა ოჯახს უმეგობრდება, ვისი შვილიც ჯარში მსახურობს და იმ ომში დასაღუპადაა განწირული, რომელსაც ალმასებით ნაშოვნი ბინძური ფულით აწარმოებენ. ფილმის გადაღებები 2006 წელს დაიწყება. ■

ლინდა ევანგელისტა – პარიზის ამოუსსნელი ამოცანა

პარიზის კვირეულში – haute couture – პოდიუმზე ლინდა ევანგელისტა კვლავ გამოჩნდება. კანადელი სუპერმოდელი ჯერჯერობით, საიდუმლოდ ინახავს იმ ბედნიერი მოდელიერის სახელს, რომლის გამოც მან ახალგაზრდობა გაიხსენა და პოდიუმზე თავისი ლამაზი ფეხების გამოჩენას დათანხმდა. „თვალყური ადევნეთ პროგრამას, ინტრიგა ნებისმიერ საქმეში უნდა შევინარჩუნოთ“, – განაცხადა ევანგელისტამ, რომელიც მუდამ მხოლოდ ერთი ადამიანის სახელს ახსენებს, როდესაც ამის საშუალება ეძლევა. უკვე მრავალი წელია, მისი კერპი, ბრიტანელი დიზაინერი ჟილ დიკონია, რომელსაც ლინდა „თანამედროვეობის უნიჭიერეს მოდელიერად“ მოიხსენიებს. ამ დღეებში ლინდა ევანგელისტა ინტერნეტ-საიტის – Vogue.co.uk – კორესპონდენტს შეხვდა და იმის შესახებ მოუთხრო, თუ როგორ ღელავს პარიზის პოდიუმზე გამოსვლის გამო.

პლანეტის ერთ დროს ყველაზე სასურველი ქალის ჩაცმულობაზე დღეს მისი უახლოესი მეგობარი, Lanvin-ის მარკის კრეატიული დირექტორი ალბერტ ელბაზი ზრუნავს, ფეხსაცმლით კი, Manolo Blahnik ამარაგებს. ■

პრესტიჟული მანქანების ხიგში მატება

ამ ექსკლუზიური სპორტული ავტომობილის მფლობელებს შორის არიან: ნიკოლას კეიჯი, დონალდ ტრამპი, ჯორჯ კლუნი. რაც შეეხება ჯენიფერ ლოპესს – ის ჯერჯერობით, მისი შეძენის მსურველთა რიგში დგას. Spyker-ს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარი დაკვეთით აწარმოებენ. მის მომავალ მფლობელს საშუალება აქვს, არა მარტო აირჩიოს ფერი და სალონის მოსაპირკეთებელი მასალა, არამედ საკუთარი მანქანის აწყობასაც დაესწროს, რადგან ქარხანაში ვებ-კამერების სისტემაა მოწყობილი...

2006 წელს, „სპაიკერის“ კინემატოგრაფიული დებიუტიც შედგება: მოდელი C8 Laviolette ფილმში – „ძირითადი ინსტინქტი 2“ – გამოჩნდება, კინოეკრანებზე მისი გამოსვლა სწორედ საგაისოდაა დაგეგმილი. სურათში ამ მანქანის მძღოლად შერონ სტოუნი მოგვევლინება (ამის შესახებ მოკლე ცნობა „გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ).

XIX საუკუნეში დაფუძნებული და XX საუკუნის დამლევს აღორძინებული ჰოლანდიური ფირმის – Spyker Automobilien BV – ბოლოსწინა მოდელი – Spyker C8 Spyder – 2003 წელს, ფრანკფურტის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი. მომდევნო წელს, მის ბაზაზე შეიქმნა Laviolette, რომლის 8-ცილინდრიანი ძრავა 525 ცხ.ძ. სიმძლავრისაა, 320 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს 4 წმ-ში აღწევს.

დღემდე, ფირმას ამ მარკის სულ 50-მდე მანქანა აქვს გამოშვებული. რუსული პრესის ცნობით, მის მომავალ მფლობელებს შორის უკვე ამ ქვეყნის მოქალაქეებიც აღმოჩნდნენ: წლეულს „სპაიკერი“ რუსეთისთვის 5 მანქანას ააწყობს, მათგან 4 უკვე გაყიდულია... ■

Bugatti ზღვრული სიჩქარეზე ახ იქნება საშიში

წლევანდელი წლის დამლევს, ავტობაზარზე კიდევ ერთი ახალი სპორტული მანქანა – Bugatti Veyron 16.4 – გამოჩნდება. მისი პრემიერა რამდენჯერმე გადაიდო. მიზეზი ის გახლდათ, რომ კონსტრუქტორებს ვერა და ვერ გადაეჭრათ რამდენიმე რთული ტექნიკური პრობლემა. მათ შორის მთავარი, ზღვრულ სიჩქარეზე მანქანის საიმედო მართვადობის უზრუნველყოფა იყო: Bugatti-ს ძრავას სიმძლავრე ხომ 1001 ცხ.ძ-ს, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე – 400 კმ/სთ-ს აღწევს. ამიტომაც ამ მანქანას რეგულირებადი კლირენსი ექნება. როცა სიჩქარე 220 კმ/სთ-ს არ აღემატება, ე.წ. საგზაო ნაპრალი 12,5 სმ-ს შეადგენს, ხოლო უფრო დიდ სიჩქარეზე – 375 კმ/სთ-მდე, – წინა მხარეს 8 სმ-მდე, უკანა მხარეს კი – 9,5 სმ-მდე შემცირდება. ამ ცვლილებებს ბორტკომპიუტერი უზრუნველყოფს. რაც შეეხება მაქსიმალურ – 400 კმ/სთ სიჩქარეს, ასეთ შემთხვევაში, მძღოლმა უნდა ჩართოს სპეციალური პროგრამა, რომელიც თავდაპირველად, სათითაოდ შეამოწმებს მანქანის ყველა კვანძის მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ „მისცემს თანხმობას“. ზღვრულ სიჩქარეზე კლირენსი წინა მხარეს 6,5 სმ-ის, ხოლო უკანა მხარეს – 7 სმ-ის ნიშნულზეა. Bugatti-ში გამოყენებულია კერამიკული მუხრუჭები, რომელთა ეფექტურ მოქმედებას უკანა სპოილერი უწყობს ხელს: ის „სამუხრუჭე პარაშუტის“ ფუნქციას ასრულებს. ■



ცირკის "ბირჟაზე" დაფყიბული სიყვარული...

გათხოვების სხვადასხვაგვარი ხერხი არსებობს: ზოგი გარიგებით თხოვდება, ზოგს — იტაცებენ, ზოგსაც — ატყუებენ, მაგრამ გათხოვების მეთოდი, რომლითაც გაბედნიერება ჩვენს რესპონდენტს, ეთერს ხვდა წილად, უცნაურიცაა და სასაცილოც... რა ხეირის მოტანა შეუძლია ცირკთან დგომას, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ, ხოლო გასათხოვრები ბედის ძიებისას იმავეს მაინც ნუ გაიმეორებენ — იქნებ, თქვენ არ გაგიმართლოთ ისე, როგორც ეთერს...

ლიკა ქაჯაია

— წარმოშობით კახელი ვარ. ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, არც სხვებზე რაიმეთი უკეთესი, არც — უარესი. დაახლოებით მე-10 კლასში ვიყავი, როცა თავის ტკივილებმა შემაწუხა. თავიდან წამლები მშველოდა. მერე გულმაც ჩხვლეტა დამიწყო... 28 წლის გახლდით, როცა მთელი სხეული მტკიოდა, წამალი დროებით მიყუჩებდა ტკივილებს. ბოლოს, ექიმმა დედაჩემს უთხრა: ეს ბავშვი გაათხოვეთ და აღარაფერი ეტკინებაო. სიმართლე გითხრათ, იმ დროს, მთხოვნელი არავინ მყავდა და ამიტომაც, ხან ვის მირიგებდნენ, ხან — ვის, მაგრამ მგონია, ყველამ დამიწუნა. ჩემი საცოდაობით გულშეღონებულმა მშობლებმა მითხრეს: თუ გინდა, საყვარელი გაიჩინე, მაგრამ ბოზობას ნუ დაიწყებო. ბედის საძიებლად, თბილისში ჩამოვედი. მეგობარ გოგოს მივაკითხე. ვეძებდი პიროვნებას, რომელსაც შეეძლო, ჩემი გასაჭირი გაეგო. ერთი ბიჭი მომწონდა, ის კი, როგორც დას, ისე მიყურებდა და ვერც მე გავუბედე, მეთქვა — ერთი დღე მაინც მაჩუქე-მეთქი, თუმცა...

— **რა — თუმცა?**

— თუმცა, მისი „გაუპატიურების" მცდელობაც მქონდა *(იცინის)*. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა.

— **მერე, მიაღწიე საწადელს?**

— რას ამბობთ?!. გაცოფდა, ლომივით ბრდღვინავდა და თავს იცავდა — არ მომეკაროო *(იცინის)*!.. სამუდამოდ დავკარგე.

— **ბოლოს, როგორ მოინადირეთ კაცი?**

— ერთადერთი, რაც დამრჩენოდა, ცირკთან დგომა იყო — აბა, ქუჩაში ხომ არ ვიყვირებდი!.. ბევრი ფიქრის შემდეგ, ასეც მოვიქეცი. შავი კაბა ჩავიცვი, გვერდზე ჩავხიე და ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე სეირნობა დავიწყე. სხვათა შორის, კონფლიქტურ სიტუაციაშიც აღმოვჩნდი: წინ და უკან სიარულით დაღლილმა, შესვენება გადავწყვიტე და ჩამოვჯექი. ცოტა ხანში, ერთი სახეჩამომჭკნარი ქალი მომვარდა და ლანძღვა-გინებით ამიკლო. რა უნდოდა, ვერ გავიგე და ვკითხე: რა გნებავთ-მეთქი? — შენი სიკვდილიო! — დაიღრიალა და თმაში მწვდა. თურმე ნუ იტყვით და, ადგილებიც კი დანაწილებული ჰქონიათ და მის ადგილზე დავმჯდარვარ... ჩემი გახეული კაბა, კიდევ უფრო გაიხა, მაკიაჟის გაკეთებაც თავიდან მომიხდა... მანქანები მიჩერებდნენ, მაგრამ რატომღაც არავის ჩავუჯექი. ალბათ, ესეც იღბალი იყო...

— **რატომ არ უჯდებოდით?**

— ისე უხეშად მომმართავდნენ, ჩემი თავი მეზიზღებოდა, მაგრამ წავიდოდნენ თუ არა, ჩემი გაჩენის დღეს ვწყევლიდი. ბოლოს, სახლში წასვლა გადავწყვიტე. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ზაზა. იგი შავი „მერსედესით" მოგრიალდა, მანქანა ზედ ფეხებთან გამიჩერა, მინა ჩასწია და — დაბრძანდითო, — მითხრა. რატომღაც მისით მოვიხიბლე, კარი გამოვაღე და ჩავჯექი. პირველად გზედავ და მომსახურებაში რამდენს იღებო? — მკითხა. რამდენსაც გაიმეტებთ-მეთქი, — ვუპასუხე. იმდენი იცინა, კინაღამ გასკდა. მეხუმრები? ნუთუ გინდა დამაჯერო, რომ შენს თავზე „სტავკა" არ გიდევსო? დავიბენი, გავწითლდი... გაკვირვებული მიყურებდა: რა გჭირს, პირველად ხომ არ დგახარო?!. მიწაც რომ გამსკდომოდა ფეხქვეშ, მაგას როგორ ვეტყოდი?!. მოკლედ, თავის ბინაში წამიყვანა...

— **და როცა გაიგო, რომ მეძავი არ იყავით, რა გითხრათ?**

— გაოგნებული იყო: ეს რა მიქენი ან შენს თავს რას ერჩოდიო?! მეჩხუბა, კინაღამ მცემა. მეც ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი... როცა დამშვიდდა, მთხოვა — მომიყევი, რატომ გააკეთე ეს, ან მე რატომ ამირჩიეო? მეც ყველაფერი ვუამბე. ადგა, შუბლზე მაკოცა, აღარ მიგატოვებო, — მითხრა და სახლამდე მიმაცილა...

— **დღეს კი მისი მეუღლე ხართ. როგორ მოხდა თქვენი დაქორწინება?**

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. 2 თვის განმავლობაში ერთმანეთს ვხვდებოდით. მერე კი, სიყვარულში გამომიტყდა და ხელი მთხოვა... მახსოვს, ამ ამბით აღფრთოვნებული ჩემი მშობლების სახეები. მათთვის ზაზა არა მარტო სიძე, არამედ უფალია, საფიცარი ადამიანია, რომელმაც მოხუცებს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა.

— **რამდენი წელი გავიდა თქვენი დაქორწინებიდან?**

— 9 წელი გავიდა და დღესაც ისეთივე ბედნიერები ვართ, როგორიც მაშინ. გვყავს 7 წლის გოგონა, მარიამი.

— **ახლა თავის ტკივილები გაწუხებთ?..**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი აღარ მტკივა. მიშველა თუ მეშველა, ვეღარ გავიგე *(იცინის)*...

— **რას ურჩევდით ახალგაზრდა გოგონებს?**

— გათხოვებას. ნუ ხართ წუნიები, მიენდეთ ბედს. ბედს, რომელსაც ჩვენგან ხელშეწყობაც ნდომებია. გათხოვდით, გოგოებო, გათხოვდით!..

■

ნარკომანიის პრობლემაზე სერიოზულად, შეერთებულ შტატებში პირველად, 1930 წლის გაზაფხულზე დაფიქრდნენ, რის შედეგადაც ქვეყანას მოევლინა ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალური ბიურო (FBN) — პირველი სამსახური, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა გახლდათ. დროთა განმავლობაში, ბიურომ ტრანსფორმაცია განიცადა და ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი თანამედროვე სამსახური, დღესდღეობით DEA-ს სახელითაა ცნობილი. DEA-მ წინამორბედთა უამრავი ნაკლის დაძლევა მოახერხა, მაგრამ მის წინაშე კვლავინდებურად დგას ძირითადი პრობლემა: როგორც აღმოჩნდა, ნარკომანიასთან საბრძოლველად ფონდების მოპოვება ბევრად უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე მის წინააღმდეგ ბრძოლა.

„აშშ-ის ყველაზე საშიში მცენარე“

ჯეიოსნული ლაშქრობა ნარკოტიკების წინააღმდეგ

სუფთა რეპუტაციის მქონე ჰარი

შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ნაცნობობას დიდი ხნის ისტორია აქვს: ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, კალიფორნიაში დამკვიდრებული ჩინელი მუშა-იმიგრანტები, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, დასვენებას ოპიუმის მოსაწევ დაწესებულებებში ამჯობინებდნენ და თავდაპირველად, ხელისუფლება ამას არანაირად არ კრძალავდა. პირველი ანტინარკოტიკული კანონი, რომელიც აშშ-ის ტერიტორიაზე მიიღეს, სწორედ ამ მოსაწევი ადგილების აკრძალვას უკავშირდებოდა. ეს, 1875 წელს, სან-ფრანცისკოში მოხდა: ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამ კანონის მეშვეობით ჩინელი მუშა-იმიგრანტების შევიწროება და გაძევება გადაწყვიტეს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ უცხოტომელები მათ სამუშაო ადგილებს ართმევდნენ.

1930-იანი წლების ამერიკული პლაკატი, ნარკომანებს გარყვნილებასა და თავაშვებულ ორგიებს ჰპირდებოდა. ამან ბევრი დააინტერესა

1914 წელს კონგრესის მიერ ნარკოტიკებთან დაკავშირებული განსაკუთრებული აქტის მიღებამდე, აშშ-ში ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება და გაყიდვა სრულიად ლეგალურად ხდებოდა. თუმცა, ნარკოტიკების აკრძალვა არც ამ აქტის საფუძველზე მომხდარა, რადგან კანონი მხოლოდ ამ ნივთიერებების ლიცენზირებას ისახავდა მიზნად. უფრო მეტიც, როცა 1915 წელს მებაჟეებმა ნარკომოვაჭრეები დაიკავეს, რომელთაც ხელზე 20 კგ ოპიუმი აღმოაჩნდათ, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ მათი გათავისუფლების დადგენილება მიიღო და ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებას პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის კვალიფიკაცია მისცა. მშრალი კანონის მოქმედების დროს კი, ხელისუფლება ბევრად მეტ ყურადღებას უთმობდა ტომფსონის ავტომატებით შეიარაღებულ ჩიკაგოელ ბუტლეგერებს, ვიდრე „სამკურნალო პრეპარატების“ მოკრძალებულ გამავრცელებლებს. ასე რომ, იმხანად მთელი რიგი ნარკოტიკული ნივთიერებების მკურნალ ექიმთან თუ აფთიაქში შეძენა, ქვეყანაში სრულიად ლეგალურად შეიძლებოდა. მშრალი კანონის მოქმედების პერიოდში, უბრალო ამერიკელებს, ჩინელი ყულების მსგავსად, ესაჭიროებოდათ რელაქსაცია – ამიტომ მათ აკრძალული სასმლის შემცვლელის ძიება დაიწყეს. ამ შემცვლელად ბევრისთვის მარიხუანა იქცა, რომელიც აშშ-ში ლათინურამერიკელ იმიგრანტებს შეჰქონდათ და თავდაპირველად, ხელისუფლება ამას სახიფათო მოვლენად სულაც არ მიიჩნევდა.

მიუხედავად ამისა, განგსტერებთან გაჩაღებული გაგანია ომის დროს, ქვეყანაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოებას ალ კაპონეზე ბევრად უფრო სახიფათო მტერი გამოუჩნდა. ეს სახიფათო მტერი კი, ერთი უღიმღამო მცენარე გახლდათ, რომელიც ზოგიერთ ამერიკელ ფერმერს უკვე სრულიად ლეგალურად მოჰყავდა. კანაფის საწინააღმდეგო კამპანია საგაზეთო მაგნატმა უილიამ რენდოლფ ჰერსტმა წამოიწყო, რომელსაც სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ ყვითელი ჟურნალისტიკის მამამთავრად და რომელიც 28 მსხვილი გაზეთის, 11 ჟურნალის და რამდენიმე რადიოსადგურის მეპატრონე გახლდათ. ჰერსტმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ამ პრობლემას შესჭიდებოდა და მის ხელთ არსებული საინფორმაციო

საშუალებებით სერიოზული კამპანია გაეჩაღებინა ნარკოტიკების წინააღმდეგ. მისი გაზეთები დღენიადაგ იმას უქადაგებდნენ მკითხველს, რომ მარიხუანის მოწევა სულ რაღაც 30-იოდე დღეში ყმაწვილკაცს ბოროტმოქმედად აქცევს და ნარკოტიკები „კეთრის მსგავსი" საზიზღარი ინფექციაა.

მაგნატის მხრიდან კანაფისებრთა ოჯახის მცენარეთა სიძულვილს, საკმაოდ პრაგმატული საფუძველი ჰქონდა. ტყუილად არ უწოდებდნენ ჰერსტის სასტამბო გამოცემებს ყვითელს: მათ ცელულოზის ქაღალდზე ბეჭდავდნენ, რომელიც ძალზე მალე იცვლიდა ფერს და ყვითლდებოდა, მაგრამ გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე ის ქაღალდი, რომელსაც მისი კონკურენტი გამომცემლები იყენებდნენ. თავად ჰერსტი ტყის ვეებერთელა მასივების მფლობელი გახლდათ, საიდანაც მისი ქაღალდის საწარმოები მარაგდებოდა; აი, ცელულოზის ქაღალდის ტექნოლოგია კი, რომელმაც ის საგაზეთო ბიზნესის ლიდერად აქცია, ქიმიური წარმოების გიგანტს – DuPont-ს ეკუთვნოდა, რომელიც ხელოვნური ბოჭკოს შესაქმნელად აქტიურად იღვწოდა. კომპანიას გრანდიოზული გეგმები ჰქონდა – იგი წარმოებაში სინთეტიკური მასალების დანერგვას ისახავდა მიზნად, რასაც სიამაყით აღნიშნავდა თავად DuPont-ის პრეზიდენტი ლამონ დიუპონი: „ქიმიის მეშვეობით, ჩვენ გავუფრთხილდებით ბუნებრივ რესურსებს, სინთეტიკური პროდუქცია შეავსებს ან მთლიანად შეცვლის ნატურალურ ნედლეულს".

ხელოვნურ ბოჭკოზე იაფი კი, მხოლოდ ბუნებრივი ბოჭკო გახლდათ, რომელსაც კანაფისგან იღებდნენ. გარკვეულ დრომდე, კანაფის ქაღალდის მასობრივ წარმოებას ამ მცენარის გადამუშავების სირთულე უშლიდა ხელს, მაგრამ 30-იანი წლებისათვის გამოიგონეს მანქანები, რომელთა მეშვეობითაც ეს პროცესი იაფი და ხელმისაწვდომი გახდა. ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ „10 ათას აკრზე მოწეული კანაფისგან იმდენივე

ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ჰარი ენსლინგერი მარიხუანას ისეთსავე სამინელ ბოროტებად მიიჩნევდა, როგორადაც ჯაზს

ქაღალდის მიღება იყო შესაძლებელი, რამდენიც 40 ათას აკრზე გაშენებული ტყისგან", ეს კი ხელს არ აძლევდა არც ჰერსტს და არც DuPont-ს.

კანაფის წარმოების შხამსაწინააღმდეგო საშუალებასაც მალე მიაგნეს: 1930 წელს, აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალური ბიურო (FBN), რომელსაც სათავეში ჩაუდგა, მანამდე ამავე სამინისტროს სტრუქტურებში ნამუშევარი (თავის დროზე მშრალი კანონის გატარებაზე გახლდათ პასუხისმგებელი) ჰარი ენსლინგერი. ახალი უწყების კადრებიც იმ სააგენტოების თანამშრომლებით დაკომპლექტდა, რომლებიც მანამდე ბუტლეგერებს დასდევდნენ. ამ გზით გადაწყდა უამრავი გამოცდილი ოპერატიული მუშაკის დასაქმების პრობლემა, ამასთან, აღარც აპარატის შემცირება გახდა საჭირო და აღარც ფინანსების ჩამოჭრა.

FBN-ის შეფის პოსტზე, ყველა სხვა კანდიდატურასთან შედარებით, ენსლინგერს ერთი აშკარა უპირატესობა ჰქონდა – მას ცოლად ჰყავდა ფინანსთა მინისტრ ენდრიუ მელონის დისწული. თავად ენდრიუ მელონიც საკმაოდ დაინტერესებული გახლდათ იმით, რომ ნარკოტიკული გამაბრუებლების წინააღმდეგ ბრძოლა სასწრაფოდ დაწყებულიყო: „მელონ ბანკი", რომლის მფლობელიც მინისტრი გახლდათ, DuPont-ის კომპანიას აფინანსებდა.

ენსლინგერმა FBN-ის სათავეში მოსვლისთანავე ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყო მარიხუანის წინააღმდეგ. ჰერსტის საინფორმაციო საშუალებების სრული მხარდაჭერის ფონზე, ეს სრულიად შეუმჩნეველი ჩინოვნიკი მოკლე ხანში საზოგადოების თვალსაჩინო ფიგურად იქცა. ენსლინგერი ენერგიულად არწმუნებდა საზოგადოებას საკუთარი უწყების არსებობის აუცილებლობაში: სწორედ მისგან შეიტყო მთელმა ამერიკამ მარიხუანის არსებობისა და მისი მავნებლობის შესახებ. უფრო მეტიც, ენსლინგერის დამკვიდრებულია ტერმინი – „მარიხუანა", ამით ის ნარკოტიკის უცხოური წარმომავლობის ხაზგასმას ცდილობდა („სამამულო კანაფის" არსებობის შესახებ ხომ მთელმა ამერიკამ მის გარეშეც შესანიშნავად უწყოდა). FBN-ის შეფის მონდომებამ ნაყოფი გამოიღო და მისი უწყებისთვის ყველაფერი წარმატებით დაგვირგვინდა: მათ უმტკივნეულოდ გადაიტანეს მშრალი კანონის გაუქმება, ახალ რეალობაში კი მათი სამსახური კიდევ უფრო ძლევამოსილ და გავლენიან ორგანიზაციად იქცა.

კონგრესმენებსა და საზოგადოებას ენსლინგერი დაბეჯითებით უმტკიცებდა იმას, რომ მარიხუანა უკვე იმითაა ცუდი, ფერადკანიანებს იმაზე ფიქრის უფლებას რომ აძლევს, თითქოსდა ისინი თეთრკანიანებს არაფრით ჩამოუვარდებიანო. ასევე იმასაც ირწმუნებოდა: „მარიხუანის მწველთა უმრავლესობა ზანგი, ესპანურენოვანი წარმომავლობის, ჯაზის მუსიკოსი ან მსახიობია. მათ სატანურ მუსიკას მარიხუანა ასაზრდოებს და თუკი თეთრკანიანი ქალები ეწევიან მარიხუანას, ისინი ზანგებთან, არტისტებთან და სხვებთან სექსუალურ კავშირს ელტვიან. ამ ნარკოტიკს ადამიანი უგუნური ქმედებისკენ, დანაშაულის ჩადენისა და სიკვდილისკენ მიჰყავს. ეს ნივთიერება, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ყველაზე მეტად უბიძგებს ადამიანს ძალადობისაკენ".

საბოლოოდ, როცა 1937 წელს კონგრესმა ხელი მოჰკიდა მარიხუანის საკითხის განხილვას, FBN-ის შეფმა კანონმდებლებს ამ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფთაგან ჩადენილი დანაშაულების ვრცელი სია წარუდგინა. მათ შორის, ყველაზე შემაძრწუნებელი გახლდათ ფლორიდის მკვიდრის ვიქტორ ლიკატას ამბავი, რომელმაც მას შემდეგ, რაც „ექვსი თვის მანძილზე ეწეოდა მარიხუანას", ერთ მშვენიერ დღეს, ხელში ნაჯახი აიღო და მშობლები, ორი ძმა და და ამოხოცა. ამასთან ენსლინგერმა უგულებელყო ის ფაქტი, რომ ექიმების აზრით, ლიკატა შეშლილი გახლდათ, ისევე, როგორც მის მიერვე დახოცილი ოჯახის ზოგიერთი წევრი. არაერთ სისხლიან ამბავს ენსლინგერი ჰერსტის „ცელულოზის" გაზეთის ფურცლებს დაესესხა. თუმცაღა მისმა „დოკუმენტაციამ" კონგრესმენებზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა და აშშ-ის სახელმწიფოს მოევლინა აქტი, რომელიც მარიხუანის მოყვანაზე გადასახადს აწესებდა.

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108

18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

გადასახადი კანაფის მოყვანაზე იმდენად მაღალი გახლდათ, რომ მისი წარმოება სრულიად არახელსაყრელი გახდა და DuPont-ის ხელოვნურ ბოჭკოსაც ბაზარზე კონკურენტი აღარ დარჩა.

ჰარი ენსლინგერის დროს FBN ისეთ ორგანიზაციად იქცა, რომელსაც ძალა შესწევდა, წინ აღდგომოდა ნებისმიერი რანგის პოლიტიკოსის ინიციატივას. როცა 1944 წელს, ნიუ-იორკის მერის ფიორელო ლა გუარდიას თხოვნით, სამეცნიერო კომისიამ კანაფისებრთა ოჯახის მცენარეთა შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ მარიხუანის მოხმარება ძალადობისაკენ არ უბიძგებდა ადამიანს, FBN-ის შეფმა განაცხადა: ამიერიდან, ნებისმიერი მეცნიერი, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების დამოუკიდებლად შესწავლას მოჰკიდებს ხელს, თავს ციხეში ამოყოფსო. მოგვიანებით, ენსლინგერმა თავისი დანაპირების სისრულეში მოყვანა დააპირა, როცა 1962 წელს პროფესორ ალფრედ ლინდსმიტის დაშინება სცადა, რომელიც ნარკოტიკებისადმი შედარებით ლმობიერი დამოკიდებულების მომხრე გახლდათ. მაგრამ უკვე სხვა დრო იყო და პრეზიდენტმა კენედიმ პირადად მოსთხოვა მას, რომ პროფესორისათვის თავი დაენებებინა. ენსლინგერი არ დაემორჩილა და სუბორდინაციის დარღვევისთვის ის სამსახურიდან დაითხოვეს. ამბობდნენ, რომ კენედი მარიხუანის ლეგალიზებასაც კი აპირებდა, რადგან ხანდახან თავადაც ეწეოდა ხერხემლის აუტანელი ტკივილის გასაყუჩებლადო; მაგრამ მის ამ გეგმას განხოციელება არ ეწერა და არც FBN დარჩენილა უსაქმოდ.

ხელმწიფის წილი

მართალია, FBN-მა ენსლინგერის გადაყენებასაც გაუძლო და კენედის სიკვდილიც გადაიტანა, მაგრამ თავისი ქარიზმატული შეფის გარეშე, მას საკმაოდ მძიმე დღეები დაუდგა. 1968 წელს, უწყება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა და ნარკოტიკებსა და საშიშ პრეპარატებთან ბრძოლის ბიუროდ (BNDD) გადაკეთდა. კანტორის დასახელებიდან გაქრა სიტყვა – „ფედერალური“, წარსული გავლენიდან მხოლოდ მოგონებებიღა შემორჩა, ხოლო ქვეყანაში, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე, ფეხი მოიკიდა ჰეროინმა და LSD-მ.

ხელისუფლების სათავეში ნიქსონის მოსვლის შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა. ამერიკის პრეზიდენტმა ნარკოტიკები „ამერიკის უპირველეს მტრად“ გამოაცხადა: დაიწყო იმით, რომ 1971 წელს, თავის ადმინისტრაციასთან ჩამოაყალიბა ანტინარკოტიკული სპეცსამსახური, მის უფროსად კი უნივერსიტეტის პროფესორი ჯერომ ჯაფე დანიშნა. სავარაუდო იყო, რომ ახალი ორგანო ნარკოტიკებთან მებრძოლ ყველა სხვა უწყებასთან კოორდინირებულად ითანამშრომლებდა; თავად პროფესორი ჯაფე „ნარკოხელმწიფის“ (drug czar) არაოფიციალური ტიტულით მონათლეს. ვიანიდან აშშ-ში იმხანად ნარკოტიკების წინააღმდეგ იბრძოდა ყველა, ვისაც კი არ ეზარებოდა, „ნარკოხელმწიფეს“ საკმაოდ ბევრი ქვეშევრდომი აღმოაჩნდა. მათ შორის იყო: BNDD, საბაჟო სამსახური, სანაპირო დაცვა, ანტინარკოტიკული სამსახური, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული, ანტინარკოტიკული დაზვერვის სამსახური, პრეზიდენტის კაბინეტთან არსებული, ნარკოტიკების კვლევის სამეცნიერო სამსახური, ასევე FBI (საგამოძიებო ფედერალური ბიურო), CIA (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) და მთელი რიგი სხვა უწყებებისა.



ნარკოტიკების წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ ვერც ნიქსონი იხსნა გადადგომისაგან და ვერც პრესლი ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზით მოხმარებისგან გამოწვეული სიკვდილისაგან

ჯაფეს ხელმწიფედ კურთხევის შემდეგ, სპეცსამსახურებს ხელსაყრელი ამინდი დაუდგა: მხოლოდ BNDD-ში (ენსლინგერის ყოფილი უწყება) ერთი წლის მანძილზე თანამშრომელთა საშტატო ერთეულების რაოდენობა და დაფინანსება ერთნახევარჯერ გაიზარდა. BNDD-ს არც საბაჟო უწყება ჩამორჩენია, რომლის ბიუჯეტიც ორიოდე წელიწადში თითქმის გაოთხმაგდა. ბუნებრივია, საბიუჯეტო ღვეზლის მოზრდილი ნაჭრის დასათრევად, უწყებას შორის მეტოქეობამაც იჩინა თავი. ყველაზე ხშირად კი კონფლიქტური სიტუაცია BNDD-სა და საბაჟო სამსახურს შორის იქმნებოდა. მებაჟეები გამუდმებით აპატიმრებდნენ BNDD-ს ინფორმატორებს, თავის მხრივ, BNDD-ც ასევე ეცეოდა საბაჟოს ინფორმატორებს – ბუნებრივია, ამით ორივე უწყება ზარალდებოდა. იმხანად მებაჟეებმა მექსიკის მხრიდან შემოსული ნარკოტიკული ნივთიერებების ხელში ჩასაგდებად მასშტაბური ოპერაცია წამოიწყეს და აშშ-ის ტერიტორიაზე შემსვლელ ნებისმიერ მანქანას საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ. სასაზღვრო პუნქტებზე წარმოქმნილი საცობების ფოტოსურათების დემონსტრირებას ისინი სიამაყით ახდენდნენ პრესის მუშაკების წინაშე, ხოლო ცნობებს მათ მიერ აღმოჩენილი ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ, ისეთი პომპეზურობით ავრცელებდნენ, როგორითაც ამა თუ იმ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების ცნობას ავრცელებს ხოლმე საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა. მეტოქე უწყების ამ გამოწვევას BNDD-მ „ფრანგული კავალის“ (French Connection) საქმის გახსნით უპასუხა და ახლო აღმოსავლეთიდან – კორსიკისა და მარსელის გავლით – შემოტანილი ნარკოტიკების თაობაზე აცნობა პრესას. ორი უწყების უშედავათო ჭიდილში, საბოლოო გამარჯვება BNDD-ს იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა ჯონ ინგერსოლმა იზეიმა: ახალი ბრძანების თანახმად, მებაჟეებს საზღვარგარეთ მოქმედების უფლება ჩამოერთვათ და ეს უფლება მხოლოდ ინგერსოლის უწყებას დარჩა. მაგრამ მათი ტრიუმფი დიდხანს არ გაგრძელებულა. ინგერსოლმა წინდახედულება ვერ გამოიჩინა და აშშ-ში ნარკოტიკების შემოტანის რვა გზის თაობაზე მოახსენა პრეზიდენტს, საბაჟო სამსახურმა კი სასწრაფოდ მეცხრე გზაც აღმოაჩინა, რომლის შესახებაც არაფერი იყო ცნობილი BNDD-ის შეფისათვის. როცა პრეზიდენტმა ინგერსოლისაგან მისი უწყების მიერ ჩატარებული კიდევ ერთი წარმატებული ოპერაციის – ნარკომოვაჭრეების დაჭერისა და დიდძალი კონტრაბანდული საქონლის აღმოჩენის თაობაზე მოისმინა მოხსენება, ნიქსონმა თავი ვეღარ შეიკავა და იკითხა – შემცირდა თუ არა ნარკოტიკებით ვაჭრობა ამერიკის ქალაქების ქუჩებშიო? ინგერსოლი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ წარმოდგენაც კი არ

ჰქონდა, თუ მისი უწყების მიერ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებები, ქვეყანაში შემოსული საწამლავის რამდენ პროცენტს შეადგენდა. ერთხელ, ნიქსონმა კინაღამ თავადაც კი დაიჯერა ანტინარკოტიკული ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატება: ერთ მშვენიერ დღეს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სატელეფონო ზარი გაისმა. გაოცებულ მორიგეს ხაზის მეორე ბოლოდან აცნობეს, რომ ნიქსონის ნახვა „თავად როკ-ენ-როლის მეფეს“ სურდა. პრეზიდენტთან შეხვედრაზე ელვის პრესლი თავის ჩვეულ, სირმებითა და მძივებით მოქარგულ სამოსში გამოცხადდა და საზეიმოდ განაცხადა: „ბატონო პრეზიდენტო, მე მხარს გიჭერთ და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის გაკეთება მსურს. სამწუხაროდ, ჩვენს დროში უამრავი კარგი ტრადიცია თანდათან იკარგება. მინდა დაგეხმაროთ იმაში, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა კვლავაც პატივი სცენ ჩვენს დროშას“. როკ-ენ-როლის მეფემ მხარდაჭერა აღუთქვა პრეზიდენტს ანტინარკოტიკული კამპანის წარმოებაში; ასევე აცნობა, რომ ვერ იტანს Beatles-ს, თავაშვებულ ახალგაზრდობას, სხვა უზნეობას და ყოველივე ამას, უდიდეს ჭირად და ზედმიწევნით „არაამერიკულ“ მოვლენად მიიჩნევს. შეხვედრაზე დამსწრე ჩინოვნიკთაგან ზოგიერთები მიხვდნენ, საითაც უმიზნებდა პრესლი, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო და არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა... ელვისმა საკუთარი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ბატონო პრეზიდენტო, შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ თქვენ ნარკოტიკებისა და სახიფათო პრეპარატების წინააღმდეგ მებრძოლი ბიუროს ნიშანს მომცემთ?“ ნიქსონს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ელვისი პოლიციის სამსახურებისა და სხვა ძალოვანი უწყებების ნიშნების კოლექციონერი გახლდათ და მთელი ეს შოუ BNDD-ს მისთვის სასურველი ნიშნის ხელში ჩასაგდებად იყო მოწყობილი, რომლის მოპოვებასაც ის მანამდე ინგერსოლის უწყებაში და სხვა მაღალ ინსტანციებშიც უშედეგოდ ცდილობდა. რაღა თქმა უნდა, ნიქსონმა განკარგულება გასცა, რათა მომღერლისთვის BNDD-ს ნიშანი მიეცათ და ელვის პრესლის უწყების „სპეციალური თანაშემწის“ სტატუსიც მიანიჭა. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ელვისისთვის ამას ხელი არ შეუშლია, სულ რამდენიმე წელიწადში ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზით მიღებისგან სიკვდილში.

დასასრული შემდეგ ნომერში

პირველი პაემნისა და სიყვარულის ამბებს ამჯერად, მომღერალი აგნესა მოგვიყვება. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, აგნესა პაემანზე წამსვლელებს ურჩევს, არ ინერვიულონ და რაც შეიძლება ბუნებრივები იყვნენ. ეს წარმატებული პაემნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნებაო, — მითხრა აგნესამ.

„ მენ არ ვიცი, აბა ყვავილებით მოსვლა რად დამიჯდა..."

მერი კობიაშვილი

— საბავშვო ბაღში ერთი ჩემი ჯგუფელი მომწონდა. ძალიან წყნარი ბიჭი იყო. მე კი ყოველთვის ვაშინებდი, „საჭირო ოთახში“ შემყავდა, კედელთან მივიმწყვდევდი და ვეუბნებოდი — ცოლად მომიყვანე, თორემ, მამაჩემს ვეტყვი და გცემს-მეთქი!.. მან ფეხსაცმლის ზონრის შეკვრა არ იცოდა, ყოველთვის ვეხმარებოდი. დედა საბავშვო ბაღში რომ მოდიოდა, სულ მეძებდა. მასწავლებლები ეუბნებოდნენ — ალბათ, ბავშვებს ზონრის შეკვრაში ეხმარებაო... სკოლაში ისევ ჩემი „პირველი სიმპათიით“ ვიყავი გატაცებული. მაშინ ძალიან განვიცდიდი, ის ბაღის ჯგუფელი ჩემს კლასში რომ ვერ მოხვდა. მერე ეტყობა, სწავლით დავინტერესდი. ის ბიჭი საერთოდ გადამავიწყდა...

— სერიოზულად რა ასაკში შეგიყვარდა?

— დაახლოებით მე-7 კლასში ვიქნებოდი, როცა ლაშა, ჩემი მომავალი მეუღლე მომეწონა. ერთ სკოლაში დავდიოდით, ერთმანეთს ყოველდღე ვხედავდით, ლაშამ არ იცოდა, რომ მომწონდა. ერთხელ მზის სათვალე წამართვა. მე მასთან სახლში ავდიოდი, ვეხვეწებოდი — დამიბრუნე ჩემი სათვალე-მეთქი. მაშინ ლაშა ბავშვურად ხუმრობდა, როგორც გოგო არ ვაინტერესებდი. მე კი ის მე-9 კლასამდე მომწონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩვენი გზები გაიყარა, მე სულხან-საბას ინსტიტუტში ჩავაბარე. ლაშამ — „გეპეიში“. ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. ჩემი ძმა მივიყვანე კორტებზე. ლაშა ჩოგბურთზე დადიოდა. პირველად ვერც გამიხსენა, შენ ჩემი სკოლელი ხარო? — მეკითხებოდა.

— პირველად, პაემანზე ლაშასთან იყავი?

— სიმართლე რომ გითხრათ, ცხოვრებაში ბევრი პაემანი არ მქონია. თაყვანისმცემლებს მეგობრების წრეში ვხვდებოდი ხოლმე. ერთხელ, ლაშამ რესტორანში დამპატიჟა. მაშინ პირველად შევხვდით მარტო ერთმანეთს. პაემანზე წასვლის წინ, მაინცდამაინც არ მინერვიულია. ვცდილობდი, რაც შეიძლება ბუნებრივი ვყოფილიყავი. ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი, წლები გრძელდებოდა. ერთმანეთს გათენებამდე ველაპარაკებოდით ტელეფონით. ერთხელ ჩამეძინა კიდეც. ლაშა თურმე, რაღაც საინტერესო ამბავს მიყვებოდა. მე კი სიზმარს ვხედავდი, ვითომ მაცივრისკენ მივდიოდი... ალბათ, სიზმარში კარგად მოვულხენდი კიდეც, ლაშას ხმამაღლა რომ არ ეკითხა — ხომ არ ჩაგეძინაო? სანამ გამოვფხიზლდებოდი — უი, მაცივარი-მეთქი! — მითქვამს. მაგრამ ლაშას ცოცხალი თავით არ ვუმხელდი, რომ ჩამეძინა.

— თაყვანისმცემლების ყურადღებით განებივრებული იყავი?

— სკოლაში ერთ ბიჭს მოვწონდი,

კედლები აჭრელებული იყო წარწერებით — „აგნესა, მიყვარხარ!“ სკოლის დირექტორმა ერთხელ კაბინეტში დამიბარა და მითხრა — ალბათ, შენი ბრალია, კედლები ასე აჭრელებული რომ არისო. მახსოვს, უმწეობისგან ტირილი დავიწყე.

— ერთი პერიოდი, რუსეთში ქალაქ სამარაში ცხოვრობდი. ოდესმე გიფიქრია, რუს ბიჭს გაჰყოლოდი ცოლად?

— რა თქმა უნდა, თაყვანისმცემლები იქაც მყავდა, მაგრამ არასდროს მიფიქრია, ცოლად რუსს გავყოლოდი. იქაურ ბიჭებს მამაჩემის ეშინოდათ. მეუბნებოდნენ — მამაშენს ალბათ, არ უნდა რუსი სიძეო. სიმართლე გითხრათ, მე უფრო არ მომწონდა რუსი ბიჭები, ისინი მოხარშულებივით არიან.

— მოხარშული ბიჭები არიან? მაინც რას გულისხმობ?

— აქტიურები არ არიან. იქ ხშირად, გოგონები დგამენ ხოლმე პირველ ნაბიჯს. თან, ამ ყველაფერთან ერთად, ქერა ბიჭები არ მომწონს.

— შეგიძლია, ბიჭისგან მოძღვნილი ყველაზე რომანტიკული საჩუქარი გაიხსენო?

— ცხოვრებაში ყველაზე რომანტიკული საჩუქარი ლაშამ მომართვა. ერთხელ სამარაში დიდი ხნით ვიყავი წასული. რომ ჩამოვედი, აეროპორტში ლაშა დამხვდა. ხელში უზარმაზარი თაიგული ეჭირა. მერე მეუბნებოდა — შენ არ იცი, აქ ყვავილებით მოსვლა რად დამიჯდაო... ის ბიჭების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც ყვავილის ხელში დაჭერა არ უყვარს. ხანდახან ვეწუწუნები — ყვავილები მომიტანე-მეთქი. დიდი ხვეწნის შემდეგ მჩუქნის, მაგრამ სახლამდე დამალული მოაქვს...

— შენს თაყვანისმცემლებს მამაშენის შიში ჰქონიათ. ლაშამ მისი გული როგორ მოიგო?

— იცით, ბედისწერის ძალიან მჯერა. ერთხელ, ლაშა სამარაში ჩამოსვლას და მამაჩემის გაცნობას აპირებდა. მამა კი მოულოდნელად თბილისში წამოვიდა საქმეებზე, თან ისე, რომ მეც არ ვიცოდი. იმ დღეს ლაშამ დამირეკა და მოკითხვის შემდეგ მითხრა — მოიცა, შენთვის კარგად ნაცნობ ადამიანს დაგალაპარაკებო. გაოცებისგან პირი ღია დამრჩა, როცა ტელეფონში მამაჩემის ხმა გავიგონე. ყველაფერი მარტივად მომხდარა: მამამ ლაშა კარგად მიიღო, მე კი მათი გაცნობა ძალიან მაშინებდა.



დაახლოებით მე-7 კლასში ვიქნებოდი, როცა ლაშა, ჩემი მომავალი მეუღლე მომეწონა

— ცოლად მალევე გაჰყევი?

— რამდენიმე წელი ვიყავით შეყვარებულები. იმდენად კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, არც კი გვითქვამს სიტყვა — „მიყვარხარ“ და უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიაო. ორივე უსიტყვოდ მივხვდით, რომ უკვე დრო იყო, ერთად გვეცხოვრა.

— ქორწინების შემდეგ, ლაშა ძალიან შეიცვალა? ამბობენ, ქმრები მზრუნველები აღარ არიანო.

— ლაშა არ შეცვლილა, ისევ ისეთი გიჟია. მეგონა, ქორწინების შემდეგ შეიცვლებოდა. პირიქით — სულ აინტერესებს, სად ვარ, ვისთან ერთად... მოკლედ, ლაშა მაგარი ეჭვიანია, თუმცა ეჭვიანობაში ტოლს მეც არ ვუდებ...

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— ბავშვი ძალიან მინდა. აქამდე ვფიქრობდი, ორ შვილს გავაჩენ-მეთქი, ახლა — სამზე ვოცნებობ. სქესს მნიშვნელობა არა აქვს. შვილები ისე მინდა, წონის მომატება არ მადარდებს...

— სიყვარული ზოგს ლექსებს აწერინებს, ზოგსაც — აამღერებს ხოლმე. შენც ასეთ ადამიანთა რიგს ხომ არ მიეკუთვნები?

— ლექსი არასდროს დამიწერია. პირადად მეც, მხოლოდ ერთხელ მომიძღვნა ლექსი თაყვანისმცემელმა, ერთ ფურცელზე ორი ლექსი ეწერა. თუ არ ვცდები, ის ფურცელი დღემდე მაქვს შენახული. სიმღერა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. სულ სპორტზე დავყავდი დედას, მე კი სიმღერაზე ვოცნებობდი. ერთხელ, სპორტის სასახლეში სოსო პავლიაშვილის კონცერტზე ვიყავი. მაშინ ჩავიფიქრე — მალე მეც სცენაზე ვიდგები-მეთქი. მართლაც, ასე მოხდა. ამაში ძალიან დამეხმარა დედაჩემი...

ლაშა მაგარი ეჭვიანია, თუმცა ეჭვიანობაში ტოლს მეც არ ვუდებ...

რობერტო კარლოსი: მომავალი სეზონი ჩვენი იქნება

ორიოდე დღის წინ, რობერტო კარლოსი არდადეგებიდან ესპანეთში დაბრუნდა და „რეალში“ თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშს შეუდგა: „არ გვაქვს იმის უფლება, რომ კვლავაც ვერც ერთი ტურნირი ვერ მოვიგოთ“, — ამბობს ბრაზილიელი მცველი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში ყველა მატჩში შეძლებს თამაშს და დაძაბულ სეზონს გაუძლებს. მანამდე კი, ვიდრე ლას-როსასის საწვრთნელ ბაზაზე გაემგზავრებოდა, რობერტო კარლოსმა ინტერვიუ მისცა As-ს კორესპონდენტს და თავის არდადეგებზე, სეზონისწინა პერიოდზე, გუნდის მთავარ მწვრთნელსა და სხვა საკითხებზე ესაუბრა.

— როგორ გაატარე საზაფხულო არდადეგები?

— ძალიან კარგად და მშვიდად, არარასში ქალიშვილებთან ერთად საკუთარ სახლში ვისვენებდი, ხანდახან ამა თუ იმ საოჯახო ღონისძიებაში ვმონაწილეობდი, მაგრამ ძირითადად, შინ ვიმყოფებოდი. იქვე, სახლთან ახლოს პატარ-პატარა საფეხბურთო მატჩებსაც ვაწყობდი, რომ ცოტა მემოძრავა და ფორმიდან არ ამოვვარდნილიყავი. მაგრამ არავითარი კვების რეჟიმი არ დამიცავს. ჩინებულად დავისვენე, მაგრამ ახლა უკვე ვარჯიშისთვის ვარ მზად.

— შვებულებაში ერთი უსიამოვნებაც შეგემთხვა, როდესაც გაგქურდეს...

— ჰო, ამის შემდეგ, მეტისმეტად გაღიზიანებული, სახლში დავბრუნდი და მარკინოსის *(მარკოს ტეიშეირა, „რეალის“ მეორე მწვრთნელი. — რედ)*. ქორწილში აღარ წავსულვარ. მაშინ ნამდვილად შემეშინდა და ძალიან განვიცადე. ვიმედოვნებ, ასეთი რამ აღარ გამეორდება.

— ჰო, მართლა, სახლში ვისთან ერთად თამაშობდი ფეხბურთს?

— ჩემს მეგობრებთან ერთად. სხვათა შორის, ზოგიერთი მათგანი ფეხბურთელია, ზოგიერთი — არა. დროს ჩინებულად ვატარებდით და არაფერზე არ ვფიქრობდით. მე ხომ მხოლოდ ერთი თვე მაქვს იმისთვის, რომ ყველაფერს გამოვეთიშო!

— ასეთი მძიმე სეზონის შემდეგ, დასვენება ნამდვილად გჭირდებოდა.

— მართალია. სეზონი თავიდანვე რთულად წარიმართა. არაერთი მწვრთნელი გამოვიცვალეთ და ისეთი რამეებიც ხდებოდა, რასთან შეგუებაც ძნელი იყო. სეზონი ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც რთული აღმოჩნდა. ასე რომ, ახლა ისევ ენერგიით უნდა ავივსოთ.

— იმ პროცესს თუ ადევნებდი თვალყურს, რომელიც შენი შვებულების დროს კლუბში ხდებოდა?

— ესპანეთს ტელეფონით თითქმის ყოველდღე ვუკავშირდებოდი და ინფორმირებული ვიყავი ყველაფრის შესახებ, რაც აქ ხდებოდა.

— მომავალ სეზონში, „რეალში“ არაერთი ბრაზილიელი იქნება: რობერტო კარლოსი, რონალდო, რობინიო, ლუქსემბურგო და სამწვრთნელო შტაბი...

— მართალია. მაგრამ კლუბის პოლიტიკა ისე უნდა წარიმართოს, რომ ევროპელი ფეხბურთელების შეძენაც არ დაავიწყდეთ. აუცილებელია კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება. მივესალმები კლუბის მიერ ახალი მოთამაშეების შეძენის ფაქტს, იმიტომ, რომ ძალიან გრძელი სეზონის ჩატარება მოგვიწევს და მისი კვლავ უტიტულოდ დასრულების უფლება არ გვაქვს. გამარჯვებებს ისევ უნდა მივაღწიოთ და ყველა ტურნირში პირველები ვიყოთ. ლა ლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება აუცილებელია.

— ქომაგები ძალიან ღელავენ იმის გამო, რომ შეიძლება, რობინიო „რეალში“ ვერ გადმოვიდეს...

— ბრაზილიაში ყოფნისას მოსმენილისა და წაკითხულის გათვალისწინებით, ამ თემაზე რამის თქმა გამიჭირდება. კარგი იქნებოდა, ის რომ შემოგვერთებოდა, რადგან ფანტასტიკური ფეხბურთელია. მაგრამ რობინიოს მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს „სანტოსთან“ და გასაგები უნდა იყოს, რომ მასში დიდი ფულის მიღებას ცდილობენ. ამიტომ არ ვიცი, თუ როგორ დასრულდება ეს ყველაფერი. მაგრამ ყოველთვის, როდესაც რობინიოს ამაზე ველაპარაკებოდი, შექმნილი სიტუაცია ჩემთვის კიდევ უფრო გაუგებარი ხდებოდა. ერთი სიტყვით, ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ მსურს. დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია. ბრაზილიაში ბრალს მდებდნენ იმაში, რომ რობინიოს „რეალისაკენ“ ვექაჩებოდი, მაგრამ ეს მართალი არ არის. „სამეფო კლუბს“ თავად სურს მისი შეძენა. მე კი ამის შესახებ მხოლოდ საკუთარ აზრს გამოვთქვამ. ის ნამდვილად არაჩვეულებრივი მოთამაშეა და არ შემიძლია, ჩემი მოსაზრება არ გამოვთქვა.

— კლუბი ძლიერდება, მაგრამ შენს პოზიციაზე დასაყენებლად არავის ეძებს — ეი. კარგ ფორმაში იმყოფები...

— 32 წლის ვარ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომავალ სეზონში, ყველა მატჩში ვითამაშებ, რომელსაც გუნდი გამართავს. თუ ჩემს

პოზიციაზე სხვა ფეხბურთელი არ იქნება, ამით არავითარი პრობლემა არ შეიქმნება. გასულ სეზონში, რაულ ბრავო მცვლიდა, მაგრამ მისი მომავლის შესახებ არაფერი ვიცი. დარწმუნებული ვარ, იმ ფიზიკური მომზადების საფუძველზე, რომელსაც სეზონის დაწყებამდე გავივლით, საუკეთესო ფორმაში ვიქნები. „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების ყველა მატჩში მონაწილეობას შევძლებ.

— ამბობ, რომ ვანდერლეი ლუქსემბურგოს, შენი საუკეთესო თამაში უნდა უჩვენო, მაგრამ ბევრის აზრით, ის „რეალში“ დიდხანს აღარ დარჩება...

— ვინც ასე ფიქრობს, ის ძალიან ცდება. ლუქსემბურგო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, თავის საქმეს კარგად აკეთებს, რისი მაგალითიც ის გახლავთ, რომ 2005 წელს, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გავხდით. ვიმედოვნებ, მომავალ სეზონშიც ასე იქნება. მას დრო უნდა მივცეთ.

— თავად რომელი ფეხბურთელების შეძენას ურჩევდი სამწვრთნელო შტაბს?

— უჰ, უმჯობესია, ისინი არ ჩამოვთვალო და კლუბის საქმეებში არ ჩავერიო. ფლორენტინოს, ბუტროგენიოსა და საკის მკაფიოდ განსაზღვრული იდეები აქვთ და მათ იციან, თუ რა უფრო უკეთესი იქნება გუნდისთვის.

— შენ, კასილასმა, სალგადომ და გრავესენმა ითხოვეთ, რომ თქვენთვის არდადეგები გაეგრძელებინათ, რადგან სეზონის მიწურულს, ნაკრებშიც მოგიხდათ თამაში. მიუხედავად ამისა, „რეალის“ ბაზაზე, გუნდის სხვა მოთამაშეებისთვის დათქმულ დროს დაბრუნდით...

— მართალია. დასვენებისთვის კიდევ რამდენიმე დღის დამატება გვინდოდა, იმიტომ, რომ არდადეგებზე მხოლოდ 8 ივნისს გავემგზავრეთ. მინდოდა, რომ მადრიდში 12 ივლისს დავბრუნებულიყავი, მაგრამ ასე არ გამოვიდა.

— უკვე ორი წელია, რაც „რეალს“ არც ერთი ტურნირი არ მოუგია. მომავალ სეზონში კიდევ უფრო დიდი ზეწოლის ქვეშ იქნებით...

— ნამდვილად ასეა. მომავალი სეზონის უტიტულოდ დასრულების უფლება არ გვაქვს. „რეალისთვის“, ტიტულების გარეშე ორი წელი, ძალიან ბევრია. ფეხბურთელებს ეს კარგად გვესმის. ეს არც პრეზიდენტისთვისაა მისაღები, არც ჩვენთვის და არც ქომაგებისთვის.

— როგორ ფიქრობ — კლუბის ტურნე ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში, პროდუქტიული იქნება?

— რა თქმა უნდა. უკვე ორი წელია, რაც აზიას ვსტუმრობთ და წინა ტურნეების გამოცდილება დადებითი გახლდათ. ვფიქრობ, იქ წასვლა ჩვენთის ამჯერადაც სასარგებლო იქნება. შემდეგ, ავსტრიაში მივემგზავრებით საწვრთნელ შეკრებაზე. ამ ტურნეს უკვე შევეჩვიეთ. ამასთან, იქ ჩინებულად გვეპყრობიან. მართლაც, წარმოუდგენელია ის, თუ როგორ გვხვდებიან ხოლმე, როდესაც თვითმფრინავიდან გადმოვდივართ...

— ჰო, მართლა, როდის მიიღებ ესპანეთის პასპორტს?

— თუ არავითარი პრობლემა არ შეიქმნება, პასპორტს ამ თვეში ავიღებ. შეიძლება, ტურნეს ბოლოს მომცენ. მინდა, რომ პასპორტი მქონდეს, რადგან ესპანეთში უკვე 9 წელია, ვცხოვრობ და ჩინებული იქნებოდა, ორმაგი მოქალაქეობა რომ მიმეღო. რონალდო ცოტა უფრო გვიან მიიღებს ამ უფლებას.

— დაბოლოს, რას ეტყვი ქომაგებს? მომავალ სეზონში გუნდი დაეუფლება ჯილდოებს?

— ჰო, დაე, ისინი მშვიდად იყვნენ — ეს ჩვენი წელი იქნება. არაფერი მოგვიგია, მაგრამ მომავალ სეზონში, ჩვენი ჯერიც დადგება. ■



სექსი მატჩის დაწყებამდე 2 წუთით ადრე?!

ერთ-ერთ გერმანულ არხზე გადის სერიალი სახელწოდებით — „ფეხბურთელთა ცოლების იდუმალი ცხოვრება“. გამოგონილი კლუბის — „დიუსელდორფის“ მოთამაშეთა მეუღლეები ეკრანზე ისეთ რამეებს აკეთებენ და ჰყვებიან, რომ მოგონილსა და რეალურს შორის ზღვრის დადგენის მიზნით, „ბილდის“ წარმომადგენლებმა კომენტარი სთხოვეს კლაუდია ეფენბერგს, რომელიც „ბაიერნის“ ორი ფეხბურთელის ცოლი იყო. „ზოგიერთი მომენტი საოცრად ზუსტადაა აღწერილი, — თქვა კლაუდიამ, — მაგალითად, ის, თუ როგორ გიჟდებიან მოთამაშეთა ცოლები ე.წ. საყიდლებზე სიარულზე, თუ რა ყურადღებას უთმობენ თავიანთ გარეგნობას სტადიონზე წასვლის წინ. თითქოს ყურადღების ცენტრში მათი ქმრები კი არა, არამედ თავად უნდა აღმოჩნდნენ. ზუსტადაა ასახული სერიალში აგრეთვე ისიც, თუ რა ხშირად უყვართ მკვახე სიტყვის თქმა. ამის გამო, ტრიბუნაზე ყოფნისას, არაერთხელ მათგან შორს გადავმჯდარვარ... მაგრამ ფილმის ზოგიერთი დეტალი, სრული სიცრუეა. მაგალითად, აშკარად მოკლებულია რეალობას სცენა, რომელშიც ფეხბურთელი მოედანზე გასვლამდე სულ რაღაც ორიოდე წუთით ადრე, თავის საყვარელთან სექსითაა დაკავებული. სინამდვილეში ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს“. ■

რა არის ასცენდენტი და რა



თვისებების გვანიჭების

ასცენდენტი („ამომავალი“ — ლათ.) პირადი ჰოროსკოპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია და ის ადამიანის დაბადების საათით გამოითვლება. შესაძლებელია, ასცენდენტი დღე-ღამის განმავლობაში მდებარეობდეს ზოდიაქოს ნებისმიერ ნიშანში. მისი ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს, გაარკვიოს, თუ როგორია ის გარეგნულად, როგორ რეაგირებს გარე სამყაროზე, როგორ ავლენს თავის შინაგან ბუნებას. თუ მოიმარჯვებთ იმ წლის ჩვეულებრივ კედლის კალენდარს, როდესაც თქვენ დაიბადეთ და გამოიყენებთ ქვემოთ მოყვანილ ფორმულას, საკუთარ თავზე ბევრ საინტერესო რამეს შეიტყობთ (ოღონდ, ზუსტად უნდა იცოდეთ საკუთარი დაბადების საათი).

მაშ ასე, კალენდრიდან უნდა დაადგინოთ, თუ როდის ამოვიდა მზე თქვენი დაბადების დღეს. როდესაც ამას გაარკვევთ, ერთი ნაბიჯიღა დაგრჩებათ საკუთარი ასცენდენტის დასადგენად.

ასცენდენტის ფორმულა:

— თუ თქვენ ხართ ვერძი და დაიბადეთ მზის ამოსვლის მომენტში, მაშინ თქვენი ასცენდენტი პირველ ნიშანში — ანუ ვერძის ზოდიაქოში იქნება.
— თუ მზის ამოსვლიდან 2-4 საათის შემდეგ მოევლინეთ ქვეყანას, მაშინ თქვენი ასცენდენტი უკვე შემდეგ ნიშანში — კუროში იქნება გადასული.
— მზის ამოსვლიდან 4-6 საათის შემდეგ — მესამე ნიშანში.
— მზის ამოსვლასა და ჩასვლას შორის — მეოთხეში
— მზის ჩასვლამდე 4-6 საათით ადრე — მეხუთეში.
— მზის ჩასვლამდე 2-4 საათით ადრე — მეექვსეში.
— მზის ჩასვლისას — მეშვიდეში.
— მზის ჩასვლიდან 2-4 საათის შემდეგ — მერვეში.
— მზის ჩასვლიდან 4-6 საათის შემდეგ —. მეცხრეში.
— მზის ჩასვლასა და ამოსვლას შორის დროის ზღვრის დამთხვევისას — მეათეში.
— მზის ამოსვლამდე 4-6 საათით ადრე — მეთერთმეტეში.
— მზის ამოსვლამდე 2-4 საათით ადრე — მეთორმეტეში.

ყურადღება: არ დაგავიწყდეთ, რომ ასცენდენტის ძებნისას, ზოდიაქოს ნიშნების გადათვლა საკუთარი ნიშნიდან უნდა დაიწყოთ, მაგალითად: თუ კურო ხართ და მზის ამოსვლისას დაიბადეთ, ასცენდენტი კუროში იქნება, თუ მარჩბივი ხართ და მზის ამოსვლისას დაიბადეთ, ასცენდენტი მარჩბივში იქნება და ა.შ.

ასცენდენტის ზოდიაქოს ნიშნებში მდებარეობის ინტერპრეტაცია

ასცენდენტი ვერძში

გარეგნობა: საშუალოზე მაღალი, გამხდარი, წაგრძელებული სახითა და მაღალი ყელით, შავგვრემანი ან მოწითალო თმით, სქელი წარბებით, შესაძლოა, თავზე ან სახეზე ნაიარევი ჰქონდეს.

ხასიათი: აქტიური, ენერგიული, მიზანსწრაფული და პატივმოყვარე. ყოველთვის პირველობას ცდილობს და ნებისმიერი წამოწყების მოთავეა. მიზანს ადვილად აღწევს. მტრების მიმართ იმპულსურად მოქმედებს, ამიტომ სუსტი მოწინააღმდეგეა და ბევრ შეცდომას უშვებს.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: სახე, თავის ქალა, თავის ტვინი, ყბები, ქვედა ტუჩი, პირი, ნიკაპი, თვალები, ყურები, ენა, კბილები, თმა, სახისა და თავის კანი, ცენტრალური ნერვული სისტემა.

ასცენდენტი კუროში

გარეგნობა: საშუალო ან საშუალოზე დაბალი, დაკუნთული მხარ-ბეჭით, მიდრეკილია სიმსუქნისაკენ, მოკლე და სქელი კისერი, ფართო ცხვირი და დიდი ტუჩები, ღია ფერის თვალები, მუქი თმა.

ხასიათი: ნელი, ზარმაცი, ჯიუტი, პრაქტიკული, ხელოვანი. მიდრეკილება აქვს კომფორტისადმი, უყვარს ლამაზი ნივთები, ლამაზი ადამიანები, გემრიელი საჭმელი. გურმანია. კონფლიქტის დროს, დიდხანს იკავებს ემოციებს, მაგრამ შემდეგ, ყველაფრის წალეკვა შეუძლია.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: სასა, კისერი, ყელი, ყანყრატო, ნუშისებრი ჯირკვალი, სმენის არხი, საყლაპავი მილი, ფარისებრი ჯირკვალი, ხმის იოგები, ხერხემლის კისრის მალები, პარასიმპტომატული ნერვული სისტემა.

ასცენდენტი მარჩბივში

გარეგნობა: საშუალოზე მაღალი, კარგი აგებულების, გრძელი ხელ-ფეხ-

ით, მოძრაობს მსუბუქად და სწრაფად, ახასიათებს დახვეწილი მოძრაობები და ჟესტიკულაცია. პირი ფართო აქვს, მაგრამ ტუჩები – თხელი. სახის კანი მუქი, თვალები ნაცრისფერი ან თაფლისფერი. გამჭოლი მზერა.

ხასიათი: ცნობისმოყვარე, კომუნიკაბელურია და იოლად შედის კონტაქტში, მოაზროვნე და ინტელექტუალურია. უყვარს სწრაფი ლაპარაკი. იკვებება ზომიერად და სწრაფად. კონფლიქტის დროს შეურიგებელია და ბევრს ილანძღება.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: ფილტვები, ბრონქები, ტრაქეა, პლევრა, მხრები, ხელები, ხელის თითები, ლავიწი, ხელის ძვლები.

ასცენდენტი კირჩხიბში

გარეგნობა: საშუალო სიმაღლის, ჩასკვნილი, მრგვალი ან ოვალური სახე (სავსე მთვარის ან ნახევარმთვარის მსგავსი), დიდი და მეტყველი თვალები, ხშირი წარბები, პატარა ხელები და ფეხები.

ხასიათი: ემოციური, გულჩათხრობილი, გაუბედავი, ახასიათებს გრძნობების სიმძაფრე, მიჯაჭვულია საკუთარ ოჯახზე.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: გულმკერდი, სარძევე ჯირკვლები, ნაღვლის ბუშტი, კუჭი, კუჭქვეშა ჯირკვალი, საჭმლის მომნელებელი სისტემა, თირკმელზედა ნაწილი, ნეკნები.

ასცენდენტი ლომში

გარეგნობა: სწორი აგებულებისაა, ახასიათებს გამართული სიარული. აქვს ნათელი სახე, დიდი მრგვალი თავი, ღია თმა (ხშირად, ოქროსფერი), ქედმაღლური მზერა.

ხასიათი: ამაყი, ენერგიული, ნებისყოფიანი, შეუპოვარი, ყოველთვის ყურადღების ცენტრში სურს ყოფნა, კონცენტრირებულია საკუთარ თავზე. გაბრაზებისას აგრესიული ხდება. ბოლომდე ებრძვის მტერს და მოწინააღმდეგის განადგურება შეუძლია.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: გული, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ზურგის ტვინი, ხერხემლის გულმკერდის არე, დიაფრაგმა.

ასცენდენტი ქალწულში

გარეგნობა: მაღალი, ტანადი, გამხდარი, მრგვალი სახე, მუქი თმა, გრძელი თითები. ფიზიკურად ამტანია.

ხასიათი: პრაქტიკული, პრინციპული, ცნობისმოყვარე, შეუძლია უწვრილმანესი დეტალების შემჩნევა, კრიტიკაა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმაციას.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: მუცლის ღრუ, მსხვილი და წვრილი ნაწლავები, თირკმლის ქვედა ნაწილი, ელენთა, აპენდიციტი, თორმეტგოჯა ნაწლავი.

ასცენდენტი სასწორში

გარეგნობა: საშუალო ტანის, კარგი აგებულების, ღია ფერის თმა, ოვალური სახე, სწორი ცხვირი, ცისფერი ან თაფლისფერი თვალები, ხორბლისფერი სახე, თბილი და გულისხმიერი გამოხედვა.

ხასიათი: კომუნიკაბელურია, უყვარს პარტნიორები და ვერ იტანს მარტოობას, ძალზე განვითარებული აქვს სამართლიანობის გრძნობა, უყვარს ადამიანებისთვის რჩევა-დარიგების მიცემა და კამათი. იზიდავს ხელოვნება, ასევე აინტერესებს დიპლომატია და იურისპრუდენცია.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: თირკმლები, თირკმელზედა ჯირკვალი, საკვერცხეები, შარდის ბუშტი, საშვილოსნო, ხერხემლის წელის მალები, სენსორული ნერვული სისტემა.

ასცენდენტი ღრიანკალში

გარეგნობა: საშუალო ან საშუალოზე დაბალი, ჩასკვნილი და ძლიერი აგებულების. მასიური კისერი, ხვეული თმა, ფართო პირი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, ჰიპნოზური მზერა.

ხასიათი: ენერგიული, ნებისყოფიანი, მიზნის მისაღწევად ყველაფერზეა წამსვლელი. მისი პრინციპია: ან ყველაფერი, ან – არაფერი. შეუძლია საკუთარი ემოციების დაფარვა. ხანდახან ცინიკურია. მტრისთვის ძალზე საშიშია და ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: ცხვირი, ზედა ტუჩი, სწორი ნაწლავი, სწორი ნაწლავის დაბოლოება, შინაგანი და გარეგანი სასქესო ორგანოები, სათესლე ჯირკვლები, პროსტატა.

ასცენდენტი მშვილდოსანში

გარეგნობა: საშუალოზე მაღალი, სრული აგებულების, მოწითალო კანის ფერი, ოვალური სახე, მოგრძო ცხვირი, მეტყველი გამოხედვა.

ხასიათი: ოპტიმისტი, პატივმოყვარე, სამართლიანი, პრობლემების მოგვარებას პატიოსანი გზებით ცდილობს, თუმცა, კონფლიქტის დროს, მუშტიკრივზე გადასვლას არ ერიდება. დამაჯერებელი ტონით ლაპარაკობს. სჩვევია სარკასტულობა. ძალზე აფასებს თავისუფლებას.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: მენჯი, მენჯ-ბარძაყის სახსარი, თეძოს ზედა ნაწილი, თეძოს ძვალი, დუნდულა, კუდუსუნი, სისხლი.

ასცენდენტი თხის რქაში

გარეგნობა: საშუალო სიმაღლის, გამხდარი, ბრტყელი მკერდი, ვიწრო მხრები, გრძელი ხელები, სახის უხეში და არაპროპორციული ნაკვთები, მასიური ნიკაპი, მუქი თვალები, სქელი თმა.

ხასიათი: მომთმენი, მიზანდასახული, ორგანიზებული, დისციპლინირებული, ყველა ქმედება წინდაწინ აქვს გათვლილი, შეუძლია წინააღმდეგობების გეგმაზომიერად გადალახვა. მისი დევიზია: „სხვებმა იფიქრონ და იოცნებონ, მე ჩემსას მაინც მივაღწევ“.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: ჩონჩხი, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, ხრტილები.

ასცენდენტი მერწყულში

გარეგნობა: საშუალო სიმაღლის ან ოდნავ მაღალი, ჰარმონიული აგებულების, მოგრძო სახე, ნათელი კანის ფერი და ნათელი თვალები, მუქი ფერის თმა, მკვეთრად გამოხატული ნაკვთები, გულისხმიერი მზერა.

ხასიათი: გამოირჩევა ორიგინალურობით, ხანდახან ექსცენტრიკულია. დამოუკიდებელია, ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია. უყვარს საზოგადოება. ჰუმანურია.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: მხედველობა, წვივები, ფეხის კუნთები, ცენტრალური ნერვული სისტემა.

ასცენდენტი თევზებში

გარეგნობა: დაბალი, მოკლე ხელფეხი, მიდრეკილია სიმსუქნისაკენ, თეთრი კანი, მუქი თმა, დიდი ცისფერი, წყლიანი (ხშირ შემთხვევაში, გადმოკარკლული) თვალები.

ხასიათი: მეოცნებე, ფანტაზიორი, ბუნებით შემოქმედია, აქვს იუმორის გრძნობა, ტყუილიც ეხერხება. რელიგიურია, აინტერესებს მისტიკა. უყვარს ჭორების მოსმენა და გავრცელება.

ენერგეტიკულად სუსტი წერტილები: ხელისგულები, ტერფი, ფეხის თითები, ლიმფური და ენდოკრინული სისტემა, სისხლის პლაზმა, ფსიქიკა.

■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(14 - 20 ივლისი)

ვერძი – 21/III-20/IV

თქვენთვის მეტ-ნაკლებად ნეგატიური პერიოდია. მოსალოდნელია უმნიშვნელო პრობლემები, განსაკუთრებით მათთვის, რომელთა საქმიანობაც კომერციასთან და ფინანსებთანაა დაკავშირებული. კატეგორიულად მოერიდეთ ფულის სესხება-გასესხებას. დაგისუსტდებათ სასიცოცხლო პოტენციალი. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მარჩხივთან, ნეგატიური – კუროსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 17, 18. **ნეგატიური დღეები:** 14, 19.

კურო – 21/IV-21/V

საკმაოდ დატვირთული პერიოდი გელით, ამიტომ ეცადეთ, ყველა ცხოვრებისეულ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოთ. გამოიჩინეთ აქტიურობა და ორგანიზებულობა, რათა ხელიდან არ გაუშვათ კარგი შანსები, რომლებიც ამ პერიოდში გაგიჩნდებათ. გირჩევთ, არ გამოავლინოთ ხასიათის უარყოფითი თვისებები. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური – ვერძსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 14, 15, 19. **ნეგატიური დღეები:** 16, 20.

მარჩხივი – 22/V-21/VI

ეს კვირა წინასთან შედარებით უარყოფითი იქნება, რაც ცხადია, თქვენს ნერვულ სისტემაზეც იმოქმედებს. ეცადეთ, აღრე დაწყებული საქმეების დასრულებაზე იზრუნოთ (ყოველ შემთხვევაში, მანამდე, ახალს ნუ წამოიწყებთ). მოგიწევთ ბევრი გადაადგილება და შეხვედრა (ამის გამო ხარჯიც მოგემატებათ). ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხივსა და სასწორთან, ნეგატიური – ქალწულსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 16, 17, 20. **ნეგატიური დღეები:** 15, 16.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

თქვენ წინაშე კარგი პერსპექტივა იშლება. ხელსაყრელ წინადადებებს მიიღებთ. გამოიჩინეთ შრომისმოყვარეობა და ორგანიზებულობა, რათა მოცემული შესაძლებლობები სრულად გამოიყენოთ. სიცოცხლისუნარიანობა და შარმი მოგემატებათ. წარმატება მთლიანად თქვენზე იქნება დამოკიდებული. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ვერძსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 14, 18, 19. **ნეგატიური დღეები:** 17, 20.

ლომი – 23/VII-23/VIII

ეს პერიოდი თქვენთვის მეტ-ნაკლებად კარმული იქნება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორი იყო თქვენთვის წინა ერთი თვე. შესაძლოა, ძველი შეცდომების გამოსწორება ან ადრე აღებული ვალების გადახდა მოგიხდეთ. თუმცა, ამავე დროს, შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში მოულოდნელად, სასიკეთო სიახლეებიც მოხდეს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მარჩხივთან, ნეგატიური – კუროსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 18, 20. **ნეგატიური დღეები:** 14, 19.

ქალწული – 24/VIII-23/IX

გირჩევთ, ზოგიერთ საკითხს ლოგიკურად ნუ მიუდგებით – ბევრი რამ ხომ არ ექვემდებარება ლოგიკას. ამიტომ ნებისმიერი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტისას, ინტუიციას დაუგდეთ ყური. ეცადეთ, ამ პერიოდში, განსაკუთრებით მოერიდოთ წვრილმანებზე ყურადღების გამახვილებას, იაზროვნოთ მასშტაბურად. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – მარჩხივსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 16, 17, 19. **ნეგატიური დღეები:** 15, 20.

სასწორი – 24/IX-23/X

გირჩევთ, ამ პერიოდში მეტი თავდაჭერილობა და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტები არ აგცდებათ. ეცადეთ, დაისახოთ ახალი, შემოქმედებითი გეგმები და მათი განხორციელებისთვისაც გადაუდებლად იზრუნოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მარჩხივთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 14, 15, 20. **ნეგატიური დღეები:** 16, 18.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

კვირის დასაწყისში, უმნიშვნელო პრობლემები შეგაწუხებთ. შესაძლოა, ოჯახში კონფლიქტური სიტუაციაც შეგექმნათ. ასეთ შემთხვევაში, გირჩევთ, სიმშვიდე გამოიჩინოთ, არ აჰყვეთ ემოციებს, არ გამოამჟღავნოთ პრეტენზიულობა და აგრესიულობა, იყავით მაქსიმალურად სამართლიანი. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ლომსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 18, 19, 20. **ნეგატიური დღეები:** 14, 15.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

წინააღმდეგობრივი და დაძაბული პერიოდი გელით. განსაკუთრებული ყურადღება ოჯახურ პრობლემებს დაუთმეთ. ოჯახის წევრებთან ურთიერთობებისას გამოიჩინეთ დიპლომატიის უნარი და ტაქტი. კვირის მეორე ნახევარში, თქვენს შემდგომ წინსვლას ჩაეყრება საფუძველი.

ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მერწყულთან, ნეგატიური – მარჩხივსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 16, 17, 19. **ნეგატიური დღეები:** 15, 18.

თხის რქა – 22/XII-20/I

ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანთა უმრავლესობას ოჯახური პრობლემების მოწესრიგებას ვურჩევთ. დაინტერესდით ოჯახის წევრთა საზრუნავით და დაეხმარეთ მათ. რაც შეეხება სამსახურს – შესაძლოა, უფროსობამ თქვენი წახალისება მოინდომოს. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თხის რქასთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 14, 17, 18. **ნეგატიური დღეები:** 16, 20.

მერწყული – 21/I-19/II

ეს პერიოდი მთლიანობაში თქვენთვის არცთუ ისე დადებითია, ამიტომ ეცადეთ, მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება მომავალი კვირისთვის გადადოთ. შესაძლოა, მოულოდნელად გაგიუარესდეთ ურთიერთობები კოლეგებთან და უფროსობასთან, ამიტომ ნუ გადადგამთ ნაჩქარევ ნაბიჯებს. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 16, 20. **ნეგატიური დღეები:** 17, 19.

თევზები – 20/II-20/III

დროა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოთ თქვენს ცხოვრებაში, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საქმიანობაში. ყველა მოსალოდნელი პროექტის განხორციელებისას, დაიხმარეთ მეგობრები, კოლეგები და ოჯახის წევრები. ნუ აჩქარდებით, ნელ-ნელა მიჰყევით დინებას... საპირისპირო მიმართულებით. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ქალწულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 17, 19, 20. **ნეგატიური დღეები:** 14, 18.

				დაუკავებელი თანამდებობა	მალტის დედაქალაქი	დასაქირავებელი ეტლი ინგლისში	მძიმე შრომა		ფუტკრის თავდაცვის იარაღი	ლონდონის საქმიანი ნაწილი	ნადირობის ქალღმერთი ქართ. მით.	
				საშშენებლო თაბაშირი								
შექსპირის „რომეო და ...“		ესპანური მაგარი ღვინო							ვიწრო, თხელი ფიცარი			ქაღალდის ფულის გამოშვება
ლითონის ნიშანი ფორმის ქუდზე								ავტომობილის კორპუსი			გემის გვერდის ქედელი	
												თეატრალური კოლექტივი
პოლიციელი საფრანგეთში			ტომატის საწებელი	სირიის დედაქალაქი		პორტუგალიური ღვინო		მეწისქვილის წილი				
						ფართო მოსასხამი		რისამე მარაგი		მდინარე აზიაში		
			ქართული ლუდი	ყაზახეთის დედაქალაქი		ღმერთების დედა ინდურ მით.						
										ხის ვარკვი		
			მწკავე ინფექციური დაავადება									
						გემის სარემონტო ნაგებობა						
ავტომობილის ძარას ტიპი		უეცარი რევიზია				მძორის მჭამელი ფრინველი						
რუსი მეფავე												
						ქალაქი საქართველოში		ანჩხლი, კაპასი				
ბამბუკის დათვი			ოვიეა, რაც ხახა					ირლანდიური ხალხური ცეკვა				
			მსგავსება, საგნებს, მოვლენებს შორის									



მე-11 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ბ.

ანეკდოტები

***

სვანს ეკითხებიან:

— მაიზერ, რამდენი წლის ხარ?!

— 28-ის!

— კაცო?!. როგორ, რამდენიმე წლის წინათაც 28 წლის არ იყავი?!.

— კაცურმა კაცმა სიტყვა არ უნდა გადათქვას!

***

ინტელიგენტის დღიურიდან:

„გუშინ ჩემს სიდედრს ქუჩაში ბანანის ქერქზე ფეხი დაუსრიალდა და ასფალტს დაენარცხა. ხომ წვრილმანია?!. მაგრამ მსიამოვნებს...“

***

ქუთაისში მესაათე კლიენტს:

— აჰა, წეიღე შენი საათი, ოღონდ იცოდე, აწი დღეში ორჯერ უნდა დაქოქო.

— ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ, პატივცემულო?

***

— რა ღირს თქვენი ძაღლი?

— 100 დოლარი.

— 50 დოლარად არ მომცემთ?

— რაფრა გავჭრა ახლა ცოცხალი ძაღლი?!

***

რეკლამა

„ჩვენი ნაგავმზიდი კომპანია ხარისხის გარანტიას გაძლევთ. მაგრამ თუ ჩვენი მუშაობის ხარისხი მაინც არ დაგაკმაყოფილებთ, დაგიბრუნებთ, რასაც გავზიდავთ... თანაც გაორმაგებით“.

***

ექთანი ექიმს ეკითხება:

— პატივცემულო, ნარკოზი გავუკეთოთ?!.

— არ არის საჭირო... პაციენტი ყრუ-მუნჯია.

***

— მართალია, რომ ამბობენ, ქალები კაცებზე დიდხანს ცოცხლობენო?

— იცოცხლებენ, აბა რა იქნება, ჩვენი სისხლით და ნერვებით იკვებებიან.

***

ორი ძმაკაცის საუბრიდან:

— რა გონიერი თევზია ზვიგენი!

— რატომ?

— ჩემი სიდედრი იხრჩობოდა და არ გადაარჩინა... პირიქით...

***

კაცმა შინ კანფეტების დიდი პარკი მიიტანა და პატარა შვილებს ეუბნება:

— ვინც დედას ყოველთვის უჯერებს. ვინც არ ეკამათება, ვინც ყველა სურვილს უსრულებს, ეს კანფეტები მისია. აბა, ბავშვებო, ვის ეკუთვნის სასუსნავი?

— მარტო შენ, მამიკო!

***

— დღესაც მეეე?!. გუშინაც ხო მე მევიტანე პური? — ებუზღუნება მშობლებს გოჩაიე, — ახლა გელა წევიდეს.

— გაჩერდი, ბუჯო, შენ და... რასაც გეუბნები, ის გააკეთე, — ტუქსავს მამა, — მაგი რამდენჯერაც გოვუშვით პურზე, იმდენჯერ ცოლი მეიყვანა.

***

— თქვენ ადრეც ოჯექით?

— დიახ.

— რისთვის?

— თავით კედლის განგრევისთვის.

— კი, მაგრამ მაგისთვის რომ არ აპატიმრებენ?

— ჩემი კი არ იყო ის თავი, ჯუმბერასი იყო.

***

— ექიმო, ღირსების გრძნობა დავკარგე.

— გაიხადეთ და მაჩვენეთ...

***

— მიხა, იდეალურ ქალს ვგავარ?!

— არა, მარო... შენა უფრო მეტი ხარ...

— ი!. მაინც რამდენათა?

— ასე, 50 კილოთი...

***

კამერაში პატიმართან ექიმი შევიდა.

— ექიმო, ტანი მეფხანება.

— რამდენი წელი გაქვს მისჯილი?

— შვიდი.

— ჰოდა, დაჯექი და იფხანე მერე... სად გეჩქარება?!.

***

ტურისტი სოფელში ადგილობრივ მოსახლეს ეკითხება:

— აქ, თქვენთან, სოფელში, ქურდები არიან?

— რას ამბობ?!. არა, შემოგევლე, აქ ქურდები არ არიან. ისე, თუ დაგვჭირდა, ჩვენ თვითონ ვიპარავთ...

***

80 წლის მიხო თბილისის ღამის ბარში შედის. მას ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდება და ეკითხება:

— ვინ ხარ?

— ჯიგარი კაცი ვარ, შენა?

— მე ლესბოსელი ვარ, — პასუხობს ქალი.

— ეგ რაღა არი, ჯო?! — გაუკვირდა მიხოს.

— რა და, დღეც და ღამეც ლამაზი ქალები მელანდება და მათ გარეშე ცხოვრება უაზრობად მეჩვენება.

შინ დაბრუნებული მიხო მეზობელ მიტუას ეუბნება:

— ჯო!.. აქამდე თავი ჯიგარი კაცი მგონა, ახლა გავიგე, ლესბოსელი ვყოფილვარ.

***

ქორწილი მორჩა და მიხოს ახალმოყვანილი ცოლი სუფრას ალაგებს. რაც ქაღალდი ნახა, ყველა დაწვა. მიხომ უყურა, უყურა და ეუბნება:

— ხვალ რო გამაწმენდა მაგინდება, მერმე დაგინახამ, რას იზამ!..

***

ვალოდა ტრაბახობს:

— მე სამი ვარსკვლავის ქვეს ჩავისახე... სენი წილიმე.

— სამის რანაირად?

— მამაჩემი პოლკოვნიკი იყო, სენი წილიმე.

***

სვანური სამზარეულოს რეცეპტების წიგნი ასე იწყება: „წაართვით მეზობელს ქვაბი...“

***

— როცა სახლს ხანძარი გაუჩნდა, თავ-პირის მტვრევით შევვარდი შიგ და ჩემი სიდედრი ხელში აყვანილი გამოვიყვანე!

— ჰო, ასეთ დროს მართლა იბნევი კაცი...

ვინ ხართ საკუთარი შვილისთვის: მეობელი თუ მეგობარი?

1. თქვენი შვილი მოითხოვს, რომ შეწყვიტოთ საინტერესო ფილმის ყურება და ტელევიზორი როკმუსიკის პროგრამაზე გადართოთ. რას მოიმოქმედებთ?

ა) გადართავთ ტელევიზორს და როკშოუს მასთან ერთად უყურებთ – 3;

ბ) ეტყვით, რომ ფილმის დასრულებამდე მოცდა მოუწევს – 0;

გ) დაჰპირდებით, რომ პორტატიულ ტელევიზორს უყიდით – 2;

დ) ფილმს ვიდეოზე ჩაწერთ, შვილს კი როკშოუს ყურების უფლებას მისცემთ – 1.

2. თქვენ შვილებს აღიქვამთ:

ა) თქვენს თანასწორებად – 3;

ბ) ბავშვებად, ვისაც ძალუძს, რომ ხელმეორედ განაცდევინოთ საკუთარი ახალგაზრდობა – 2;

გ) ასაკით პატარა, მაგრამ ზრდასრულ ადამიანებად – 1;

დ) ბავშვებად, რომლებიც გამუდმებით საჭიროებენ თქვენს კეთილ რჩევას – 0.

3. თქვენ საშუალო ასაკის მშობელი ბრძანდებით და ამაყობთ საკუთარი ხშირი, გრუზა თმით. როგორ ვარცხნილობას ატარებთ?

ა) ისეთს, როგორიც ყველაზე მეტად გიხდებათ – 0;

ბ) ყველაზე მოდურ ვარცხნილობას – 2;

გ) თქვენი ვარცხნილობა, თქვენივე საყვარელი პოპვარსკვლავის ვარცხნილობის ასლია – 1;

დ) თქვენი ვარცხნილობა, საკუთარი შვილის ვარცხნილობის ასლია – 3.

4. რაც შეეხება თქვენს ასაკს.

ა) შვილებმა იციან თქვენი ასაკი – 1;

ბ) არასოდეს უსვამთ ხაზს თქვენ შორის არსებულ ასაკობრივ სხვაობას – 3;

გ) საგულდაგულოდ უმალავთ შვილებს საკუთარ ასაკს – 2;

დ) ცდილობთ, დაარწმუნოთ შვილები იმაში, მათზე მეტი იმიტომ იცით, ასაკით მათზე უფროსი რომ ხართ – 0.

5. როგორ იცვამთ?

ა) ცდილობთ, შვილის საყვარელი ვარსკვლავის სტილის მიბაძვას – 2;

ბ) ჩაცმულობაში საკუთარ შვილს ჰბაძავთ. – 3;

გ) ატარებთ იმ სტილის სამოსს, რომელიც ყველაზე მეტად გიხდებათ – 0;

დ) ახალგაზრდულ მოდას მისდევთ, რადგან ასე თავს უფრო ახალგაზრდად გრძნობთ – 1.

6. როგორ მოიქცევით, თუკი თქვენი მოზარდი ვაჟი ყურში საყურეს გაირის?

ა) ჩათვლით, რომ ეს მისი პირადი საქმეა – 0;

ბ) სასაცილოდ ავიგდებ და მის ქალურობას გავუსვამ ხაზს – 1;

გ) დაეთანხმებით, რომ ეს მოდურია; რადგან, არ გსურთ, რომ შვილმა ძველმოდურ ადამიანად მიგიჩნიოთ – 2;

დ) კომპანიის გაწევის მიზნით, ისეთსავე საყურეს შეიძენთ და თავადაც შვილის მაგალითს მიჰბაძავთ – 3.

7. თქვენი შვილი მთელ ხმაზე უწევს მაგნიტოფონს და მუსიკას ისე ისმენს; თქვენ კი ამ დროს:

ა) ყურში ბამბას გაირჭობთ და საქმის კეთებას გააგრძელებთ – 1;

ბ) მიხვალთ და ხმას დაუწევთ – 0;

გ) შეეურიგდებით ამას, რადგან თქვენს შვილს ასე სურს – 2;

დ) ეტყვით, რომ ეს შესანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში მუსიკა პირდაპირ თავში გირტყამთ – 3.

8. შვილებთან კამათისას:

ა) იშვიათად ეუბნებით მათ, რომ ისინი ცდებიან, რადგან იმის შიში გაქვთ, რომ შესაძლოა მომავალში დასახმარებლად თქვენ აღარ მოგმართონ – 3;

ბ) თმობთ პოზიციას, რადგან შემდგომ კამათს აზრი აღარ აქვს – 1;

გ) უფლებას აძლევთ, საბოლოო სიტყვა თქვენმა შვილმა თქვას, რადგან მიგაჩნიათ, რომ ეს ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა – 2;

დ) თუკი სიმართლე მართლაც მათ მხარესაა, ამის აღიარება არ გიჭირთ – 0.

9. ბავშვებმა შინ თანატოლები მოიწვიეს. თქვენ:

ა) საკუთარ ნებაზე მიუშვებთ: რაც უნდათ ის აკეთონ – 1;

ბ) კომპანიას გაუწევთ და შეეცდებით, რომ ტოლი არაფერში დაუდოთ – 3;

გ) გამოჰკითხავთ სტუმრებს, თქვენსავით მხიარული მშობლები ჰყავთ თუ არა – 2;

დ) არაფერში ჩარევით, მაგრამ აგრძნობინებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, იქვე ახლოს იმყოფებით – 0.

10. ბავშვები დისკოთეკაზე აპირებენ წასვლას, მაგრამ არ სურთ, რომ თქვენც მათთან ერთად წახვიდეთ. თქვენ:

ა) სულაც არ გიკვირთ ეს, რადგან მათ კარგად იციან, რომ თანამედროვე ცეკვები დიდად არ გხიბლავთ – 0;

ბ) გული დაგწყდებათ, რადგან მათთან ერთად ცეკვა გსურდათ – 2;

გ) განაწყენდებით, რადგან ამას ისე აღიქვამთ, თითქოსდა მათ არ სურთ, რომ მათი მხიარულების თანაზიარი იყოთ – 1;

დ) გუნება წაგიხდებათ, რადგან იქ მოდური სამოსით თავის მოწონებას აპირებდით – 3.

11. რა გამოძრავებთ, როცა ისე იქცევით, თითქოსდა საკუთარ შვილებზე უფროსი სულაც არ იყოთ?

ა) შვილებთან მეგობრული ურთიერთობის სურვილი – 3;

ბ) იმ ასაკობრივი სხვაობის შემცირებას ცდილობთ, რომელიც თქვენს შორისაა – 2;

გ) ოჯახის წევრთა თანაცხოვრების გახანგრძლივებას ცდილობთ – 1;

დ) ეს თქვენთვის სრულიად ბუნებრივია – 0.

12. შვილებთან ურთიერთობისას თქვენ:

ა) მათ დიდებივით ექცევით – 2;

ბ) მათ პატარებივით ექცევით – 1;

გ) ცდილობთ, მეგობრული ურთიერთობა იქონიოთ მათთან – 3;

დ) იქცევით ისე, რომ მათ თვალში ავტორიტეტი გქონდეთ – 0.

ტესტის შედეგები

24-36 ქულა: ამჟამად თქვენ ფიქრობთ, რომ შვილებთან ერთად მხიარულად ატარებთ დროს. ეს დროებითი მოვლენაა, რადგან ამისთვის მომავალში სათანადოდ მოგეზღვებათ. თქვენ აშკარად აჭარბებთ მეგობრის როლის თამაშისას, ბავშვების უმეტესობა ხვდება ამას და ექსპერტების აზრით, ამის შედეგად ისინი ბევრად უფრო ნერვიულები ხდებიან. შვილებთან მხოლოდ მეგობრობა საკმარისი არ არის, მათ ხომ ცხოვრებაში წარმმართველი სჭირდებათ. უნდა შეიგნოთ, რომ ასაკობრივ სხვაობას ვერსად წაუხვალთ და თანატოლის როლის ნაცვლად იმ ადამიანის როლი იკისროთ, ვინც ბავშვს სწორ მიმართულებას მისცემს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას აზიარებს.

14-23 ქულა: თქვენმა შვილებმა არც კი იციან, როგორ მოიქცნენ თქვენი თანდასწრებით. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ხშირად თქვენ მათ უარს არაფერზე ეუბნებით, მაგრამ როცა თავად გჭირდებათ, მშობლის როლის მორგებას ცდილობთ. ადრე თუ გვიან, როცა გენდომებათ, რომ რაიმე სერიოზულ საკითხში, თქვენი გაიტანოთ, ეს თქვენს შვილებში მრისხანებას, დაბნეულობასა და პროტესტის გრძნობას გამოიწვევს. მაგრამ თქვენ ჯერ ძალიან ღრმად არ შეგიტოპავთ, შეგიძლიათ დროულად შეწყვიტოთ „მეგობრობანას“ თამაში და შვილებს მოწიფული და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის მაგალითი მისცეთ.

0-13 ქულა: თქვენ ტიპური მშობელი ბრძანდებით. შეუპოვრად ცდილობთ შვილების გაგებას. ზოგჯერ ცდუნებას ვერ უძლებთ და რაღაცაში უთმობთ მათ, ამაში ცუდი არაფერია. თქვენ ხომ ზედმიწევნით გონივრულად უდგებით შვილების აღზრდას. მართალია, აღზრდის რთულ გზაზე წინააღმდეგობები გარდაუვალია, მაგრამ თქვენს შვილებს, უყვარხართ და პატივს გცემენ. და რაც ყველაზე მთავარია, თქვენში მოსიყვარულე და საიმედო მშობელს ხედავენ.

ახალი ეპიდემია – „სიდედრის სინდრომი“

რუმინელმა ფსიქიატრებმა შემაშფოთებელი მონაცემები აღმოაჩინეს: გაირკვა, რომ რუმინელ მამაკაცთა უმრავლესობა დაავადებულია უცნაური ეპიდემიით – რომელსაც სახელად „სიდედრის სინდრომი“ ჰქვია.

ამგვარი სახელწოდება ეწოდა ფსიქიკურ დარღვევას, რომელიც აღენიშნებათ იმ მამაკაცებს, რომლებიც იძულებულნი არიან, სიდედრთან ერთ ჭერქვეშ იცხოვრონ. ქალაქ ბოტოსანის კლინიკის ფსიქიატრები ირწმუნებიან, რომ ყოველკვირეულად მათ ათეულობით „დაზარალებული სიძე“ მიმართავს დასახმარებლად. პაციენტები მუდმივ მოუსვენრობის გრძნობასა და ნერვულ აშლილობას უჩივიან.

„მამაკაცებს ტრადიციულად, თავი ოჯახის უფროსად მიაჩნიათ, სინამდვილეში კი, იძულებულნი არიან, აკეთონ მხოლოდ ის, რის უფლებასაც სიდედრი მისცემს. ამის შედეგად, ისინი ნევროზულ მდგომარეობამდე და სექსუალურ აშლილობამდე მიდიან. ამგვარ პაციენტებს ხშირად ჯგუფური თერაპიის სეანსი უტარდებათ, რომელშიც მათი სიდედრებიც მონაწილეობენ“, – ამბობს კლინიკის მთავარი ექიმი ნიკოლაი ვლადი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში ფსიქიკური აშლილობის ხსენებულ ფორმაზე არაფერია ნათქვამი, ფსიქიატრებს უკვე საკმარისი მასალა დაუგროვდათ საიმისოდ, რომ თავისუფლად შეადგინონ „სიდედრის სინდრომით“ დაავადებული პაციენტის პროფილი: ეს გახლავთ დაახლოებით 35 წლის (უმეტესწილად, პროვინციელი), სიდედრთან ერთად მცხოვრები მამაკაცი.

■

დამნაშავეებმა პოლიციის შეფის მანქანა გაიტაცეს

დღევანდელ დღეს, როცა აგრერიგად მომრავლებულია სხვადასხვაგვარი დანაშაული, უსიამოვნო სიურპრიზებისგან არავინაა დაზღვეული. გამონაკლისი არც ვაშინგტონის პოლიციის შეფი აღმოჩნდა: მას ბოროტმოქმედებმა მანქანა მოჰპარეს.

ინციდენტი ვაშინგტონის გარეუბანში მოხდა, სადაც ქალაქის პოლიციის უფროსი – ჩარლზ რემსეი უქმეებზე დასასვენებლად გაემგზავრა. დილით კი, შინიდან გამოსულ ჩარლზს მანქანა ავტოსადგომზე აღარ დახვდა.

რასაკვირველია, რემსეიმ მაშინვე კოლეგებს დაურეკა, რომლებიც სახტად დარჩნენ, როცა შეიტყვეს, რომ მათი შეფის ავტომობილი ვიღაცას გაუტაცია. თავად დაზარალებულს კი, ეჭვიც არ ეპარება, რომ მანქანას იპოვიან და ამ მხრივ დიდად არ ღელავს – მით უმეტეს, რომ ჩაფხუტის გარდა, მანქანაში ისეთი არაფერი დაუტოვებია, რასაც დამნაშავეები რაიმეში გამოიყენებენ – არც რაცია, არც იარაღი და არც არანაირი სხვა პოლიციური აღჭურვილობა.

■

„სასწრაფო დახმარების“ მანქანა ტაქსის ნაცვლად

იაპონელმა ალკოჰოლიკმა – ნაგაკავამ, წესად გაიხადა „სასწრაფო დახმარების“ მანქანის, ტაქსის მაგივრად გამოყენება. უგონოდ მთვრალი მამაკაცი, „სასწრაფო დახმარებას“ იძახებდა ხოლმე და მას შინ მიყვანას სთხოვდა.

ერთ-ერთი ასეთი „მორიგი სიმთვრალის“ დროს, ჩვეულებისამებრ ქუჩაში, ტროტუარზე მჯდომმა ნაგაკავამ, გამვლელებს „სასწრაფოში“ დარეკვა სთხოვა. როცა მანქანა მოვიდა, ნაგაკავამ, როგორც ყოველთვის, მძღოლს თავისი ბინის მისამართი დაუსახელა და შინ მისვლის მოლოდინში წაუძინა კიდეც. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და ბოლოს და ბოლოს, ექიმებსაც აევსოთ მოთმინების ფიალა: მათ მთვრალ მამაკაცს, შინ მიყვანის ნაცვლად, საავადმყოფოში, შემდეგ კი – პოლიციელთა „კლანჭებში“ ამოაყოფინეს თავი. როცა „პაციენტი“ გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ მოატყუეს, ექიმებს მუშტიკრივით გაუმასპინძლდა.

სასამართლომ, 55 წლის ნაგაკავას – რომელმაც ერთი წლის მანძილზე, „სასწრაფო დახმარების“ მანქანა 50-ჯერ ტყუილუბრალოდ გამოიძახა, სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

■

ქორწილი აკვარიუმში

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ივნისი და ივლისი წლის ყველაზე სექსუალურ თვეებად ითვლება. გოგონათა უმეტესობა, სწორედ ამ პერიოდში კარგავს უმანკოებას, ასევე საგრძნობლად იმატებს ქორწინებათა რიცხვი. ამასთანავე, ხსენებულ თვეებში ყველაზე მეტი არაორდინარული საქორწინო ცერემონია ფიქსირდება.

რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი ამგვარი არატრადიციული საქორწინო ცერემონია ჩატარდა ფლორიდის შტატში, ქალაქ ტამპის ოკეანარიუმში. ამერიკელი წყვილი – ვეინ და გეინ ლენდრები – ცხრა ზვიგენის „მეგობრულ კომპანიაში“ დაქორწინდა. სანამ შეყვარებულები ბეჭდებს გაცვლიდნენ, მტაცებლებს მშვიდად ეჭირათ თავი, მაგრამ როცა ნეფემ დედოფალს ყვავილები მიართვა, ერთ-ერთი ზვიგენი, გამწარებული დაეძგერა თაიგულს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მალევე დაკარგა მისდამი ინტერესი და თანამოძმეებისკენ გაცურა.



მთელი ამ ხნის მანძილზე, 50-მდე მიწვეული სტუმარი, საშინელებათა ფილმის – „ჩონჩხის“ მუსიკის ფონზე, სუნთქვაშეკრული აღევნებდა თვალყურს ამ უჩვეულო სანახაობას.

■

ფოტოკოლაჟები



15 ივლისიდან

ყველგან!

№12(99), 15-28 ივლისი, 2005

ფასი 80 თეთრი

614/13

ჯვრის ფოთლები

მართლმადიდებლური ჟურნალი

აქ არის,
მცხეთა-ივერიაში,
ჩემი ათონიც და
ჩემი იერუსალიმიც

ნომრის თემა:
ცოდვა

ყოველი კაცის
სულს გადაშლილი
წიგნივით
კითხულობდა

მეუფე პეტრე:
ეს იყო საოცარი
სიმშვიდისა და
სიხარულის განცდა

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ